

## **დეკლარაციები**

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
ადმინისტრაციულ საქმეებზე

2024, №7

Decisions of the Supreme Court of Georgia  
on Administrative Cases  
(in Georgian)

2024, №7

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien  
in Verwaltungssachen  
(in der georgischen Sprache)

2024, №7

Решения Верховного Суда Грузии  
по административным делам  
(на грузинском языке)

2024, №7

გადაწყვეტილების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი  
**ლიანა ლომიძე**

ტექნიკური რედაქტორი  
**მარიკა მაღალაშვილი**

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75; [www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და  
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების  
დეპარტამენტის მხარდაჭერით

## საქონელი

დევნილის სახელმწიფოსგან საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებულად ცნობის შესახებ ადმინისტრაციული აქტის კანონიერება .....	4
დევნილი ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის საფუძველი ..... 25; 46; 64; 110; 136; 152; 170	
დევნილი ოჯახის ნგრევასაშიშ შენობაში დროებით არყოფნის გამო განსახლებაზე უარის თქმის კანონიერება .....	81
სხვის საკუთრებაში არსებული ფართით დროებითი სარგებლობის გამო დევნილის საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფაზე უარის თქმის კანონიერება .....	96

**დაცვილის სახელმიწოდებასთან საცხოვრაპელი ფართით  
დაკაყოფილებულად ცხობის შესახებ აღმინისტრაციული  
აქტის კანონის რეგისტრაცია**

**განჩინება  
საქართველოს სახელით**

№ ბს- 1254(3 კ-22)

5 მაისი, 2023 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: გ. მაკარიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
თ. ოქროპირიძე,  
ქ. ცინცაძე**

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრი-  
ვი აქტების ბათილად ცნობა

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. 2020 წლის 22 ივნისს ა. ა-ამ სასარჩელო განცხადებით მიმართა  
თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლე-  
გიას მოპასუხების – საქართველოს პრეზიდენტისა და სსიპ სახელ-  
მწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიმართ.

მოსარჩელემ მოითხოვა: ა) ბათილად იქნეს ცნობილი „სახელმწიფო  
საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორ-  
მით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის  
17 სექტემბრის № 17/09/01 განკარგულების ის ნაწილი, რომლითაც გა-  
ნისაზღვრა მოსარჩელე ა. ა-ას საცხოვრებლით უზრუნველყოფა გ. ნ-ის  
მიერ; ბ) ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ ქონების ეროვნულ სააგენტოსა  
და გ. ნ-ეს შორის 2012 წლის 17 სექტემბერს გაფორმებული ნასყიდო-  
ბის ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.2. და 2.4. პუნქტები, რომლითაც  
განისაზღვრა მოსარჩელე ა. ა-ას საცხოვრებლით უზრუნველყოფა გ. ნ-  
ის მიერ და მოსარჩელეს წაერთვა უფლება, დევნილის სტატუსიდან გა-  
მომდინარე, მოეთხოვა გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყო-  
ფა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სარჩელის თანახმად, ა. ა-ა არის აფხაზეთიდან იძულებით გადაად-  
გილებული პირი – დევნილი. მეუღლესთან განქორწინების შემდგომ,  
2011 წლიდან ცხოვრობს ქირით, რომელსაც ვერ იხდის მძიმე სოცია-  
ლურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო. მოსარჩელემ მიმართა სსიპ  
დევნილთა, ეკონომიკური მდგომარეობის გამო. მოსარჩელემ მიმართა სსიპ  
სააგენტოს და მოითხოვა, დევნილის სტატუსიდან გამომდინარე, საც-

ხოვრებელი ფართით დაკმაყოფილება. სააგენტოში განუმარტეს, რომ იგი 2012 წელს დაკმაყოფილდა საცხოვრებელი ფართით, რის გამოც ხელმეორედ დაკმაყოფილება გამოიწვევდა კანონის დარღვევას. მოსარჩელემ იმავე დღეს განცხადებით მიმართა სააგენტოს და მოითხოვა აღნიშნული ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტაციის გადაცემა. 2020 წლის 3 ივლისს მიიღო №03/8696 წერილი და თანდართული მასალები, რომლითაც მოსარჩელისთვის ცნობილი გახდა, რომ ყოფილმა მეუღლემ – გ. ნ-ებ 2012 წელს სიმბოლურ ფასად მიიღო ქ. თბილისში, ...ის გამზ. №138-ში მდებარე საცხოვრებელი ფართი. გ. ნ-ესა და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს მორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების 2.2. და 2.4. მუხლებით მოსარჩელეს შეეზღუდა უფლება, დევნილის სტატუსიდან გამომდინარე, მიმართოს სახელმწიფოს საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების თაობაზე. საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 17 სექტემბრის №17/09/01 განკარგულების დანართში მოსარჩელე მოხსენიებულია, როგორც ფართის მესაკუთრე. მოსარჩელე განმარტავს, რომ მან აღნიშნულის შესახებ არ იცოდა, შესაბამისად, არც თანხმობა გამოუხატავს. დარღვეულია მისი კანონიერი ინტერესები და უფლებები, ვინაიდან ითვლება ფართით დაკმაყოფილებულ დევნილად და ეზღუდება უფლება, მონაწილეობა მიიღოს, დევნილის სტატუსიდან გამომდინარე, გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების სახელმწიფო პროგრამებში.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 27 ივლისის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლის საფუძველზე, საქმეში მესამე პირებად ჩაეცნენ სსიპ დევნილთა, ეკონიკური და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო და გ. ნ-ე.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 10 მარტის გადაწყვეტილებით ა. ა-ას სარჩელი დაკმაყოფილდა. ბათილად იქნა ცნობილი „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 17 სექტემბრის №17/09/01 განკარგულების ის ნაწილი, რომლითაც განისაზღვრა მოსარჩელე ა. ა-ას საცხოვრებლით უზრუნველყოფა გ. ნ-ის მიერ. ბათილად იქნა ცნობილი სსიპ ქონების ეროვნულ სააგენტოსა და გ. ნ-ეს შორის 2012 წლის 17 სექტემბერს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.2. და 2.4. პუნქტები, რომლითაც განისაზღვრა მოსარჩელე ა. ა-ას საცხოვრებლით უზრუნველყოფა გ. ნ-ის მიერ და მოსარჩელეს წაერთვა უფლება, დევნილის სტატუსიდან გამომდინარე, მოეთხოვა გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ა) მო-სარჩელე – ა. ა-ა არის იძულებით გადაადგილებული პირი – დევნილი და მის სარეგისტრაციო მისამართად მითითებულია ქ. თბილისი, ... ....ის გამზირი, № 138; ბ) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს შუამდგომლობით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარდგენების საფუძველზე, საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 17 სექტემბრის № 17/09/01 განკარგულებით, დევნილი ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის მიზნით, გ. ნ-ეს, პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად – 1 ლარად, გადაეცა საცხოვრებელი ფართი ქ. თბილისში, ... ....ის გამზ. № 138-ში. საქართველოს პრეზიდენტის აღნიშნული განკარგულებით, საცხოვრებელი ფართის მყიდველს – გ. ნ-ეს დაევალა მოსარჩელე ა. ა-ას, როგორც ოჯახის წევრის, აღნიშნული საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა; გ) საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების საფუძველზე, სსიპ ქონების ეროვნულ სააგენტოსა და გ. ნ-ეს შორის 2012 წლის 17 სექტემბერს გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც გ. ნ-ეს, პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად – 1 ლარად, გადაეცა საცხოვრებელი ფართი ქ. თბილისში, ... ....ის გამზ. № 138-ში. ამასთან, იმავე ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.2. და 2.4. პუნქტების შესაბამისად, საცხოვრებელი ფართის მყიდველს – გ. ნ-ეს დაევალა მოსარჩელე ა. ა-ას, როგორც ოჯახის წევრის, აღნიშნული საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა და მოსარჩელეს წაერთვა უფლება, დევნილის სტატუსიდან გამომდინარე, მოეთხოვა გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით; დ) აღნიშნული ნასყიდობის ხელშეკრულება ხელმოწერით დადასტურებული არ არის მოსარჩელის მიერ; ე) მოსარჩელე ა. ა-ა და ზემოთ აღნიშნული უძრავი ნივთის მყიდველი – გ. ნ-ე არასდროს ყოფილან რეგისტრირებულ ქორნინებაში.

საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულაზე და 31-ე მუხლზე, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პუნქტზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტზე, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლზე, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილზე და საქმეზე წარმოდგენილ მტკიცებულებებზე მითითებით სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, საცხოვრებლით უზრუნველყოფილ იქნა გ. ნ-ე და მას დაევალა მოსარჩელე ა. ა-ას საცხოვრებლით უზრუნველყოფა იმ პირობებში, რო-

დესაც ადმინისტრაციული წარმოების არც ერთ ეტაპზე არ გამოკვლეულა და არ დადასტურებულა გ. ნ-ისა და მოსარჩელის ერთ ოჯახად ცხოვრების ფაქტი. საქმეში წარმოდგენილი არც ერთი მტკიცებულებით არ დასტურდება, რომ მოსარჩელე ა. ა-ა გ. ნ-ის მეუღლე იყო საცხოვრებელი ფართის გადაცემის დროს. იმ პირობებში, როდესაც საქმეში წარმოდგენილი არ არის რაიმე სახის მტკიცებულება მოსარჩელე ა. ა-ას და ა გ. ნ-ის ერთ ოჯახად ცხოვრების თაობაზე, ისინი არასდროს ყოფილან რეგისტრირებულ ქორნინებაში, უძრავი ნივთი, რომელიც გ. ნ-ეს საქართველოს პრეზიდენტის სადაცო აქტით გადაეცა სიმბოლურ ფასად, საჯარო რეესტრში აღირიცხა მხოლოდ მის საკუთრებად, უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია მოსარჩელე ა. ა-ას იმ პირად მითითება, რომელმაც მიიღო აღნიშნული საცხოვრებელი ფართი და ეზღუდება უფლება, დევნილის სტატუსიდან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოითხოვოს საცხოვრებლით უზრუნველყოფა. მხოლოდ ერთ მისამართზე რეგისტრაციის ფაქტით არ შეიძლება დადასტურდეს მათი ერთ ოჯახად ცხოვრება, რადგან რეგისტრაციის მისამართი შესაძლებელია არ ემთხვეოდეს პირის ფაქტობრივ საცხოვრებელ ადგილს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 67-ე მუხლსა და 70-ე მუხლის მე-2 ნაწილზე მითითებით სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგენილია, რომ აღნიშნული ნასყიდობის ხელშეკრულება ხელმოწერით დადასტურებული არ არის მოსარჩელის მიერ და მოსარჩელეს არც რაიმე სახის თანხმობა მიუცია გ. ნ-ისათვის ზემოაღნიშნული ნასყიდობის ხელშეკრულების გასაფორმებლად. სადაცო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტისა და ხელშეკრულებაში მოსარჩელე ა. ა-ას იმ პირად მითითება, რომელიც უზრუნველყოფილ იქნა საცხოვრებლით, არ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს.

ხანდაზმულობასთან მიმართებით სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის ათვლა იწყება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მხარისათვის ჩაბარების მომენტიდან, ხოლო ხელშეკრულების შემთხვევაში, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, იმ მომენტიდან, როდესაც პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ სადაცო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მოსარჩელეს არ ჩაპარებია, იგი უშუალოდ მის მიმართ არ ყოფილა გამოცემული და არ გამოქვეყნებულა, რის გამოც მოსარჩელე მოკლებული იყო შესაძლებლობას, სცოდნოდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისა და მისი შედეგების თა-

ობაზე.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ სარჩელი საფუძვლიანია, სადაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას, ასევე სადაც ხელშეკრულების დადებისას ადგილი ჰქონდა „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის არსებით დარღვევას, გასაჩივრებულინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტსა და ხელშეკრულებაში ასახული კონკრეტული ურთიერთობის მოწესრიგება არ შეესაბამება მათი გამოცემის (დადების) სამართლებრივ საფუძვლებს და წინააღმდეგობაში მოდის მოცემული ურთიერთობის მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმებთან, რის გამოც ბათილად იქნა ცნობილი „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 17 სექტემბრის № 17/09/01 განკარგულების ის ნაწილი, რომლითაც განისაზღვრა მოსარჩელე ა. ა-ას საცხოვრებლით უზრუნველყოფა გ. ნ-ის მიერ, ასევე სსიპ ქონების ეროვნულ სააგენტოსა და გ. ნ-ეს შორის 2012 წლის 17 სექტემბერს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.2. და 2.4. პუნქტები, რომლითაც განისაზღვრა მოსარჩელე ა. ა-ას საცხოვრებლით უზრუნველყოფა გ. ნ-ის მიერ და მოსარჩელეს წაერთვა უფლება, დევნილის სტატუსიდან გამომდინარე, მოეთხოვა გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 10 მარტის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს საქართველოს პრეზიდენტმა, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ და სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტომ, რომლებმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 4 ივლისის განჩინებით საქართველოს პრეზიდენტის, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 10 მარტის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლო სრულად დაეთანხმა პირველი ინსტაციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ გა-

რემონტებთან დაკავშირებით. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, საქალაქო სასამართლომ სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და გაიზიარა ისინი. პალატამ ასევე სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებები და დასკვნები საქმის სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, თბილისის საქალაქო სასამართლომ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველ და მეორე ნაწილებზე მითითებით სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს პრეზიდენტის გასაჩივრებული განკარგულებით საცხოვრებლით უზრუნველყოფილ იქნა გ. ნ-ე და მას დაევალა მოსარჩევე ა. ა-ას საცხოვრებლით უზრუნველყოფა იმ პირობებში, როდესაც ადმინისტრაციული წარმოების არც ერთ ეტაპზე არ გამოკვლეულა და არ დადასტურებულა გ. ნ-ისა და მოსარჩევის ერთ ოჯახად ცხოვრების ფაქტი. საქმეში წარმოდგენილი არც ერთი მტკიცებულებით არ დასტურდება, რომ მოსარჩევე ა. ა-ა გ. ნ-ის მეულლე (ოჯახის წევრი) იყო საცხოვრებელი ფართის გადაცემის მომენტში. პალატის განმარტებით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების განსაზღვრისათვის, იგი არა მხოლოდ ფორმალური გამართულობის, არამედ მისი შინაარსობრივი, არსებითი თვალსაზრისითაც უნდა იქნეს შემოწმებული.

სააპელაციო საჩივრებით ადმინისტრაციული ორგანოები მიუთითებენ დევნილის ან ეტებზე, რომლებშიც ა. ა-ასა და გ. ნ-ის მისამართის გრაფაში დაფიქსირებულია იდენტური მისამართები. მხოლოდ ერთ მისამართზე რეგისტრაციის ფაქტით არ შეიძლება დადასტურდეს მათი ერთ ოჯახად ცხოვრება, რადგან რეგისტრაციის მისამართი შესაძლებელია არ ემთხვეოდეს პირის ფაქტობრივ საცხოვრებელ ადგილს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 66-ე მუხლის პირველ და მეორე ნაწილებზე, 67-ე მუხლის პირველ და მე-2 ნაწილებზე მითითებით, სასამართლომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგენილად მიიჩნია, რომ სადაც ნასყიდობის ხელშეკრულება ხელმოწერით დადასტურებული არ არის მოსარჩევის მიერ და მოსარჩევეს არც რაიმე სახის თანხმობა მიუცია გ. ნ-ისათვის ნასყიდობის ხელშეკრულების გასაფორმებლად.

სასამარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობასთან მიმართებით პალატამ განმარტა, რომ სასამართლო წესით უფლების დაცვა და განხორციელება განუყოფლადაა დაკავშირებული ვადების ფაქტორთან, კერძოდ, კანონმდებლობა ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობას ვადებით ზღუდავს და ყოველ კონკრეტულ სამართალურთიობასთან დაკავშირებით უფლების დაცვის

ხანდაზმულობის შესაბამის ვადებს განსაზღვრავს. შესაბამისად, უფლება სამართლიან სასამართლოზე დროში შეზღუდული უფლებაა და მისი განხორციელება დამოკიდებულია კანონმდებლობით დადგენილ ხანდაზმულობის ვადებზე. თავის მხრივ, უფლების დაცვის – სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა გულისხმობს დროის გარკვეულ მონაკვეთს, რომლის განმავლობაშიც პირს, რომლის უფლებაც დაირღვა, შესაძლებლობა აქვს, მოითხოვოს საკუთარი უფლებების დაცვა სასამართლოში სარჩელის შეტანის გზით. ხანდაზმულობის ვადის გასვლა აზრს უკარგავს მოთხოვნის საფუძვლიანობას და პირს ართმევს სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას, რის შედეგადც განსახილველი უფლების ჭრილში სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობა მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ინარჩუნებს. ამდენად, ხანდაზმულობის ვადების არსებობა სამართალურთიერთობის მონაწილეებს აიძულებს, დროულად იზრუნონ საკუთარი უფლებების განხორციელებასა და დაცვაზე, ვინაიდან ხანდაზმულობის ვადა არ გულისხმობს დროის გაურკვეველ პერიოდს. მას აქვს დასაწყისი და დასარული, რომლის სწორად გამოთვლისას მნიშვნელოვანია მისი დენის დაწყების მომენტის განსაზღვრა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის პირველ და მე-3 ნაწილებზე, 129-ე მუხლის პირველ ნაწილზე, „საქელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონზე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლზე მითითებით პალატამ ალიშვანა, რომ განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ 2020 წლის 3 ივლისს მიიღო №03/8696 წერილი, რომლითაც მისთვის ცნობილი გახდა, რომ გ. ნ-ებს იმბოლურ ფასად მიიღო ... .... ის გამზ. №138-ში მდებარე საცხოვრებელი ფართი და სისი სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და გ. ნ-ეს შორის 2012 წლის 17 სექტემბერს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.2. და 2.4. პუნქტების თანახმად, განისაზღვრა მოსარჩელე ა. ა-ას საცხოვრებლით უზრუნველყოფა გ. ნ-ის მიერ. ალიშვნული ფაქტის გათვალისწინებით, მოსარჩელეს ნაერთვა უფლება, დევნილის სტატუსიდან გამომდინარე, მოეთხოვა გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ხანდაზმულობის საკითხის გადაწყეტისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება იმის განსაზღვრას, თურა მომენტიდან უნდა იქნეს ათვლილი სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენა, რაც განსახილველ შემთხვევაში დაკავშირებულია იმ მომენტთან, როდესაც ა. ა-ამ შეიტყო, რომ იგი ითვლებოდა სახელმწიფოს მიერ საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებულად. სარჩელი სასამართლოში აღძრულია 2020 წლის 22 ივლისს, ზემოხსენებული წერილის მიღებიდან ცხრამეტი დღის შემდეგ, რის გამოც დაუსაბუთებელია აპელანტების მოსაზრება, საქალაქო სასამართლოს მიერ

სასამართლო მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხის არასწორად შეფასებასთან დაკავშირებით.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 4 ივლისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს საქართველოს პრეზიდენტმა, სისპასელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ და სისპასელთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტომ, რომლებმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკამყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

5.1. კასატორის – საქართველოს პრეზიდენტის განმარტებით, სასამართლოს არ გამოუკვლევია და არ შეუფასებია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები, საქმეში წარმოდგენილი არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებები, რომლებიც ადგენდა დევნილი ოჯახის შემადგენლობისა და ერთად ცხოვრების ფაქტს. საქმეში არსებულ, ამგვარ ერთადერთ მტკიცებულებას წარმოადგენდა სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს მიერ წარმოადგენილი დევნილთა სარეგისტრაციო დოკუმენტაცია, რომელთა მიხედვითაც, ერთმნიშვნელოვნად და ცალსახად დასტურდებოდა, რომ მოსარჩელე ა. ა-ა და საქმეში მესამე პირად ჩაბმული გ. ნ-ე წარმოადგენდნენ ერთ ოჯახად მცხოვრებ პირებს, ვინაიდან დევნილთა ანკეტებში მითითებული იყო მათი საერთო ოჯახის იდენტური სარეგისტრაციო ნომერი (№...). ამასთან, ორივე დევნილის ანკეტაში მითითებული იყო სწორედ ის საერთო მისამართი, რომელზეც საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით განხორციელდა სახელმწიფო ქონების პრივატიზება (ქ. თბილისი, ... ის გამზირი, №138).

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტზე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანებით დამტკიცებული „დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის წესის“ მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტზე მითითებით კასატორი აღნიშნავს, რომ, მართალია, სადაც პერიოდის მოქმედი რედაქციით მსგავსი ან რაიმე სხვა სახის საკანონმდებლო დეფინიციით არ იყო ზუსტად განსაზღვრული დევნილი ოჯახის ცნება, თუმცა არსობრივად დევნილი ოჯახის ცნება საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკითაც, განიმარტება სწორედ აღნიშნული საკანონმდებლო და კანონქვემდებარენორმატიული აქტების შესაბამისად.

სასამართლოს უნდა დაედგინა, რომ საქმეში, ერთი მხრივ, წარმოდ-

გენილი იყო დევნილი პირისათვის უფლებამოსილი ორგანოს მიერ გა-ცემული წერილობითი მტკიცებულება დევნილთა სარეგისტრაციო მო-ნაცემების სახით, დევნილთა ანკეტები, ხოლო, მეორე მხრივ, მოსარ-ჩელის მიერ საქმეში არ იყო წარმოდგენილი არც ერთი მტკიცებულება, რომელიც საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის შესაბამისად, დაადასტურებდა, რომ ა. ა-ა და გ. ნ-ე არ წარ-მოადგინდნენ ერთი ოჯახის წევრებს. შესაბამისად, აღნიშნულ გარე-მოებათა შეუფასებლობის გამო სასამართლომ მიიღო დაუსაბუთებე-ლი გადაწყვეტილება, რაც მისი გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

ასევე სასამართლომ არასწორად იმსჯელა სარჩელის ხანდაზმულო-ბის საკითხთან დაკავშირებით. სასამართლომ არ მიუთითა (სადაც სა-მართალურთიერთობის პერიოდისთვის მოქმედი რედაქციით) „სახელ-მწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნ-ქტზე (იდენტური სამართლებრივი ნორმა მოქმედებს იმავე კანონის ახალი რედაქციით, მე-6 კვინტა მუხლით). აქედან გამომდინარე, აღ-ნიშნული ნორმის სრულყოფილი განმარტების შემთხვევაში სასამარ-თლოს უნდა მიეთითებინა, რომ სახელმწიფო ქონების პრივატიზება არის ერთიანი პროცესი და არ უნდა გაემიჯნა ერთმანეთისაგან საქართვე-ლოს პრეზიდენტის განკარგულება და მისგან გამომდინარე პრივატი-ზების ხელშეკრულება. შესაბამისად, სასამართლოს უნდა დაედგინა, რომ გასული იყო სასამარჩელო ხანდაზმულობის ვადა. სასამართლოს გა-დაწყვეტილება აღნიშნულ ნაწილშიც შეუსაბამოა საქართველოს უზე-ნაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ პრაქტიკასთან, კერძოდ, მო-ცემულ შემთხვევაში სადაც ხელშეკრულების გაფორმების დროისათ-ვის მოსარჩელე წარმოადგენდა ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირის ოჯახის წევრს და ცხოვრობდა აღნიშნულ პირთან სადაც ხელშეკრუ-ლებით გადაცემულ ფართში, ამასთან, მას ხელშეკრულების გაფორმე-ბის შემდგომ, წლების განმავლობაში არ მიუმართავს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსათვის ბინით დაკმაყო-ფილების მოთხოვნით. შესაბამისად, არსებობს საფუძველი დასკვნი-სათვის, რომ მოსარჩელეს უნდა სცოდნოდა ბინით დაკმაყოფილების თაობაზე ხელშეკრულების გაფორმების დროისათვის.

5.2. კასატორი – სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლზე, „საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგი-ლებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხ-ლის „გ“ და „ლ“ ქვეპუნქტებზე მითითებით აღნიშნავს, რომ ხელშეკრუ-ლების დადების მომენტისთვის მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მი-

ყიდვის ფორმით და კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზება ხორციელდებოდა საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების საფუძველზე. დღეს მოქმედი „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის, კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვისა და უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის ფორმებით პრივატიზება ხორციელდება საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, ოუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს შუამდგომლობის საფუძველზე, უფლებამოსილია განახორციელოს „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოქმედები კონკურენტული დევნილი ოჯახებისთვის ქონების საკუთრებაში გადაცემის თაობაზე.

საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 17 სექტემბრის №17/09/01 განკარგულების ადსრულების მიზნით, სააგენტოსა და გ. ნ-ეს შორის 2012 წლის 17 სექტემბერს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად, მყიდველს პირობადადებული საკუთრების უფლებით გადაეცა ქ. თბილისში, ....ის გამზ. №138-ში მდებარე უძრავი ქონება. ხელშეკრულების 2.2. მუხლის თანახმად, მყიდველის ვალდებულებად განისაზღვრა ა. ა-ას საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა. ხელშეკრულების 2.4. მუხლის თანახმად, ხელშეკრულების დადების მომენტიდან მყიდველი და ხელშეკრულების 2.2. პუნქტში ჩამოთვლილი ოჯახის წევრები არ იქნებიან უფლებამოსილნი მოითხოვონ სახელმწიფოსგან ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისგან ან სხვა პირისგან რაიმე სახის კომპენსაცია. ამავე ხელშეკრულების 2.5. მუხლის თანახმად კი, მყიდველზე საკუთრების უფლების გადასვლის შემდეგ, მყიდველი ვალდებულია ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უძრავი ქონება გამოიყენოს ისე, რომ ამ ხელშეკრულების 2.2. პუნქტით გათვალისწინებული პირები უზრუნველყოფილ იქნენ სათანადო საცხოვრებელი ფართით. ხელშეკრულების 2.5. მუხლი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მყიდველის ვალდებულებას, საკუთრების უფლების გადასვლის შემდეგ მიღებული უძრავი ქონება გამოიყენოს იმგვარად, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირი უზრუნველყოფილიყო სათანადო საცხოვრებელი პირობით. ამავე ხელშეკრულების თანახმად, 2.2 მუხლში მითითებული პირები სხვა უძრავ ქონებას, გარდა ხელშეკრულებაში მითითებული ქონებისა, არ ფლობდნენ.

მოცემულ შემთხვევაში, ფართის დაკანონების პერიოდისთვის ა. ა-გ. ნ-ესთან ერთად დევნილთა მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული

იყოქ. თბილისში, ... ...ის გამზ. № 138-ში, რაც უცვლელია დღეის მდგო-  
მარეობითაც. დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფა გულისხმობს  
საცხოვრებლის დევნილი ოჯახისთვის გადაცემას არა მხოლოდ ოჯა-  
ხის რომელიმე კონკრეტული პირისთვის. მითითებული უძრავი ნივთი  
საცხოვრებლად გადაეცა დევნილ ოჯახს, კერძოდ, გ. ნ-ეს და ა. ა-ას,  
რომლებიც ცხოვრობდნენ ერთ ოჯახად და არასდროს ყოფილან რე-  
გისტრირებული ცალკე ოჯახად. შესაბამისად, გ. ნ-ის საცხოვრებლით  
უზრუნველყოფა განხორციელდა მისი ოჯახის წევრებთან, კერძოდ, ა.  
ა-ასთან ერთად, სწორედ იმ მდგომარეობით, რა ფაქტობრივი და იური-  
დიული მდგომარეობითაც ფიქსირდებოდნენ საცხოვრებელ ადგილზე.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საყურადღებოა, რომ გასულია „სახელ-  
მწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლით გათვა-  
ლისწინებული პრივატიზებულ სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ უძ-  
რავ ქონებასთან დაკავშირებული სასარჩელო ხანდაზმულობის 3-ნლი-  
ანი ვადა.

3.3. კასატორი – სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყა-  
როებით უზრუნველყოფის სააგენტო საქართველოს ადმინისტრაციუ-  
ლი საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილზე მითითებით აღ-  
ნიშნავს, რომ მოცემული დანაწესი არ გულისხმობს იმას, რომ მოსარ-  
ჩელე სრულად გათავისუფლებულია მტკიცების ტვირთისაგან. გარდა  
სააგენტოში არსებული დოკუმენტებისა, ადმინისტრაციულმა ორგანომ  
როგორუნდა ამტკიცოს, რომ ა. ა-ა და გ. ნ-ე ფართის გადაცემის დროს  
ერთ ოჯახად ცხოვრობდნენ. ფართის დაკანონების შემდეგაც, 2013  
წელს მხარეებს ერთ სარეგისტრაციო ნომერსა და მისამართზე აქვთ  
რეგისტრაცია გავლილი. შესაბამისად, მხარის მიერ მითითებულ გარე-  
მოებას, რომ ფართის გადაცემის დროს ის და გ. ნ-ე ერთ ოჯახს არ წარ-  
მოადგენდნენ, აქარნყლებს 2013 წლის დევნილთა საყოველთაო რეგის-  
ტრაციის დროს შევსებული ანკეტები. ასევე დაუსაბუთებელია სასა-  
მართლოს მითითება, რომ ვინაიდნ უძრავი ქონების ამონანერში მხო-  
ლოდ გ. ნ-ე ფიქსირდება, ამიტომ უძრავი ქონების გადაცემა ა. ა-ას-  
თვის არ მომხდარა. 2009 და 2012 წლებში განკარგულების გამოცემის  
შემდეგ ნასყიდობის ხელშეკრულებას ოჯახის მხოლოდ ერთი წევრი  
აწერდა ხელს. შესაბამისად, ნება გამოხატულია ოჯახის ერთი წევრის  
მიერ და იგულისხმება, რომ მას მიღებული აქვს ოჯახის სრულწლოვანი  
წევრების თანხმობაც. პრეზიდენტის 2009 და 2012 წლების განკარგუ-  
ლებისა და დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებების საფუძველზე,  
სააგენტოს არაერთი დევნილი ოჯახი ჰყავს მონიშნული კომპენსირე-  
ბულად დევნილთა მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში. სასამართლოს  
ასეთი მიდგომა კი, სტიმულს აძლევს მოსარჩელის იდენტურ მდგომა-  
რეობაში მყოფ სხვა დევნილებს, იმავე გზით მოითხოვონ საცხოვრებე-

ლი. ამ მიდგომით სახელმწიფო ვერასდროს ამონურავს იმ ოჯახთა რიცხვს, რომელიც საცხოვრებლით უზრუნველყოფილნი არიან და მათი განსახლების საკითხი გაგრძელდება უსასრულოდ.

კასატორი სრულიად გამორიცხავს იმ ფაქტს, რომ მოსარჩელეს არ ჰქონდა ინფორმაცია ფართის დაკანონების შესახებ. მოსარჩელემ, მიუხედავად იმისა, რომ იცოდა, ოჯახის მიერ საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე თანხმობის შემდეგ, დევნილის სტატუსიდან გამომდინარე, სახელმწიფოსგან ფართის ან კომპენსაციის მოთხოვნა ეზღუდებოდა, ოჯახის უფროსის არჩევითა და მის მიერ ხელშეკრულებაზე ხელმოწერით – თავის დროზე თანხმობა განაცხადა გარიგების დადგებაზე, მიიღო საცხოვრებელი, თუმცა ახლა, რატომღაც, ამტკიცებს, თთქოს, მისთვის არ იყო ცნობილი და არ მიუღია საცხოვრებელი. მოსარჩელის მიზანია, წარმოადგინოს თავი ცალკე ოჯახად და სახელმწიფოსგან მიიღოს დამატებითი საცხოვრებელი. აღსანიშნავია, რომ სადავო ქონების პრივატიზების პერიოდისათვის დაკანონების პროცედურები არითვალისწინებდა თანასაკუთრების ცნებას. იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელე ცხოვრობდა მითითებულ მისამართზე, შეუძლებელია, მას არ სცოდნოდა ფართის დაკანონების შესახებ, მით უფრო, რომ ობიექტი იყო დევნილთა კოლექტიურად ჩასახლების ცენტრი და ყველა დევნილს, რომელიც ობიექტში ცხოვრობდა, ჰქონდა სათანადო ინფორმაცია უშუალოდ სააგენტოს თანამშრომლებისაგან.

მოსარჩელის მიერ არ ყოფილა წარმოადგენილი რაიმე სახის მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ იგი პრეზიდენტის განკარგულების გამოცემისა და ხელშეკრულების დადების დროს ცხოვრობდა სხვა მისამართზე და შესაბამისად, წარმოადგენდა ცალკე დამოუკიდებელ ოჯახს. უფრო მეტიც, პრეზიდენტის მიერ განკარგულების გამოცემის დროს და ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას, 2012 წლის მდგომარეობით, 2013 წლის საყოველთაო რეგისტრაციამდე, ა. ა-ას და გ. ნ-ეს განსხვავებული სარეგისტრაციო ნომრები ჰქონდათ (გ. ნ-ე – ..., ა. ა-ა – ...) და განსხვავებულ ფაქტობრივ და იურიდიულ მისამართებზე ფიქსირდებოდნენ, თუმცა ფართის დაკანონების შემდეგ, 2013 წლის დევნილთა საყოველთაო რეგისტრაციის გავლისას, ერთ სარეგისტრაციო ნომერზე – ..., ფიქსირდებიან, ერთ ფაქტობრივ და იურიდიულ მისამართზე. ამდენად, მხარის მოსაზრება, რომ ისინი ფართის გადაცემის პროცესშიც კი დაშორებულნი იყვნენ, დაუსაბუთებელია. თუ გ. ნ-ე და ა. ა-ა უკვე 2012 წელს ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ, მაშინ გაუგებარია, 2013 წელს რატომ გაიარეს რეგისტრაცია ერთ სარეგისტრაციო ნომერსა და მისამართზე დარატომ მიუთითეს ერთი და იგივე ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართი, რომელიც ასევე იურიდიულ მისამართს ემთხვევა. ასევე, ა. ა-ას 2013 წლის დევნილის ხელით შევსებული ანკე-

ტის მე-13 პუნქტში მითითებულია, რომ ა. ა-ა იმჟამად ცხოვრობდა მის საკუთრებაშიარსებულ სახლში/ბინაში, რომელიც სახელმწიფომ გადას-ცა გრძელვადიანი განსახლების პროგრამის ფარგლებში. ამ ინფორმა-ციის ნამდვილობა კი, მან ანკეტაზე ხელმოწერით დაადასტურა.

ზემოთ მითითებული გარემოებების გარდა, უძრავი ქონების ნასყი-დობის ხელშეკრულებიდან ირკვევა, რომ ხელშეკრულება დადგებულია 2012 წლის 17 სექტემბერს. ვინაიდან გასულია სახელმწიფო ქონების პრივატიზებისათვის კანონმდებლობით დადგენილი გასაჩივრების 3-წლიანი ვადა, დავა ხანდაზმულია.

დევნილთათვის ბინების საკუთრებაში გადაცემას წინ უძლოდა მთე-ლი რიგი ღონისძიებები და იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელემ ვერ დაადასტურა სხვა მისამართზე ცალკე ცხოვრების ფაქტი, შეუძლებე-ლია არ სცოდნოდა მიმდინარე პროცესების, სადაც ხელშეკრულებისა და მისი შინაარსის შექახებ. ასევე, გასათვალისწინებელია, რომ 2013 წლის შევსებულ ანკეტაში ა. ა-ას თავად აქვს ხელმოწერით დადასტუ-რებული, რომ ცხოვრობს სახლში/ბინაში, რომელიც სახელმწიფომ გა-დასცა გრძელვადიანი განსახლების პირობებში.

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-მეთა პალატის 2022 წლის 3 ნოემბრის განჩინებით, საქართველოს ად-მინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შე-საბამისად, დასაშვებობის შესამორმებლად წარმოებაში იქნა მიღებუ-ლი საქართველოს პრეზიდენტის, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნუ-ლი სააგენტოსა და სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყა-როებით უზრუნველყოფის სააგენტოს საკასაციო საჩივრები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 22 თებერვლის განჩინებით საქართველოს პრეზი-დენტის, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მათი განხილვა განისაზღვრა მხარეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო სა-ჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კა-ნონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს პრეზიდენტის, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროე-ბით უზრუნველყოფის სააგენტოს საკასაციო საჩივრები უნდა დაკმა-ყოფილდეს ნაწილობრივ და საქმე ხელახლი განხილვისათვის დაუბ-რუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: а) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლო საფუძვლად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის. საქმე ხელახლა განსახილველად შეიძლება დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს იმავე ან სხვა შემადგენლობას.

მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩევლის მიერ სადავოდაა ქცეული ა. ა-ას საცხოვრებელი ფართით დატაყოფილებულად ჩათვლის ნაწილში სსიპ ქონების ეროვნულ სააგენტოსა და გ. ნ-ეს შორის 2012 წლის 17 სექტემბერს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.2 და 2.4 პუნქტები და ა. ა-ას საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების ნაწილში „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 17 სექტემბრის №17/09/01 განკარგულება. შესაბამისად, სადავო საკითხი იმის შესახებ, ა. ა-ა, როგორც დევნილი, ითვლება თუ არა სახელმწიფოსაგან საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებულად იმ პირობებში, როდესაც გ. ნ-ესთან გაფორმდა საცხოვრებელი ფართის შესახებ ნასყიდობის ხელშეკრულება და ამ ხელშეკრულებით გ. ნ-ემ აიღო ვალდებულება მოსარჩელე – ა. ა-ა უზრუნველყოს საცხოვრებელი ფართით მისთვის გადაცემულ ბინაში.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმეზე დადგენილ შემდეგ ფაქტობრივგარემოებებზე: ა) ა. ა-ა არის იძულებით გადაადგილებული პირი – დევნილი და მის სარეგისტრაციო მისამართად მითითებულია ქ. თბილისი, ....ის გამზირი, №138,...; ბ) „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 17 სექტემბრის №17/09/01 განკარგულებით, გ. ნ-ეს, პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად – 1 ლარად, გადაეცა ქ. თბილისში, .....ის გამზირი №138-ში მდებარე საცხოვრებელი ფართი. აღნიშნული განკარგულებით, საცხოვრებელი ფართის მყიდველს – გ. ნ-ეს დაევალა მოსარჩელე ა. ა-ას, როგორც ოჯახის წევრის, საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა (მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი). ამავე განკარგულების თანახმად, მყიდველი და ამ განკარგუ-

ლების დანართით გათვალისწინებული ფიზიკური პირები (ოჯახის წევრები) არ მოითხოვენ სახელმწიფოსგან ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისაგან, ან სხვა პირისგან რაიმესახის კომპენსაციას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა, ან უძრავი ქონების საკუთრებაში ან სარგებლობაში გადაცემას, მათი დევნილის სტატუსიდან გამომდინარე (მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი); გ) „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს კონსორტიუმის კური განვითარების მინისტრის 16.09.2010წ. №1-1/1537 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზაციის შესახებ“ დებულებისა და საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 17 სექტემბრის №17/09/01 ზემოაღნიშნული განკარგულების საფუძველზე, სსიპ ქონების ეროვნულ სააგენტოსა და გ. ნ-ეს შორის 2012 წლის 17 სექტემბერს გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც გ. ნ-ეს, პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად – 1 ლარად, გადაეცა საცხოვრებელი ფართი ქ. თბილისში, .... ის გამზირის № 138-ში. ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.2. და 2.4. პუნქტების შესაბამისად, საცხოვრებელი ფართის მიყიდველს – გ. ნ-ეს დაევალა მოსარჩელე ა. ა-ას, როგორც ოჯახის წევრის, აღნიშნული საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა და მოსარჩელეს წაერთვა უფლება, დევნილის სტატუსიდან გამომდინარე, მოეთხოვა სახელმწიფოსგან ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისაგან, ან სხვა პირისგან რაიმე სახის კომპენსაცია, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა, ან უძრავი ქონების საკუთრებაში ან სარგებლობაში გადაცემისა, მათი დევნილის სტატუსიდან გამომდინარე, გარდა „ოკუპირებულ ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული უძრავი ქონების. აღნიშნული ნასყიდობის ხელშეკრულება ხელმოწერით დადასტურებული არ არის მოსარჩელის მიერ; დ) ა. ა-ა და გ. ნ-ე არასდროს ყოფილან რეგისტრირებულ ქონებისას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონი ემყარება საქართველოს კონსტიტუციასა და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს, განსაზღვრავს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სამართლებრივ სტატუსს, პირის დევნილად ცნობის, მისთვის დევნილის სტატუსის მინიჭების, შენცვეტის, ჩამორთმევისა და აღდგენის საფუძვლებსა და წესს, დევნილის სამართლებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ გარანტიებს, მის უფლებებსა და მოვალეობებს. აღნიშნული კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, იძულებით გადაად-

გილებულ პირად – დევნილად ითვლება საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი იმ მიზეზით, რომ უცხო ქვეყნის მიერ ტერიტორიის ოკუპაციის, აგრესის, შეიარაღებული კონფლიქტის, საყოველთაო ძალადობის ან/და ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო საფრთხე შეექმნა მის ან მისი ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას ან/და ზემოაღნიშნული მიზეზის გათვალისწინებით შეუძლებელია მისი მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომელიც ანესრიგებს საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვასთან, განკარგვასა და სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს (მუხ. 1.1). დასახელებული კანონის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო ქონება არის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მოძრავი და უძრავი ნივთები, არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, ხოლო „გ“ ქვეპუნქტის თანახმად (სადაც პერიოდში მოქმედი რედაქცია), პრივატიზება არის ელექტრონული ან/და საჯარო აუქციონის, პირდაპირი მიყიდვის, კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვისა და უსასყიდლო გადაცემის ფორმებით, სავაჭრო ობიექტის, მესამე პირის მეშვეობით, აგრეთვე წილების ან აქციების ან სერტიფიკტებით წარმოდგენილი აქციების პირდაპირ ან მუამავლის მეშვეობით, საჯარო ან კერძო შეთავაზებით, უცხო ქვეყნის აღიარებულ საფონდო ბირჟაზე ან მოცემულ დროს საერთაშორისო კაბიტალის ბაზრებზე არსებული პრაქტიკის შესაბამისი შეთავაზების სხვაგვარი ფორმით ფიზიკური ან იურიდიული პირების ან მათი გაერთიანებების მიერ სახელმწიფო ქონებაზე საკუთრების უფლების შეძენა ამ კანონით დადგენილი წესით;

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის (სადაც პერიოდში მოქმედი რედაქცია) მე-18 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზების ფორმებია: ა) აუქციონი; ბ) პირდაპირი მიყიდვა; გ) პირდაპირი მიყიდვა კონკურენტული შერჩევის საფუძველზე. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმითა და კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზება ხორციელდება საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილების საფუძველზე, ამ კანონის მე-10 მუხლით დადგენილი წესით და პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სამინისტროს მიერ, ამ კანონის 18<sup>1</sup> მუხლით დადგენილი წესით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს მთავრობის 2007

წლის 2 თებერვლის №47 განკარგულებაზე, რომლითაც დამტკიცდა იძულებით გადაადგილებულ პირთა დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგია. აღნიშნული დოკუმენტი აყალიბებს საქართველოს მთავრობის მიდგომას იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ, აანალიზებს არსებულ პრობლემებს და სახავს სახელმწიფოს ორ უმთავრეს მიზანს: 1. პირობების შექმნა დევნილთა ღირსეულად და უსაფრთხოდ დაბრუნებისათვის; 2. დევნილი მოსახლეობისათვის ღირსეულად ცხოვრების პირობების მხარდაჭერა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი ჩაბმა. დასახელებული განკარგულების მე-5 თავის („დევნილთა ინტეგრაცია“) თანახმად, დევნილი მოსახლეობის ინტეგრაციის ამოცანის გადასაჭრელად სახელმწიფო სტრატეგია მიზნად ისახავს დევნილთათვის საბინაო და სოციალური პირობების, მათი ჯანმრთელობისა და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებების, აგრეთვე აუცილებელი საკრიტიკო ინიციატივების განხორციელებას. აღნიშნული პროგრამები უნდა ეფუძნებოდეს დევნილთა კატეგორიების განსაზღვრას მათი სილატკაკის ხარისხის (თუ რა ტიპის ზრუნვას საჭიროებს) და უნარშესაძლებლობების (შეუძლია თუ არა თვითკმარობის მიღწევა) მიხედვით, რაც მოთხოვს შესაბამისი ინდიკატორების შემუშავებას. დასახული ამოცანების წარმატებით გადასაჭრელად მნიშვნელოვანია პროგრამების ისე დაგეგმვა, რომ მინიმალური ზიანი მიადგეს დევნილთა შორის ჩამოყალიბებულ სოციალურ და ეკონომიკურ კავშირებს.

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 12 იანვრის №4 განკარგულებით დამტკიცებული „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიიდან გამომდინარე განსახორციელებელ ღონისძიებათა პროგრამაში“ დეტალურად იქნა მითითებული ის სახელმწიფო ორგანოები და უწყებები და ასევე მათი საქმიანობის სფერო, რომელთა მიერაც უნდა განხორციელდეს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ბინების დევნილთა საკუთრებაში გადაცემა. განკარგულებით განისაზღვრა ისეთი ღონისძიებების განხორციელება, როგორიც არის დევნილი ოჯახის შემადგენლობის განსაზღვრა, მათი უახლოესი ნათესაური კავშირების დადგენა, დევნილთა ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართების დადგენა, ინფორმაციის მოპოვება მათ მიერ დაკავებული საცხოვრებელი ფართობის შესახებ.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ პირველი და სააპელაციო ინსტაციის სასამართლოებმა არ შეამონეს სარჩელის შესაბამისობა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის პირველი ნაწილი-სა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მოთხოვნებთან და დააკმაყოფილეს მოსარჩელის მოთხოვნა ისე, რომ საქმეში არ იყო ნარმოდგენილი არც ერთი მტკიცებულება, რომელიც დაადასტუ-

რებდა ა. ა-ას და გ. ნ-ის ცალ-ცალკე ოჯახად ცხოვრების ფაქტს.

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადა-ადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დევნილის რეგისტრაციის ად-გილი არის – სამინისტროში არსებულ დევნილთა მონაცემთა ბაზაში აღნიშნული დევნილის საცხოვრებელი ადგილი, სადაც იგი დევნილო-ბის პერიოდში დარეგისტრირდა, მიუხედავად ამ ადგილის საკუთრების ფორმისა. აღნიშნული მუხლის „ე“ ქვეპუნქტი განსაზღვრავს დევნი-ლის ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის ცნებას – დევნილის მიერ დევნილობის პერიოდში არჩეული საცხოვრებელი ადგილი, სადაც იგი რეგისტრაციის გარეშე ფაქტობრივად ცხოვრობს. ამასთანავე, მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დევნილი ვალდებუ-ლია საცხოვრებელი ადგილის შეცვლის დღიდან ერთი თვის განმავლო-ბაში აცნობოს სამინისტროს საცხოვრებელი ადგილის შეცვლის შესა-ხებ. ანალოგიური საკანონმდებლო დანახნესი მოქმედებდა სადაცო პე-რიოდში მოქმედი „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართვე-ლოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით (დევნილი ვალდებულია ერთი თვის განმავლობაში აცნობოს სამინისტროს დროე-ბითი საცხოვრებელი ადგილის შეცვლის შესახებ).

საკასაციო სასამართლო, პირველ რიგში, ყურადღებას მიაცეკვს იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ მოსარჩელე – ა. ა-ა და მესამე პირი – გ. ნ-ე არ უარყოფენ არარეგისტრირებულ ქორწინებაში ყოფნის ფაქტს, თუმ-ცა მიუთითებენ, რომ 2012 წლის 17 სექტემბრის ხელშეკრულების გა-ფორმებისას ერთად აღარ ცხოვრობდნენ და იყვნენ განქორწინებული (იხ. სარჩელი და გ. ნ-ის განცხადება). შესაბამისად, თავად მოსარჩელის და მესამე პირის ახსნა-განმარტება უდავოდ ადასტურებს იმ ფაქტობ-რივ გარემოებას, რომ ისინი ცხოვრობდნენ ერთ ოჯახად, რაც, თავის მხრივ, ქმნის ვარაუდის საფუძველს, რომ სადაცო განკარგულების გა-მოცემისა და ხელშეკრულების გაფორმების დროს ადმინისტრაციულ ორგანოს, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 12 იანვრის №4 გან-კარგულების ფარგლებში მოქმედებისას, ა. ა-ა და გ. ნ-ე განესაზღვრა ერთ ოჯახად, ხოლო მათ საცხოვრებელ ადგილად დაედგინა ქ. თბილი-სი, ..., ..., ის გამზირი, №138 (როგორც ზემოთ აღინიშნა, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ბინების დევნილთა საკუთრებაში გადაცემის მიზნით განკარგულებით განისაზღვრა ისეთი ღონისძიებების განხორ-ციელება, როგორიც არის დევნილი ოჯახის შემადგენლობის განსაზ-ღვრა, მათი უახლოესი ნათესაური კავშირების დადგენა, დევნილთა ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართების დადგენა, ინფორმაციის მო-პოვება მათ მიერ დაკავებული საცხოვრებელი ფართობის შესახებ). აღ-

ნიშნული ვარაუდის საფუძველს კიდევ უფრო ამყარებს ის ფაქტი, რომ მოსარჩელეს არა თუ არ წარმოუდგენია მტკიცებულება, არც კი მიუთითებია, რომ მან „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ კანონის (სადაც პერიოდში მოქმედი) მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების მიზნით, გ. ნ-ესთან ერთ ოჯახად ცხოვრების პერიოდში (ჩვენს შემთხვევაში 2012 წლამდე) თავად აცნობა ადმინისტრაციულ ორგანოს მისამართის ცვლილების შესახებ, რაც შემდგომში ავტომატურად შესაძლოა გამხდარიყო (ანუ სათანადო ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების გარეშე), 2012 წლის მდგომარეობით მისი გ. ნ-ესთან ერთ ოჯახად ცხოვრების მიჩნევის წინაპირობა.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს გ. ნ-ის სახელზე შევსებულ იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის ანკეტას, რომლის თანახმად, გ. ნ-ის რეგისტრაციის და ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი არის ქ. თბილისი, ..., ... ... ის გამზირი, № 138. იგივე ფაქტობრივი და რეგისტრაციის მისამართია მითითებული 2013 წლის 4 აპრილს ა. ა-ას სახელზე შევსებული იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის ანკეტაში. ამასთან, ორივე ანკეტაში სარეგისტრაციო ნომერი არის იდენტური – № .... საყურადღებოა, რომ ა. ა-ას ანკეტის თანახმად, მოსარჩელე ცხოვრობს სახელმწიფოს მიერ გრძელვადიანი განსახლების პროგრამის ფარგლებში გადაცემულ ფართში.

საქმეში ასევე წარმოდგენილია 2007 წლის 3 აგვისტოს ა. ა-ას სახელზე შევსებული იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის ანკეტა, რომლის თანახმად, ა. ა-ას მისამართი (დროებითი საცხოვრებელი ადგილი) არის ქ. თბილისი, ..., კორპ. № 20ბ, ბინა № 10. ამავე ანკეტის მიხედვით ა. ა-ას სარეგისტრაციო ნომერი არის .... საქმეში წარმოდგენილია 2007 წლის 26 ივნისს გ. ნ-ის სახელზე შევსებული იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის ანკეტა, რომლის თანახმად, გ. ნ-ის დროებითი საცხოვრებელი ადგილი არის ქ. თბილისი, ..., ... ... ის გამზირი, № 138. ამავე ანკეტის მიხედვით გ. ნ-ის სარეგისტრაციო ნომერი არის ....

ზემოდასახელებული მტკიცებულებები სააპელაციო სასამართლოს მიერ შეფასების გარეშეა დატოვებული. ამასთან, საყურადღებოა, რომ იმ პირობებში, როდესაც ა. ა-ა და გ. ნ-ე არ უარყოფენ არარეგისტრირებულ ქორწინებაში ყოფნის ფაქტს, რაც მათი ერთ ოჯახად ცხოვრებაზე მიუთითებს, საქმეში არ არის დაცული არანაირი მტკიცებულება, 2012 წლის მდგომარეობით რის საფუძველზე უნდა მიეჩნია მოპასუხეს ა. ა-ას მისამართად ქ. თბილისი, ..., ... ... ის გამზირი, № 138, თუ არა ზემოაღნიშნული № 4 განკარგულების ფარგლებში ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოება, რაც დაკავშირებული იყო სახელმწიფოს საკუთრე-

ბაში არსებული ბინების დევნილთა საკუთრებაში გადაცემის მიზნით, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დევნილი ოჯახის შემადგენლობის განსაზღვრასთან, მათი უახლოესი ნათესაური კავშირების დადგენას-თან, დევნილთა ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართების დადგენას-თან, ინფორმაციის მოპოვებასთან მათ მიერ დაკავებული საცხოვრე-ბელი ფართობის შესახებ.

ასევე საყურადღებოა, რომ მოსარჩელე 2012 წლის 17 სექტემბრის მდგომარეობით სხვა მისამართზე ცხოვრების შესახებ მიუთითებს, თუმცა აღნიშნულის დამადასტურებელ არც რაიმე მტკიცებულებაზე უთითებს, ასეთი მტკიცებულება არც საქმეშია წარმოდგენილი და არც სასამართლოს გამოუკვლევია, ისე დაადგინა ა. ა-ას ცალკე ოჯახად ცხოვრების ფაქტი. ამავდროულად, საქმეში წარმოდგენილია ა. ა-ას სა-ხელზე შეესხბული იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის ან-კეტა, სადაც მისამართად მითითებულია ქ. თბილისი, ..., ...ის გამზირი, № 138. აღნიშნული ანკეტა შევსებულია 2013 წლის 4 აპრილს და იგი ხელ-მოწერილია თავად ა. ა-ას მიერ. ანუ მოსარჩელე, ერთი მხრივ, მიუთი-თებს, რომ იგი 2012 წლის მდგომარეობით აღარ ცხოვრობდა მისამარ-თზე ქ. თბილისი, ..., ...ის გამზირი, № 138 და ამავდროულად, გარდა იმისა, რომ არ წარმოუდგენია სხვა მისამართზე (ცხოვრების დამადას-ტურებელი მტკიცებულებები (არც ის მიუთითებია სად ცხოვრობდა), 2013 წლის მდგომარეობით თავად ანერს ხელს ანკეტას, სადაც მის მი-სამართი არის ქ. თბილისი, ..., ...ის გამზირი, № 138.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ ისე გადაწყვიტა სადაცო საკით-ხი, რომ არ დაუდგენია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები – მოსარჩელის გ. ნ-ესთან ერთ ოჯახად ცხოვრების ფაქტი. აღნიშნული გარემოების დადგენას მნიშვნელობა ენიჭება მოთხოვნის წარმოშობის მომენტის განსაზღვრისათვის, რადგან მოსარჩელე 2012 წლის 17 სექ-ტემბერს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების ნაწილობრივ პა-თილად ცნობის საფუძვლად მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ მან არ იცოდა ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე და მის მიერ არ იყო თან-ხმობა გაცემული. საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამარ-თლოს სამართლებრივ შეფასებას, საქართველოს ზოგადი ადმინისტრა-ციული კოდექსის 67-ე მუხლთან მიმართებაში. ამასთანავე, მიუთითებს, რომ აღნიშნულ მოთხოვნაზე ვრცელდება „სახელმწიფო ქონების შესა-ხედ“ კანონის 22-ე მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადა, რომლის თანახმად, პრივატიზებულ სახელმწიფო საკუთრებაში არსე-ბულ უძრავ ქონებასთან დაკავშირებული სადაცო საკითხების სასარჩე-ლო ხანდაზმულობის ვადა 3 წელი. სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხ-ლის თანახმად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირ-

მა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. მოცემულ შემთხვევაში არ დგინდება, რომ ხელშეკრულების დადების შესახებ ა. ა-ასათვის ცნობილი იყო მისი გაფორმებისას, თუმცა სასამართლოს არ გა-მოუკვლევია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილ-თა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2020 წლის 3 ივლისის №03/8696 ნერილის მიღებამდე ა. ა-ას უნდა შეეტყო თუ არა მისი უფლების დარღვევის შესახებ.

საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 131-ე მუხ-ლზე და განმარტავს, რომ თუ მოთხოვნის წარმოშობა დამოკიდებულია კრედიტორის მოქმედებაზე, ხანდაზმულობა იწყება იმ დროიდან, რო-ცა კრედიტორს შეეძლო განეხორციელებინა ეს მოქმედება. საქართვე-ლოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთე-ლობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2020 წლის 3 ივლისის №03/8696 ნერილით ა. ა-ას მისი განცხადების პასუხად გადაეგზავნა 2012 წლის 17 სექტემბერს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულე-ბა, რომლის მე-2 მუხლის 2.2 პუნქტით მყიდველი – გ. ნ-ე ვალდებულია ა. ა-ა, როგორც მისი ოჯახის ნევრი, უზრუნველყოს საცხოვრებელი ფარ-თით მისთვის გადაცემული ქონებით.

ამდენად, სასამართლომ საქმის ხელახლი განხილვისას უნდა გა-მოიკვლიოს 2012 წლის 17 სექტემბრის მდგომარეობით და მის შემდეგ ა. ა-ას ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის შესახებ ინფორმაცია, რო-მელიც პირდაპირუკავშირდება ა. ა-ას, როგორც მოსარჩელის 2012 წლის 17 სექტემბრის ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნაზე უფ-ლების წარმოშობას, რამდენადაც დადგენას საჭიროებს, რა დროიდან უნდა სცოდნოდა მოსარჩელეს მისი უფლების დარღვევის – მისი თან-ხმობის გარეშე 2012 წლის 17 სექტემბრის ხელშეკრულების გაფორმე-ბის შესახებ. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არსებობს სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“<sup>1</sup> ქვეპუნქტით გათ-ვალისწინებული სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმებისა და საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუ-ნების საფუძველი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინის-ტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქარ-თველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

### **დადგინა:**

1. საქართველოს პრეზიდენტის, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვ-

ნული სააგენტოს, სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს საკასაციო საჩივრები და კუმუფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 4 ივლისის განჩინება და საქმე ხელა-ხალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საპოლოოა და არ საჩივრდება.

## დევნილი ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის საფუძველი

### განჩინება საქართველოს სახელით

№ბს-169(კ-23)

25 ივლისი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: გ. მაკარიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ქ. ცინცაძე,  
თ. ოქროპირიძე

**კასატორის მოთხოვნა:** გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება

#### აღნერილობითი ნაწილი:

1. რ. ქ-ამ, ე. შ-იმა, ბ. ქ-ამ და ა. ქ-ამ სარჩელით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს მიმართ.

მოსარჩელეებმა მოითხოვეს: ა) ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2021 წლის 23 აპრილის №03-1552/ო ბრძანება დევნილი ოჯახისათვის გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფაზე უარის თქმის თაობაზე; ბ) დაევალოს მოპასუხე სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამო-

ცემა რ. ქ-ას, ე. შ-ის, ბ. ქ-ას, ა. ქ-ას გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის შესახებ.

სარჩელის თანახმად, მოსარჩელები არიან აფხაზეთიდან დევნილები. 1998 წლიდან ცხოვრობენ ქ. თბილისში, ...ის ქ. №5-ში („... სკოლა“). შესაბამისი უწყების მიერ წერილობითი მიმართვის საფუძველზე მოპასუხემ მიიღო გადაწყვეტილება სახელმწიფო საკუთრებაში რიცხული შენობებიდან, ქ. თბილისში, ...ის ქ. №5-ში („... სკოლა“) მცხოვრები დევნილების განსახლებისა და აღტერნატიული საცხოვრებლით დაკმაყოფილების თაობაზე. საქართველოს ოუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დევნილთა საკითხების შემსავლელი კომისიის 2018 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილებით ყოველგვარი დასაბუთების გარეშე მოსარჩელებს უარი ეთქვათ დევნილი ოჯახის საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე, ნგრევად ობიექტში ფაქტობრივად არცხოვრების გამო. აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრებულ იქნა მოსარჩელეთა მიერ, რაზეც თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილებით სადაცო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ოუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს 2018 წლის 9 ოქტომბრის №01-1247/ო ბრძანება და დაევალა მოპასუხეს საქართველოს ოუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა სადაცო საკითხთან დაკავშირებით. აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შესვლის შემდგომ წარედგინა მოპასუხეს, რომლის 2021 წლის 23 აპრილის ბრძანებით, დევნილთა საკითხების შემსავლელი კომისიის 2021 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილების საფუძველზე, რ. ქ-ას ოჯახს ნგრევად ობიექტში ფაქტობრივად არცხოვრების გამო უარი ეთქვა ქ. თბილისში გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფაზე.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 4 მაისის გადაწყვეტილებით რ. ქ-ას, ე. შ-ის, ბ. ქ-ას, ა. ქ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა. ბათილად იქნა ცნობილი სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2021 წლის 23 აპრილის №03-1552/ო ბრძანება. დაევალა სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მოსარჩელე რ. ქ-ას, ე. შ-ის, ბ. ქ-ას, ა. ქ-ას გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის თაობაზე.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარე-

მოებები: а) მოსარჩელები რ. ქ-ა, ე. შ-ი, ბ. ქ-ა, ა. ქ-ა არიან იძულებით გადაადგილებული პირები – დევნილები. დევნილობამდე მუდმივი საცხოვრებელი ადგილია აფხაზეთი, გალი, ...ის ქ. №37, ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი – თბილისი, დიდუბე, ...ის ქ. №5, „... სკოლა“; ბ) იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის ანკეტის თანახმად, რ. ქ-ას (სარეგისტრაციო №...) დაბადების ადგილია გალი. მუდმივ საცხოვრებელ ადგილს იძულებით გადაადგილებამდე წარმოადგენდა აფხაზეთი, გალი, ...ის ქ. №37. დროებითი და ფაქტობრივი საცხოვრებელია ქ. თბილისი, დიდუბე, ...ის ქ. №5. იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის ანკეტის თანახმად, ა. ქ-ას (სარეგისტრაციო №...) დაბადების ადგილა თბილისი. მუდმივი საცხოვრებელი იძულებით გადაადგილებამდე: აფხაზეთი, გალი, ...ის ქ. №37. დროებითი და ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილია ქ. თბილისი, დიდუბე, ...ის ქ. №5. იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის ანკეტის თანახმად, ა. ქ-ას (სარეგისტრაციო №...) დაბადების ადგილა თბილისი. მუდმივი საცხოვრებელი იძულებით გადაადგილებამდე: აფხაზეთი, გალი, ...ის ქ. №37. დროებითი და ფაქტობრივი საცხოვრებელ ადგილს წარმოადგენს ქ. თბილისი, დიდუბე, ...ის ქ. №5. იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის ანკეტის თანახმად, ა. ქ-ას (სარეგისტრაციო №...) დაბადების ადგილა თბილისი. მუდმივი საცხოვრებელი იძულებით გადაადგილებამდე: აფხაზეთი, გალი, ...ის ქ. №37. დროებითი და ფაქტობრივი საცხოვრებელ ადგილს წარმოადგენს ქ. თბილისი, დიდუბე, ...ის ქ. №5. იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის ანკეტის თანახმად, ა. ქ-ას (სარეგისტრაციო №...) დაბადების ადგილა თბილისი. მუდმივი საცხოვრებელი იძულებით გადაადგილებამდე: აფხაზეთი, გალი, ...ის ქ. №37. დროებითი და ფაქტობრივი საცხოვრებელ ადგილს წარმოადგენს ქ. თბილისი, დიდუბე, ...ის ქ. №5. იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის ანკეტის თანახმად, ა. ქ-ას (სარეგისტრაციო №...) დაბადების ადგილა თბილისი. მუდმივი საცხოვრებელი იძულებით გადაადგილებამდე: აფხაზეთი, გალი, ...ის ქ. №37. დროებითი და ფაქტობრივი საცხოვრებელ ადგილს წარმოადგენს ქ. თბილისი, დიდუბე, ...ის ქ. №5. იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის ანკეტის თანახმად, ა. ქ-ას (სარეგისტრაციო №...) დაბადების ადგილა თბილისი. მუდმივი საცხოვრებელი იძულებით გადაადგილებამდე: აფხაზეთი, გალი, ...ის ქ. №37. დროებითი და ფაქტობრივი საცხოვრებელ ადგილს იძულებით გადაადგილებამდე წარმოადგენდა აფხაზეთი, გალი, ს. .... დროებითი და ფაქტობრივი საცხოვრებელია ქ. თბილისი, დიდუბე, ...ის ქ. №5; გ) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2018 წლის 9 ოქტომბრის №01-1247/ო ბრძანებით რ. ქ-ას ოჯახს ქ. თბილისში, ახალაშენებულ კორპუსებში, გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფაზე ეთექვა უარი. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 8 აპრილის №3/5414-18 გადაწყვეტილებით, რ. ქ-ას, ე. შ-ის, ბ. ქ-ას, ა. ქ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა წარმომის საცხოვრებელი ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს 2018 წლის 9 ოქტომბრის №01-1247/ო ბრძანება და დაევალა მოპასუხე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი სადავო საკითხთან დაკავშირებით. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 19 სექტემბრის №3ბ/1512-19 განჩინებით ძალაში დარჩა თბილი-

სის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 8 აპრილის №3/5414-18 გადაწყვეტილება; დ) 2020 წლის 3 ივლისს დათვალიერების, ადგილზე გამოცხადების, გასაუბრების ოქმი შედგა ქ. თბილისში ...ის №5-ში „...ის“ შენობაში, სადაც მონიტორინგის ჯგუფი გამოცხადდა რ. ქ-ას ოჯახის მონიტორინგის მიზნით. ოჯახში არავინ დახვდათ, იმავე შენობაში ბინა № 10-ში მცხოვრებმა რ. ქ-ას დედამ განაცხადა, რომ გასულები იყვნენ, სად ზუსტად არ იცოდა. 2020 წლის 3 ივლისს დათვალიერების, ადგილზე გამოცხადების, გასაუბრების ოქმით ირკვევა, რომ ქ. თბილისში ...ის №5-ში „...ის“ შენობაში, ბინა № 10-ში დაახლოებით 15 წუთში გამოცხადდა რ. ქ-ა, მასთან საუბრისას 5 წუთში მისი მეუღლე ე. შ-იც მივიდა. მათ განაცხადეს, რომ იყვნენ პარკში. 2020 წლის 3 ივლისს დათვალიერების, ადგილზე გამოცხადების, გასაუბრების ოქმის თანახმად, მონიტორინგის ჯგუფი დამატებითი მოკვლევის მიზნით იმყოფებოდა ქ. თბილისში, ...ს №32, ბინა №3-ში. ადგილზე დახვდათ მ. ყ-ა, რომელმაც განაცხადა, რომ ცხოვრობს მის საკუთრებაში მარტო. პერიოდულად სტუმრობენ შვილი, სიძე და შვილიშვილები, რომლებსაც დაკავებული აქვთ ...ის №5-ში ფართი; ე) 2018 წლის 29 ივნისის საჯარო რეესტრის ამონანერით, ქ. თბილისში, ...ს ქუჩა №32-ში მდებარეულრავ ქონებაზე (ს/კ ...) რეგისტრირებულია მ. ყ-ას საკუთრების უფლება; ვ) სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2021 წლის 23 აპრილის №03-1552/ო ბრძანებით დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის 2021 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილების საფუძველზე (ოქმი №19) რ. ქ-ას (პ/ნ ...) ოჯახს ნგრევად ობიექტში (ქ. თბილისი, ... სკოლაში) ფაქტობრივად არცხოვრების გამო უარი ეთქვა ქ. თბილისში გრძელვადანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფაზე; ზ) სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2021 წლის 23 ივნისის №03-3242/ო ბრძანებით კვლილება შევიდა 2021 წლის 23 აპრილის №03-1552/ო ბრძანებაში და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის 2021 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილების საფუძველზე (ოქმი №19) რ. ქ-ას (პ/ნ ...) ოჯახს სახელმწიფო მნიშვნელობის ობიექტში (ქ. თბილისი, ... სკოლაში) ფაქტობრივად არცხოვრების გამო უარი ეთქვა ქ. თბილისში გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფაზე; თ) ნოტარიულად დამოწმებული ხელნერილით გ. ტ-ა, ნ. ბ-ა, ბ. კ-ა და ი. ჯ-ა ადასტურებენ, რომ რ. ქ-ა, ე. შ-ი, ბ. ქ-ა, ა. ქ-ა 1998 წლიდან ცხოვრობენ ქ. თბილისში, ...ის ქ. №5-ში ყოფილ ... სკოლაში, დევნილთა დასახლებაში; ი) საქმეში წარმოდგენილია ქ. თბილისში, ...ის №5, „... სკოლის“ შენობა, ბინა №20-ში, აბონენტი ქ-ას ოჯახის მიერ 2020 წლის ივლისიდან 2021 წლის ივლისის ჩათვლით მოხმარებული ელექტროენერგიის ამსახველი

ინფორმაცია.

სასამართლომ მიუთითა სადაც პერიოდში მოქმედ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებულ „დევნილთა გრძელვადი-ანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის წესზე“, ამავე წესის მე-3 მუხლის პირველ პუნქტზე, მე-4 მუხლის მე-8 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტზე, მე-4 მუხლის მე-6 პუნქტზე და განმარტა, რომ მოსარჩევე უფლებამოსილი იყო მოეთხოვა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართის გა-დაცემა, თუმცა კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით მისამარ-თზე ფაქტობრივად არცხოვრების გამო უარი ეთქვა მოთხოვნის დაკ-მაყოფილებაზე.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისში, ...ის ქუჩა №5-ში, „... სკოლაში“, სადაც რეგისტრირებული არიან მოსარჩევები და უთითე-ბენ, რომ ფაქტობრივად ცხოვრობენ 1998 წლიდან, სასამართლო გა-დაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მისი აღსრულების უზრუნველსაყოფად მონიტორინგის სამსახური იმყოფებოდა ერთხელ, 2020 წლის 3 ივლისს, რა დროსაც რ. ქ-ა და ე. შ-ი სატელეფონო კომუნი-კაციიდან 15 წუთში მივიღენ და განაცხადეს, რომ იმყოფებოდნენ პარ-კში. მოპასუხის მიერ გასაჩივრებული აქტის გამოცემისას დარღვეუ-ლია ბალანსი კერძო და საჯარო ინტერესებს შორის. ეს ბალანსი გაუ-მართლებლად, დაუსაბუთებლადაა დარღვეული კერძო ინტერესის სა-ზიანოდ და საჯარო ინტერესის სასარგებლოდ. ადმინისტრაციულ ორ-განოს უნდა ემსჯელა ბალანსის საჯარო ინტერესის სასარგებლოდ დარ-ღვევის მიზანშეწონილობაზე და სათანადოდ, დამაჯერებლად უნდა და-ესაბუთებინა იგი, რაც მას არ განუხორციელებია. სასამართლის მო-საზრებით, საქმის მასალების საფუძველზე და საქმის სხვა გარემოე-ბების გათვალისწინებით, პირის კერძო ინტერესი – დევნილის მუდმი-ვი საცხოვრებლით უზრუნველყოფა, რომელსაც მოუწია იმ მძიმე ვი-თარების, რაც განვითარებულ ცნობილ მოვლენებს მოჰყვა, საკუთარ თავზე გადატანა, არის უპირატესი და ადმინისტრაციული ორგანოს მი-ერ გადაწყვეტილების მიღებისას გასათვალისწინებელი, რამეთუ არ მოხდეს მისი უფლების დარღვევა და არ გულისხმობდეს მხოლოდ გან-სახილველი საკითხის მომწესრიგებული მატერიალური კანონმდებლო-ბის ფორმალურ დაცვას.

ადმინისტრაციულმა ორგანომ მოსარჩევე რ. ქ-ას იჯახის, როგორც დევნილის, გრძელვადიანი საცხოვრებლით დაკმაყოფილების თაობა-ზე ადმინისტრაციული წარმოება არ ჩაატარა სრულყოფილად. მაშინ, როცა მოპასუხე უთითებს, რომ მითითებულ მისამართზე არცხოვრე-ბის გამო ეუბნებიან დევნილს საცხოვრებლით დაკმაყოფილებაზე

უარს, არ გამოიკვლია საკითხით თუ მოსარჩელე არ ცხოვრობს მითითებულ მისამართზე, მაშინ სად ცხოვრობს იგი. სადაც არ არის, რომ მოსარჩელეთა სახელზე არ ირიცხება უძრავი ქონება. საქმეში წარმოდგენილი დათვალიერების, ადგილზე გამოცხადების, გასაუბრების ოქმის მიხედვით, 2020 წლის 3 ივლისს მონიტორინგის ჯგუფი რ. ქ-ას მოკვლევის მიზნით გამოცხადდა მისამართზე: თბილისი, ...ს ქ. 32, ბინა №3-ში ე. შ-ის დედის საკუთრებაში. მისამართზე მყოფმა ბინის მესაკუთრებმ, მ. ყ-ამ, განმარტა, რომ მისამართზე ცხოვრობს მარტო, მას პერიოდულად სტუმრობს მისი შვილის ოჯახი, რომელიც ცხოვრობს დევნილთა კომპაქტურად ჩასახლების ობიექტში.

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელებს საკითხის განხილვის დროს საკუთრებაში არ გააჩნდათ უძრავი ქონება. ასეთი გარემოების არსებობის შემთხვევაშიც არ გამოირიცხება მოსარჩელეთა უფლება, როგორც დევნილი ოჯახი განსახლებული იქნენ ნორმატიული აქტით გათვალისწინებული წესით მოცემულ ეტაპზე და არა სხვა რომელიმე ეტაპზე. შესაბამისად, დადგენილი გარემოებებიდან გამომდინარე, სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხე ად-მინისტრაციული ორგანოს პოზიცია მოსარჩელეთათვის საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფაზე უარის თქმის შესახებ, მისამართზე ფაქტობრივად არცხოვრების გამო, ვინაიდან საქმის მასალებით, კერძოდ დათვალიერების, ადგილზე გამოცხადების, გასაუბრების ოქმებით, იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის ან კეტებით, ასევე აბონენტის ბრუნვის ისტორიითა და ნოტარიულად დამოწმებული ახსნა-განმარტებით დასტურდება, რომ მოსარჩელეები რ. ქ-ა, ე. შ-ი, ბ. ქ-ა, ა. ქ-ა ცხოვრობენ თბილისში დევნილთა კომპაქტურად ჩასახლების ობიექტში. ის, რომ პერიოდულად უწევთ ე. შ-ის დედის მ. ყ-ას სახლში ყოფნა, არ გამორიცხავს სახელმწიფო მნიშვნელობის დევნილთა კომპაქტურად ჩასახლების ობიექტში ცხოვრების ფაქტს.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 4 მაისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გა-საჩივრდა სისი დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 10 ნოემბრის განჩინებით სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 4 მაისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ თბილისის საქალაქო სა-სამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 8 აპრი-

ლის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების (საქმე №3/5414-18) თანახმად, რ. ქ-ას, ე. შ-ის, ბ. ქ-ას, ა. ქ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა ნა-ნილობრივ, სადაც ვო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობი-ლი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრო-მის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს 2018 წლის 9 ოქტომბრის №01-1247/ო ბრძანება და დაევალა მოპასუხე საქართვე-ლოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთე-ლობის და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსა-ხურების სააგენტოს, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებე-ბის გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი სადაც ვო საკითხთან დაკავშირებით. თბილისის საქალაქო სასამარ-თლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგის 2019 წლის 8 აპრილის გა-დაწყვეტილება უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამარ-თლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 19 სექტემბრის განჩინებით (№3ბ/1512- 19) და საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 29 აპრილის განჩინე-ბით (საქმე №ბს-96(კ-20)). საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიე-ბიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის 2021 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილების (ოქმი №19) თანახმად, მოსარჩელებს საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვათ ქ. თბილის-ში ...ის ქ. №5-ში მდებარე ნგრევად ობიექტ „... სკოლაში“ ფაქტობრივად არცხოვრების გამო. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინის-ტროს სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო ზყაროებით უზ-რუნველყოფის სააგენტოს 2021 წლის 23 აპრილის №03-1552/ო ბრძა-ნებით, დევნილთა საკითხების შესტავლელი კომისიის 2021 წლის 2 აპ-რილის გადაწყვეტილების საფუძველზე (ოქმი №19), რ. ქ-ას ოჯახს, ნგრევად ობიექტში (ქ. თბილისი, „... სკოლა“) ფაქტობრივად არცხოვრე-ბის გამო, უარი ეთქვა ქ. თბილისში გრძელვადიანი საცხოვრებელი ფარ-თით უზრუნველყოფაზე.

სასამართლომ მიუთითა „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორი-ებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ სა-ქართველოს კანონის მე-4 მუხლის „გ“, „ლ“, „ნ“, „ო“ ქვეპუნქტებზე, მე-6 მუხლის პირველ პუნქტზე, მე-13 მუხლის პირველ, მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებზე, მე-14 მუხლის პირველ, მე-3, მე-6 პუნქტებზე, მე-19 მუხ-ლის პირველ და მე-2 პუნქტებზე, მე-20 მუხლზე, საქართველოს ოკუ-პირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, გან-სახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320

ბრძანებით დამტკიცებული დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის პირველი მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებზე, მე-3 მუხლის პირველ, მე-2 და მე-10 პუნქტებზე, დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის დებულების პირველი მუხლის პირველ პუნქტზე, მე-5 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებზე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 8 აპრილის №01-30/6 ბრძანებით დამტკიცებული დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის პირველი მუხლის პირველ პუნქტზე, მე-2 მუხლის „ვ“ და „ი“ ქვეპუნქტებზე, მე-6 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტებზე, დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის დებულების პირველი მუხლის პირველ პუნქტზე, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტზე, მე-4 მუხლის მე-5 პუნქტზე, მე-5 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებზე, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 31 იქტიმბრის №01-109/6 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტზე და დადასტურებულად მიიჩნია, რომ მოსარჩელები რ. ქ-ა (დაბ. ... ნ.), ე. შ-ი (დაბ. ... ნ.), ბ. ქ-ა (დაბ. ... ნ.) და ა. ქ-ა (დაბ. ... ნ.) არიან იძულებით გადაადგილებული პირები – დევნილები (დევნილი ოჯახი). მათი ოჯახის დროებითი საცხოვრებელია დაგილი/რეგისტრაციის ადგილია: თბილისი, დიდუბე, ...ის ქ. №5, ობიექტი: „... სკოლა“. რ. ქ-ას, ბ. ქ-ასა და ა. ქ-ას მუდმივი საცხოვრებელი ადგილი იძულებით გადაადგილებამდე არის აფხაზეთი, გალი, ს. .... სადაც არაა, რომ ქ. თბილისი, დიდუბე, ...ის ქ. №5-ში მდებარე ობიექტის – „... სკოლის“ ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია, არის ნგრევადი იბიექტი და განხორციელდა იქ მცხოვრები დევნილი ოჯახების კრიტერიუმების გარეშე გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა. ამავდროულად, მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ არ მოახდინა მოსარჩელე დევნილი ოჯახის (მათ შორის, არასრულწლოვანი ბავშვის) კრიტერიუმების გარეშე გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა, მათი ნგრევად იბიექტში ფაქტობრივად არცხოვების გამო. სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2021 წლის 23 აპრილის №03-1552/მ ბრძანება მიღებულია კანონიერ ძალაში შესული თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით. ამასთან, სადაც აქტის გამოცემისას მოპასუხე ად-

მინისტრაციული ორგანოს მიერ არ იქნა გათვალისწინებული სასამართლოს მითითებები მოსარჩევე დევნილი ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის საკითხთან დაკავშირებით, კერძოდ, „სადაც საკითხზე მიღებული გასაჩივრებული აქტი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არ იქნა გამოცემული საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემობის სათანადოდ გამოკვლევის შემდეგ, რაც ადასტურებდა გასაჩივრებულ აქტთან მიმართებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენების და ადმინისტრაციული ორგანოსათვის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების საჭიროებას. ადმინისტრაციულმა ორგანომ ასევე არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს, მათ შორის მოსარჩევებს გააჩნიათ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლის, საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევისა და საქართველოდან თავისუფლად გასვლა/შემოსვლის უფლება (მათ შორის, ახლობლის გარდაცვალების, ახლობლების მონახულების, მკურნალობისა და სხვადასხვა გარემოების გამო). ამდენად, მხოლოდ იმ გარემოებით, რომ მოსარჩევე დევნილი ოჯახის მონიტორინგის განხორციელებისას არ იმყოფებოდა საცხოვრებელ ადგილზე, შეუძლებელია დადასტურდეს მოსარჩევე დევნილი ოჯახის ნგრევად ობიექტში არცხოვრების ფაქტი. პალატის მოსაზრებით, შესაძლოა ნგრევად ობიექტში მცხოვრებ პირს საკუთარი სიცოცხლის, ჯანმრთელობის დაცვის ან/და სხვა მიზეზით, დროის რაღაც მონაცევითის განმავლობაში მოუწიოს ფაქტობრივი (რეგისტრაციის) საცხოვრებლის დატოვება (ახლობლების მონახულების, სამსახური, სწავლა, მკურნალობა, ნათესავთან ან დაქირავებულ საცხოვრებელში გადასვლა და სხვ.), თუმცა, აღნიშნული არ გულისხმობს იმას, რომ ასეთ შემთხვევაში პირმა მიატოვა განსახლების ობიექტი, აღარ ნარმოადგენს ნგრევადი ობიექტის მაცხოვრებელს და არ უნდა იქნეს უზრუნველყოფილი გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით, მითუმეტეს, იმ პირობებში, როდესაც არ გააჩნია სხვა ალტერნატიული საცხოვრისი.

ბავშვის უფლებათა კოდექსის მე-3 მუხლის „თ“ ქვეპუნქტზე, მე-5 მუხლის პირველ, მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 და მე-7 ნაწილებზე მითითებით სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესებისთვის უპირატესობის მინიჭება (მათი უპირატესი გათვალისწინება) სავალდებულოა საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოების, საჯარო დაწესებულების, ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ ბავშვთან დაკავში-

რებული ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას ან/და ქმედების განხორციელებისას, რაც ზემოაღნიშნული, სადავოდ ქცეული გადაწყვეტილების გამოცემისას, ადმინისტრაციული ორგანოს მიერარიქნა გათვალისწინებული.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, წინამდებარე საქმის მასალებით არ დასტურდება, ხოლო აპელანტის მიერ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლისა და სსკ-ის 102.3 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, ვერც სააპელაციო ინსტანციაში საქმის განხილვისას ვერ იქნა წარმომდგენილი რაიმე მტკიცება, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ მოსარჩელები ფაქტობრივად არ ცხოვრობდნენ ნგრევად ობიექტში მდებარე: ქ. თბილისი, დიდუბე, ა. ....ის ქ. №5, .... სკოლა“ და გააჩნიათ სხვა ალტერნატიული საცხოვრისი.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-თა პალატის 2022 წლის 10 ნოემბრის განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრდა სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს მიერ.

კასატორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად და-ადგინა ფაქტობრივი გარემოებები, მათ შორის, ...ის ქუჩაზე მდებარე „... სკოლის“ ნგრევადობასთან დაკავშირებით. აღნიშნული შენობა არის სახელმწიფო მნიშვნელობის მქონე ობიექტი და არა ნგრევადი ობიექტი. სააგენტოს 2021 წლის 23 აპრილის №03-1552/ო ბრძანებაში 2021 წლის 23 ივლისის №03-3242/ო ბრძანებით შევიდა ცვლილება და ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის 2021 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილების საფუძველზე (ოქმი №19), რ. ქ-ას (პ/6 ...) ოჯახს, სახელმწიფო მნიშვნელობის ობიექტში (ქ. თბილისი, „... სკოლა“) ფაქტობრივად არცხოვრების გამო, უარი ეთქვას ქ. თბილისში, გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფაზე.

კასატორის განმარტებით, დევნილთა საკითხების შემსწავლელმა კომისიამ 2021 წლის 2 აპრილის კომისიის სხდომაზე (ოქმი №19) განიხილა რ. ქ-ას ოჯახის საცხოვრებლით უზრუნველყოფის საკითხი. სასამართლოს მიერ 2020 წლის 29 აპრილის №ბს-96(ქ-20) საქმეზე მიღებული და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე სააგენტოს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დევნილი რ. ქ-ას ოჯახის საცხოვრებლით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. მოსარჩელის ოჯახის მოკვლევის მიზნით მისამართზე: ქ. თბილისი, ...ის ქ. №5 („... სკოლა“) განხორციელდა მონიტორინგი 2020 წლის 3 ივლისს. ადგილზე მისულ მონიტორინგის სამმართველოს თანამშრომლებს რ. ქ-

ას ოჯახი მითითებულ მისამართზე არ დახვდა. ადგილზე იმყოფებოდა მხოლოდ მოსარჩელის დედა, მამიდა და ძმა. სატელეფონო საუბრის შემდეგ მისამართზე მივიდა რ. ქ-ა. იმავე დღეს დამატებითი მონიტორინგი განხორციელდა მისამართზე: ქ. თბილისი,...ს ქუჩა №32, ბინა №3. აღნიშნულ მისამართზე იმყოფებოდა რ. ქ-ას სიდედრი – მ. ყ-ა და ე. შ-ი, რომელმაც მონიტორინგის სამსახურის მისვლისთანავე დატოვა პინა. უძრავი ქონება არის მ. ყ-ას საკუთრება (ფართი 108 კვ.მ). მ. ყ-ა განმარტავს, რომ 108 კვ.მ ფართში ცხოვრობს მარტო და ზოგჯერ მიღიან მასთან შვილი და შვილიშვილები. მის შვილს ოჯახთან ერთად დაკავებული აქვს ფართი ...ის ქუჩაზე, ... სკოლაში. იმავე შენობის პირველ სართულზე რ. ქ-ას დედას, მამიდას და ძმას დაკავებული პქონდა ფართი. აღნიშნული ოჯახი სააგენტოს მიერ და კმაყოფილებულია საცხოვრებელი ფართით ...ში, მისამართზე: ქ. თბილისი,...ს ქ. №22 (ფართი 53 კვ.მ) 2019 წლის 5 ივნისის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე. ადგილზე დათვალიერების და გასაუბრების ოქმით ირკვევა, რომ რ. ქ-ას ძმა დედასთან და მამიდასთან ერთად დაკამაყოფილების მიუხედავად, ისევ იქ იმყოფება იმ მოტივით, რომ ...ში ჯერ რემონტი არ გაუკეთებიათ. მ. ყ-ას საკუთრებაში გადაღებულ ფოტომასალაზე დაფიქსირებულია თბილისში, ...ს ქ. №32-ში მდებარე საცხოვრებელი ბინის ამსახველი ფრაგმენტები, საიდანაც ცალსახად ირკვევა, რომ აღნიშნულ ბინაში მ. ყ-ასთან ერთად ცხოვრობს მისი შვილის – ე. შ-ის ოჯახი. იგივე სიტუაცია იყო 2018 წელსაც, მაშინ როდესაც „... სკოლიდან“ სახელმწიფო ახორციელებდა აღნიშნულ ობიექტში ფაქტობრივი მაცხოვრებლების დაკავყილებას.

2017 წლის 22 თებერვალს შევსებული აღნერის ფორმის მიხედვით, დადგინდა, რომ იმუამად საცხოვრებელი ფართი, მდებარე ქ. თბილისი, ...ის ქ. №5, ბინა №5 (ძველად №20) არის გაქირავებული და ცხოვრობს ახალგაზრდა ცოლ-ქმარი, ერთ შვილთან ერთად. ადგილზე სტუმრად იმყოფებოდა ბ. ქ-ა, რ. ქ-ას შვილი. მისი განმარტებით, მისი მშობლები და და ცხოვრობენ ...ს ქ. №32-ში, ახლადაშენებულ კორპუსში, რომელიც არის 108 კვ.მ-და ეკუთვნის მ. ყ-ას. საკითხის სრულყოფილდ მოკვლევის მიზნით, განხორციელდა ვიზიტი ...ს ქ. №32, ბ. №3-ში, სადაც ადგილზე იმყოფებოდა ოჯახის უფროსი, რ. ქ-ა და მისი მეუღლე – ე. შ-ი. მათი განმარტებით, აღნიშნული საცხოვრებელი ბინა ეკუთვნის რ.-ს სიდედრს – მ. ყ-ას, რომელიც ცხოვრობს ამავე ბინაში. განმცხადებლის (ოჯახის უფროსის) განმარტებით, მისი მეუღლე – ე. შ-ი არის დედი-სერთა. რ. ქ-ას სიმარტი გარდაიცვალა 2017 წელს. ამ ბინაში გადმოსვლის ერთ-ერთი მიზეზი იყო სიმარტის ავადმყოფობა, ვინაიდან სხვა მომვლელი არ ჰყავდა. ამდენად, მოკვლევის შედეგად წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, მოსარჩელეთა ოჯახი მისამართზე: ქ. თბილი-

სი,...ის ქ. №5, მუდმივ მაცხოვრებლად არ დაფიქსირდა. შესაბამისად, დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის 2018 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილებით (ოქმი №21) რ. ქ-ას, ე. შ-ის, ბ. ქ-ას და ა. ქ-ას უარი ეთქვათ მიმდინარე ეტაპის ფარგლებში საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე. მონიტორინგის სამსახურის მიერ მოკვლეული მასალები გადაეცა დევნილთა საკითხების შემსწავლელ კომისიას განსახილველად. კომისიამ 2021 წლის 2 აპრილს (ოქმი №19) იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და გადაწყვიტა, არ დაეკმაყოფილებინა მოსარჩელე საცხოვრებელი ფართით ქ. თბილისში,...ის ქ. №5-ში მდებარეობიექტში („... სკოლა“) ფაქტობრივად არცხოვრების გამო.

კასატორი აღნიშნავს, რომ მოსარჩელის ოჯახი 25 კვ.მ ფართში, რომელიც ძალიან მცირეა, ვერ იცხოვრობს. აღნიშნულს ადასტურებდა ოჯახი 2017 წლისაც, რაც დაფიქსირებულია ასევე 2019 წლის 8 აპრილის თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში და იგივე შინაარსი ფიქსირდება ასევე სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში, სადაც მოსარჩელის ოჯახი ახსნა-განმარტების დროს აღნიშნავს, რომ ...ის ქუჩაზე დაკავებულ ფართში ისნი არათუ 2020 წლიდან, არამედ 2016 წლიდან ფაქტობრივად არცხოვრობენ ფართის სიმცირისა და სივიწროვის გამო და ოჯახი გადასულია მ. ყ-ას საკუთრებაში 108 კვ.მ ფართში. შესაბამისად, ადმინისტრაციულმა ორგანომ საქმის სრულყოფილად მოკვლევის შედეგად მიიღო გადაწყვეტილება.

კასატორის მოსაზრებით, იმისათვის, რომ მოხდეს სახელმწიფო მნიშვნელობის მქონე ობიექტში მცხოვრები დევნილი ოჯახის კრიტერიუმების გარეშე განსახლება, საჭიროა, რომ ის რეალურად ცხოვრობდეს ამ ობიექტში. განხორციელებული მონიტორინგის შედეგად მოსარჩელის დევნილ ოჯახთან მიმართებითაც მოხდა საკითხის შესწავლა და გამოირკვა, რომ მხოლოდ ფორმალურად იყვნენ რეგისტრირებულები აღნიშნულ მისამართზე და რეალურად იქ არ ცხოვრობდნენ. იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელებს რეგისტრაციის ადგილი ფაქტობრივად შეცვლილი აქვთ ერთ თვეზე მეტი პერიოდის განმავლობაში და ამის თაობაზე არ უცნობებიათ სააგენტოსთვის, მათი მხრიდან დარღვეულია კანონით დაკისრებული ვალდებულება.

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 2 მარტის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს საკასაციო საჩივარი.

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-

მეთა პალატის 2023 წლის 7 ივნისის განჩინებით, სსიპ დევნილთა, ეკო-მიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს სა-კასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა განი-საზღვრა მხარეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, გასაჩივრე-ბული განჩინების, კანონიერებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლია-ნობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ დევნილთა, ეკომიგ-რანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს საკა-საციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარ-ჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 10 ნოემბრის განჩინება შემდეგ გარემოებათა გა-მო:

საქმეზე დადგენილია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ა) იძუ-ლებით გადაადგილებული პირის – დევნილის ანკეტის თანახმად, რ. ქ-ას (სარეგისტრაციო №...) დაბადების ადგილია გალი. მუდმივ საცხოვ-რებელ ადგილს იძულებით გადაადგილებამდე წარმოადგენდა აფხაზე-თი, გალი, ...ის ქ. №37. დროებითი და ფაქტობრივი საცხოვრებელია ქ. თბილისი, დიდუბე, ...ის ქ. №5 (ობიექტის დასახელება – ... სკოლა). იძუ-ლებით გადაადგილებული პირის – დევნილის ანკეტის თანახმად, ბ. ქ-ას (სარეგისტრაციო №...) დაბადების ადგილია თბილისი. მუდმივ საც-ხოვრებელ ადგილს იძულებით გადაადგილებამდე წარმოადგენდა აფ-ხაზეთი, გალი, ...ის ქ. №37. დროებითი და ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილია ქ. თბილისი, დიდუბე, ...ის ქ. №5 (ობიექტის დასახელება – ... სკოლა). იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის ანკეტის თა-ნახმად, ა. ქ-ას (სარეგისტრაციო №...) დაბადების ადგილია თბილისი. მუდმივი საცხოვრებელი იძულებით გადაადგილებამდე: აფხაზეთი, გა-ლი, ...ის ქ. №37. დროებით და ფაქტობრივ საცხოვრებელ ადგილს წარ-მოადგენს ქ. თბილისი, დიდუბე, ...ის ქ. №5 (ობიექტის დასახელება – ... სკოლა). იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის ანკეტის თა-ნახმად, ქ. შ-ის (სარეგისტრაციო №...) დაბადების ადგილია გალი. მუდ-მივ საცხოვრებელ ადგილს იძულებით გადაადგილებამდე წარმოადგენ-და აფხაზეთი, გალი, ს. .... დროებითი და ფაქტობრივი საცხოვრებელია ქ. თბილისი, დიდუბე, ...ის ქ. №5 (ობიექტის დასახელება – ... სკოლა); ბ) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2018 წლის 9 ოქტომბრის №01-1247/ობრძანებით რ. ქ-ას ოჯახს ქ. თბილისში, ახა-ლაშენებულ კორპუსებში, გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზ-რუნველყოფაზე ეთქვა უარი. თბილისის საქალაქო სასამართლოს ად-

მინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 8 აპრილის №3/5414-18 გადაწყვეტილებით, რ. ქ-ას, ე. შ-ის, ბ. ქ-ას, ა. ქ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა ნანილობრივ; სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2018 წლის 9 ოქტომბრის №01-1247/ო ბრძანება და დაევალა მოპასუხე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი სადავო საკითხთან დაკავშირებით. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 19 სექტემბრის №3პ/1512-19 განჩინებით ძალაში დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 8 აპრილის №3/5414-18 გადაწყვეტილება; გ) 2020 წლის 3 ივლისს შედგენილ იქნა დათვალიერების, ადგილზე გამოცხადების, გასაუბრების ოქმი ქ. თბილისში, ...ის №5-ში მდებარე „...ის“ შენობაში, სადაც მონიტორინგის ჯგუფი გამოცხადდა რ. ქ-ას ოჯახის მონიტორინგის მიზნით. ადგილზე არავინ დახვდათ. იმავე შენობაში ბინა №10-ში მცხოვრებმა რ. ქ-ას დედამ განაცხადა, რომ გასულები იყვნენ, სად ზუსტად არ იცოდა. დაახლოებით 15 წუთში ადგილზე გამოცხადდა რ. ქ-ა, მასთან საუბრისას 5 წუთში მისი მეუღლე ე. შ-იც მივიდა. მათ განაცხადეს, რომ იყვნენ პარკში. 2020 წლის 3 ივლისს დათვალიერების, ადგილზე გამოცხადების, გასაუბრების ოქმის თანახმად, მონიტორინგის ჯგუფი დამატებითი მოკვლევის მიზნით იმყოფებოდა ქ. თბილისში, ...ს №32, ბინა №3-ში. ადგილზე დახვდათ მ. ყ-ა, რომელმაც განაცხადა, რომ ცხოვრობს მის საკუთრებაში მარტო. პერიოდულად სტუმრობენ შვილს, სიძედა შვილიშვილები, რომლებსაც დაკავებული აქვთ ფართი ...ის №5-ში; დ) 2018 წლის 29 ივნისს მომზადებული საჯარო რეესტრის ამონანერის თანახმად, ქ. თბილისში, ...ს ქუჩა №32-ში მდებარე უძრავ ქონებაზე (ს/კ ...) რეგისტრირებულია მ. ყ-ას საკუთრების უფლება; ე) სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2021 წლის 23 აპრილის №03-1552/ო ბრძანებით დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის 2021 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილების საფუძველზე (ოქმი №19) რ. ქ-ას (3/6 ...) ოჯახს ნგრევად ობიექტში (ქ. თბილისი, „... სკოლა“) ფაქტობრივად არცხოვრების გამო უარი ეთქვა ქ. თბილისში გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფაზე; ვ) სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2021 წლის 23 ივლისის №03-3242/ო ბრძანებით ცვლილება შევიდა 2021 წლის

23 აპრილის №03-1552/ო ბრძანებაში და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის 2021 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილების საფუძველზე (ოქმი № 19) რ. ქ-ას (3/ნ ...) ოჯახს სახელმწიფო მნიშვნელობის ობიექტში (ქ. თბილისი, „... სკოლა“) ფაქტობრივად არცხოვრების გამოუარი ეთქვას ქ. თბილისში გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფაზე; ზ) საანოტარო წესით დამონიშვნული ხელნერილით გ. ტ-ა, ნ. ბ-ა, ბ. კ-ა და ი. ჯ-ა ადასტურებენ რომ რ. ქ-ა, ე. შ-ი, ბ. ქ-ა და ა. ქ-ა 1998 წლიდან ცხოვრობენ ქ. თბილისში ...ის ქ. №5-ში ყოფილ „... სკოლაში“, დევნილთა ჩასახლებაში; თ) საქმეში წარმოდგენილია ქ. თბილისში, ...ის №5-ში „... სკოლის“ შენობა, ბინა №20-ში, აბონენტი ქ-ას ოჯახის მიერ 2020 წლის ივლისიდან 2021 წლის ივლისის ჩათვლით მოხმარებული ელექტროენერგიის ამსახველი ინფორმაცია.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულაზე, რომლის თანახმადაც, საქართველოს მოქალაქეთა ურყევი ნებაა სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს დამკაიდრება. საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლი განამტკიცებს სოციალური სახელმწიფოს პრინციპს. ზემოაღნიშნული მუხლის პირველი, მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, საქართველო არის სოციალური სახელმწიფო. საქართველო ზრუნავს საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობის, სოციალური თანასწორობისა და სოციალური სოლიდარობის პრინციპების განმტკიცებაზე. სახელმწიფო ზრუნავს ადამიანის ჯანმრთელობისა და სოციალურ დაცვაზე, საარსებო მინიმუმითა და ლირსეული საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე, ოჯახის კეთილდღეობის დაცვაზე.

ევროპის სოციალური ქარტიის 31-ე მუხლის თანახმად, საცხოვრებელ ადგილზე უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულებას იღებენ მიიღონ ზომები, რომლებიც მიზნად ისახავს საცხოვრებელი ადგილის ადეკვატური სტანდარტის ხელმისაწვდომობის ხელშეწყობას, უსახლკარობის თავიდან აცილებასა და შემცირებას თანდათან მისი აღმოფხვრის მიზნით. „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას, პქონდეს სათანადო კვება, ტანსაცმელი და ბინა, აგრეთვე უფლებას განუწყვეტლივ იუმჯობესებდეს ცხოვრების პირობებს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომელიც განსაზღვრავს დევნილის სამართლებრივ სტატუსს, პირისათვის დევნილის სტატუსის მინიჭების,

შეწყვეტის, ჩამორთმევისა და აღდგენის საფუძვლებსა და წესს, დეპნილის სამართლებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ გარანტიებს, მის უფლებებსა და მოვალეობებს. დევნილთა ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სოციალურ გარანტიას ქმნის დევნილის უფლება გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე, რაც დასახელებული კანონის მე-4 მუხლის „ო“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გულისხმობს დევნილის სტატუსიდან გამომდინარე, დევნილი ოჯახის განსახლების მიზნით მისთვის სახელმწიფო ორგანოების, მუნიციპალიტეტების, საერთაშორისო, დონორი ან ადგილობრივი ორგანიზაციების, ფიზიკური ან კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ საცხოვრებელი ფართობის საკუთრებაში გადაცემას ან სანაცვლოდ მისი სათანადო ფულადი ან სხვა სახის დახმარებით უზრუნველყოფას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სახელმწიფოს მიერ დეკალირებული მთავარი მიზანი დევნილებთან მიმართებით მათი სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაა. სახელმწიფოს განსაკუთრებული ვალდებულებები აკისრია დევნილთა მიმართ. მნიშვნელოვანია შეიქმნას მათი ნებაყოფლობითი და ღირსეული განსახლებისათვის აუცილებელი პირობები. დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირმა გადაწყვეტილება მხოლოდ გარემოებათა სრულყოფილი გამოკვლევისა და შეფასების შედეგად უნდა მიიღოს. დევნილი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფის უფლების რეალიზაცია, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია დევნილის სტატუსის ქონასთან. რაც შეეხება უშუალოდ მის უზრუნველყოფას, სახელმწიფომ დევნილ ოჯახს შესაძლოა, შესთავაზოს სხვადასხვა ალტერნატივა, მათ შორის, გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა.

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადა-ადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, იძულებით გადაადგილებულ პირად – დევნილად ითვლება საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი იმ მიზეზით, რომ უცხო ქვეყნის მიერ ტერიტორიის ოკუპაციის, აგრესიის, შეიარაღებული კონფლიქტის, საყოველთაო ძალადობის ან/და ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო საფრთხე შეექმნა მის ან მისი ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას ან/და ზემოაღნიშული მიზეზის გათვალისწინებით შეუძლებელია მისი მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნება. იმავე კანონის მე-13 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების მიხედვით, იძულებითი გადაადგილებისას უსახ-

ლკაროდ დარჩენილ დევნილს სამინისტრო სხვა შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან ერთად უზრუნველყოფს სათანადო საცხოვრებლით. სამინისტრო საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს დევნილისათვის ამ კანონით განსაზღვრული უფლებების განხორციელებას, იღებს ზომებს მისი უსაფრთხო და ღირსეული ცხოვრებისათვის აუცილებელი სოციალურ-ეკონომიკური პირობების შესაქმნელად.

მოცემულ შემთხვევაში მთავარ სადავო საკითხს წარმოადგენს მოსარჩელეთა დევნილი ოჯახისათვის სახელმწიფო მნიშვნელობის ობიექტში ფაქტობრივად არცხოვრების გამოქ. თბილისში გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფაზე უარის თქმის კანონიერება.

საკასასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ დევნილთა განსახლების საკითხის გადაწყვეტის კონკრეტულ პროცედურასა და წესს ადგენდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანებით დამტკიცებული „დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესი“ (ძალადაკარგულია „დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 8 აპრილის №01-30/6 ბრძანებით). აღნიშნული წესის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, გრძელვადიანი საცხოვრებელ ფართით უზრუნველყოფის მიზნით, ამ წესის მე-3-მე-5 მუხლებით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღებისას, კრიტერიუმების საფუძველზე, განისაზღვრება დევნილი ოჯახების საჭიროებების პრიორიტეტულობა. კრიტერიუმების გათვალისწინების პროცესის გამარტივების მიზნით, თითოეული კრიტერიუმი ტოლია გარკვეული რაოდენობის ქულისა, რომლებიც დევნილი ოჯახის საჭიროების შეფასებისას დაჯამდება. ქულები მითითებულია კრიტერიუმების პრიორიტეტულობის საჩვენებლად. დევნილ ოჯახს, რომელიც მეტ ქულას დააგროვებს, ენიჭება პრიორიტეტი. მითითებული მუხლის მე-10 პუნქტი ითვალისწინებდა სააგენტოს უფლებამოსილებას დევნილი ოჯახის კრიტერიუმების გარეშე განსახლებასთან დაკავშირებით, კერძოდ, ამ წესის მე-3-მე-6 მუხლებით გათვალისწინებული პროცედურების განხორციელებისას, კომისია უფლებამოსილია პრიორიტეტი მიანიჭოს და ამ მუხლის მე-5 პუნქტში მოცემული კრიტერიუმების გარეშე განახორციელოს: ა) იმ დევნილი ოჯახების გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა, რომლებიც ცხოვრობენ სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის შემცველ ნგრევად და/ან საცხოვრებლად უვარგის მართლზომიერ მფლობელო-

ბაში გადაცემულ საცხოვრებელ ფართობში (ყოფილ დევნილთა კომ-პაქტურად განსახლების ობიექტში). ამგვარი ობიექტების მდგომარეო-ბა უნდა დასტურდებოდეს სააგენტოს ან კონკრეტული კომპაქტურად განსახლების ობიექტში მაცხოვრებელი დევნილი ოჯახების დაკვეთით მომზადებული შესაბამისი საექსპერტო დასკვნით; ბ) კონკრეტული დევნილი ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველ-ყოფა სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე; გ) იმ მართლზო-მიერ მფლობელობაში გადაცემულ საცხოვრებელ ფართობში (ყოფილ დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტში) მაცხოვრებელი დევ-ნილი ოჯახების გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველ-ყოფა, რომელი შენობებიც გადაუდებელი სახელმწიფო ინტერესის შემ-ცველი ობიექტებია, რაც ერთმნიშვნელოვნად და საჯაროდ უნდა იყოს გამოხატული წერილობით შესაბამისი სახელმწიფო უწყების მიერ; დ) იმ დევნილი ოჯახების გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნ-ველყოფა, რომლებიც ცხოვრობენ სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ან მათ ბალანსზე რიცხულ საცხოვრებელ ფართით და ამ ფართის გამოთავისუფლების მოთხოვნით სააგენტოში შემოსულია შესაბამისი მომართვა; ე) იმ დევნილი ოჯახების გრძელვადიანი საც-ხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა, რომელთა მიმართაც, ამ წესის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“ და „ვ“ ქვეპუნქტების შესაბამი-სად, სააგენტო ახორციელებს დროებითი განსახლების ღონისძიებებს.

ანალოგიურ დანაწესს ითვალისწინებს დღეის მდგომარეობით მოქ-მედი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრო-მის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 8 აპრილის №01-30/6 ბრძანებით დამტკიცებული „დევნილთა საცხოვ-რებლით უზრუნველყოფის წესი“, კერძოდ, წესის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, გრძელვადიანი საცხოვრებელ ფართით უზრუნველ-ყოფის მიზნით, ამ წესის მე-3-მე-4 მუხლებით გათვალისწინებული გა-დაწყვეტილების მიღებისას, კრიტიკულმების საფუძველზე, განისაზ-ლვრება დევნილი ოჯახების საჭიროებების პრიორიტეტულობა. კრიტე-რიუმების გათვალისწინების პროცესის გამარტივების მიზნით, თითო-ეული კრიტერიუმი ტოლია გარკვეული რაოდენობის ქულისა, რომლე-ბიც დევნილი ოჯახის საჭიროების შეფასებისას დაჯამდება. ქულები მითითებულია კრიტერიუმების პრიორიტეტულობის საჩვენებლად. დევნილ ოჯახს, რომელიც მეტ ქულას დააგროვებს, ენიჭება პრიორი-ტეტი. ამავე მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად კი ამ წესის მე-3-მე-6 მუხლებით გათვალისწინებული პროცედურების განხორციელებისას, კომისია უფლებამოსილია პრიორიტეტი მიანიჭოს და ამ მუხლის მე-5 პუნქტში მოცემული კრიტერიუმების გარეშე განახორციელოს: ა) იმ დევნილი ოჯახების გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნ-

ველყოფა, რომლებიც ცხოვრობენ სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის შემცველ ნგრევად და/ან საცხოვრებლად უვარების მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემულ საცხოვრებელ ფართობში (ყოფილ დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტში). ამგვარი ობიექტების მდგომარეობა უნდა დასტურდებოდეს სააგენტოს ან კონკრეტული კომპაქტურად განსახლების ობიექტში მაცხოვრებელი დევნილი ოჯახების დაკვეთით მომზადებული შესაბამისი საექსპერტო დასკვნით; ბ) კონკრეტული დევნილი ოჯახის გრძელვა-დიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე; გ) იმ მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემულ საცხოვრებელ ფართობში (ყოფილ დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტში) მაცხოვრებელი დევნილი ოჯახების გრძელვა-დიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა, რომელი შენობებიც გადაუდებელი სახელმწიფო ინტერესის შემცველი ობიექტებია, რაც ერთმნიშვნელოვნად და საჯაროდ უნდა იყოს გამოხატული წერილობით შესაბამისი სახელმწიფო უწყების მიერ; დ) იმ დევნილი ოჯახების გრძელვა-დიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა, რომლებიც ცხოვრობენ სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ან მათ ბალანსზე რიცხულ საცხოვრებელ ფართობში და ამ ფართის გამოთავისუფლების მოთხოვნით სააგენტოში შემოსულია შესაბამისი მომართვა; ე) იმ დევნილი ოჯახების გრძელვა-დიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა, რომელთა მიმართაც, ამ წესის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“ და „ვ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, სააგენტო ახორციელებს დროებითი განსახლების ღონისძიებებს.

მოცემულ შემთხვევაში სადავო არ არის ის გარემოება, რომ ქ. თბილისში მდებარე „.... სკოლა“ წარმოადგენს სახელმწიფო მნიშვნელობის ობიექტს და კანონმდებლობა ითვალისწინებს აღნიშნულ ობიექტში მცხოვრები დევნილი ოჯახების კრიტერიუმების გარეშე გრძელვა-დანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის შესაძლებლობას. როგორც ზემოთ აღინიშნა, მოსარჩელეთა თვის გრძელვა-დიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფაზე უარის თქმას საფუძვლად დაედო ადმინისტრაციული ორგანოს მოსაზრება მოსარჩელეთა აღნიშნულ ობიექტში ფაქტობრივად არცხოვრებასთან დაკავშირებით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებები, რომელზეც ამყარებს თავის მოთხოვნასა და შესაგებელს. საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად, უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-20 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ფიზიკური პირის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა ადგილი, რომელსაც იგიჩივეულებრივ საცხოვრებლად ირჩევს. პირს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი.

ზემოაღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, პირს აქვს საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევის შესაძლებლობა. „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, დევნილის ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილია დევნილის მიერ დევნილობის პერიოდში არჩეული საცხოვრებელი ადგილი, სადაც იგი რეგისტრაციის გარეშე ფაქტობრივად ცხოვრობს. ამავე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დევნილის რეგისტრაციის ადგილია – სამინისტროში არსებულ დევნილთა მონაცემთა ბაზაში აღნიშნული დევნილის საცხოვრებელი ადგილი, სადაც იგი დევნილობის პერიოდში დარეგისტრირდა, მიუხედავად ამ ადგილის საკუთრების ფორმისა.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, მხოლოდ ის გარემოება, რომ მოსარჩევები კონკრეტული მონიტორინგის დროს არ იმყოფებოდნენ საცხოვრებელ ადგილზე, არ წარმოადგენს აღნიშნულ ობიექტში მათი არცხოვრების შესახებ დასკვნის გაკეთებისა და მათი გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე უარის თქმის საკმარის საფუძვლელს. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ 2020 წლის 3 ივლისს განხორციელებული მონიტორინგის დროს დაახლოებით 15 წუთში ადგილზე გამოცხადდა რ. ქ-ა და მისი მეუღლე ე. შ-ი. ამასთან, ქ. თბილისში, ...ს №32, პინა №3-ის მესაკუთრე მ. ყ-ას განმარტებით ცხოვრობს მის საკუთრებაში მარტი. პერიოდულად სტუმრობენ შვილი, სიძე და შვილიშვილები, რომლებსაც დაკავებული აქვთ ...ის №5-ში ფართი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, დაუშვებელია, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება სადაც მისამართზე მოსარჩელეთა ფაქტობრივად არცხოვრების ფაქტი. საქმის მასალებით, კერძოდ, დათვალიერების, ადგილზე გამოცხადების, გასაუბრების ოქმებით, იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის ანკეტებით, ასევე აბონენ-

ტის ბრუნვის ისტორიითა და სანოტარო წესით დამონტებული ახსნა-განმარტებით პალატა დადასტურებულად მიიჩნევს, რომ მოსარჩელე-ებირ. ქ-ა, ე. შ-ი, ბ. ქ-ა და ა. ქ-ა ცხოვრობენ თბილისში, ...ის ქ. №5-ში („...სკოლა“). ამდენად, მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო კანონით დადგენილი წესით მიეღო გადაწყვეტილება მოსარჩელე-თა ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფასთან და-კავშირებით. შესაბამისად, სახეზეა სადაცო ინდივიდუალური ადმინის-ტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისა და მოპასუხისათ-ვის, მოსარჩელეთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნ-ველყოფის თაობაზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-თლებრივი აქტის გამოცემის დავალების საფუძველი.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩი-ვარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს თბილი-სის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 10 ნოემბრის განჩინება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინის-ტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სა-ქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნ-ველყოფის სააგენტოს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმი-ნისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 10 ნოემბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდე-ბა.

# დეპილირაციას გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის საფუძველი

## გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-528(23-23)

25 ოქტომბერი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: თ. ოქროპირიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ქ. ცინცაძე,  
გ. მაკარიძე

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრი-  
ვი აქტის ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-  
სამართლებრივი აქტის გამოცემის დაგალება

### აღნერილობითი ნაწილი:

ჯ. ა-ამ 2021 წლის 13 მაისს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო  
სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე სსიპ  
დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის  
სააგენტოს მიმართ და მოითხოვა: „დევნილი ოჯახის გრძელვადიანი  
საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე უარის თქმის თაობაზე“ სსიპ დევ-  
ნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სა-  
აგენტოს დირექტორის 2021 წლის 22 აპრილის №03-1302/ო ბრძანების  
ბათილად ცნობა; მოსარჩელის და მისი ოჯახის (განაცხადით გათვალის-  
წინებული პირების) გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით დაკამაყო-  
ფილების თაობაზე მოპასუხე სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და სა-  
არსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოსთვის ახალი ინდივი-  
დუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დაგა-  
ლება.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ იგი არის აფხაზეთიდან იძულებით გა-  
დაადგილებული პირი – დევნილი, ჰყავს შვილები – ს. და სა. გ-ები. სა-  
ქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილე-  
ბულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსა და მოსარ-  
ჩელეს შორის არსებული შეთანხმებით სამინისტრომ აიღო ვალდებუ-  
ლება, რომ უზრუნველყოფდა დევნილი ოჯახისთვის ბინის დაქირავე-  
ბას სამი თვეს ვადით, ყოველთვიურად 250 ლარის გადახდის პირობით,  
ხოლო აღნიშნული ვადის ამონურვის შემდგომ, დევნილთა საკითხების  
შემსწავლელი კომისია მიიღებდა გადაწყვეტილებას მათი ოჯახის საც-

ხოვრებელი ფართით უზრუნველყოფამდე ბინის ქირის თანხით უზრუნველყოფის ვადის გაგრძელების თაობაზე. მოსარჩელის განმარტებით, გამოსახლების დღიდან განსახილველ მომენტამდე ოჯახი ცხოვრობს ქ. თბილისში, ...ის ქუჩაზე (ყოფილი ...ის ქუჩა) მდებარე გ. ჯ-ის საკუთრებაში არსებულ ბინაში, ქირით. ჯ. ა-ას შვილი ს. გ-ა არის შშმ პირი, უვადოდ. ის არის მძიმედ დაავადებული, საჭიროებს მეთვალყურებას, გამოირჩევა ანტისოციალური ქმედებებით (ხშირად გარბის, იმალება, არის აგრესიული, რის გამოც იმყოფება მედიკამენტური ზემოქმედების ქვეშ), იმპულსურია. ფსიქიატრიულ დაწესებულებაში აღრიცხვაზე 2016 წლიდან. მოსარჩელემ მძიმე სოციალური პირობების გამო, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანიზმი წარადგინა განაცხადი დევნილის სტატუსიდან გამომდინარე გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე, ოჯახს მიენიჭა 8,5 ქულა (1,5 ქულა ქირის ნაწილში, 3 ქულა სოციალურ კრიტერიუმში, 1 ქულა ორი არასარულწლოვანის ნაწილში, 3 ქულა შშმ პირის ნაწილში). მოსარჩელის განმარტებით, 2021 წელს 2 ოთახიანი ბინები მიიღეს მასზე უფრო დაბალი ქულის მქონე ოჯახებმა (4,5 ქულა).

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 13 იანვრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, საქმეში მესამე პირებად ჩაბმულ იქნენ – ს. გ-ა და სა. გ-ა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილებით ჯ. ა-ას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დირექტორის 2021 წლის 22 აპრილის №03-1302/ო ბრძანება და მოპასუხე სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დაევალა, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა სადაც საკითხთან დაკავშირებით.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ მითითებულ მისამართზე – ქ. თბილისი, ..., ...ის ქ. №10-ში განხორციელდა რამდენიმე მონიტორინგი, თუმცა მონიტორინგის თანამშრომლებს სახლში არავინ დახვდათ. ასევე დადგენილია, რომ მონიტორინგის სამსახურის მიერ მოპოვებული ინფორმაცია წარედგინა დევნილთა საკითხების განმხილველ კომისიას. კომისიამ იმსჯელა (№19 სხდომის ოქმი) მოსარჩელის ოჯახის საცხოვრებლით უზრუნველყოფის საკითხზე და სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველ-

ყოფის სააგენტოს დირექტორის 2021 წლის 22 აპრილის №03-1302/ო ბრძანებით, დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის 2021 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილების საფუძველზე (ოქმი №19), ჯ. ა-ას (განაც- ხადით გათვალისწინებულ პირებს) უარი ეთქვა ქ. თბილისში გრძელვა- დიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფაზე, საცხოვრებელთან დაკავშირებით არსებითად მცდარი ინფორმაციის გამო. სასამართლოს მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ კონკრეტულად არ მიუთითა, რა ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით მიიჩნია განმცხადებლის მიერ საცხოვრებელზე არასწო- რი ინფორმაციის მიწოდება. ამასთან, სასამართლომ ყურადღება გაა- მახვილა იმ გარემოებაზე, რომ სს „...ის“ ანგარიშის ამონაწერით დას- ტურდება, რომ წლების განმავლობაში ჯ. ა-ას ოჯახს საცხოვრებელი ფართის დასაქირავებლად საჭირო თანხით უზრუნველყოფადა სწორედ მოპასუხე. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხე ადმინის- ტრაციულმა ორგანომ სათანადოდ არ გამოიკვლია ზემოაღნიშნული გა- რემოებები და მხოლოდ ვარაუდის საფუძველზე დაადგინა მოსარჩე- ლის მიერ მცდარი ინფორმაციის მიწოდება საცხოვრებელთან დაკავ- შირებით, რაც ენინააღმდეგება საქართველოს ზოგადი ადმინისტრა- ციული კოდექსის 96-ე და 53-ე მუხლების მოთხოვნებს. ზემოაღნიშნუ- ლიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული ინ- დივიდუალური ადმინისტრაციულ-სასამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოების სათანადოდ გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, რაც მისი სადაცო საკითხის გადა- უწყვეტლად ბათილად ცნობის საფუძველია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კო- ლეგიის 2022 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გა- საჩივრდა სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს, ჯ. ა-ას, ს. გ-ასა და სა. გ-ას მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 11 იანვრის განჩინებით სსიპ დევნილთა, ეკომიგ- რანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს, ჯ. ა- ას, ს. და ს. გ-ების სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, უცვლე- ლად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ- მეთა კოლეგიის 2022 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა მოცემულ საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებე- ბი და ამ გარემოებებთან დაკავშირებით გაკეთებული სამართლებრივი შეფასებები და მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არ- სებითად სწორად გადაწყვიტა მოცემული დავა.

პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ჯ. ა-ა არის საქართველოს ოკუ-

პირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული პირი – დევნილი და მის სახელზე გაცემულია – იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის მოწმობა. დადგენილია, აგრეთვე, რომ ჯ. ა-ამ შეიღებთან – ს. და სა. გ-ებთან ერთად შეავსო განაცხადი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის თაობაზე. დადგენილია აგრეთვე, რომ სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დირექტორის 2021 წლის 22 აპრილის №03-1302/ო ბრძანებით, დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის 2021 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილების საფუძველზე (ოქმი № 19), ჯ. ა-ას (განაცხადით გათვალისწინებულ პირებს) უარი ეთქვა ქ. თბილისში გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფაზე, საცხოვრებელთან დაკავშირებით არსებითად მცდარი ინფორმაციის გამო. ამავე საოქმო გადაწყვეტილებით ჯ. ა-ას ოჯახს დააკლდა ქირის კრიტერიუმში – 1.5 ქულა; 18 წლამდე ასაკის წევრების კრიტერიუმში – 1 ქულა; მკვეთრად გამოხატული „შშმპ“-ის კრიტერიუმში – 3 ქულა; დაემატა: მნიშვნელოვანი „შშმპ“-ის კრიტერიუმში – 2 ქულა.

პალატამ აღნიშნა, რომ განსახილველ საქმეში სადაც საკითხს წარმოადგენს მოსარჩელისთვის ქ. თბილისში გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფაზე უარის თქმის კანონიერების შემონბება. შესაბამისად, განსახილველი დაგვის ფარგლებში უნდა დადგინდეს, არსებობს თუ არა მოსარჩელების საცხოვრებელი სახლით უზრუნველყოფის საფუძველი.

პალატამ მიუთითა „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლზე, რომელიც განსაზღვრავს დევნილის სამართლებრივ სტატუსს, პირისათვის დევნილის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, ჩამორთმევისა და აღდგენის საფუძვლებსა და წესს, დევნილის სამართლებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ გარანტიებს, მის უფლებებსა და მოვალეობებს. ამავე საკანონმდებლო აქტის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დევნილის გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფა (შემდგომ – გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფა) არის დევნილის სტატუსი-დან გამომდინარე, დევნილი ოჯახის განსახლების მიზნით მისთვის სახელმწიფო ორგანოების, მუნიციპალიტეტების, საერთაშორისო, დონორი ან ადგილობრივი ორგანიზაციების, ფიზიკური ან კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ საცხოვრებელი ფართობის საკუთრებაში გადაცემა ან სანაცვლოდ მისი სათანადო ფულადი ან სხვა სახის დახმარებით უზრუნველყოფა, ხოლო იმავე კანონის მე-13 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების თანახმად, იძულებითი გადაადგილებისას უსახლეკაროდ დარჩენილ დევნილს სამინისტრო სხვა შესაბამის სახელმწიფო უწ-

ყებებთან ერთად უზრუნველყოფს სათანადო საცხოვრებლით. სათანადო საცხოვრებლით უზრუნველყოფისას სამინისტრო არეგისტრირებს დავნილს განსახლების ადგილზე. სამინისტრო საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს დავნილისათვის ამ კანონით განსაზღვრული უფლებების განხორციელებას, იღებს ზომებს მისი უსაფრთხო და ღირსეული ცხოვრებისათვის აუცილებელი სოციალურ ეკონომიკური პირობების შესაქმნელად.

პალატამ მიუთითა აგრეთვე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დავნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 8 აპრილის №01-30/6 ბრძანებით დამტკიცებულ „დავნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესს“, რომლის მე-2 მუხლის „ბ“ პუნქტზე, რომლის თანახმად, დავნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა არის ამ წესის შესაბამისად, დავნილის სტატუსიდან გამომდინარე, დავნილი ოჯახის განსახლების მიზნით მისურვის სახელმწიფო ორგანოების ან მუნიციპალიტების, საერთაშორისო, დონორი ან ადგილობრივი ორგანიზაციების, ფიზიკური ან კერძო სამართლის ოურიდიული პირების მიერ საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ან კერძო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართის (სახლი/ბინა) შესყიდვა. აღნიშნული ბრძანების პირველი მუხლის მე-8 პუნქტით შექმნილი დავნილთა საკითხების შემსწავლელი კომისია (შემდგომში – კომისია), სახელმწიფო ბიუჯეტიდან სააგენტოსათვის ამ მიზნით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში ანანილებს დავნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველსაყოფად სააგენტოსათვის გადმოცემულ ან სააგენტოს მიერ შესყიდულ/რეაბილიტირებულ საცხოვრებელ ფართებს და არსებული რესურსის გათვალისწინებით, განსაზღვრავს იმ დავნილი ოჯახების კონტინგენტს, რომელთაც გაუკეთდებათ გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფისათვის კონკრეტული შეთავაზებები. ამავე წესის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ბრძანებით დამტკიცებული კრიტერიუმების და ბრძანებით დამტკიცებული „გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის მიზნით, საცხოვრებელი ფართის საორიენტაციო სტანდარტები დავნილი ოჯახის წევრთა რიცხოვნობის გათვალისწინებით“ (№7 დანართის) (შემდგომში – საცხოვრებელი ფართის საორიენტაციო სტანდარტები) შესაბამისად, დეპარტამენტი ახდენს განაცხადების დამუშავებას ამ მუხლის მე-5-მე-8 პუნქტებით დადგენილი პროცედურით. დეპარტამენტი დამუშავებულ მასალას ნარუდგენს კომისიას საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე განაცხადის დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით. ხოლო ამავე მუხლის მე-8 პუნქტის მიხედვით, ამ

მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად დამუშავებული მასალები, დეპარტამენტის უფროსის, მონიტორინგის სამმართველოს უფროსის და ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ასევე შესაბამისი ტერიტორიული სამმართველოს უფროსის ხელმოწერილ რეესტრთან (რეესტრში ასახული უნდა იყოს საცხოვრებელი ფართის მიღების მსურველთა საიდენტიფიკაციო მონაცემები, მინიჭებული ქულები და მოკლე ინფორმაცია ოჯახის შესახებ) ერთად გადაეცემა კომისიას, რომელიც კრიტერიუმებისა და საცხოვრებელი ფართის საორიენტაციო სტანდარტების გათვალისწინებით, იღებს გადაწყვეტილებას, თუ რომელი კონკრეტული დევნილი ოჯახი დაკმაყოფილდება საცხოვრებელი ფართით.

ამავე „წესის“ მე-6 მუხლით დადგენილია დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის კრიტერიუმები. მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით, ამ წესის მე-3-მე-4 მუხლებით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღებისას, კრიტერიუმების საფუძველზე, განისაზღვრება დევნილი ოჯახების საჭიროებების პრიორიტეტულობა. კრიტერიუმების გათვალისწინების პროცესის გამარტივების მიზნით, თითოეული კრიტერიუმი ტოლია გარკვეული რაოდენობის ქულისა, რომელიც დევნილი ოჯახის საჭიროების შეფასებისას დაჯამდება. ქულები მითითებულია კრიტერიუმების პრიორიტეტულობის საჩვენებლად. დევნილ ოჯახს, რომელიც მეტ ქულას დააგროვებს, ენიჭება პრიორიტეტი. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, აღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით მოხდება – დევნილი ოჯახებისათვის საცხოვრებელი ფართების განაწილება, იქნება ეს ახლად აშენებული, რეაბილიტირებული შენობები თუ სხვა საცხოვრებელი ბინები და სახლები და კერძო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართის (სახლი/ბინა) შესყიდვა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ დევნილი ოჯახების გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის საკითხის შეფასებისათვის განისაზღვრა საცხოვრებელი ფართით სარგებლობის შესაძლებლობის შეფასების კრიტერიუმი და სოციალური კრიტერიუმი. მითითებული კრიტერიუმების განსაზღვრა ხდება, დევნილი ოჯახის მიერ სამინისტროსთვის, ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტით დამტკიცებული კითხვარის შევსების შედეგად, მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. ამასთან, დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის დანართი №7 „საცხოვრებელი ფართით სარგებლობის შესაძლებლობის შეფასების კრიტერიუმი“ და დანართი №8 „სოციალური კრიტერიუმი“ განსაზღვრავს კომპონენტებს, რომელთა შეფასების საფუძველზეც უნდა მოხდეს დევნილი ოჯახის სოციალური მდგომარეობის შესაბამისი ტერიტორიული სამმართველოს უფროსის მიღების მსურველთა საიდენტიფიკაციო მონაცემები, მინიჭებული ქულები და მოკლე ინფორმაცია ოჯახის შესახებ) ერთად გადაეცემა კომისიას, რომელიც კრიტერიუმებისა და საცხოვრებელი ფართის საორიენტაციო სტანდარტების გათვალისწინებით, იღებს გადაწყვეტილებას, თუ რომელი კონკრეტული დევნილი ოჯახი დაკმაყოფილდება საცხოვრებელი ფართით.

ბის განსაზღვრა. თითოეული კომპონენტისათვის დადგენილია შეფასების შესაბამისი ქულა. ამდენად, მკაფიოდაა დადგენილი საცხოვრებელი ფართით სარგებლობის შესაძლებლობის შეფასების კრიტერიუმები, რომლის ფაქტობრივი წინაპირობების არსებობა, დევნილი ოჯახისათვის კონკრეტული ქულის მინიჭების საფუძველია და სადაცო სამართლებრივი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმების ანალიზი გვაძლევს იმ სამართლებრივი დასკვნის გაკეთების საშუალებას, რომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანო, არ არის უფლებამოსილი დადგენილი კრიტერიუმების მიღმა, დამატებით განსაზღვროს კონკრეტული ოჯახის გადაუდებელი განსახლების საჭიროება-არსაჭიროების საკითხები.

პალატამ ყურადღება გაამახვილა დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის №7 დანართის „დ“ პუნქტზე, რომლის შესაბამისად, დევნილი ოჯახი, რომელიც ცხოვრობს სხვის სახლში (გრდა სახელმიწოდ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებისა) ქირით ან ქირის გარეშე, ფასდება 1,5 ქულით. დადგენილია, რომ ქულები მითითებულია კრიტერიუმების პრიორიტეტულობის საჩვენებლად. ხოლო „დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის“ შესაბამისად, გრძელვა-დიანი საცხოვრებელ ფართით უზრუნველყოფის მიზნით, გადაწყვეტილების მიღებისას, ჯამდება თითოეული დადგენილი კრიტერიუმის მიხედვით, მიღებული ქულათა რაოდენობა. დევნილ ოჯახს, რომელიც მეტ ქულას დააგროვებს, ენიჭება პრიორიტეტი.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა ადმინისტრაციული ორგანოს პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ მოსარჩელის მიერ მითითებულ მისამართზე – ქ. თბილისი, ..., ...ის ქ. №10-ში განხორციელებული რამდენიმე მონიტორინგის დროს დევნილი ოჯახის მისამართზე არყოფნა გამორიცხავს ქ. თბილისში გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის კონინირებას. პალატის მოსაზრებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ მართებულად გაამახვილა ყურადღება იმ გარემოებაზე, რომ ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებიდან ცალსასად არ ირკვევა, კონკრეტულად რა ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით დაადგინა განმცხადებლის მიერ საცხოვრებელზე არასწორი ინფორმაციის მიწოდება. სააპელაციო პალატამ მიუთითა ჯ. ა-ას მიერ საქმეზე წარმოდგენილ სს „...ის“ ანგარიშის ამონაწერზე, რომლითაც დასტურდება, რომ წლების განმავლობაში ჯ. ა-ას ოჯახს საცხოვრებელი ფართის დასაქირავებლად საჭირო თანხით უზრუნველყოფდა სწორედ მოპასუხე.

პალატამ ყურადღება გაამახვილა აგრეთვე იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელის შვილი ს. გ-ა არის შშმპ უვადოდ და მუდმივად საჭიროებს მკურნალობას. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მაშინ, როდე-

საც-დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისია მსჯელობდა მოსარჩელეებისა და მესამე პირების ქ. თბილისში გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართის უზრუნველყოფის საკითხზე, მათ მიერ არ იქნა გათვალისწინებული მესამე პირის, ჯ. ა-ას შვილის – ს. გ-ას ჯანმრთელობის მდგომარეობა, კერძოდ, ის გარემოება, რომ სპეციალური საჭიროებებიდან გამომდინარე, იგი საჭიროებს შესაბამისი საცხოვრებელი პირების არსებობას. ამასთან, დადასტურებულია, რომ მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს დავის განხილვის არცერთ ეტაპზე არ წარმოუდგენია მტკიცებულებები იმის დასადასტურებლად, რომ სხვა განმცხადებლებს გააჩნდათ იმაზე მეტი საჭიროება გრძელვადიანი საცხოვრებლით დაკმაყოფილებისა, ვიდრე მოსარჩელესა და მის ოჯახს, რაც, თავის მხრივ, გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დაუსაბუთებლად მიჩნევას განაპირობებს.

პალატამ აღნიშნა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, წერილობითი ფორმით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას. ამავე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დაათუბნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს. პალატამ მიუთითა აგრეთვე ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილებაზე და აღნიშნა, რომ მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ სადაცო აქტის გამოცემისას არ გამოიკვლია საქმის გარემოებები და არ შეასრულა კანონით მისთვის დაკისრებული მოვალეობები, რის შედეგადაც მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს. ამასთან, ვინაიდან მონიტორინგი სრულყოფილად არ განხორციელებულა, სასამართლო მოკლებულია საფუძველს, სრულად დააკმაყოფილოს სასარჩელო მოთხოვნა, სადაცო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი საჭიროებს ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან გადასინჯვას, საქმის ირგვლივ არსებული მტკიცებულებების სათანადოდ შეფასებას და ამის შემდგომ ახალი აქტის გამოცემას.

პალატამ ყურადღება გაამახვილა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 30 ოქტომბრის №ბა-308-304(2-კ-14) გადაწყვეტილებაზე სადაც განიმარტა, რომ „ვინაიდან იძულებით გადაადგილებული პირები საკუთარი ქვეყნის საზღვრებში ცხოვრობენ და საკუთარი მთავრობის იურისდიქციის ქვეშ იმყოფებიან, მათი დაცვისა და დახმარების უზრუნველყოფის ვალდებულება უმთავრესად მათ ეროვნულ ხელი-სუფლებას ეკისრება. სახელმწიფო და დევნილი პირები განსხვავებულ

სამართლებრივ რეჟიმში იმყოფებიან. სახელმწიფოს სხვა, დამატებითი ვალდებულებები აქვს აღებული აღნიშნული პირების მიმართ. დევნილთა სფეროში არსებული სამართლებრივი აქტები დევნილთა მიმართ სახელმწიფოს უმთავრეს ვალდებულებად დევნილებისათვის გარკვეული სამართლებრივი, ეკონომიკური და სოციალური გარანტიების შექმნას, მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვასა და სახელმწიფოს მხრიდან მათი დაცვისა და დახმარების ვალდებულებების შესრულებას განსაზღვრავს. ამდენად, სახელმწიფო მაქსიმალურად უნდა უზრუნველყოფდეს დევნილთა უფლებების დაცვასა და მათ წინაშე აღებული ვალდებულებების კეთილსინდისიერად შესრულებას. გასათვალისწინებელია, რომ სახელმწიფომ მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესაბამისად უნდა იზრუნოს დევნილთა ადეკვატური საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე და დევნილთა ბინით უზრუნველყოფა სახელმწიფოს მხრიდან ფორმალურ ხასიათს არ უნდა ატარებდეს. ამასთან, სახელმწიფოს ქმედებამ არ უნდა გამოიწვიოს დევნილთა მიმართ არათანასწორი მიდგომა, იდენტურ სამართლებრივ პირობებში მყოფი პირები არ შეიძლება აღმოჩნდნენ განსხვავებულ მდგომარეობაში“.

თბილისის სააკელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 11 იანვრის განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრდა სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს, ჯ. ა-ას, სა. გ-ასა და ს. გ-ას მიერ.

კასატორები ჯ. ა-ა, სა. გ-ა და ს. გ-ა ახალი გადაწყვეტილების მიღებით საარჩელის სრულად დაქმაყოფილებას მოითხოვენ. მონიტორინგის დროს ოჯახის სახლში არყოფნასთან დაკავშირებით კასატორები აღნიშნავენ, რომ აღნიშნული არ გამორიცხავს მათ მისამართზე ცხოვრებას, რაც უნდა დადგინდეს სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა ერთობლიობით გამოკვლევის შედეგად. კასატორები ყურადღებას ამახვილებენ სასწრაფო დახმარების გამოძახების ოქმებზე, სოციალური სააგენტოს მონიტორინგის ოქმებსა და ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სწორედ სადაც მისამართზე ქირის გადახდის დამადასტურებელ მტკიცებულებებზე. კასატორების მოსაზრებით, სასამართლოს უნდა ემსჯელა, რამდენად წარმოადგენდა საცხოვრებელთან დაკავშირებით მიწოდებული ინფორმაცია არსებითი ხასიათის ინფორმაციას. მათვე აღნიშნეს, რომ იმ პირობებშიც კი, თუ საცხოვრებელთან დაკავშირებით მიწოდებული იყო მცდარი ინფორმაცია, აღნიშნული გავლენას ვერ მოახდენდა ქულათა რაოდენობაზე და იმის გათვალისწინებით, რომ მათ სხვა საცხოვრებელი არ გააჩნიათ – საცხოვრებლით დაქმაყოფილებაზე.

კასატორი სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო ახალი გადაწყვეტილების მიღებით

საარჩელის დაკმაყოფილებაზე სრულად უარის თქმას მოითხოვს. სააგენტო მიუთითებს საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე და აღნიშნავს, რომ ბუნდოვანია დამატებით გამოსაკვლევი გარემოები. კასატორი სადაც აქტის კანონიერებას მოსარჩელის ოჯახი მისამართზე არყოფნით ასაბუთებს და აღნიშნავს, რომ მოსარჩელის მეუღლის ჯ. გ-ას საკუთრებაში ირიცხებოდა უძრავი ქონება თბილისი, ..., მე-... მ/რ, კვარტალი – № 1, კორპ. № 8, ბინა №..., თუმცა აღნიშნული ბინა გადააფირმა 2013 წელს, მიუხედავად ამისა ოჯახი კვლავ ცხოვრობს ზემოაღნიშნულ მისამართზე, რაც დასტურდება მეზობლების განმარტებით. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი თვლის, რომ მხარემ არასწორი ინფორმაცია მიაწოდა ადმინისტრაციულ ორგანოს. კასატორი დევნილი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფის საჭიროების პრიორიტეტულობაზე მიუთითებს და აღნიშნავს, რომ პირველ რიგში საცხოვრებლით უნდა დაკმაყოფილდნენ ისეთი ოჯახები, რომელთაც არ გააჩნიათ არავითარი საცხოვრებელი, აქვთ ფართის მისაღებად საქმარისი ქულები და მათი საცხოვრებლით უზრუნველყოფა სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. კასატორის მოსაზრებით, სასამართლოს ყურადღების მიღმა დარჩა საქმეში წარმოდგენილი უტყუარი მტკიცებულებები და გადაწყვეტილება მხოლოდ მხარის მიერ გაკეთებული განმარტების სენსიტიურობიდან გამომდინარე მიიღო და არა რომელიმე კონკრეტულ მტკიცებულებაზე დაყრდნობით, რაც სრულიად დაუშვებელია და არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს სხვა დევნილ ოჯახებს მოსარჩელის ოჯახთან მიმართებაში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 19 მაისის განჩინებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამონმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ დევნილთა, ეკო-მიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს, ჯ. ა-ას, ს. გ-ას და სა. გ-ას საკასაციო საჩივრები, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 11 იანვრის განჩინებაზე, მიჩნეული იქნა დასაშვებად და დადგინდა ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობისა და გასაჩივრე-

ბული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედე-გად მიიჩნევს, რომ ჯ. ა-ას, ს. გ-ას და სა. გ-ას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სისპენდიტი, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს საკასაციო საჩივარი არ უნდა და დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ მოსარჩელე ჯ. ა-ა არის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული პირი – დევნილი, რომელზეც გაცემულია იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის მოწმობა.

ჯ. ა-ამ არასრულწლოვან შვილებთან – ს. და სა. გ-ებთან ერთად შეავსონ განაცხადი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის თაობაზე. შეფასების შედეგად ჯ. ა-ას და მის ოჯახს მიენიჭა შემდეგი ჯამში – 8.50 ქულა: საცხოვრებლის ფინანსური პირობები – ნაქირავები – 1.50 ქულა; 18 წლამდე ასაკის წევრები – 2 არასრულწლოვანი – 1.00 ქულა; სოციალური კრიტერიუმი – 30001-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულით – 3.00 ქულა; ს. გ-ა – შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები „შშმპ“ – მკვეთრად გამოხატული – 3.00 ქულა.

სისპენდიტი, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დირექტორის 2021 წლის 22 აპრილის №03-1302/ობრძანებით, დევნილთა საკითხების შემსნავლელი კომისიის 2021 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილების საფუძველზე (ოქმი №19), ჯ. ა-ას (განაცხადით გათვალისწინებულ პირებს) უარი ეთქვა ქ. თბილისში გრძელვა-დიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფაზე, საცხოვრებლობან დაკავშირებით არსებითად მცდარი ინფორმაციის გამო. ამავე საოქმო გადაწყვეტილებით ჯ. ა-ას ოჯახს დააკლდა ქირის კრიტერიუმში – 1.5 ქულა; 18 წლამდე ასაკის წევრების კრიტერიუმში – 1 ქულა; მკვეთრად გამოხატული „შშმპ“-ის კრიტერიუმში – 3 ქულა; დაემატა: მნიშვნელოვანი „შშმპ“-ის კრიტერიუმში – 2 ქულა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფა, სახელმწიფოს მხრიდან სოციალური პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტია. სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს პირისათვის ცხოვრების სტანდარტების შენარჩუნებაზე და უზრუნველყოფდეს, შესაბამისი უფლების სათანადოდ რეალიზებით, პირის საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულყოფილ მონაბილეობას. საქართველოს კონსტიტუცია ხაზს უსვამს სოციალური უფლებებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭებას. საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის თანახმად, საქართველო არის სოციალური სახელმწიფო. სახელმწიფო ზრუნავს საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობის, სოციალური თანასწორობისა და სოციალური სოლიდარობის პრინციპების განმტკიცებაზე.

საკასაციო პალატა მიუთითებს „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ კანონზე, რომელიც ადგენს დევნილის სამართლებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ გარანტიებს, მის უფლებებსა და მოვალეობებს. აღნიშნული კანონის მე-4 მუხლის „ო“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დევნილის გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფა გულისხმობს დევნილის სტატუსიდან გამომდინარე, დევნილი ოჯახის განსახლების მიზნით მისთვის სახელმწიფო ორგანოების, მუნიციპალიტეტების, საერთაშორისო, დონორი ან ადგილობრივი ორგანიზაციების, ფიზიკური ან კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ საცხოვრებელი ფართობის საკუთრებაში გადაცემას ან სანაცვლოდ მისი სათანადო ფულადი ან სხვა სახის დახმარებით უზრუნველყოფას.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს სადაც პერიოდში მოქმედ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2021 წლის 8 აპრილის №01-30/6 ბრძანებით დამტკიცებულ „დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესზე“ (დანართი №1). აღნიშნული „წესის“ მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, გრძელვადიანი საცხოვრებელ ფართით უზრუნველყოფის მიზნით, ამ წესის მე-3-მე-4 მუხლებით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღებისას, კრიტერიუმების საფუძველზე, განისაზღვრება დევნილი ოჯახების საჭიროებების პრიორიტეტულობა. კრიტერიუმების გათვალისწინების პროცესის გამარტივების მიზნით, თითოეული კრიტერიუმი ტოლია გარკვეული რაოდენობის ქულისა, რომლებიც დევნილი ოჯახის საჭიროების შეფასებისას დაჯამდება. ქულები მითითებულია კრიტერიუმების პრიორიტეტულობის საჩვენებლად. დევნილ ოჯახს, რომელიც მეტ ქულას დააგროვებს, ენიჭება პრიორიტეტი. მინისტრის 2021 წლის 8 აპრილის №01-30/6 ბრძანებით ასევე დამტკიცებულია „საცხოვრებელი ფართით სარგებლობის შესაძლებლობის შეფასების კრიტერიუმი“ (დანართი №7) და „სოციალური კრიტერიუმი“ (დანართი №8). დანართებში მოცემულია ცალკეული კომპონენტები, რომელთა საფუძველზეც უნდა შეფასდეს კონკრეტული დევნილი ოჯახის სოციალური მდგომარეობა, შესაბამისი ქულების მინიჭებით.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელეთა გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე უარის საფუძველი გახდა არა „დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის“ შესაბამისად მინიჭებულ ქულათა რაოდენობა (ნაკლებობა), არამედ საცხოვრებელზე არსებითად მცდარი ინფორმაციის მიწოდება. მითითებული საფუძვლით გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე უარის შესაძლებლობას ადგენს საქართველოს ოკუპირებული

ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2021 წლის 8 აპრილის №01-30/ნ ბრძანებით დამტკიცებული „დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის“ პირველი დანართის მე-3 მუხლი. ამ მუხლის მე-5 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, მონიტორინგის სამმართველო ახდენს ამ პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად გადაცემული საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე განაცხადის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის თაობაზე შევსებული კითხვარის მიხედვით მინიჭებული ქულების გადამოწმებას, დევნილი ოჯახების საცხოვრებელი პირობებისა და საჭიროებების ადგილზე შესწავლასა და „გრძელვადიანი/დროებითი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მონიტორინგის ფორმის“ შედგენას. იმ შემთხვევაში, თუ კანონმდებლობის შესაბამისად, მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ გადამოწმების საფუძველზე აღმოჩნდა, რომ შევსებულ კითხვარში წარდგენილი ინფორმაცია და დოკუმენტაცია არის არსებითად მცდარი ან/და დევნილი ოჯახის მიერ მონიტორინგის დროს წარდგენილი იქნა დოკუმენტაცია, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მინიჭებულ ქულებზე, საცხოვრებელ მისამართზე, ოჯახის შემადგენლობაზე და/ან გადასაცემ საცხოვრებელ ფართზე, აღნიშნულის თაობაზე ინფორმაცია წარედგინება კომისიას, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ რამდენადაც მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანო წარმოადგენს დევნილთა განსახლების საკითხზე პასუხისმგებელ უწყებას, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, იგი ვალდებულია, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, გულისხმიერად მიუდგეს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს – ზუსტად განსაზღვროს დევნილი ოჯახის განსახლების პრიორიტეტულობის საკითხი, საქმის გარემოებათა სრულყოფილად გამოკვლევის გზით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. ამასთან, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის თანახმად, თუ კანონით სხვა რამარ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარა აქტად აღიარების, ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, მტკიცების ტვირთი ეკისრება ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელმაც გამოსცა ეს აქტი. მითითებული ნორმიდან გამომდინარე, მოპასუხე ად-

მინისტრაციული ორგანო ვალდებულია ამტკიცოს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია ადმინისტრაციული კანონ-მდებლობის საფუძველზე და მისი გამოცემით არ დარღვეულა მოსარჩელის კანონიერი უფლებები. მოცემულ შემთხვევაში, მხოლოდ მოპასუხის მიერ მითითებული გარემოებები გასაჩივრებული აქტის კანონი-ერებას არ ადასტურებს. საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებების ურთიერთშეჯვერებით დგინდება, რომ სადაც გადაწყვეტილება ენინაალმდეგება კანონის მოთხოვნებს, პირდაპირ და უშუალო (ინდივი-დუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას. ადმინისტრაციული ორგანო ვერ ადასტურებს მოსარჩელის მიერ საცხოვრებლის თაობაზე ადმინისტრაციულ ორგანოსთვის მცდარი ინფორმაციის მიწოდებას. კასატორი ერთი მხრივ მიუთითებს, რომ ჯ. ა-ა შვილებთან ერთად ცხოვრობს მოსარჩელის მეუღლის ჯ. გ-ას საკუთრებაში (თბილისი, ..., მე-... მ/რ, კვარტბლი - № 1, კორპ. № 8, ბინა №...) და ამ საფუძვლით უარს აცხადებს ოჯახის გრძელვადიან განსახლებაზე, თუმცა მეორე მხრივ, საქმის მასალებში დაცული დათვალიერების ოქმებით დასტურდება, რომ ზემოაღნიშნულ მისამართზე, ჯ. ა-ას ოჯახი არ იმყოფებოდა. მოცემულ საქმეში ცალსახად დადასტურებულია, რომ ჯ. ა-ას დევნილ ოჯახს არ გააჩნია საკუთრება, ცხოვრობს სხვის სახლში. ამასთან, საქმეში დაცული სს „...ის“ „ანგარიშის ამონანერით დასტურდება, რომ წლების განმავლობაში ჯ. ა-ას ოჯახს საცხოვრებელი ფართის და-საქირავებლად საჭირო თანხით უზრუნველყოფდა სწორედ მოპასუხე.

საკასაციო პალატა არ იზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოების მოსაზრებას საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე სადაც აქტის ბათილად ცნობის შესახებ, რადგან საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს სასამართლოს მხრიდან საქმის გარემოებების გამოკვლევისა და სადაც საკითხის არსებითად გადაწყვეტის შეუძლებლობა. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით მინიჭებულ უფლებამოსილებას სასამართლო იყენებს იმ შემთხვევაში, როცა სასამართლო წესით ვერ ხერხდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და შეფასება. მათი დადგენა მხოლოდ ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილებიდან გამომდინარე. შესაბამისად, შეუძლებელი ხდება სასამართლოს მიერ სადაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მატერიალური კანონიერების შეფასება. თავის მხრივ, საპელაციო სასამართლო პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერებასა და დასაბუთებულობას ამონმებს, როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით, ანუ საქმეს განი-

ხილავს, როგორც ფაქტობრივი გარემოებების დადგენის, ისე მათი სა-მართლებრივი შეფასების კუთხით. სააპელაციო სასამართლოს უფლე-ბა აქვს დაადგინოს ახალი ფაქტები, ხოლო საქმის მონაწილე პირებს უფლება აქვთ პირველ ინსტანციაში უკვე განხილულთან ერთად სააპე-ლაციო სასამართლოში წარადგინონ ახალი მტკიცებულებები. ანუ საა-პელაციო სასამართლო, საკასაციო ინსტანციის სასამართლოსგან გან-სხვავებით, შებოჭილი არაა პროცესუალური შესაძლებლობით, საქმე-ზე დაადგინოს ფაქტობრივი გარემოებები, გამოითხოვოს და შეაფასოს მტკიცებულებები” (სუს 2018 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილება №ბს-681-681(კ-18)). საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს: სახეზეა თუ არა შესაბამი-სი აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან გარემოე-ბათა გამოკვლევის საჭიროების ნაცვლად, თავად სასამართლოს მხრი-დან ფაქტობრივი გარემოებების სწორი სამართლებრივი შეფასებისა და გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებ-რივი აქტების მატერიალური კანონიერების შემოწმების აუცილებლო-ბა. განსახილველ შემთხვევაში, საფუძველსაა მოკლებული სააპელა-ციო სასამართლოს მითითება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მონი-ტორინგის სრულყოფილად განუხორციელებლობის თაობაზე მაშინ, რო-დესაც საქმის მასალებში დაცული დათვალიერების ოქმებით დასტურ-დება, რომ მონიტორინგი განხორციელდა რამდენჯერმე: 2021 წლის 11 მარტს, 2021 წლის 26 მარტს, 2021 წლის 29 მარტს, 2021 წლის 17 თე-ბერვალს მონიტორინგის სამსახური იმყოფებოდა როგორც განცხადე-ბაში მითითებულ მისამართზე (ქ. თბილისი, ..., ...ის ქ. №10), აგრეთვე, მოსარჩელის ყოფილი მეუღლის მისამართზეც (ქ. თბილისი, ..., მე-... მ/ რ, 1-ლი კვ. კორპ. №8, ბინა №...). ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩ-ნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში, საქმეზე წარმოდგენილი მტკი-ცებულებები იძლეოდა სრულ საფუძველს, სააპელაციო სასამართლოს თავად გადაეწყვიტა სადავო საკითხი და არსებითად ემსჯელა გასა-ჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივიაქტის მატერიალურ კა-ნონიერებაზე. ამასთან, გარდა იმისა, რომ ადმინისტრაციული საპრო-ცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით მინიჭებული უფლებამოსი-ლების გამოყენება სასამართლოს მხრიდან სადავო საკითხის მატერია-ლური კანონიერების შეფასების შეუძლებლობას უნდა დაუკავშირდეს, გათვალისწინებულ უნდა იქნეს შესაბამისი დავის სასამართლო წესით გონივრულ ვადაში დასრულების ინტერესი. საქმის გონივრულ ვადაში, ეფექტიანად განხილვა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფ-ლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებუ-ლი სამართლიანი სასამართლოს უფლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია. საქმის განხილვის ვადის გონივრულობის შეფასებისას მხედ-

ველოპმაში უნდა იქნეს მიღებული საქმის სირთულე, მოდავე მხარეების და შესაბამისი კომპეტენტური უწყებების ჩართულობა, ასევე საქმის განხილვის შედეგი დაინტერესებული მხარეებისათვის (სუს 2020 წლის 17 სექტემბრის № ბს-1198(კ-19) განჩინება). განსახილველ შემთხვევაში, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენებით დავის გადაწყვეტა არ პასუხობს ზემოაღნიშნულ პრინციპებს. საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, სასამართლო წესით სრულად შესაძლებელია სადაცო ად-მინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მატერიალური კანონიერების შეფასება.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მონიტორინგის დროს დევნილის მისამართზე არ ყოფნა, არ ართმევს დევნილ ოჯახს საცხოვრებლით უზრუნველყოფის შესაძლებლობას, არ გამორიცხავს გრძელვა-დიანი განსახლების საჭიროებას. საკასაციო პალატა პალიშნავს, რომ კანონმდებლის მიზანს არ წარმოადგენს იმის დადგენა, თუ რა დროს, რა მისამართზე იმყოფება იძულებით გადაადგილებული პირი. შესაბა-მისად, სხვადასხვა მიზეზით ფაქტობრივად სხვადასხვა მისამართზე ყოფნა, იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელის ოჯახს არ აქვს გრძელვა-დიანი საცხოვრებელი და ცხოვრობს სხვის საკუთრებაში არსებულ ბი-ნაში, არ შეიძლება გახდეს დევნილი ოჯახის საცხოვრებლით დაკმაყოფილებზე უარის თქმის უპირობო სამართლებრივი საფუძველი, ვინაი-დან საკითხისადმი ამგვარი მიდგომა ენინაალმდეგება ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას, დევნილებს შეუქმნას ეკონომიკური და სოციალური გარანტიები გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის კუთხით.

გასათვალისწინებელია აგრეთვე, რომ მოსარჩელის შვილის გ-ა არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი უვადოდ, იგი მუდმივად სა-ჭიროებს მკურნალობას და შესაბამისად, სტაბილურ საცხოვრებელს. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას არ იქნა გათვალისწინებული არასრულწლოვანის განსაკუთრებული საჭიროებები და საუკეთესო ინტერესები. საკასაციო პალატა მიუთითებს სა-ქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტზე და აღნიშ-ნავს, რომ სახელმწიფო ქმნის განსაკუთრებულ პირობებს შეზღუდუ-ლი შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და ინტერესების რეა-ლიზებისათვის. ამასთან, 2020 წლის პირველი სექტემბრიდან ამოქმე-დებული „ბავშვის უფლებათა კოდექსით“ დამატებით იქნა დადგენილი გარანტიები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე არასრულწლოვან პირთა უფლებების დასაცავად. აღნიშნული კოდექსის კონკრეტული ნორმები სახელმწიფოს უწესებს ვალდებულებას შეზღუდული შესაძ-ლებლობის მქონე პირს შეუქმნას გარემო, სადაც მას ექნება სათანა-

დოდ განვითარების რეალური შესაძლებლობა. საკასაციონ პალატა, ასევე, მიუთითებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მიღებულ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონცენციაზე“ (რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2013 წლის 26 დეკემბრის დადგენილებით), რომლის პრეამბულაში გაცხადებულია, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, აქტიურად ჩაერთონ სტრატეგიულსა და პროგრამებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მათ შორის, უშუალოდ მათთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებაში. იმავე კონცენციის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად კი, მონაწილე სახელმწიფოები ალიარებებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებას ცხოვრების ადეკვატურ სტანდარტზე საცხოვრებელ პირობებზე მათთვის და მათი ოჯახებისათვის, რაც მოიცავს ადეკვატურ კვებას, ტანსაცმელს, საცხოვრებელ პირობებს; ასევე უფლებას საცხოვრებელი პირობების უწყვეტ გაუმჯობესებაზე; იდებენ შესაბამის ზომებს აღნიშნული უფლების დაცვისა და რეალიზებისათვის, შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე აღმოცენებული ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. მითითებულ ნორმათა საფუძველზე, საკასაციონ პალატა აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს, გარდა იძულებით გადაადგილებული პირების მიმართ საცხოვრებლით უზრუნველყოფის ვალდებულების შესრულებისა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე იძულებით გადაადგილებული პირის განაცხადის განხილვისას, ეკისრება აგრეთვე მისი საჭიროებების გათვალისწინების ვალდებულება, რათა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ადეკვატური საცხოვრებელი პირობებით იყვნენ უზრუნველყოფილნი, აღნიშნული კი, მოცემულ შემთხვევაში ასევე არ დასტურდება.

საკასაციონ სასამართლო ზემოაღნიშნული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების გათვალისწინებით, მიწნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60<sup>1</sup> მუხლის თანახმად, სახეზეა სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებონ ყაროვნებით უზრუნველყოფის სააგენტოს დირექტორის 2021 წლის 22 აპრილის №03-1302/ო ბრძანების ბათილად ცნობისა და მოპასუხისათვის მოსარჩელის ოჯახის მიმართ გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის შესახებ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების წინაპირობები. შესაბამისად, სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობს, ხოლო ჯ. ა-ას, ს. გ-ას და სა. გ-ას საკასაციო საჩივრი უნდა დაკმაყოფილდეს; გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის

11 იანვრის განჩინება და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე, საქმეზე მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი და კმაყოფილდება.

რაც შეეხება სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურების საკითხს, მოცემული დავა ეხება სახელმწიფო სოციალურ დაცვას, ამდენად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის თანახმად, მხარეები გათავისუფლებული არიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ ორივე მხარე გათავისუფლებულია სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, მაშინ სასამართლოს მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით გაწეულ ხარჯებს გაიღებს სახელმწიფო.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ჟ კ ი ტ ა:**

1. სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. ჯ. ა-ას, ს. გ-ას და სა. გ-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

3. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 11 იანვრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

4. ჯ. ა-ას სარჩელი და კმაყოფილდეს;

5. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დირექტორის 2021 წლის 22 აპრილის №03-1302/ო ბრძანება;

6. სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დაევალოს ჯ. ა-ას და მისი ოჯახის (განაცხადით გათვალისწინებული პირების) გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის თაობაზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა;

7. მხარეები გათავისუფლებული არიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან;

8. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# დეპილირაციას გრძელვადიანისაცხოვრებლით უზრუნველყოფის საფუძველი

## გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ბა-795(23-23)

14 ნოემბერი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: გ. გოგიაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ქ. ცინცაძე,  
ნ. სხირტლაძე

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრი-  
ვი აქტის ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-  
სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

### აღნერილობითი ნაწილი:

რ. ა-მ 2021 წლის 19 ივნისს სარჩელით მიმართა თბილისის საქალა-  
ქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის –  
სსიპ დევნილთა, ეკონომიკურანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველ-  
ყოფის სააგენტოს მიმართ და „დევნილი ოჯახის გრძელვადიანი საც-  
ხოვრებლით უზრუნველყოფაზე უარის თქმის თაობაზე“ ამავე სააგენ-  
ტოს 2021 წლის 28 ივნისის №03-2433/ო ბრძანების ბათილად ცნობა,  
ასევე, მოპასუხისთვის, მოსარჩელის ოჯახის გრძელვადიანი საცხოვ-  
რებელი ფართით უზრუნველყოფის შესახებ, კანონით დადგენილ ვა-  
დაში, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქ-  
ტის გამოცემის დავალება მოითხოვა.

სარჩელში აღნიშნულია, რომ მოსარჩელე არის აფხაზეთიდან იძუ-  
ლებით გადაადგილებული პირი, მოისა და შეიარაღებული ძალების ვე-  
ტერანი შემ პირი. სარეგისტრაციო ნომერზე დარეგისტრირებული ჰყავს  
შვილი, რძალი და შვილიშვილი. მოსარჩელის ოჯახი წლების განმავლო-  
ბაში ცხოვრობდა სხვადასხვა მისამართზე, ამჟამად ცხოვრობს ქირით.  
მოსარჩელემ მიმეგ სოციალური მდგომარეობის გამო, საცხოვრებელი  
ფართის მიღების თაობაზე შეავსო განაცხადი. წინასწარი შეფასებით  
მის ოჯახს მიენიჭა 5.0 ქულა, თუმცა უარი ეთქვა საცხოვრებლით უზ-  
რუნველყოფაზე სააგენტოსათვის არსებითად მცდარი ინფორმაციის  
მიწოდების გამო. მოსარჩელემ დამატებით მოუთითა, რომ ბინები მიი-  
ღეს 5.0 ქულაზე დაბალი ქულების მქონე დევნილთა ოჯახებმა, რის  
გამოც მოსარჩელემ სადაცო აქტის ბათილად ცნობა და ოჯახის გრძელ-

ვადიანი საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 21 თებერვლის განჩინებით, საქმეში, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, მესამე პირებად ჩაებნენ მ. ა-ა, ნ. ხ-ე და მა. ა-ა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 5 მაისის გადაწყვეტილებით. ა-ას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დირექტორის 2021 წლის 28 ივნისის №03-2433/ო ბრძანებადა მოპასუხეს, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, სადავო საკითხთან დაკავშირებით ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე – რ. ა-ა არის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული პირი – დევნილი, ასევე – ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი. მოსარჩელემ საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის თაობაზე განაცხადი წარადგინა შვილთან – მ. ა-ასთან, რძალთან – ნ. ხ-ესთან (არადევნილი) და შვილიშვილთან – მა. ა-ასთან ერთად. განაცხადის წინასწარი შეფასებით, რ. ა-ას ოჯახს მიერიქა 5.0 ქულა, მათ შორის, საცხოვრებლის ფინანსურ პირობებში (ცხოვრობს ნაქირავებში) – 1.5 ქულა; შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის სტატუსის გამო (რ. ა-ა არის მნიშვნელოვანდ გამოხატული შემ პირი) – 2.00 ქულა; ომის მონანილის, ომის ვეტერანის სტატუსის გამო – 1.50 ქულა;

მოსარჩელის მიერ მითითებულ მისამართზე – ზუგდიდში, ...ის ქ. №30-ში, ბინა №...-ში, 2021 წლის 14 აპრილს განხორციელებული მონიტორინგისას რ. ა-მ განაცხადა, რომ აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობს 2008 წლიდან ქირით. 2007-2008 წლებში ცხოვრობდა სოფელ ...ში. მისივე განმარტებით, მასთან ერთად მითითებულ მისამართზე ცხოვრობს შვილი, რძალი და შვილიშვილი, თუმცა გადამოწმების დროს, მოსარჩელის გარდა, მისამართზე არავინ იმყოფებოდა. საჯარო რეესტრის ამონანერის მიხედვით, ბინის მესაკუთრეა ც. ჭ-ა. მოსარჩელის რძლის – ნ. ხ-ის მშობლები ცხოვრობენ თავიანთ საკუთრებაში, სოფელ ...ში. მოსარჩელის განმარტებით, მისი შვილი და რძალი იმუამად სწორედ სოფელ ...ში იმყოფებოდნენ;

2021 წლის 21 აპრილს ზუგდიდის რაიონის სოფელ ...ში განხორციელდა მონიტორინგი. მისამართზე იმყოფებოდა მოსარჩელის რძლის – ნ. ხ-ის ძმის მეუღლე – მ. რ-ა, რომლის განმარტებით, მისი მული მეუღლესთან და შვილთან ერთად მითითებულ მისამართზე ხშირად მოდიო-

და და ცხოვრობდა, თუმცა მონიტორინგის დროს იმყოფებოდა ზუგდიდში, რ. ა-ას ბინაში, სადაც ქირით ცხოვრობენ. იმავე დღეს ზუგდიდში, ...ის ქ. №30-ში, ბინა №...-ში, განხორციელდა ღამის ვიზიტი (21:45 საათზე), რა დროსაც მისამართზე არ იმყოფებოდა მოსარჩელის ოჯახი. მოსარჩელესთან, მისი ოჯახის წევრების ადგილსამყოფლის დადგენის მიზნით, შედგა სატელეფონო საუბარი. მოსარჩელემ განაცხადა, რომ იგი იმყოფებოდა სოფელ ...ში, ა-ეპის ოჯახში. მონიტორინგის სამართველოს თანამშრომელმა მისამართის დაზუსტება მოითხოვეს მისი გადამოწმების მიზნით, თუმცა მოსარჩელემ აღნიშნა, რომ იცრუა და შვილთან, რძალთან და შვილშვილთან ერთად იმყოფება გალის რაიონში, სოფელ ...ში;

2021 წლის 28 მაისს ზუგდიდის რაიონის სოფელ ...ში (...ში), მოსარჩელის გადამოწმების მიზნით, განხორციელდა დამატებითი ვიზიტი მის ყოფილ მისამართზე. მეზობლების განმარტებით, რ. ა-ა რამდენიმე წლის წინ გადავიდა ზუგდიდში და მას შემდეგ არ უნახავთ. 2021 წლის 28 მაისს, მონიტორინგის ჯგუფი, დამატებითი მოკვლევის მიზნით, კვლავ გამოცხადდა მოსარჩელის მიერ აპლიკაციაში მითითებულ მისამართზე – ზუგდიდში, ...ის ქ. №30-ში, ბინა №...-ში. მისამართზე კვლავ არავინ იმყოფებოდა. თანამშრომლები გაესაუბრნენ ზედა სართულის მეზობელს, რომელმაც განაცხადა, რომ მაცხოვრებლები თვეში ან ორ თვეში ერთხელ მოდიოდნენ. 10 დღის წინ იყვნენ სარემონტო სამუშაოების გამო. გაესაუბრნენ ასევე კარის მეზობლებს – ფ-ების ოჯახს. მათ განმარტეს, რომ აღნიშნული ბინის მაცხოვრებლები იშვიათად მოდიოდნენ აღნიშნულ მისამართზე და არ იცნობდნენ;

სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დირექტორის 2021 წლის 28 ივნისის №03-2433/ობრძანებით, დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის 2021 წლის 1 ივნისის გადაწყვეტილების საფუძველზე (ოქმი №34), რ. ა-ას ოჯახს უარი ეთქვა ქალაქ ზუგდიდში გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფაზე, საცხოვრებელთან დაკავშირებით არსებითად მცდარი ინფორმაციის სააგენტოსათვის მიწოდების გამო.

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისას საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 4 ივლისის №01-52/6 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების ცალკეულ დევნილ ვეტერანთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის“ მე-3 მუხლზე, რომელიც განსაზღვრავს საცხოვრებელი სახლის მიღების პროცედურას. დასახელებული მუხლის სადაც პერიოდში მოქმედი რედაქციის მე-4 პუნ-

ქტის შესაბამისად, ბრძანებით დამტკიცებული კრიტერიუმებისა და „გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის მიზნით, საცხოვრებელი ფართის საორიენტაციო სტანდარტები დევნილი ოჯახის წევრთა რიცხოვნობის გათვალისწინებით №7 დანართის შესაბამისად, დეპარტაციამენტი ახდენს განაცხადების დამუშავებას ამ მუხლის მე-5-მე-8 პუნქტებით დადგენილი პროცედურით. დამუშავებულ მასალას კი წარუდგენს კომისიას საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე განაცხადის დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით. მითითებული ნორმის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, დეპარტაციამენტის განაცხადების მიღებისა და წინასწარი შეფასების სამმართველოს ან/და, საჭიროების შემთხვევაში, სააგენტოს დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული დეპარტაციამენტის სხვა თანამშრომელი/ თანამშრომლები საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე განაცხადს, მასზე თანდართული დოკუმენტაციას, გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის თაობაზე შევსებულ კითხვარს, ასევე მოპოვებული მონაცემების საფუძველზე თითოეული დევნილი ოჯახის მდგომარეობას აფასებს კრიტერიუმებისა და საცხოვრებელი ფართის საორიენტაციო სტანდარტების მეშვეობით, რის საფუძველზეც აღნიშნული სამმართველოს შესაბამისი თანამშრომელი ან/და, საჭიროების შემთხვევაში, სააგენტოს დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული დეპარტაციამენტის სხვა თანამშრომელი/ თანამშრომლები აფასებს, ავსებს და ხელმოწერით ადასტურებს სააგენტოს დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებულ განაცხადის შეფასების ფორმას. თითოეული დევნილი ოჯახის მიერ შევსებული განაცხადი, მასზე თანდართულ დოკუმენტაციასთან და შესაბამის შეფასების ფორმასთან ერთად, ინახება ამ დევნილი ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის თაობაზე პირადი საქმის სახით. თუ აღნიშნული სამმართველოს ან/და სააგენტოს დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული დეპარტაციამენტის სხვა თანამშრომელი/ თანამშრომლების მიერ განაცხადების შეფასებისას აღმოჩნდა, რომ დევნილის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია არის არსებითად მცდარი, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შეფასებაზე, განაცხადი რჩება განუხილველი, რის თაობაზეც დევნილ ოჯახს ეცნობება დეპარტაციამენტის უფროსის ან დეპარტაციამენტის განაცხადების მიღებისა და წინასწარი შეფასების სამმართველოს უფროსის დასაბუთებული წერილობითი აქტის მეშვეობით.

მითითებული ნორმის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად კი, დეპარტა-

მენტის მონიტორინგის სამმართველო ახდენს ამ პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად გადაცემული საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე განაცხადის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის თაობაზე შევსებული კითხვარის მიხედვით მინიჭებული ქულების გადამოწმებას, დევნილი ოჯახების საცხოვრებელი პირობებისა და საჭიროებების ადგილზე შესწავლასა და გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მონიტორინგის ფორმის (დანართი №6) შედგენას, რომელსაც ხელს აწერენ მოცემული სამმართველოს შესაბამისი თანამშრომელ(ები) და დევნილი ოჯახის სრულწლოვანი წევრები. იმ შემთხვევაში, თუ კანონმდებლობის შესაბამისად, აღნიშნული სამმართველოს მიერ გადამოწმების საფუძველზე აღმოჩნდა, რომ შევსებულ კითხვარში წარდგენილი ინფორმაცია და დოკუმენტაცია არის არსებითად მცდარი ან/და დევნილი ოჯახის მიერ მონიტორინგის დროს წარდგენილ იქნა დოკუმენტაცია, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მინიჭებულ ქულებზე, აღნიშნულის თაობაზე ინფორმაცია წარდგინება კომისიას, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ, მართალია, მონიტორინგის სამსახურის მიერ მოპოვებული ზემოაღნიშნული ინფორმაცია წარედგინა დევნილთა საკითხების განმხილველ კომისიას, რომელმაც იმსჯელა მოსარჩელის ოჯახის საცხოვრებლით უზრუნველყოფის საკითხზე და გადაწყვეტა (№34 სხდომის ოქმით), რომ მოსარჩელისათვის უარი ეთქვა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მოთხოვნაზე, საცხოვრებელზე არსებითად მცდარი ინფორმაციის სააგენტოსათვის მინოდების გამო, თუმცა საქალაქო სასამართლოს მითითებით, განსახილველ შემთხვევაში მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ კონკრეტულად არ მიუთითა და არ დაასაბუთა რა ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით მიზნია, რომ განმცხადებელმა არასწორი ინფორმაცია მიაწოდა საცხოვრებელთან დაკავშირებით, იმ პირობებში, როცა 2021 წლის 14 აპრილს განხორციელებული მონიტორინგის დროს, მონიტორინგის თანამშრომლებს ზუგდიდში, ...ის ქ. №30-ში, ბინა №...-ში დახვდათ რ. ა. ა. ოჯახის სხვა წევრების მითითებულ მისამართზე არყოფნა კი, ვერ ჩაითვლება მათი სხვა (ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან გამოიყვლეველ) მისამართზე ცხოვრებად, მით უფრო, რომ ოჯახის სხვა წევრების განსხვავებული საცხოვრებელი ადგილის თაობაზე ინფორმაცია არც დამატებითი მონიტორინგის დროს არ გამოვლენილა. აქედან გამომდინარე, პირველი ინსტანციის სასამართლომ მიზნია, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ სათანადოდ არ გამოიკვლია აღნიშნული გარემოება და მხოლოდ ვარაუდის საფუძველზე დაადგინა აღნიშნული გარემოება, რაც ეწინააღმდეგებოდა საქართველოს ზოგადი ადმინის-

ტრაციული კოდექსის 96-ე და 53-ე მუხლების მოთხოვნებს. შესაბამისად, სასამართლომ დავა გადაწყვიტა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 5 მაისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს რ. ა-ამ, მ. ა-ამ, ნ. ხ-ემ და მა. ა-ამ, ასევე, სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 25 ნოემბრის განჩინებით რ. ა-ას, მ. ა-ას, ნ. ხ-ის, მა. ა-ას, ასევე, სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 5 მაისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, მათი სამართლებრივი შეფასება და დამატებით აღნიშნა, რომ მოპასუხე, რომელიც წარმოადგენს დევნილთა განსახლების საკითხზე პასუხისმგებელ უწყებას, ვალდებული იყო, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, გულისხმიერად და სრული პასუხისმგებლობით მისდგომოდა მასზე დაკისრებულ მოვალეობებს – ზედმინებით ზუსტად განესაზღვრა დევნილი ოჯახის განსახლებასთან დაკავშირებული საკითხები და ისე მიეღოგადაწყვეტილება. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მართებულად მიიჩნია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საკითხის ხელახლა კვლევის საჭიროება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 25 ნოემბრის განჩინება მხარეებმა საკასაციო წესით გაასაჩივრეს.

კასატორები – რ. ა-ა, მ. ა-ა, ნ. ხ-ე და მა. ა-ა აღნიშნავენ, რომ ვრძელვადიანი საცხოვრებლით დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვათ საცხოვრებელთან დაკავშირებით სააგენტოსათვის მცდარი ინფორმაციის მიწოდების გამო. საკითხის მომწერიგებელი სამართლებრივი აქტითა და სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკით, ინფორმაცია არსებითად მცდარია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას გავლენა ექნება ოჯახის მიერ დაგროვილი ქულების ან/და მისალები ფართის ოდენობაზე, რაც განსახილველ შემთხვევაში არ დასტურდება. კასატორების მითითებით, რ. ა-ა ხშირად გადაადგილდებოდა მოსაზღვრე ოკუპირებულ ტერიტორიაზე თხილის პლანტაციის მოსავლელად, რომელიც მათთვის ერთადერთ საარსებო წყაროს წარმოადგენდა. სწორედ ამიტომ ვერდახვდა ის მონიტორინგის თანამშრომლებს საცხოვრებელ ადგილზე. მათივე მოსაზრებით, საქმეში არსებული მტკიცებულებები უტყუარად

ადასტურებენ რ. ა-ასა და მისი ოჯახის ზუგდიდში ცხოვრების ფაქტს. კერძოდ, სასამართლოს მიერ შეფასების მიღმა დარჩა ასევე საქმეში დაცული ელექტრონურეგის საფასურის გადახდის ქვითრებიც.

კასატორები ასევე აღნიშნავენ, რომ სასამართლომ არ გაითვალისწინა საქმეში არასრულწლოვანთა მონაწილეობა მაშინ, როდესაც სადაც არ გამხდარა ის ფაქტი, რომ მათ არ გააჩნიათ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი.

კასატორის (მოპასუხის) – სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს მითითებით, მოსარჩელემ მონიტორინგისას განაცხადა, რომ 2008 წლიდან ცხოვრობს ზუგდიდში, ...ის ქ. №30-ში, ბინა №...-ში, ქირით. 2007-2008 წლებში ცხოვრობდა სოფელ ...ში. საჯარო რეესტრის ამონანერით ირკვევა, რომ ...ის ქუჩაზე მდებარე ბინის მესაკუთრეა ც.ჭ-ა. მოსარჩელის რძლის – 6. ხ-ის მშობლები ცხოვრობენ თავინთ საკუთრებაში, სოფელ ...ში. აპლიკაციაში მითითებულ მისამართზე არაერთხელ განხორციელდა მონიტორინგი, მათ შორის, ღამითაც, თუმცა მისამართზე სააგენტოს თანამშრომლებს არავინ ხვდებოდათ. სატელეფონო საუბრისას კი მოსარჩელე აცხადებდა, რომ სტუმრად იმყოფებოდა. მეზობლების განმარტებით, ბინაში მაცხოვრებლები თვეში ან ორ თვეში ერთხელ მოდიოდნენ, თუმცა 10 დღის წინ იყვნენ და რემონტი ჰქონდათ. გასაუბრება მოხდა ასევე კარის მეზობელთან – ფ.ქის ოჯახთან. მათ განმარტეს, რომ აღნიშნული ბინის მაცხოვრებლები იშვიათად მოდიოდნენ მითითებულ მისამართზე და არ იცნობდნენ.

კასატორის მოსაზრებით, საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა ის ფაქტი, რომ მოსარჩელე არ ცხოვრობს ნაქირავებ ბინაში და ცხოვრობს გალის რაიონში, სოფელ ...ში ოჯახთან ერთად. რაც შეეხება საკითხს, თუ რატომ არ მოხდა მისთვის შესაბამის კრიტერიუმში ქულის ჩამოკლება, კასატორი აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელეს ქულა არ ჩამოაკლო კომისიამ, რათა მას შესაძლებლობა მისცემოდა მისი საკითხი კიდევ ერთხელ განხილულიყო კომისიაზე. ქულის ჩამოკლების შემთხვევაში კი, არასაკმარის ქულათა ოდენობის გამო, კომისია საკითხს მოსარჩელის ბინით დაკმაყოფილების თაობაზე ვეღარ განიხილავდა. როგორც 2021 წლის 28 მაისის გასაუბრების ოქმიდან ირკვევა, მოსარჩელის მოთხოვნა კომისიამ კიდევ ერთხელ უკვე ზუგდიდში საცხოვრებელი ფართების განაწილების დროს განიხილა, მაგრამ მისი მისამართზე არყოფნის გამო ვერც ამჯერად შეძლო სააგენტომ საკითხის სრულყოფილად შესწავლა და საცხოვრებლით უზრუნველყოფის საკითხზე მსჯელობა, რადგან მოსარჩელე, როგორც სატელეფონო საუბრისას განმარტა, იმყოფებოდა გალში.

კასატორი მიიჩნევს, რომ მონიტორინგის მასალებით მოპოვებული

ინფორმაცია წარმოადგენს იმ ტიპის მტკიცებულებას, რაც საკმარისი საფუძველია იმისათვის, რომ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მი-ვიჩინოთ. ა-ას მიერ არსებითად მცდარი ინფორმაციის მიწოდება საც-ხოვრებელთან დაკავშირებით. სწორედ ამიტომ, მოსარჩელის ოჯახს უარი ეთქვა საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებაზე. კასატორის მოსაზრებით, სააგენტოს ქმედება კანონიერია და არ არსებობს დავის ადმინისტრაციულ ორგანიზი ხელახლა განხილვის საფუძველი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 25 ივლისისა და იმავე წლის 10 აგვისტოს განჩინე-ბებით რ. ა-ას, მ. ა-ას, ნ. ხ-ის, მა. ა-ას და სსიპ დევნილთა, ეკომიგრან-ტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს საკასაციო საჩივრები, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო, საქმის მასალებისა და საკასაციო საჩივ-რების საფუძვლიანობის შესწავლის შედეგად, მიიჩნევს, რომ რ. ა-ას, მ. ა-ას, ნ. ხ-ისა და მა. ა-ას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზ-რუნველყოფის სააგენტოს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილ-დეს, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც რ. ა-ას სარჩელი დაკმაყ-ოფილდება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ საქმეში მთა-ვარ სადაც საკითხს წარმოადგენს რ. ა-ას დევნილი ოჯახისთვის, მო-სარჩელის მიერ სააგენტოსთვის საცხოვრებელთან დაკავშირებით არ-სებითად მცდარი ინფორმაციის მიწოდების საფუძვლით, გრძელვადი-ანი საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე უარის თქმის კანონიერება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „საქართველოს ტერიტო-რიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის საბ-რძოლო მოქმედების ცალკეულ დევნილ ვეტერანთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესი“ დამტკიცებულია საქართველოს ოკუპირებუ-ლი ტერიტორიებიდან დევნილთა, მრომის, ჯანმრთელობისა და სოცია-ლური დაცვის მინისტრის 2019 წლის 4 ივლისის №01-52/ნ ბრძანებით. მითითებული წესის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, მოის ვე-ტერანის ოჯახი განიმარტება, როგორც განცალკევებულ საცხოვრე-ბელ ფართზე მუდმივად მცხოვრები ნათესაური ან არანათესაური კავ-შირის მქონე პირთა წრე, რომლებსაც აქვთ დევნილის სტატუსი (ოჯა-ხის წევრი შეიძლება იყოს არადევნილი პირიც) და რომლებიც ერთობ-

ლივად ეწევიან შინასამეურნეო საქმიანობას (ოჯახი შეიძლება იყოს ერთსულიანი), რომელიც, სამოქმედო გეგმის შესაბამისად, არ არის დაკმაყოფილებული საცხოვრებელი ფართით ან ერთჯერადი ფულადი დახმარებით დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში; ასეთ კატეგორიას მიეკუთვნებიან: ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანების დევნილი ოჯახები; საპრძოლო მოქმედებებში გარდაცვლილი დევნილი პირების ოჯახები, საპრძოლო მოქმედებებში გარდაცვლილი არადევნილი პირების დევნილი ოჯახები; იმ ვეტერანების დევნილი ოჯახები, რომლებსაც საპრძოლო მოქმედებების დროს მიღებული დაზიანებების შედეგად მიენიჭათ მკვეთრად, მნიშვნელოვნად ან ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი (I, II ან III ჯგუფი).

დასახელებული წესის სადაცვო პერიოდში მოქმედი რედაქციის მე-3 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, ომის ვეტერან დევნილთა საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე განაცხადის განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებაზე პასუხისმგებელია „დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 8 აპრილის №01-30/6 ბრძანების პირველი მუხლის მე-8 პუნქტით შექმნილი დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისია, რომელიც ამავე ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან სააგნეტოსათვის ამ მიზნით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში ანაწილებს დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველსაყოფად სააგნეტოსათვის გადმოცემულ ან სააგნეტოს მიერ შესყიდულ/რეაბილიტირებულ საცხოვრებელ ფართებს და არსებული რესურსის გათვალისწინებით, განსაზღვრავს იმ დევნილი ოჯახების კონტინგენტს, რომელთაც გაუკეთდებათ გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფისათვის კონკრეტული შეთავაზებები. მითითებული წესის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ბრძანებით დამტკიცებული კრიტერიუმების და ბრძანებით დამტკიცებული „გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის მიზნით, საცხოვრებელი ფართის საორიენტაციო სტანდარტები დევნილი ოჯახის წევრთა რიცხოვნობის გათვალისწინებით“ №7 დანართის შესაბამისად, დეპარტამენტი ახდენს განაცხადების დამუშავებას ამავე მუხლის მე-5-მე-8 პუნქტებით დადგენილი პროცედურით. დეპარტამენტი დამუშავებულ მასალას წარუდგენს კომისიას საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე განაცხადის დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით. ამავე მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, დეპარტამენტის განაცხადების მიღე-

ბისა და წინასარი შეფასების სამმართველოს ან/და, საჭიროების შემთხვევაში, სააგენტოს დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული დეპარტამენტის სხვა თანამშრომელი/თანამშრომლები საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე განაცხადს, მასზე თანდართულ დოკუმენტაციას, გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის თაობაზე შევსებულ კითხვარს, ასევე, მოპოვებული მონაცემების საფუძველზე თითოეული დევნილი ოჯახის მდგომარეობას აფასებს კრიტერიუმებისა და საცხოვრებელი ფართის საორიენტაციო სტანდარტების მეშვეობით, რის საფუძველზეც აღნიშნული სამმართველოს შესაბამისი თანამშრომელი ან/და, საჭიროების შემთხვევაში, სააგენტოს დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული დეპარტამენტის სხვა თანამშრომელი/თანამშრომლები აფასებს, ავსებს და ხელმოწერით ადასტურებს სააგენტოს დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებულ განაცხადის შეფასების ფორმას. თითოეული დევნილი ოჯახის მიერ შევსებული განაცხადი, მასზე თანდართულ დოკუმენტაციასთან და შესაბამის შეფასების ფორმასთან ერთად, ინახება ამ დევნილი ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის თაობაზე პირადი საქმის სახით. თუ აღნიშნული სამმართველოს ან/და სააგენტოს დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული დეპარტამენტის სხვა თანამშრომელი/თანამშრომლების მიერ განაცხადების შეფასებისას აღმოჩნდა, რომ დევნილის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია არის არსებითად მცდარი, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შეფასებაზე, განაცხადი რჩება განუხილველი, რის თაობაზეც დევნილ ოჯახს ეცნობება დეპარტამენტის უფროსის ან დეპარტამენტის განაცხადების მიღებისა და წინასარი შეფასების სამმართველოს უფროსის დასაბუთებული წერილობით აქტის მეშვეობით, ხოლო „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დეპარტამენტის მონიტორინგის სამმართველო ახდენს ამ პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად გადაცემული საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე განაცხადის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის თაობაზე შევსებული კითხვარის მიხედვით მინიჭებული ქულების გადამოწმებას, დევნილი ოჯახების საცხოვრებელი პირობებისა და საჭიროებების ადგილზე შესწავლასა და გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის თაობით უზრუნველყოფის მონიტორინგის ფორმის (დანართი №6) შედგენას, რომელსაც ხელს აწერენ მოცემული სამმართველოს შესაბამისი თანამშრომელ(ები) და დევნილი ოჯახის სრულწლოვანი წევრები. იმ შემთხვევაში, თუ კანონმდებლობის შესაბამისად, აღნიშნული სამმარ-

თველოს მიერ გადამოწმების საფუძველზე აღმოჩნდა, რომ შევსებულ კითხვარში წარდგენილი ინფორმაცია და დოკუმენტაცია არის არსები-თად მცდარი ან/და დევნილი ოჯახის მიერ მონიტორინგის დროს წარ-დგენილ იქნა დოკუმენტაცია, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მინი-ჭებულ ქულებზე, აღნიშნულის თაობაზე ინფორმაცია წარედგინება კო-მისიას, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

საკსაციო პალატა განმარტავს, რომ დევნილის მიერ წარდგენილი ინფორმაციის არსებითად მცდარად მიჩნევა დაკავშირებულია ისეთი სახის გარემოების დადგენასთან, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მინიჭებულ სტატუსსა და დევნილის სამართლებრივ მდგომარეობაზე. ცალსახაა, რომ აღნიშნული გარემოების დადგენა განეკუთვნება ფაქ-ტის საკითხს. მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპის მიხედვით, მტკი-ცების საგნის განსაზღვრა და ამ საგანში შემავალი ფაქტების დამტკი-ცების ტვირთი მხარეებზეა გადატანილი. ზოგადად, მტკიცების ტვირ-თი ეკისრება მას, ვინც ამტკიცებს და არა მას, ვინც უარყოფს („affirmanti, non negati, incumbit probatio“), ამიტომაც ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქ-ტორს წარმოადგენს მტკიცების ტვირთის მართებული გადანაწილება მოდავე მხარეებს შორის (სუსგ საქმეზე №26(კ-23) 01.05.2023წ.).

საქმის მასალების მიხედვით დასტურდება, რომ მოსარჩელე – რ. ა-ა არის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადა-ადგილებული პირი – დევნილი, ასევე, მოისა და სამხედრო ძალების ვეტერანი, რომელზეც გაცემულია შესაბამისი მოწმობა. მოსარჩელემ საცხოვრებელი ფართით ზურუნველყოფის თაობაზე განაცხადი შეავ-სო შვილთან – მ. ა-ასთან, რძალთან – ნ. ხ-ესთან (არადევნილი) და შვი-ლიშვილთან – მა. ა-ასთან ერთად. ასევე დადგენილია, რომ მოსარჩე-ლემ ფაქტობრივ მისამართად მიუთითა ზუგდიდი, ...ის ქუჩა №30, ბინა №... აღნიშნულ მისამართზე 2021 წლის 14 აპრილს განხორციელებული მონიტორინგის დროს მონიტორინგის თანამდებობის მისამართზე დახვდათ. ა-ა, რომლის განმარტებით, მითითებულ მისამართზე ცხოვ-რობს 2008 წლიდან ქირით. 2007-2008 წლებში ცხოვრობდა სოფელ ...ში. მოსარჩელის განმარტებით, მასთან ერთად მითითებულ მისამართზე ცხოვრობს შვილი, რძალი და შვილიშვილი, თუმცა გადამოწმების დროს მოსარჩელის გარდა მისამართზე არავინ იმყოფებოდა. საჯარო რეს-ტრის ამონანერის მიხედვით, ასევე ირკვევა, რომ ბინის მესაკუთრეა ც. ჭ-ა. მოსარჩელის რძლის – ნ. ხ-ის მშობლები კი ცხოვრობენ თავიანთ საკუთრებაში, სოფელ ...ში. მოსარჩელის განმარტებით, მისი შვილი და რძალი იმუამად სოფელ ...ში იმყოფებოდნენ. დადგენილია ასევე, რომ 2021 წლის 21 აპრილს მონიტორინგი განხორციელდა ზუგდიდის რაიო-ნის სოფელ ...ში, სადაც იმყოფებოდა მოსარჩელის რძლის – ნ. ხ-ის ძმის მეუღლე – მ. რ-ა. მისი განმარტებით, მოსარჩელის რძალი, მეუღლე და

შვილი მითითებულ მისამართზე ხშირად მოდიოდნენ და ცხოვრობდნენ, თუმცა მონიტორინგის დროს იმყოფებოდნენ ზუგდიდში, რ. ა-ას ბინა-ში, სადაც ქირით ცხოვრობდნენ. დაგენილია ასევე, რომ განმცხადებლის გადამოწმების მიზნით, 2021 წლის 28 მაისს დამატებითი ვიზიტი განხორციელდა მოსარჩელის ყოფილ მისამართზე – ზუგდიდის რაიონის სოფელ ...ში (...ში). მეზობლების განმარტებით, რ. ა-ა რამდენიმე წლის წინ გადავიდა ზუგდიდში და მას შემდეგ არ უნახავთ. 2021 წლის 28 მაისს მონიტორინგის ჯგუფი, დამატებითი მოკვლევის მიზნით, კი-დევ ერთხელ გამოცხადდა მოსარჩელის მიერ აპლიკაციაში მითითებულ მისამართზე (ზუგდიდი, ...ის ქ. №30, ბინა №...), სადაც კვლავ არავინ იმყოფებოდა. გასაუბრება მოხდა ზედა სართულის მეზობელთან, რომელმაც განუცხადა სააგენტოს თანამშრომლებს, რომ აქ მაცხოვრებლები თვეში ან ორ თვეში ერთხელ მოდიოდნენ. 10 დღის წინ იყვნენ სარემონტო სამუშაოების გამო. გაესაუბრნენ ასევე კარის მეზობელს – ფეხის ოჯახს. მათ განმარტეს, რომ ალნიშნული ბინის მაცხოვრებლები იშვიათად მოდიოდნენ მითითებულ მისამართზე და არ იცნობდნენ.

ასევე დადგენილია, რომ მონიტორინგის სამსახურის მიერ მოპოვებული ზემოაღნიშნული ინფორმაცია წარედგინა დევნილთა საკითხების განმხილველ კომისიას, რომელმაც იმსჯელა მოსარჩელის ოჯახის საცხოვრებლით უზრუნველყოფის საკითხზე და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის 2021 წლის 1 ივნისს მიღებული №34 საოქმო გადაწყვეტილებით მოსარჩელე რ. ა-ას განცხადება არ დააკმაყოფილა. ამ გადაწყვეტილების საფუძველზე კი, სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტომ 2021 წლის 28 ივნისს მიიღო №03-2433/ო ბრძანება მოსარჩელე რ. ა-ას ოჯახის ქალაქ ზუგდიდში გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფაზე უარის თქმის თაობაზე, საცხოვრებელთან დაკავშირებით არსებითად მცდარი ინფორმაციის სააგენტოსათვის მიწოდების გამო.

საქმის მასალებით ასევე დასტურდება, რომ ქალაქ ზუგდიდში საცხოვრებელი ბინებით დაკმაყოფილდნენ ის ვეტერანი დევნილი ოჯახები, რომელთაც წინასწარი შეფასებით მინიჭებული ჰქონდათ 3.0 და მეტი ქულა.

საკასაციო პალატა, საქმეზე დადასტურებული ფაქტობრივი გარე-მოებებიდან გამომდინარე, მიიჩნევს, რომ მოსარჩელეს, როგორც დევნილს, გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფაზე უარი ეთქვა არსებითად მცდარი ინფორმაციის წარდგენის და არა ქულათა არასაკმარისობის გამო. ამ სახის ინფორმაციად ადმინისტრაციულ-მა ორგანომ მიიჩნია საცხოვრებელთან დაკავშირებით მცდარი ინფორ-

მაციის წარდგენა, რის დასადასტურებლად დაასახელა მონიტორინგის ჯგუფის მოკვლევის მასალები, თუმცა კონკრეტულად არ მიუთითა და არ დაასაბუთა, რა ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით მიიჩნია, რომ განმცხადებელმა არასწორი ინფორმაცია მიაწოდა საცხოვრებელთან დაკავშირებით, იმ პირობებში, როდესაც 2021 წლის 14 აპრილს განხორციელებული მონიტორინგის დროს, მონიტორინგის თანამშრომლებს განაცხადში მითითებულ მისამართზე დახვდათ რ. ა-ა. ოჯახის სხვა წევრების მითითებულ მისამართზე არყოფნა კი ვერ ჩაითვლება მათი სხვა მისამართზე ცხოვრებად, მით უფრო, რომ ოჯახის სხვა წევრების განსხვავებული საცხოვრებელი ადგილის თაობაზე ინფორმაცია არც დამტებითი მონიტორინგის დროს არ გამოვლენილა.

საკასაციო სასამართლო დამატებით განმარტავს, რომ დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფა, სახელმწიფოს მხრიდან სოციალური პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტია. სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს პირისათვის ცხოვრების სტანდარტების შენარჩუნებაზე და უზრუნველყოფდეს, შესაბამისი უფლების სათანადოდ რეალიზებით, პირის საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულყოფილ მონაწილეობას. საქართველოს კონსტიტუცია ხაზს უსვამს სოციალური უფლებებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭებას. კონსტიტუციის მე-5 მუხლის თანახმად, საქართველო არის სოციალური სახელმწიფო. სახელმწიფო ზრუნავს საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობის, სოციალური თანასწორობისა და სოციალური სოლიდარობის პრინციპების განმტკიცებაზე. ამასთანავე, ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის საბრძოლო მოქმედების ცალკეულ დევნილობის გარანტირებაზე. მიზანი არის სოციალური რეგულირების მიზანს ემსახურება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 4 ივლისის №01-52/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების ცალკეულ დევნილ ვეტერანთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესი“. აღნიშნული „წესი“, პირთა განსაკუთრებულ წრესთან მიმართებაში ადგენს სოციალური დაცვის გარანტიებს და დეტალურად განსაზღვრავს უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან განსახორციელებელ ქმედებათა ერთობლიობას, რაც საფუძვლად უნდა დაედოს შესაბამისი ოჯახის საცხოვრებლით უზრუნველყოფის საკითხების დადებითად გადაწყვეტას. ამასთანავე, „წესი“ იმ შემთხვევაში გამორიცხავს დევნილი ოჯახების განაცხადების განხილვის შესაძლებლობას, როდესაც ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანების ოჯახები ერთხელ უკვე უზრუნველყოფილნი არიან საცხოვრებლით ან ერთჯერადი ფულა-

დი დახმარებით („ნესის“ მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი). განსახილველ შემთხვევაში, უდავოდ დადასტურებულია, რომ მოსარჩელე არ არის უზრუნველყოფილი სახელმწიფოსაგან არც ერთჯერადი ფულადი დახმარებით და არც მუდმივი საცხოვრებელი ფართით, როგორც ზემოაღნიშნული ბრძანებით გათვალისწინებული განსაკუთრებული სუბიექტი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის თანახმად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარა აქტად აღიარების, ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ სარჩელის წარდგენის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელმაც გამოსცა ეს აქტი. მითითებული ნორმიდან გამომდინარე, მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, ამტკიცოს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე და მისი გამოცემით არ დარღვეულა მოსარჩელის კანონიერი უფლებები. მოცემულ შემთხვევაში, მხოლოდ მოპასუხის მიერ მითითებული გარემოებები გასაჩივრებული აქტის კანონიერებას არ ადასტურებს. საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებების ურთიერთშეჯარებით დგინდება, რომ სადაც გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება კანონის მოთხოვნებს, პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას. სათანადო მტკიცებულებებზე მითითების გარეშე, უსაფუძვლოა მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მოსაზრება, იმასთან დაკავშირებით, რ. ა-ას ოჯახმა არასწორი ინფორმაცია მიაწოდა სააგენტოს საცხოვრებელთან დაკავშირებით, მით უფრო, რომ მარეგულირებელი აქტით ინფორმაცია ითვლება მცდარად, თუ ის გავლენას იქონიებს ქულების ანდა გადასაცემი ფართის ოდენობაზე. სხვა შემთხვევაში ინფორმაცია ვერ ჩაითვლება არსებითად მცდარად. აღნიშნულ ფაქტს კი, მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს. ამდენად, საქმეში არსებული მტკიცებულებების შეფასებისა და ურთიერთშეჯარების საფუძველზე, მიჩნეულ უნდა იქნეს, რომ არსებობს რ. ა-ას ოჯახის, როგორც ვეტერანი დევნილის საცხოვრებლით და კმაყოფილების საფუძველი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით მინიჭებულ უფლებამოსილებას სასამართლო იყენებს იმ შემთხვევაში, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმის გარემოებათა გამოკვლევის გარეშე და სასამართლო წესით ვერ ხერხდება ფაქტობრივი გარემოების დადგენა და შეფასება, შესაბამისად, შეუძლებელი ხდება სასამართლოს მიერ სადაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მატერიალური კანონიერების შეფასება. ამასთა-

ნავე, „...სასამართლოსათვის მინიჭებული საპროცესო უფლებამოსილება – უარი თქვას სადაც საკითხის მოწესრიგებაზე და აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალოს იმავე საკითხზე ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ შემთხვევაში უფლებამოსილებას..“ (სუს 19.10.2017წ. №პს-329-327(კ-17) განჩინება). ამდენად, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს: სახეზეა თუ არა შესაბამისი აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან გარემოებათა გამოკვლევის საჭიროების ნაცვლად, თავად სასამართლოს მხრიდან ფაქტობრივი გარემოებების სწორი სამართლებრივი შეფასებისა და გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მატერიალური კანონიერების შემოწმების აუცილებლობა. ამასთან, „...გარდა იმისა, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენება სასამართლოს მხრიდან სადაც საკითხის მატერიალური კანონიერების შეფასების შეუძლებლობას უნდა დაუკავშირდეს, გათვალისწინებულ უნდა იქნეს შესაბამისი დავის სასამართლო წესით გონივრულ ვადაში დასრულების ინტერესი. საქმის გონივრულ ვადაში, ეფუძნებანად განხილვა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია. საქმის განხილვის ვადის გონივრულობის შეფასებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საქმის სირთულე, მოდავე მხარეების და შესაბამისი კომპეტენტური უწყებების ჩართულობა, ასევე საქმის განხილვის შედეგი დაინტერესებული მხარეებისათვის..“ (სუს 2020 წლის 17 სექტემბრის №პს-1198(კ-19) განჩინება).

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენებით დავის გადაწყვეტა არ პასუხობს ზემოაღნიშნულ პრინციპებს. საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, სასამართლო წესით სრულად შესაძლებელია სადაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მატერიალური კანონიერების შეფასება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს, ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის

გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში, მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ამ კოდექსის 22-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის შესახებ თუ ადმინისტრაციული აქტი ენინააღმდეგება კანონს და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას, ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდვას მას. ამავე კოდექსის 33-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარი კანონს ენინააღმდეგება ან დარღვეულია მისი გამოცემის ვადა და ეს პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, სასამართლო ამ კოდექსის 23-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს, გამოსცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

ზემოაღნიშნული მსჯელობისა და მითითებული სამართლებრივი ნორმების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არსებობს სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2021 წლის 28 ივნისის №03-2433/ო ბრძანების ბათილად ცნობისა და მოპასუხისათვის ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების საფუძველირ. ა-ას დევნილი ოჯახის საცხოვრებელი სახლით უზრუნველყოფის თაობაზე. ამდენად, სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველია არ არსებობს, ხოლო რ. ა-ას, მ. ა-ას, ნ. ხ-ისა და მა. ა-ას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს; გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 25 ნოემბრის განჩინება და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე, საქმეზე მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი დაკმაყოფილდება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართვე-

ლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა:**

1. სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. რ. ა-ას, მ. ა-ას, ნ. ხ-ისა და მა. ა-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოლდეს;
3. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 25 ნოემბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
4. რ. ა-ას სარჩელი დაკმაყოფილდეს;
5. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2021 წლის 28 ივნისის №03-2433/ო ბრძანება;
6. სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დაევალოს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, რ. ა-ას დევნილი ოჯახის საცხოვრებლით უზრუნველყოფის თაობაზე;
7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# დევილი მჯახის ნირვანაში შენობაში ძროებით არყოფნის გამო განსახლებაზე უარის თქმის კანონიერება

## გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-1007(23-22)

28 ნოემბერი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: გ. აბუსერიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
გ. ვაჩაძე,  
ბ. სტურუა

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრი-  
ვი აქტების ბათილად (ცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაცი-  
ულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

### აღნერილობითი ნაწილი:

ჯ. ჯ-ამ 2021 წლის 23 თებერვალს სარჩელით მიმართა თბილისის  
საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სსიპ  
დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის  
სააგენტოს მიმართ, ამავე სააგენტოს დირექტორის 2021 წლის 27 იან-  
ვრის №03-100/ო ბრძანების ბათილად ცნობისა და ახალი ინდივიდუა-  
ლური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალე-  
ბის მოთხოვნით. 2021 წლის 24 მაისს წარდგენილი დაზუსტებული სარ-  
ჩელით მოსარჩელედ ჯ. ჯ-ასთან ერთად მიეთითა უ. ქ-ა და საბოლოოდ  
მოითხოვეს „დევნილი ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნ-  
ველყოფაზე უარის თქმის თაობაზე“ სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა  
და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დირექტორის 2021  
წლის 27 იანვრის №03-100/ო ბრძანებისა და ამავე ბრძანებაში  
ცვლილების შეტანის თაობაზე სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და სა-  
არსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დირექტორის 2021  
წლის 23 აპრილის №03-1583/ო ბრძანების ბათილად ცნობა, ასევე მო-  
ბასუხისათვის ჯ. ჯ-ასა და მისი ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებელი  
ფართით დაკმაყოფილების თაობაზე ახალი ინდივიდუალური ადმინის-  
ტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება.

სარჩელის მიხედვით ირკვეოდა, რომ ჯ. ჯ-ა და უ. ქ-ა არიან აფხაზე-  
თიდან, კერძოდ გალიდან იძულებით გადაადგილებული პირები, დევ-  
ნილები. 1998 წლიდან, მუდმივად ცხოვრობდნენ ქ. ზუგდიდში, ...ს ქ.  
№...-ში, ყოფილი ...ის ავარიულ და ნგრევად შენობაში შვილებთან - ქ. ჯ-  
ასა და ნ. ჯ-ასთან ერთად.

მრავალნლიანი მუშაობის შემდგომ, ზუგდიდში, დევნილთა საკითხების შემსწავლელმა კომისიამ, იძულებით გადაადგილებული ოჯახებისათვის ბინების განაწილების საკითხზე დაასრულა მუშაობა და კომისიის გადაწყვეტილებით, სამეგრელოს რეგიონში დევნილთა საცხოვრებელი 68 ნგრევადი შენობა იხურება, მათ შორის ჩვენი საცხოვრებელი შენობაც. შესაბამისად, აღნიშნულ ობიექტებში მცხოვრებ დევნილ ოჯახებს ბინები გადაეცემათ ახალშენებულ კორპუსებში, კრიტიკულების გარეშე.

აღნიშნული მიზნით, 2020 წლის 24 ივნისს განხორციელდა ვიზიტი მოსარჩელეების საცხოვრებელ ფართში, სადაც მონიტორინგის განმახორციელებლებს სახლში დახვდათ მოსარჩელეთა შვილები – ქ. და ნ. ჯ-აები, ვინაიდან ჯ. ჯ-ა იმყოფებოდა გალში, დედასთან, რომელსაც მისი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე პერიოდულად ესაჭიროება მედიკამენტების მიწოდება. მოსარჩელეების ადგილზე არყოფნის გამო, ადმინისტრაციულმა ორგანომ მიჩნია, რომ ისინი არ ცხოვრობდნენ მითითებულ მისამართზე, თუმცა საქმეში წარმოდგენილი მეზობლების ჩვენებით, ჟ. ქ-ას სამუშაო ადგილიდან ცნობითა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის მიერ გაცემული ცნობით დადასტურებულია ოჯახის ზუგდიდში, ...ს.ქ. №....-ში ცხოვრების ფაქტი. ამასთან, ზუგდიდში მდებარე...ისა და ...ის მიერ გაცემული ცნობებით, დასტურდება მოსარჩელეთა შვილების მშობლებთან ერთად ქ. ზუგდიდში, ...ს. №....-ში ცხოვრების ფაქტი, რაც მოსარჩელეთა მოსაზრებით არ გაითვალისწინა მოპასუხემ და მიიღო უკანონო და უსაბუთებელი გადაწყვეტილება ნგრევად ობიექტში ფაქტობრივად არცხოვრების მოტივით „დევნილი ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე უარის თქმის თაობაზე“.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგის 2021 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილებით ჯ. ჯ-ას და ჟ. ქ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დირექტორის 2021 წლის 27 იანვრის №03-100/ო და 2021 წლის 23 აპრილის №03-1583/ო ბრძანებები და მოპასუხე სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, სადაც საკითხთან დაკავშირებით ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა, რაც მხარეებმა სააპელაციო წესით გაასაჩივრეს.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ სადაც ვა პერიოდში მოქმედი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადა-

ადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანებით დამტკიცებული „დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის“ მე-6 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ნგრევად ობიექტებში დევნილი ოჯახების ცხოვრების ფაქტი დგინდება სააგენტოს მიერ განხორციელებული აღნერის შედეგების საფუძველზე.

საქალაქო სასამართლომ საქმეში წარმოდგენილი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს „დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის“ 2020 წლის 3 დეკემბრის №77 სხდომის ოქმისა და ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის საფუძველზე დადგენილად მიიჩნია, რომ ქ. ზუგდიდში, ...ს ქ. №...-ში (...ი) მდებარე შენობა წარმოადგენდა დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტს, განიხილებოდა როგორც ნგრევადი ობიექტი, შესაბამისად, იქ მცხოვრები დევნილების საკითხი განიხილებოდა კრიტერიუმების გარეშე.

სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ აღნიშნულ მისამართზე 2020 წლის 26 ივნისს განხორციელდა ფაქტობრივად მცხოვრები დევნილი ოჯახების აღნერა; აღნერის ფორმაში მოსარჩელეთა ოჯახის წევრებად მითითებული არიან: ქ. ჯ-ა (ოჯახის უფროსი); ნ. ჯ-ა (და); ჯ. ჯ-ა (მამა); ქ. ქ-ა (დედა). 2020 წლის 26 ივნისს, მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენლებს ხსენებულ მისამართზე დახვდათ მხოლოდ ქ. და ნ. ჯ-აები. აღნერის ფორმაში ქ. ჯ-ასა და ქ. ქ-ას გრაფაში მითითებულია, რომ იმყოფებოდნენ გალის რაიონის სოფ. ....ში. მონიტორინგის ფორმა შეივსო ქ. ჯ-ასთან გასაუბრების შედეგად, რომელმაც განმარტა, რომ მის ოჯახს საცხოვრებელი ფართი მოკავებული აქვს 1993 წლიდან. ბებია (ქ.-ს დედა) – ლ. რ-ა ცხოვრობს ...ში შეილთან – ქ.-სთან და რძალთან – ქ.-სთან ერთად. როგორც ქ. ჯ-ამ განმარტა, მისი მშობლები პერიოდულად ცხოვრობენ ზემოაღნიშნულ მისამართზე. ქ.-ს და ნ.-ს სხვა დედმამიშვილები არ ჰყავთ.

მითითებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ მოპასუხება, რომელიც წარმოადგენს დევნილთა განსახლების საკითხზე პასუხისმგებელ უწყებას, ვალდებულია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გულისხმიერად და სრული პასუხისმგებლობით მიუდგეს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს – ზედმინევნით ზუსტად განსაზღვროს სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემცველ ნგრევად ან საცხოვრებლად უვარგის შენობაში დევნილთა ოჯახების ცხოვრების ფაქტი, რაც უნდა განახორციელოს საქმის გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევის გზით. მიუხედავად ამისა, ქ. ჯ-ას და ქ. ქ-ას ნგრევად ობიექტში ფაქტობრივად

არცხოვრების მოტივით, ისე ეთქვათ უარი გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფაზე, რომ მხოლოდ ერთჯერადი ვიზიტის საფუძველზე, დაადგინა ნგრევად შენობაში მოსარჩელეთა არცხოვრების ფაქტი და თანაც ისე, რომ სადავო გადაწყვეტილებებიდან არ ირკვევა, თუ რა ფაქტობრივ გარემოებებს დაეყრდნო კომისია, მით უფრო მაშინ, როდესაც საქმეში წარმოდგენილი ქალაქ ზუგდიდის ...ის ადმინისტრაციულ ერთეულში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის მიერ 2021 წლის 11 თებერვალს გაცემულია ცნობა ჯ. ჯ-ას 1998 წლიდან 11.02.2021 წლამდე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქ. ზუგდიდის ...ის ადმინისტრაციულ ერთეულში, ...ს ქ. №...-ში ცხოვრების შესახებ; შპს „ზ...ის“ დირექტორის მიერ 2021 წლის 22 თებერვალს გაცემული ცნობით დასტურდება, რომ უ. ქ-ა მუშაობდა ზუგდიდის შპს „ზ...ის“ ყველის სარეალიზაციო უბანში ხელშეკრულებით 2015 წლიდან 2021 წლის ჩათვლით; სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან ამონანერში ოჯახის მუდმივ საცხოვრებელ ადგილად მითითებულია მისამართი – ქ. ზუგდიდი, ...ს ...ის შენობა ... სართული, ხოლო ოჯახის წევრებად მითითებული არიან: ჯ-ა ჯ.; ქ-ა ქ.; ჯ-ა ა.; ასევე, სანოტარო წესით დამონბებული ჩვენებით, ქ. ზუგდიდი, ...ს ქ. №...-ში მცხოვრები დევნილი პირები – ტ. რ-ა, გ. ჭ-ა და მ. ფ-ა ადასტურებენ, რომ 1998 წლიდან ჯ. ჯ-ა და მისი ოჯახი, მეუღლე უ. ქ-ა, შვილები ქ. და ნ. ჯ-აები ჩანერილები არიან და ცხოვრობენ ზემოაღნიშნულ მისამართზე და მათ სხვა საცხოვრებელი არ გააჩნიათ.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო ადმინისტრაციული წარმოებისას გამოეკვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიეღო ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯარების საფუძველზე, რაც განსახილველ შემთხვევაში არ განხორციელებულა, შესაბამისად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე სადავო საკითხის გადაუწყვეტლად, ბათილად ცნო სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები და დაავალა ადმინისტრაციულ ორგანოს, საქმის ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ დასაბუთებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

თბილისის სააპელაციო სასამართლო სრულად დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ არსებობდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენების წინაპირობები, შესაბამისად, 2022 წლის 13 მაისის განჩინებით სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყა-

როებით უზრუნველყოფის სააგენტოსა და ჯ. ჯ-ასა და უ. ქ-ას სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 13 მაისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს როგორც მოსარჩელებმა – ჯ. ჯ-ამ და უ. ქ-ამ, ასევე მოპასუხესის დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტომ.

სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს საკასაციო საჩივარში აღნიშნულია, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე, 96-ე მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად, სააგენტომ მის ხელთ არსებული ყველა რესურსი გამოიყენა საკითხის სრულყოფილად შესასწავლად, კერძოდ, 2020 წლის 3 დეკემბერს დევნილთა საკითხების შემსწავლელმა კომისიამ (სხდომის ოქმი №77) ზუგდიდში, ...ს ქ. №...-ში მდებარე „...ის“ ნგრევად ობიექტში მცხოვრები დევნილების განსახლების საკითხი განიხილა კრიტიკულების გარეშე და ჯ. ჯ-ას და უ. ქ-ას უარი ეთქვათ საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფაზე ნგრევად ობიექტში ფაქტობრივად არცხოვორების გამო. მოსარჩელეთა მიმართ მიღებული უარყოფითი გადაწყვეტილება, თავის მხრივ ეფუძნება აღნიშნულ ობიექტში ფაქტობრივად მცხოვრები დევნილი ოჯახების აღწერის მასალებს, რომელიც ჩატარდა 2020 წლის 26 ივნისს.

სადაც პერიოდში მოქმედი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანებით დამტკიცებული „დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის“ შესაბამისად ჩატარებული მონიტორინგისას, ჯ. ჯ-ას შვილთან ქ. ჯ-ასთან გასაუბრების შედეგად მოპოვებული ინფორმაციით სააგენტომ დადგენილად მიიჩნია, რომ ჯ. ჯ-ა და უ. ქ-ა ცხოვრობდნენ გალში, სოფ. ...ში ჯ.-ს დედასთან ლ. რ-ასთან. შესაბამისად, კასატორის სთვის გაუგებარია სასამართლოს მითითება, საკითხის ხელახლა გამოკვლევაზე, მაშინ როდესაც ზემოხსენებული „წესის“ მე-4 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, კრიტერიუმების გარეშე ხდება იმ დევნილი ოჯახების გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა, რომლებიც ცხოვრობენ სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის შემცველ ნგრევად და/ან საცხოვრებლად უვარის მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემულ საცხოვრებელ ფართობში (ყოფილ დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტში). ამდენად, ნგრევადი კომპაქტური ობიექტის დახურვის დროს სააგენტოს გამოჰყავს იქ ფაქტობრი-

ვად მცხოვრები დევნილი ოჯახები და ასახლებს მათ კრიტერიუმების გარეშე. ოჯახისთვის მსგავსი პრივილეგიის მინიჭება და ქულათა გარეშე მისი განსახლება ერთადერთ მიზანს ემსახურება, რომ იქ მცხოვრები ადამიანების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას არ შეექმნას საფრთხე. თუ დევნილი ოჯახის ფაქტობრივად ცხოვრების ფაქტი არ დასტურდება ნგრევად ობიექტში, სააგნენტო ვერ ჩააყენებს დევნილ ოჯახს სხვა დევნილ ოჯახებთან შედარებით პრივილეგირებულ მდგომარეობაში და კრიტერიუმების და ქულათა სისტემის გარეშე ვერ განასახლებს მას. ამრიგად, გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველსაყოფად ერთ-ერთი აუცილებელი პირობას ნგრევად ობიექტში ცხოვრება, რაც მოსარჩელეთა შემთხვევაში არ დადასტურდა, ხოლო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლი ადმინისტრაციულ ორგანოს უკრძალავს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ რამე მოქმედების განხორციელების შესაძლებლობას.

კასატორის განმარტებით სააგნენტომ სასამართლოს წარუდგინა მონიტორინგის მასალები და არსებობდა გრივრული მოლოდინი, რომ მშობლების საცხოვრებელთან დაკავშირებით ქ. ჯ-ა სრულ და ამომწურავ ინფორმაცია ფლობდა. ალნიშნული კი, თავისი თავად გამორიცხავდა სააგნენტოს მხრიდან რაიმე დამატებითი მოკვლევის განხორციელებას. მითითებული გარემოებებიდან გამომდინარე, ჯ. ჯ-ას და უ. ქ-ას, მათ ნგრევად ობიექტში ფაქტობრივად არცხოვრების გამო, უარი ეთქვათ კრიტერიუმების გარეშე გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე, ხოლო რაც შეეხებათ მათ შვილებს, დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის 2020 წლის 03 დეკემბრის (ოქმი №77) გადაწყვეტილებით 2020 წლის 07 დეკემბერს გაიცა ადმინისტრაციული დაპირება №03/19328, რომლის მიხედვითაც ერთოთახიანი ბინით, კრიტერიუმების გარეშე დაკავყოფილდებიან ქ. და ნ. ჯ-აები.

კასატორი ასევე აღნიშნავს, რომ ტექნიკური ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით სააგნენტოს მიერ 2021 წლის 27 იანვარს გამოცემულ №03-100/ობრძანებაში 2021 წლის 23 აპრილის №03-1583/ო ბრძანებით ცვლილება შევიდა და ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი სახით. „დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის 2020 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილების საფუძველზე (ოქმი 077), ჯ. ჯ-ას პ/ნ ... და უ. ქ-ას პ/ნ ... ნგრევად ობიექტში ფაქტობრივად არცხოვრების გამო, უარი ეთქვას ზუგდიდის მუნიციპალიტეტში გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფაზე.“ ცვლილება განხორციელდა იქიდან გამომდინარე, რომ კრიტერიუმების გარეშე გრძელვადიანი განსახლებისას სააგნენტოს ნგრევადი იბიექტიდან ფაქტობრივად მაცხოვრებელი დევნილები გაჰყავს და არა მხარის განაცხადით/აპლიკაციით გათვალისწინებული პირები.

საკასაციო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, ადმინისტრაციულმა ორგანომ გადაწყვეტილების მიღებისას დაიცვა კანონის ყველა მოთხოვნა, კერძოდ, გამოიკვლია საქმის გარემოებები, მხარეებს მიცემათ შესაძლებლობა წარმოედგინათ საკუთარი მოსაზრებები, ჩატარდა სრულყოფილი ადმინისტრაციული წარმოება, რა დროსაც დადასტურდა, რომ არსებობდა ჯ. ჯ.-ას ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფაზე უარის თქმის საფუძველი, შესაბამისად, სადავო ბრძანებები კანონიერია და არ არსებობდა საკითხის ხელახლა გამოკვლევის დავალების წინაპირობები.

კასატორების – ჯ. ჯ.-ას და უ. ქ.-ას განმარტებით, სასამართლომ მიუხედავად იმისა, რომ ფაქტობრივად დაადგინა მათი ზუგდიდში ცხოვრების ფაქტი და გასაჩივრებული გადაწყვეტილებით ადმინისტრაციულ ორგანოს მიუთითა აღნიშნულზე, მათი სარჩელი არა სრულად, არამედ ნაწილობრივ დააკმაყოფილა.

კასატორების მითითებით, მათი ნგრევად ობიექტში ცხოვრების ფაქტი დასტურდება არაერთი მტკიცებულებით, მათ შორის, ქ. ზუგდიდის ...ის ადმინისტრაციულ ერთეულში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის 2021 წლის 11 თებერვლის №40 ცნობით; ამონა-წერით სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზი-დან, რომელშიც იჯახის მუდმივ საცხოვრებელ ადგილად მითითებულია მისამართი: ქ. ზუგდიდი, ...ს ქუჩა, ...ის შენობა, მე-... სართული. შეს „ზ...ის“ დირექტორის 2021 წლის 22 თებერვლის №3 ცნობით დადასტურებულია, რომ უ. ქ.-ა მუშაობს ზემოაღნიშნულ მარკეტში.

კასატორების განმარტებით, საქართველოს სტრატეგია დევნილებთან მიმართებაში და ამ სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს დევნილთა საცხოვრებელი პირობების გრძელვადიან გადაწყვეტას, სახელმწიფოზე მათი დამოკიდებულების შემცირება-სა და დაუცველი დევნილების სახელმწიფო სოციალურ პროგრამებში მათ ინტეგრირებას, ობიექტური და გამჭვირვალე კრიტერიუმების საფუძველზე. სასამართლომ უგულებელყო საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლით დაცული სასამართლოსთვის მიმართვისა და საქმის დროული განხილვის უფლება, არ გაითვალისწინა ზემოაღნიშნული და სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილებით, მიღლო უკანონო გადაწყვეტილება, რადგან საქმის ადმინისტრაციულ ორგანოში ხელახლა განსახილველად დაბრუნება გამოიწვევს საქმის განხილვის დროში გაჭიანურებას, მაშინ როდესაც დრო კასატორებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, კერძოდ, მათი ფაქტობრივი საცხოვრებელი დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტია, განიხილება როგორც ნგრევადი და მათი სიცოცხლის და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველია, აქედან გამომდინარე, კასატორებს მიაჩინათ, რომ სასარჩელო

მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს სრულად და მოპასუხეს უნდა დაევალოს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივის აქტის გამოცემა ჯ. ჯ-ას და ჟ. ქ-ას საცხოვრებლით უზრუნველყოფის შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 26 სექტემბრის განჩინებით სსიპ დევნილთა, ეკო-მიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს, ჯ. ჯ-ასა და ჟ. ქ-ას საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა ზეპირი მოსმენის გარეშე, არსებითად განსახილველად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, გასაჩივრებული განჩინებისა და საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ჯ. ჯ-ასა და ჟ. ქ-ას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 13 მაისის განჩინება და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე, საქმეზე მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე, შემდეგ გარემოებათა გამო:

„განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელეთა მიერ გასაჩივრებულია „დევნილი ოჯახისათვის გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფაზე უარის თქმის შესახებ“ სააგენტოს დირექტორის 2021 წლის 27 იანვრის №03-100/ო ბრძანება და ამავე ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ 2021 წლის 23 აპრილის №03-1583/ო ბრძანება. სადაც აქტებით მოსარჩელებს უარი ეთქვათ საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებაზე ნგრევად ობიექტში არ ცხოვრების მოტივით, ამდენად, საკასაციო პალატის მსჯელობის საგანია სწორედ, აღნიშნული აქტების შესაბამისობა საკითხის მომწერიგებელ სამართლებრივ ნორმებსა და დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებაში.

საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლზე, რომლის თანახმად საქართველო არის სოციალური სახელმწიფო. სახელმწიფო ზრუნავს საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობის, სოციალური თანასწორობისა და სოციალური სოლიდარობის პრინციპების განმტკიცებაზე. სახელმწიფო ზრუნავს ადამიანის ჯანმრთელობისა და სოციალურ დაცვაზე, საარსებო მინიმუმითა და ღირსეული საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე, ოჯახის კეთილდღეობის დაცვაზე, რაც თავის მხრივ მოიცავს უბინაოდ დარჩენილი დევნილი ოჯახის სათანადო საცხოვრებლით უზრუნველყოფის ვალდებულებას,

ხოლო კონსტიტუციის მითითებული ჩანაწერის რეალიზების საშუალებას იძლევა „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონი. მითითებული კანონის მე-4 მუხლის „ო“ ქვეპუნქტის მიხედვით, დევნილის გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფა არის დევნილის სტატუსიდან გამომდინარე, დევნილი ოჯახის განსახლების მიზნით მისთვის სახელმწიფო ორგანოების, მუნიციპალიტეტების, საერთაშორისო, დონორი ან ადგილობრივი ორგანიზაციების, ფიზიკური ან კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ საცხოვრებელი ფართობის საკუთრებაში გადაცემა ან სანაცვლოდ მისი სათანადო ფულადი ან სხვა სახის დახმარებით უზრუნველყოფა, ხოლო ამავე კანონის მე-13 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების თანახმად, იძულებითი გადაადგილებისას უსახლესაროდ დარჩენილ დევნილს სამინისტრო სხვა შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან ერთად უზრუნველყოფს სათანადო საცხოვრებლით. ამასთან, დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფა ხდება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე, ხოლო გამონაკლისის სახით კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს კრიტერიუმებს შეფასების გარეშე დევნილთა განსახლებას მათი ნგრევად ობიექტში ცხოვრების დადასტურების შემთხვევაში.

მითითებული სამართლებრივი ნორმების ანალიზის შედეგად, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სახელმწიფოს განსაკუთრებული ვალდებულებები აკისრია დევნილთა მიმართ, კერძოდ, ის სხვა შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან ერთად, ვალდებულია დევნილი ოჯახი უზრუნველყოს გრძელვადიანი საცხოვრებლით, შექმნას მათი ღირსეული განსახლებისათვის აუცილებელი პროცედები. სწორედ, ამ მიზნის უზრუნველსაყოფად საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანების პირველი პუნქტით დატკიცდა „დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის წესი“ (დანართი №1). მითითებული წესის მე-6 მუხლის მე-10 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ითვალისწინებდა დევნილი ოჯახების გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის საკითხის განხილვისას დადგენილი კრიტერიუმების გარეშე ნგრევად ობიექტში მცხოვრები ოჯახებისათვის პრიორიტეტის მინიჭებას. ანალოგიურ მოწესრიგებას შეიცავს და დევნილი ოჯახების გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის საკითხის განხილვისას დადგენილი კრიტერიუმების გარეშე ნგრევად ობიექტში მცხოვრები ოჯახებისათვის პრიორიტეტის მინიჭებას ითვალისწინებს დღეს მოქმედი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 8 აპრილის №01-30/6 ბრძა-

ნებით დამტკიცებული „დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის“ მე-6 მუხლის მე-10 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი. ამდენად, პალატა განმარტავს, რომ იმ შემთხვევაში, თუ შენობა, რომელშიც დევნილი ოჯახი ცხოვრობს, წარმოადგენს ნგრევადსაშიშს, უპირატესობა ენიჭება ოჯახის უსაფრთხოებას და კანონმდებლობა ითვალისწინებს ქულათა მიუხედავად, კრიტერიუმების გარეშე, დევნილი ოჯახის დაუყოვნებლივ გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფას, რისთვისაც აუცილებელია დადასტურდეს დევნილი ოჯახის ნგრევადსაშიშ შენობაში ფაქტობრივად ცხოვრება და დროებით ადგილზე არ ყოფნა არ შეიძლება გახდეს განსახლებაზე უარის თქმის საფუძველი. საკასაციო პალატა ბუნებრივად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ შესაძლოა ნგრევად ობიექტში მცხოვრებ პირს, საკუთარი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, დროის რაღაც მონაკვეთში მოუწიოს ასეთი საცხოვრებლის დატოვება (ნათესავებთან თავის შეფარება, დაქირავებულ საცხოვრებელში გადასვლა და ა.შ.), თუმცა აღნიშნული არ გულისხმობს იმას, რომ ასეთ შემთხვევაში პირმა მიატოვა განსახლების ადგილი, არ წარმოადგენს ნგრევად ობიექტში მაცხოვრებელს და შესაბამისად, არ უნდა მიენიჭოს პრიორიტეტი სახელმწიფოს მიერ დევნილთა საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებისას.

მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოსარჩელები – ჯ. ჯ-ა და უ. ქ-ა არიან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული პირები – დევნილები, რომლებზეც გაცემულია იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის მოწმობები. მათი საცხოვრებელი მისამართია, ზუგდიდი ...ს №..., მე-... სართული, ...ის „შენობა. საქმეში წარმოდგენილი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა ყდა სოციალური დაცვის სამინისტროს „დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის“ 2020 წლის 3 დეკემბრის №77 სხდომის ოქმითა და ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ქსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით დადასტურებულია და მხარეები სადავოდ არ ხდიან იმ გარემოებას, რომ ქ. ზუგდიდში, ...ს №...-ში მდებარე „...ის“ შენობა წარმოადგენს ნგრევად ობიექტს, მიმდინარეობს აღნიშნული ობიექტიდან მოსახლეობის გაყვანა და მათი გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფა.

2020 წლის 26 ივნისს, მისამართზე – ქ. ზუგდიდი, ...ს ქ. №...-ში (...ი“) მდებარე ობიექტში განხორციელდა ფაქტობრივად მცხოვრები დევნილი ოჯახების აღნერა. აღნერის ფორმაში მოსარჩელეთა ოჯახის წევრებად მითითებული არიან: ქ. ჯ-ა (ოჯახის უფროსი); ნ. ჯ-ა (და); ჯ. ჯ-ა (მამა); უ. ქ-ა (დედა). მონიტორინგისას, შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლებს მისამართზე დახვდათ მხოლოდ ქ. და ნ. ჯ-აები. აღნე-

რის ფორმაში ჯ. ჯ.-ასა და ჟ. ქ-ას გრაფაში მითითებულია, რომ იმყოფებოდნენ გალის რაიონის, სოფ. ...ში. ქ. ჯ-ასთან შედეგად გასაუბრების შედგენილი მონიტორინგის ფორმის თანახმად ირკვევა, რომ მის ოჯახს ფართი მოკავებული აქვთ 1993 წლიდან. ის და ნ. დაოჯახებულები არ არიან. ფართი თავიდან მოკავებული ჰქონდა მათ ბებია-ბაბუას. მისი ბაბუა (ჯ. -ს მამა) – მ. ჯ-ა გარდაიცვალა 2019 წელს გალის რაიონის სოფ. ...ში. ბებია (ჯ. -ს დედა) – ლ. რ-ა ცხოვრობს ...ში შვილთან -ჯ. -სთან და რძალთან – ჟ. -სთან ერთად. როგორც ქ.-მ განმარტა, მისი მშობლები პერიოდულად ცხოვრობენ ზემოაღნიშნულ მისამართზე.

მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ დევნილი ოჯახის მონიტორინგის შედეგად დაადგინა, რომ მოსარჩელეთა ოჯახი რეალურად არ ცხოვრობდა სადაც ფართში, რის გამოც სააგენტოს დირექტორის 2021 წლის 27 იანვრის №03-100/ო ბრძანებით, დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის 2020 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილების საფუძველზე (ოქმი №77), ჯ. ჯ-ას (განაცხადით გათვალისწინებულ პირებს) ნგრევად ობიექტში ფაქტობრივად არცხოვრების მოტივით, უარი ეთქვა საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე. საგულისხმოა, რომ აღნიშნული ბრძანებით განმცხადებლად მხოლოდ ჯ. ჯ-ა მიეთითა, თუმცა სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დირექტორის 2021 წლის 23 აპრილის №03-1583/ო ბრძანებით 2021 წლის 27 იანვრის №03-100/ო ბრძანებაში შეტანილ იქნა ცვლილება და ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რეაქციით: დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის 2020 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილების საფუძველზე (ოქმი №77), ჯ. ჯ-ას და ჟ. ქ-ას ნგრევად ობიექტში ფაქტობრივად არცხოვრების გამო, უარი ეთქვათ ქ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფაზე.

საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს საქმეში წარმოდგენილ ქალაქ ზუგდიდის ...ის ადმინისტრაციულ ერთეულში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის მიერ 2021 წლის 11 თებერვალს გაცემულ №04 ცნობაზე, რომლითაც დასტურდება ჯ. ჯ-ას 1998 წლიდან 11.02.2021 წლამდე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქ. ზუგდიდის ...ის ადმინისტრაციულ ერთეულში, ...ს ქ. №...-ში ცხოვრების ფაქტი. გარდა ამისა, შპს „ზ...ის“ დირექტორის მიერ 2021 წლის 22 თებერვალს გაცემული ცნობით ირკვევა, რომ ჟ. ქ-ა მუშაობს ზუგდიდის შპს „ს...ის“ ყველის სარეალიზაციო უბანში ხელშეკრულებით 2015 წლიდან 2021 წლის ჩათვლით, ხოლო სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან ამონანერით, ოჯახის მუდმივ საცხოვრებელ ადგილად მითითებულია მისამართი – ქ. ზუგდიდი, ...ს ...ის შენობა ... სართული, ხოლო ოჯახის წევრებად მითითებულნი არიან: ჯ-ა ჯ., ქ-ა ჟ.,

ჯ-ა ქ., ჯ-ა ნ.. აღსანიშნავია, რომ საქმეში დაცულია სანოტარო წესით დამონზებული ჩვენება, რომელშიც ქ. ზუგდიდი, ...ს ქ. №...-ში მცხოვ-რები დევნილი პირები - ტ. რ-ა, გ. ჭ-ა და მ. ფ-ა ადასტურებენ, რომ 1998 წლიდან ჯ. ჯ-ა და მისი ოჯახი, მეუღლე ჟ. ქ-ა, შვილები ქ. და ნ. ჯ-ა ები ჩაწერილები არიან და ცხოვრობენ ზემოაღნიშნულ მისამართზე და მათ სხვა საცხოვრებელი არ გააჩნიათ. ამრიგად, მონიტორინგისას ქ. ჯ-ას-თან გასაუბრებისა და მოსარჩევეთა ფაქტობრივად მათ საცხოვრებელ მისამართზე არყოფნის მიუხედავად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ზემომითითებული მტკიცებულებებით დადასტურებულია ჯ. ჯ-ას და ჟ. ქ-ას ქ. ზუგდიდში, ...ს ქუჩაზე მდებარე ...ის ნგრევად ობიექტშიც ცხოვ-რების ფაქტი. აღნიშნულის სანინააღმდეგოდ მოპასუხე ადმინისტრა-ციული ორგანოს პოზიცია ემყარება მხოლოდ 2020 წლის 26 ივნისს ქ. ჯ-ასთან გასაუბრების შედეგებს, მაშინ როდესაც საქმეში წარმოდგენი-ლი მასალებით დადასტურებულია სანინააღმდეგო გარემოებები, რაც თავის მხრივ მიუთითებს ადმინისტრაციული ორგანოს პოზიციის დაუ-საბუთებლობაზე.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, სა-კასაციო პალატა ვერ გაიზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოების მოსაზრებას ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, საცხოვრებლით უზრუნველყოფის საკით-ხის ხელახლა გამოკვლევის საჭიროებაზე და აღნიშნავს, რომ განსა-ხილველ შემთხვევაში საქმეში არსებული მტკიცებულებები და შესა-ბამისად, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები იძლეოდა საქმის არ-სებითად გადაწყვეტის შესაძლებლობას.

„...სასამართლოსათვის მინიჭებული საპროცესო უფლებამოსილება – უარი თქვას სადაც საკითხის მოწესრიგებაზე და აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალოს იმავე საკითხზე ახალი ინდივი-დუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, არ წარ-მოადგენს უპირობო და შეუზღუდავ უფლებამოსილებას..“ (სუს 19.10.2017. №ბს-329-327(2კ-17) განჩინება). ამასთან, „...გარდა იმისა, რომ ასკ-ის 32.4 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენება სასამართლოს მხრიდან სადაც საკითხის მატერიალური კანონიერე-ბის შეფასების შეუძლებლობას უნდა დაუკავშირდეს, გათვალისწინე-ბულ უნდა იქნეს შესაბამისი დავის სასამართლო წესით გონივრულ ვა-დაში დასრულების ინტერესი. საქმის გონივრულ ვადაში, ეფექტიანად განხილვა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია. საქმის განხილვის ვადის გონივრულობის შეფასებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საქმის სირთულე, მოდავე მხარეების და შესაბამისი

კომპეტენტური უწყებების ჩართულობა, ასევე საქმის განხილვის შედეგი და ინტერესებული მხარეებისათვის...” (სუს 2020 წლის 17 სექტემბრის №ბას-1198(კ-19) განჩინება).

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით მინიჭებულ უფლებამოსილებას სასამართლო იყენებს იმ შემთხვევაში, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმის გარემოებათა გამოკვლევის გარეშე და სასამართლო წესით ვერ ხერხდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და შეფასება, შესაბამისად, შეუძლებელი ხდება სასამართლოს მიერ სადაცო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მატერიალური კანონიერების შეფასება, რასაც მოცემულ შემთხვევაში არ აქვს ადგილი, რადგან შესაბამისი აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან გარემოებათა გამოკვლევის საჭიროების ნაცვლად, მოცემულ შემთხვევაში სახეზეა თავად სასამართლოს მხრიდან ფაქტობრივი გარემოებების სწორი სამართლებრივი შეფასებისა და გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მატერიალური კანონიერების შემოწმების აუცილებლობა. პალატის მოსაზრებით, საქმის არსებითად გადაწყვეტაზე უარი ატარებს ფორმალურ ხასიათს. როგორც უკვე აღინიშნა, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები იძლევა სადაცო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მატერიალური კანონიერების შეფასების შესაძლებლობას, მით უფრო მაშინ როდესაც საქმეში დაცული არაერთი მტკიცებულებით დადასტურებულია სადაცო გარემოება მოსარჩელეთა ნგრევად ობიექტში ცხოვრების თაობაზე, შესაბამისად, საფუძვლიანია კასატორების – ჯ. ჯ-ას და უ. ქ-ას მოსაზრება, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საკითხის ხელახლა განხილვა გამოიწვევს საქმის გაჭიანურებას.

განსახილველი საქმის არსის გათვალისწინებით, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მოსარჩელეთა მიერ საცხოვრებელი ადგილის დროებით დატოვება, თუნდაც ეს მოიცავდეს დროის გარკვეულ მონაკვეთს, არ გულისხმობს, რომ მოსარჩელეთა ოჯახი მუდმივად არ ცხოვრობს კონკრეტულ ობიექტში. ამდენად, ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენლის ვიზიტისას მოსარჩელეთა აღნიშნულ მისამართზე ფაქტობრივად არყოფნის გამო გრძელვადიანი საცხოვრებლით დაკმაყოფილებაზე უარის თქმა არ შეესაბამება საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და ეფუძნება მხოლოდ ოჯახის გადამოწმების მიზნით შედგენილ მონიტორინგის მასალებს, რომელიც საკასაციო პალატის მოსაზრებით არ ასახავს რეალურ ფაქტობრივ მდგომარეობას, არ ემყარება განსახილველ საკითხზე არსებულ და გამოკვლეულ მტკიცებულებებს.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ადმინისტრაციული ორგანო, მისთვის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე და 96-ე მუხლებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ვალდებული იყო წარდგენილი მტკიცებულებების ურთიერთშეჯერებისა და საქმის გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევის შემდეგ, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, დაედგინა დევნილის საცხოვრებელი პირობები და სათანადოდ გადაეწყვიტა მოსარჩელეთა დევნილი ოჯახის საცხოვრებლით უზრუნველყოფის საკითხი, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც სახელმწიფოს აკისრია ვალდებულება, დევნილთა მიმართ შექმნას მათი ნებაყოფლობითი და ღირსეული განსახლებისათვის აუცილებელი პირობები, რაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალდებულებს სრულყოფილი ადმინისტრაციული წარმოების ჩატარებას.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში მოპასუხის მიერ ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების შედეგად არასრულყოფილად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გამო ვერ განხორციელდა მოსარჩელეთა დევნილი ოჯახის დაკმაყოფილება. შესაბამისად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60<sup>1</sup> მუხლის თანახმად, სახეზეა სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დირექტორის 2021 წლის 27 იანვრის №03-100/ო და 2021 წლის 23 აპრილის №03-1583/ო ბრძანებების ბათილად ცნობისა და მოპასუხისათვის მოსარჩელეთა ოჯახის მიმართ გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის შესახებ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების წინაპირობები. ამდენად, სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობს, ხოლო ჯ. ჯ.-ას და ქ. ქ.-ას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს; გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 13 მაისის განჩინება და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე, საქმეზე მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი დაკმაყოფილდება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

## გ ა ღ ა ნ ც ვ ი ტ ა:

1. სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. ჯ. ჯ-ასა და ჟ. ქ-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
3. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 13 მაისის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
4. ჯ. ჯ-ას და ჟ. ქ-ას სარჩელი დაკმაყოფილდეს;
5. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დირექტორის 2021 წლის 27 იანვრის №03-100/ო და 2021 წლის 23 აპრილის №03-1583/ო ბრძანებები;
6. სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დაევალოს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, ჯ. ჯ-ასა და ჟ. ქ-ას ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის თაობაზე;
7. მხარეები გათავისუფლებულები არიან სასამართლო ხარჯების გადახდისაგან;
8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სახლის საკუთრებაში არსებული ფართით ღროვაითი  
სარგებლობის გამო დაცილის საცხოვრებელი ფართით  
უზრუნველყოფაზე უარის თქმის კანონირება**

**გადაცემის დრო  
საქართველოს სახელი**

№ბს-796(23-23)

14 დეკემბერი, 2023 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
გ. აბუსერიძე,  
ბ. სტურუა**

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრი-  
ვი აქტის ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-  
სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

**აღნერილობითი ნაწილი:**

2021 წლის 29 აპრილს მ. კ-ამ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბი-  
ლისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას  
მოპასუხის – სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით  
უზრუნველყოფის სააგენტოს მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, არის აფხაზეთიდან იძულებით გადაად-  
გილებული პირი – დევნილი, ჰყავს მეუღლე – რ. კ-ა და მული – მ. ხ-ა.  
დევნილობის პერიოდიდან ცხოვრობენ ერთ ოჯახად. ოჯახი რეგისტრი-  
რებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბა-  
ზაში. რ. კ-ა მოისა და სამხედრო ძალების ვეტერანია, ხოლო მ. ხ-ა შემ  
პირი. ოჯახმა შეავსო გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნ-  
ველყოფის თაობაზე განაცხადი. ოჯახს მიენიჭა 7 ქულა, 1,5 ქულა ქი-  
რის ნაწილში, 2 ქულა სოციალურის ნაწილში, 2 ქულა შემ პირის ნაწილში  
და 1,5 ქულა ვეტერანის ნაწილში. სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და  
საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 20.04.2021 წ. №03-  
963/ო ბრძანებით, დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის 2021  
წლის 2 აპრილის გადაწყვეტილების საფუძველზე მოსარჩელე მ. კ-ას  
და განაცხადით გათვალისწინებულ პირებს (ოჯახს) იმ ეტაპზე განსახ-  
ლების გადაუდებელი საჭიროების არარსებობის გამო, უარი ეთქვათ ქ.  
თბილისში გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა-  
ზე. აღსანიშნავია, რომ ბინა მიიღეს უფრო დაბალი ქულის მქონე ოჯა-  
ხებმა (4,5 ქულა). მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს ზემოაღნიშ-

ნული გადაწყვეტილება უკანონოა, ვინაიდან ფართით უზრუნველყოფის საჭიროება დადგენილია იმ ნორმატიული აქტით, რომლის საფუძველზეც მინიჭებული აქვთ უმაღლესი ქულა. ცნობილია, რომ ქულა განსაზღვრავს განსახლების საჭიროებას და პრიორიტეტულობას.

ამდენად მოსარჩელემ მოითხოვა სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2021 წლის 20 აპრილის №03/963 ბრძანების ბათილად ცნობა და მოპასუხისმომსარჩელის და მისი ოჯახის (განაცხადით გათვალისწინებული პირების) გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების თაობაზე, ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 20 დეკემბრის განჩინებით მოცემულ საქმეში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, მესამე პირებად ჩაბმულ იქნენ რ. კ-ა და მ. ხ-ა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 30 მაისის გადაწყვეტილებით მ. კ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადაცო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დირექტორის 2021 წლის 20 აპრილის №03-963/ო ბრძანება და მოპასუხე სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დაევალა, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, სადაცო საკითხთან დაკავშირებით ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 30 მაისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სასიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტომ, რომელმაც გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 30 მაისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მ. კ-ამ, რ. კ-ამ და მ. ხ-ამ, რომელებმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 27 დეკემბრის განჩინებით მ. კ-ას, რ. კ-ას, მ. ხ-ას

და სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; უცვლელი დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 30 მაისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენისა და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების ურთიერთშეჯერების საფუძველზე დაადგინა, რომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან საორგანიზაციულ და მოფინულ არ ყოფილი გამოკვლეული და შეფასებული საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, ვინაიდან, მოსარჩევის ოჯახი ცხოვრობს სხვის საკუთრებაში და მხოლოდ ის გარემოება, რომ ისინი მითითებულ მისამართზე ცხოვრობენ 1992 წლიდან და რომ აღნიშნული ქონება ნათესავის საკუთრებაშია, არ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ოჯახს არ ესაჭიროება გადაუდებელი განსახლება, მით უფრო იმ გარემოების გათვალისწინებით, საქმეში წარმოდგენილია აღნიშნული ბინის მესაკუთრის – დ. ხ-ა-რ-ას წერილობითი განმარტება იმის თაობაზე, რომ საჭიროებიდან გამომდინარე, იგი ითხოვდა მისი ბინის გამოთავისუფლებას. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სახეზე იყო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის წინაპირობები. სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს მიერ სადაცო საკითხის გადაუწყვეტლად გასაჩივრებული აქტის ბათილად ცნობას. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საკითხის ხელახლა განხილვისას უნდა დადგენილიყო არსებობდა თუ არა გადაუდებელი განსახლების საჭიროება და კვლავ ითხოვდა თუ არა ბინის მესაკუთრე მის გამოთავისუფლებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 27 დეკემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 27 დეკემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვეს.

კასატორის – სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია და ეყრდნობა ისეთ ფაქტობრივ გარემოებებს, რომელიც არ დასტურდება საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით. კასატორის განმარტებით, მ. კ-ა 2013 წლიდან აკეთებდა განაცხადს, რომელშიც საცხოვრებელ მისამართად უთი-

თებდა ქ. თბილისში, ...ში, მე-... მ/რ, ... კორპუსში, ბინა №10-ში ქირით ცხოვრებას. 2020 წლის 17 ნოემბერს განხორციელებული მონიტორინგისას მხარემ განმარტა, რომ აღნიშნული ბინა ეკუთვნის მეუღლის ძმის-შვილს-დ. ხ-ა-რ-ას, 1992 წლიდან ცხოვრობს ქირით. თავად ბინის მესაკუთრე ცხოვრობს მეუღლის ბინაში. საქმეში არსებული მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩევე 1992 წლიდან შეუზღუდავად ცხოვრობს ნათესავის სახლში, ქირის თანხის დაფინანსებასთან დაკავშირებით სააგენტოსთვის არ მოუმართავს. ბინის მესაკუთრის მიმართვა ფართის გამოთავისუფლების შესახებ წარმოდგენილი არ ყოფილა ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე. დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის შესახებ მოქმედი ნორმა (8.04.2021 წ. №01-30/6 ბრძანება), გრძელვადიანი საცხოვრებლის მიღების მსურველ დევნილ პირთა შორის ანესებს გარკვეულ რიგითობას, პრიორიტეტულობას, კერძოდ პირველ რიგში ხდება იმ დევნილი ოჯახების დაკმაყოფილება, რომლებიც უპირატესად საჭიროებენ სახელმწიფოს მხრიდან დახმარებას და არ გააჩნიათ ალტერნატიული საცხოვრებელი. ცხადია, ეს ნორმა არ უარყოფს და ეჭვება არ აყენებს სახელმწიფოს მიერ აღებულ ვალდებულებას დევნილების საცხოვრებლით უზრუნველყოფის თაობაზე, თუმცა სახელმწიფო თავისი რესურსის გათვალისწინებით, მათ ეტაპობრივად აკმაყოფილებს. სააპელაციო სასამართლოს განჩინება სხვა დევნილ ოჯახებთან მიმართებაში უსამართლო, რადგან ამ უკანასკნელთ არ შეუძლიათ ნათესავების საცხოვრებლით თავისუფლად სარგებლობა.

კასატორები – მ. კ-ა, რ. კ-ა და მ. ხ-ა აღნიშნავენ, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა არ გაითვალისწინეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრატიკა, რომლის თანახმად, სხვის, თუნდაც ნათესავის საკუთრებაში ცხოვრება ვერ იქნება დევნილისთვის საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე უარის თქმის საფუძველი. სასამართლოებმა უარყვეს ბინის მესაკუთრის უფლება საკუთარი საცხოვრებლით სარგებლობის შესახებ. კასატორებისთვის გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე უარის თქმის საფუძველი გახდა არა მინიჭებულ ქულათა რაოდენობა, არამედ სხვის საკუთრებაში ცხოვრების გამო, გადაუდებელი განსახლების საჭიროების ამ ეტაპზე არარსებობა, რაც წინააღმდეგობაშია საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებში გაკეთებულ განმარტებებთან.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 28 ივლისის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოსა და მ. კ-ას, რ. კ-ას, მ. ხ-ას საკასაციო საჩივრები. საქართვე-

ლოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 19 ოქტომბრის განჩინებით მ. კ-ას, რ. კ-ას და მ. ხ-ას საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად; სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად და აღნიშნულ ნაწილში უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 27 დეკემბრის განჩინება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მათი შესწავლისა და ანალიზის, გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთებულობისა და წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმების საფუძველზე მიიჩნევს, რომ მ. კ-ას, რ. კ-ას და მ. ხ-ას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 27 დეკემბრის განჩინება დაშვებულ ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მ. კ-ას სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულაზე, რომლის თანახმად, საქართველოს მოქალაქეთა ურყევი ნებაა სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს დამკვიდრება. საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლი განამტკიცებს სოციალური სახელმწიფოს პრინციპს, რომლის შესაბამისად, საქართველო არის სოციალური სახელმწიფო, რომელიც ზრუნავს საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობის, სოციალური თანასწორობისა და სოციალური სოლიდარობის პრინციპების განმტკიცებაზე. სახელმწიფო ზრუნავს ადამიანის ჯანმრთელობისა და სოციალურ დაცვაზე, საარსებო მინიმუმითა და ლირსეული საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე, ოჯახის კეთილდღეობის დაცვაზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს განსაკუთრებული ვალდებულებები აკისრია დევნილთა მიმართ, შესაბამისად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უზრუნველყოფილ იქნეს დევნილთა ღირსეული განსახლებისათვის აუცილებელი პირობები. დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირმა გადაწყვეტილება მხოლოდ გარემოებათა სრულყოფილი გამოკვლევისა და შეფასების შედეგად უნდა მიიღოს.

განსახილველ შემთხვევაში, დავის საგანს წარმოადგენს „დევნილი ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე“ უარის თქმის თაობაზე“ სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დირექტორის 2021 წლის 20 აპრი-

ლის №03-963/ო ბრძანების კანონიერება და მოპასუხისათვის, მოსარჩელის და მისი ოჯახის (განაცხადით გათვალისწინებული პირების) გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების თაობაზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება.

დადგენილია, რომ მ. კ-ამ შეავსო განაცხადი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის თაობაზე. მ. კ-ამ განაცხადი წარადგინა მეუღლესთან – რ. კ-ასთან და მულთან – მ. ხ-ასთან ერთად. შეფასების შედეგად, მ. კ-ას და მის ოჯახს მიენიჭა 7.00 ქულა (საცხოვრებლის ფინანსური პირობები – ნაქირავები – 1.50 ქულა; სოციალური კრიტერიუმი – 57001 – 60000 შორის სარეიტინგო ქულით – 2.00 ქულა; მ. ხ-ა – შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები „შშმპ“ – მნიშვნელოვნად გამოხატული – 2.00 ქულა; რ. კ-ა – ომში მონანილეობა – ომის ვეტერანი – 1.50 ქულა, საბოლოოდ – 7.00 ქულა).

2020 წლის 17 ნოემბერს, მოსარჩელის მიერ მითითებულ მისამართზე – ქ. თბილისში, ...ში, მე-... მ/რ, ..., კორპუსში, ბინა №10-ში განხორციელდა მონიტორინგი და შეივსო შესაბამისი ფორმა. მონიტორინგის დროს, მითითებულ მისამართზე მონიტორინგის თანამშრომლებს დახვდათ თავად მ. კ-ა და მისი მული – მ. ხ-ა. მოსარჩელემ მონიტორინგის თანამშრომლებს განუმარტა, რომ აღნიშნული ბინა ეკუთვნოდა მეუღლის ძმის შვილს – დ. ხ-ა-რ-ას და 1992 წლიდან ცხოვრობდა ქირით, იხდიდა 300 ლარს. თავად მესაკუთრე ცხოვრობდა მეუღლის სახლში, ...ში.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის 2021 წლის 2 აპრილის №19 საოქმო გადაწყვეტილებით, მ. კ-ას უარი ეთქვა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფაზე იმ საფუძვლით, რომ მოცემულ ეტაპზე მისი განსახლება გადაუდებელ საჭიროებას არ წარმოადგენდა 1992 წლიდან ბიძაშვილის სახლში ცხოვრების გამო.

სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დირექტორის 2021 წლის 20 აპრილის №03-963/ო ბრძანებით, დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის 2021 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილების საფუძველზე (ოქმი №19), მ. კ-ას (განაცხადით გათვალისწინებულ პირებს) უარი ეთქვა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფაზე ქ. თბილისში, მოცემულ ეტაპზე განსახლების გადაუდებელი საჭიროების არარსებობის გამო.

საგულისხმოა, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის 2021 წლის 2 აპ-

როლის №19 ოქმის მიხედვით, საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილ-დნენ ის დევნილთა ოჯახები, რომელთაც მინიჭებული ჰქონდათ 4,5 და მეტი კულა.

უდავოა, რომ მოსარჩელის ოჯახს საკუთრებაში არ გააჩნია უძრავი ქონება და ამჟამინდელი საჭიროებიდან გამომდინარე სარგებლობს სხვის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53.1 მუხლის თანახმად, წერილობითი ფორმით გამოცემული ინდივიდუალური ად-მინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას. ამავე კოდექსის 96-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრა-ციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფა-სებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. დაუშვებელია, ინდივი-დუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძ-ვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგე-ნილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მი-ერ მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთების ვალდებულება განპირობებულია ადმინისტრაციული ორგანოს საქმია-ნობაზე კონტროლის განხორციელებით. დასაბუთებაში უნდა აღინიშ-ნოს გარემოებები, რომლებსაც ადმინისტრაციული ორგანო გადაწყვე-ტილების მიღების დროს დაეყრდნო.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრო-მის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 8 აპრილის №01-30/ნ ბრძანებით დამტკიცებული დევნილთა საცხოვრებ-ლით უზრუნველყოფის წესის დანართი №7 „საცხოვრებელი ფართით სარგებლობის შესაძლებლობის შეფასების კრიტერიუმი“ განსაზღვრავს კომპონენტებს, რომელთა შეფასების საფუძველზეც უნდა მოხდეს დევნილი ოჯახის სოციალური მდგომარეობის განსაზღვრა. ამასთან, თითოეული კომპონენტისათვის დადგენილია შეფასების შესაბამისი ქუ-ლა. №7 დანართის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საცხოვრებელი ფარ-თით სარგებლობის შესაძლებლობის შეფასების ერთ-ერთი კრიტერიუ-მია დევნილი ოჯახი, რომელიც ცხოვრობს სხვის სახლში (გარდა სახელ-მწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებისა) ქირით ან ქირის გა-რეშე. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ დევნილთა საცხოვრებ-ლით უზრუნველყოფის წესი ითვალისწინებს იმ შემთხვევებსაც, რო-დესაც ბინით დასაკმაყოფილებელი დევნილი ოჯახი ცხოვრობს სხვის საკუთრებაში არსებულ ბინაში ქირით ან ქირის გარეშე და ეს გარემოე-ბა კონკრეტული ქულით ფასდება შეფასების საერთო სისტემაში. შესა-

ბამისად, მხოლოდ ეს გარემოება არ შეიძლება გახდეს დევნილი ოჯახის საცხოვრებლით და კმაყოფილებაზე უარის თქმის უპირობო სამართლებრივი საფუძველი, რადგან იგი დევნილი ოჯახის შეფასების ერთ-ერთ კრიტერიუმს წარმოადგენს და სხვა კრიტერიუმებთან ერთად, ქულათა საერთო რაოდენობას განსაზღვრავს. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ დროებით, აუცილებელი საჭიროებიდან გამომდინარე, სხვის საკუთრებაში არსებული ფართით სარგებლობის შესაძლებლობა არ გამორიცხავს მოსარჩელის უფლებას, როგორც დევნილი ოჯახი განსახლებულ იქნეს ნორმატიული აქტით გათვალისწინებული წესით, მოცემულ ეტაპზე კრიტერიუმების შესაბამისად და არა სხვა რომელიმე ეტაპზე.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს მოცემულ საქმეზე საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენების შესაძლებლობას. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლით მინიჭებულ უფლებამოსილებას სასამართლო იყენებს მაშინ, როდესაც სასამართლო წესით ვერ ხერხდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და შეფასება, შესაბამისად, შეუძლებელი ხდება სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მატერიალური კანონიერების შემოწმება.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, დევნილის სამართლებრივ სტატუსს, პირისათვის დევნილის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, ჩამორთმევისა და აღდგენის საფუძვლებსა და წესს, დევნილის სამართლებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ გარანტიებს, მის უფლებებსა და მოვალეობებს განსაზღვრავს „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონი. დევნილთა ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სოციალურ გარანტიას ქმნის დევნილის უფლება გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე, რაც მითითებული კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გულისხმობს დევნილის სტატუსიდან გამომდინარე, დევნილი ოჯახის განსახლების მიზნით მისთვის საცხოვრებელი ფართობის საკუთრებაში გადაცემას ან სანაცვლოდ მისი სათანადო ფულადი ან სხვა სახის დახმარებით უზრუნველყოფას. ამასთან, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2021 წლის 8 აპრილის №01-30-6 №320 ბრძანებით დამტკიცებული „დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის“ (დანართი №1), მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა გულისხმობს ამ წესის შესაბამისად, დევნილის სტატუსიდან გამომდინარე, დევნი-

ლი ოჯახის განსახლების მიზნით მისთვის სახელმწიფო ორგანოების ან მუნიციპალიტეტების, საერთაშორისო, დონორი ან ადგილობრივი ორგანიზაციების, ფიზიკური ან კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ან კერძო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართის (სახლი/ბინა) შესყიდვას.

დასახელებული „წესის“ მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით, ამ წესის მე-3-მე-5 მუხლებით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღებისას, კრიტერიუმების საფუძველზე, განისაზღვრება დევნილი ოჯახების საჭიროების პრიორიტეტულობა. კრიტერიუმების გათვალისწინების პროცესის გამარტივების მიზნით, თითოეული კრიტერიუმი ტოლია გარკვეული რაოდენობის ქულისა, რომლებიც დევნილი ოჯახის საჭიროების შეფასებისას დაჯამდება. ქულები მითითებულია კრიტერიუმების პრიორიტეტულობის საჩვენებლად. დევნილ ოჯახს, რომელიც მეტ ქულას დააგროვებს, ენიჭება პრიორიტეტი. იმავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, დევნილთა საჭიროების პრიორიტეტულობის გათვალისწინებით განისაზღვრება, გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით, რარიგითობით მოხდება საცხოვრებელი ფართის შეთავაზება, კერძო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართის შესყიდვა და იპოთეკური სესხის დაფარვის მიზნით ერთჯერადი ფულადი დახმარების გაცემა.

ამდენად, დევნილ ოჯახებს გააჩნიათ გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის უფლება, რომლის რეალიზაცია დაკავშირებულია, ერთი მხრივ, დევნილის სტატუსს ქონასთან, მეორე მხრივ, დევნილი ოჯახის შეფასების შედეგებთან. კერძოდ, უფლებამოსილი პირის მიერ ხდება დევნილი ოჯახის გადამოწმება, შეფასება, კანონით გათვალისწინებული კრიტერიუმების შესაბამისად ქულათა მინიჭება. აღნიშნული მიზნად ისახავს როგორც სახელმწიფოს მიერ დევნილთა მიმართ ნაკისრი ვალდებულებების ეტაპობრივ შესრულებას, სახელმწიფოს ფინანსური შესაძლებლობიდან და მატერიალური რესურსიდან გამომდინარე, ასევე თავდაპირველად ისეთი დევნილების უფლებების დაცვასა და განსახლებას, რომლებიც განსაკუთრებით, სხვაზე მეტად საჭიროებენ სახელმწიფოს დახმარებას. სწორედ დევნილი ოჯახისთვის მინიჭებული ქულების ოდენობაზეა დამოკიდებული დევნილი ოჯახების გრძელვადიანი საცხოვრებლით დაკმაყოფილების რიგითობის, პრიორიტეტულობის განსაზღვრა.

ამასთან, „დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის“ მე-6 მუხლის მე-10 პუნქტი კრიტერიუმების გარეშე, დევნილი ოჯახისათვის პრიორიტეტის მინიჭების პირობებს ითვალისწინებს და განსაზღვრას პრიორიტეტის მინიჭების პირობებს ითვალისწინებს და განსაზღვრას.

ღვრავს იმ დევნილი ოჯახების კატეგორიებს, რომელთა მიმართაც, ამ წესის მე-3-მე-6 მუხლებით გათვალისწინებული პროცედურების განხორციელებისას, კომისია უფლებამოსილია პრიორიტეტი მიანიჭოს და ამ მუხლის მე-5 პუნქტში მოცემული კრიტერიუმების გარეშე განახორციელოს დევნილი ოჯახების გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა. ამდენად, ზოგადი წესის მიხედვით, სახელმწიფოს ვალდებულება – უზრუნველყოფა დევნილი ოჯახი გრძელვადიანი საცხოვრებლით, ხორციელდება კრიტერიუმების საფუძველზე, საჭიროებათა პრიორიტეტულობის პრინციპით, ხოლო კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, კერძოდ, მითითებული „წესის“ მე-6 მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრულ დევნილ ოჯახებთან მიმართებაში, გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფა ხორციელდება მინიჭებულ ქულათა მიუხედავად, კრიტერიუმების გარეშე.

ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა ჩათვალეს, რომ მიუხედავად საქმეში არსებული მოსარჩელის ამჟამინდელი საცხოვრებელი სახლის მესაკუთრის – დ. ბ-ა-რ-ას წერილობითი განცხადებისა, ხელახალი ადმინისტრაციული წარმოებისას ორგანოს მიერ გამოსაკვლევ საკითხს წარმოადგენდა კვლავ სურდა თუ არა მესაკუთრეს ბინის გამოთავისუფლება.

ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ სადაცო სამართალურ-თიერთობის ამგვარი შეფასებით უგულებელყოფილია „დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესით“ განერილი პროცედურის გავლისა და შესაბამისი პროცედურის საფუძველზე დევნილი ოჯახისთვის მინიჭებული ქულების მნიშვნელობა. საკასაციო სასამართლო ადასტურებს, რომ ქვეყნას, მატერიალური და ფინანსური რესურსების მოცულობიდან და ფინანსური შესაძლებლობიდან გამომდინარე, არ გააჩნია შესაძლებლობა ყველა დევნილი ოჯახი ერთპაშად უზრუნველყოს გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით და მიუთითებს, რომ სწორედ აღნიშნული მიზეზით, კანონი გრძელვადიანი საცხოვრებლის მიღების მსურველ დევნილთა შორის აწესებს გარკვეულ რიგითობას, პრიორიტეტულობას, რასაც ემსახურება კრიტერიუმების საფუძველზე დევნილი ოჯახისთვის შესაბამისი ქულის მინიჭება.

ამასთან, საყურადღებოა, რომ მოსარჩელის გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე უარის საფუძველი გახდა არა ზემოაღნიშნული „წესის“ შესაბამისად მინიჭებულ ქულათა წაკლებობა, არამედ ადმინისტრაციული ორგანოს მოსაზრება, ამ ეტაპზე მოსარჩელის გადაუდებელი განსახლების საჭიროების არარსებობის შესახებ, რასაც არ ეთანხმება საკასაციო სასამართლო და მიუთითებს, რომ დროებით, აუცილებელი საჭიროებიდან გამომდინარე, სხვის საკუთრებაში არსებული ფართით სარგებლობის შესაძლებლობა არ გამორიცხავს მოსარჩე-

ლის უფლებას, როგორც დევნილი ოჯახი განსახლებულ იქნეს ნორმა-ტიული აქტით გათვალისწინებული წესით, მოცემულ ეტაპზე არსებული კრიტერიუმების შესაბამისად და არა სხვა რომელიმე ეტაპზე.

საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ აუცილებელი საჭიროებიდან გამომდინარე, სხვის საკუთრებაში არსებული ფართით დროებით სარგებლობის ფაქტი არ იძლევა შესაძლებლობას ზუსტად იქნეს დადგენილი, რამდენად აქვს მოსარჩელეს ხსენებულ საცხოვრებელში ცხოვრების შეუზღუდავი შესაძლებლობა, ასეთი დასკვნის გაკეთება კი განსაკუთრებით რთულია აღნიშნული ფართით შეუზღუდავი სარგებლობის სამომავლო პერსპექტივების განსაზღვრის კუთხით, რის გამოც, მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს მოსაზრებას მოსარჩელისათვის გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფაზე უარის თქმის კანონშესაბამისობასთან მიმართებით. კასატორის მითითება, რომ მოსარჩელეს მისი ნათესავის საკუთრებაში არსებული ბინით შეუზღუდავად შეუძლია ისარგებლოს, არ წარმოადგენს განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საკმარის და დასაბუთებულ საფუძველს. (საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 25.03.2021წ. №ბს-1129(კ-20), 23.12.2021წ. №ბს-900(კ-21), 13.01.2022წ. №ბს-946(კ-21), 10.03.2022წ. №ბს-1013(კ-21), 19.05.2022წ. №ბს-244(კ-22), 21.07.2022წ. №ბს-147(კ-22) განჩინებები).

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იმ პირობებში, როდესაც უდავოა მოსარჩელის და მისი ოჯახის საკუთრებაში უძრავი ქონების არარსებობა, ასევე მინიჭებულ ქულათა რაოდენობა საკმარისი იყო საცხოვრებლით უზრუნველყოფის შესახებ დადებითი გადაწყვეტილების მისაღებად, ხოლო საქმეში წარმოდგენილია ბინის მესაკუთრის განცხადება ბინის გამოთავსუფლების თაობაზე, სახეზე იყო სარჩელის სრულად დაკმაყოფილების წინაპირობები. ამდენად, გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მ. კ-ასთვის (განცხადებით გათვალისწინებული პირებს) გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებაზე უარი იმ ეტაპზე მოსარჩელის განსახლების გადაუდებელი საჭიროების არარსებობის გამო, დასაბუთებული არ არის.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორების – მ. კ-ას, რ. კ-ას და მ. ხ-ას პოზიციას მასზედ, რომ საქმეში დაცული ბინის მესაკუთრის განცხადებით, ნათელია მისი პოზიცია საცხოვრებლის გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში გადაცემასთან დაკავშირებით.

საკასაციო სასამართლო ასევე უურადღებას ამახვილებს იმ გარე-მოებაზე, რომ დევნილი ოჯახის წევრთა შემადგენლობაში შედის შშმ

## პირი – მე-2 ჯგუფის ინვალიდი – მ. ხ-ა.

საქართველოს კონსტიტუციის 11.4. მუხლის თანახმად, სახელმწიფო ქმნის განსაკუთრებულ პირობების შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და ინტერესების რეალიზებისათვის. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის“ (რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2013 წლის 26 დეკემბრის დადგენილებით), 28-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებას ცხოვრების ადეკვატურ სტანდარტზე საცხოვრებელ პირობებზე მათვების და მათი ოჯახებისათვის, რაც მოიცავს ადეკვატურ კვებას, ტანსაცმელს, საცხოვრებელ პირობებს; ასევე უფლებას საცხოვრებელი პირობების უწყვეტ გაუმჯობესებაზე; იღებენ შესაბამის ზომებს აღნიშნული უფლების დაცვისა და რეალიზებისათვის, შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე აღმოცენებული ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. ამავე კონვენციის 28.2 მუხლის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებას სოციალურ დაცვაზე, ამ უფლებით შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე აღმოცენებული ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე გამოყენების უფლებას და იღებენ შესაბამის ზომებს მისი დაცვისა და რეალიზებისათვის, მათ შორის: ა. უზრუნველყოფენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სუფთა წყლის მიღების, შესაბამისი და ხელმისაწვდომი მომსახურების, საშუალებებისა და ასევე შეზღუდულ შესაძლებლობასთან დაკავშირებული სხვა დახმარების მისაწვდომობას; ბ. უზრუნველყოფენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, კერძოდ ქალების, გოგონებისა და ხანდაზმულებისათვის სოციალური დაცვისა და სიღარიბის აღმოფხვრაზე მიმართული პროგრამების მისაწვდომობას; ც. უზრუნველყოფენ სიღარიბის პირობებში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და მათი ოჯახებისათვის სახელმწიფოს მხრიდან დახმარებას შეზღუდული შესაძლებლობით გამოწვეული ფინანსური დანახარჯების დაფარვისათვის, მათ შორის: ადეკვატური განათლება, კონსულტირება, ფინანსური დახმარება და დროებითი მზრუნველობა. დ. უზრუნველყოფენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სახელმწიფო საცხოვრებელის პროგრამების მისაწვდომობას; ე. უზრუნველყოფენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის საპენსიო დახმარებისა და პროგრამების თანაბარი მისაწვდომობას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ დევნილი ოჯახის წევრთა სტატუსის (შშმ პირები) გათვალისწინებით დევნილთა უზრუნველყოფის საკითხთან დაკავშირებით, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებუ-

ლი იყო გაეთვალისწინებინა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის განსაკუთრებული საჭიროებები, რაც მოცემულ შემთხვევაში არ იქნა მხედველობაში მიღებული.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, ყველა თანასწორია კანონისა და ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე. დაუშვებელია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის მონაცილე რომელიმე მხარის კანონიერი უფლებისა და თავისუფლების, კანონიერი ინტერესის შეზღუდვა ან მათი განხორცილებისთვის ხელის შეშლა, აგრეთვე მათთვის კანონმდებლობით გათვალისწინებული რაიმე უპირატესობის მინიჭება ან რომელიმე მხარის მიმართ რაიმე დისკრიმინაციული ზომების მიღება. საქმის გარემოებათა იდენტურობის შემთხვევაში სხვადასხვა პირის მიმართ განხსხვავებული გადაწყვეტილების მიღება, გარდა კანონით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისა. ამავე კოდექსის მე-7 მუხლის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილების განხორცილებისას არ შეიძლება გამოიცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუ პირის კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისთვის მიყენებული ზიანი არსებითად აღმატება იმ სიკეთეს, რომლის მისაღებადაც ის გამოიცა. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციული აქტით მიყენებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა. აღნიშნული მეტყველებს იმაზე, რომ დისკრეციული უფლებამოსილება არ არის შეუზღუდვავი და ადმინისტრაციულმა ორგანომ მხედველობაში უნდა მიიღოს ფაქტობრივი გარემოებები, საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობა და ამის საფუძველზე მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ არსებითია, მმართველობითი საქმიანობა იყოს ეფექტური და ეფუძნებოდეს თითოეული პირის რეალურ, ინდივიდუალურ ინტერესს. დაუშვებელია მმართველობითი ორგანოები ხელივნური, უსაფუძვლობარიერების შექმნის გზით აფერხებდნენ ან ხელს უშლიდნენ კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების წარმოშობასა და რეალიზაციას.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო ბრძანებით მ. კ-ას გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფაზე უარი ამ ეტაპზე განსახლების გადაუდებელი საჭიროების არარსებობის გამოდასაბუთებული არ არის, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც საქმეში დაცული დევნილთა საკითხების შემსნავლელი კომისიის 2021 წლის 2 აპრილის №19 სხდომის ოქმით დასტურდება, რომ საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილდნენ ის დევნილი ოჯახები, რომელთაც მინიჭებული ჰქონდათ 4,5 და მეტი ქულა, ხოლო მოსარჩელის ოჯახს მინიჭებუ-

ლი აქვს 7 ქულა. საკასაციონ სასამართლო მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციული ორგანო მოცემულ შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღებისას უნდა დაყრდნობოდა პრიორიტეტულობის პრინციპს და გადაწყვეტილება მიეღო მოსარჩელის ოჯახისთვის მინიჭებული ქულების საფუძველზე. ადმინისტრაციულმა ორგანომ, სადაც აქტის გამოცემისას არ გაითვალისწინა „დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის“ მე-6 მუხლის პირველი პუნქტის იმპერატიული მოთხოვნა, რომელიც მას პრიორიტეტულობის პრინციპის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებას ავალდებულებდა.

ამდენად, საკასაციონ სასამართლო მიიჩნევს, რომ მ. კ-ას, რ. კ-ას და მ. ხ-ას საკასაციონ საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციონ სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 27 დეკემბრის განჩინება დაშვებულ ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მ. კ-ას სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს, ბათილად იქნეს ცნობილი „დევნილი ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე უარის თქმის თაობაზე“ სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დირექტორის 2021 წლის 20 აპრილის №03-963 ბრძანება და სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დაევალოს მოსარჩელის და მისი ოჯახის (განაცხადით გათვალისწინებული პირების) გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების თაობაზე ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

### **სარეზოლუციონ ნაწილი:**

საკასაციონ სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი თ ა:**

1. მ. კ-ას, რ. კ-ას და მ. ხ-ას საკასაციონ საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციონ სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 27 დეკემბრის განჩინება დაშვებულ ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. მ. კ-ას სარჩელი დაკმაყოფილდეს;
4. ბათილად იქნეს ცნობილი „დევნილი ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე უარის თქმის თაობაზე“ სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2021 წლის 20 აპრილის №03-963/ო ბრძანება და სსიპ დევნილთა,

ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დაევალოს მოსარჩელის და მისი ოჯახის (განაცხადით გათვალისწინებული პირების) გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების თაობაზე ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა;

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## დეპილიონაბის გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის საფუძვლი

### გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-543(23-23)

20 დეკემბერი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: გ. მაკარიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ქ. ცინცაძე,  
თ. ოქროპირიძე

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

#### **ალწერილობითი ნაწილი:**

1. მ. ც-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის - სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს მიმართ.

მოსარჩელემ მოითხოვა: ა) ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დირექტორის 2021 წლის 22 აპრილის №03-1384/ო ბრძანება „დევნილი ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე უარის თქმის თაობაზე“; ბ) დაევალოს მოპასუხე სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მოსარჩელისა და მისი ოჯახის (განაცხადით გათვალისწინებული პირების

ბის) გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების თაობაზე.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 20 დეკემბრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლის საფუძველზე, საქმეში მესამე პირად ჩაეხა ე. ნ-ე.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 30 მაისის გადაწყვეტილებით მ. ც-ეის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. სადაცო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის 2021 წლის 22 აპრილის №03-1384/ო ბრძანება და დაევალა მოპასუხე სიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, სადაცო საკითხთან დაკავშირებით ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

სასამართლომ მიუთითა შემდეგ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე: ა) მოსარჩელე – მ. ც-ე არის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული პირი – დევნილი, რომელზეც გაცემულია – იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის მოწმობა; ბ) მ. ც-ემ შეავსო განაცხადი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის თაობაზე. განაცხადი წარადგინა შვილთან – ე. ნ-ესთან ერთად. შეფასების შედეგად მ. ც-ესა და მის ოჯახს მიენიჭა შემდეგი ქულები: საცხოვრებლის ფინანსური პირობები – ცხოვრობს ნათესავის/ახლობლის ოჯახთან ერთად – 1.50 ქულა; სოციალური კრიტერიუმი – 30001-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულით – 3.00 ქულა; საბოლოოდ – 4.50 ქულა; გ) 2020 წლის 9 ნოემბერს მოსარჩელის მიერ დაზუსტების შედეგად მითოთებულ მისამართზე – ქ. თბილისი, ...ის დას. ....ქუჩა, სახლი №8-ში განხორციელდა მონიტორინგი და შეივსო შესაბამისი ფორმა. მითოთებულ მისამართზე მონიტორინგის თანამშრომლებს დახვდათ თავად მ. ც-ე, რომელმაც მიუთითა, რომ მისი შვილი – ე. ნ-ე ქალაქში იყო გასული მეგობართან. მ. ც-ეის განმარტებით, ის და მისი შვილი ცხოვრობდნენ ქირით უკვე 2 წლის და 2 თვის მანძილზე და იხდიდნენ ქირას 220 ლარს. მანძილე ცხოვრობდნენ თბილისში, ...ის მე-... მ/რ, მე-... რიგი, კორპ №..., ბინა №...-ში ქირით. უფრო ადრე 1993 წელს კი, ნათესავებთან ქირის გარეშე. მოსარჩელის განმარტებით, ამჟამად ნაქირავები ჰქონდათ პირველ სართულზე ერთი ოთახი. ბინის მესაკუთრე იყო მ. ბ-ი, რომელიც ცხოვრობდა იმავე სახლში მეორე სართულზე. განმცხადებლის განმარტებით, მასთან ჰქონდა ნათესაური კავშირი. ქირის ფაქტი დაადასტუ-

რა სახლის მფლობელის დედამ – ხ. ბ-იმა. მოსარჩელის განმარტებით, მისი მამა – ლ. ც-ე გარდაცვლილი იყო, ხოლო დედა – ნ. ა-ი დაძმა – ა. ც-ე ცხოვრობდნენ მისამართზე – თბილისი, ...ის მე... მ/რ, მე... რიგი, კორპ №..., ბინა №...-ში, რომელიც იყო დედის საკუთრება. მეუღლესთან – ლ. ნ-ესთან ერთად იცხოვრა ერთი წლის მანძილზე 1997 წელს. რეგისტრი-რებულ ქორნინებაში არ ყოფილან. მეუღლე ცხოვრობდა სამტრედია-ში, სოფელ ...ში, საკუთარ სახლში. გარდაიცვალა 2014 წელს და დაკრძა-ლული იყო სამტრედიაში. მოსარჩელემ განმარტა, რომ 1998 წლიდან მეუღლესთან ურთიერთობა არ ჰქონია და არც მის დედმამიშვილებს იცნობდა. მეუღლის სახლში ამჟამად ვინ ცხოვრობდა არ იცოდა. 2021 წლის 22 მარტს, დამატებითი მონიტორინგი განხორციელდა მისამარ-თზე – ქ. თბილისი, ...ის მე... მ/რ, მე... რიგი, კორპ. №..., ბინა №..., სადაც მოსარჩელე წლების განმავლობაში ცხოვრობდა. ბინა იყო დაკეტილი. გასაუბრება მოხდა მეზობელთან, რომელმაც კარი არ გააღო, თუმცა განმარტა, რომ მ. ც-ე ცხოვრობდა მისამართზე – ქ. თბილისი, ...ის მე... მ/რ, მე... რიგი, კორპ. №..., ბინა №.... მონიტორინგის სამმართველოს თანამშრომლები ასევე გამოცხადნენ მისამართზე – ქ. თბილისი, ...ის მე-4 მ/რ, მე-2 რიგი, კორპ. №..., ბინა №.... აღნიშნულ მისამართზეც არა-ვინ იმყოფებოდა. გასაუბრება მოხდა მეზობელთან, რომელიც გვერ-დით ბინაში ცხოვრობდა. მეზობელმა მონიტორინგის სამმართველოს თანამშრომლებს განუმარტა, რომ მ. ც-ე აღარ ცხოვრობდა მითითე-ბულ მისამართზე და გადასული იყო ქირით სხვა სახლში საცხოვრებ-ლად, თუმცა მისამართი არ იცოდა; დ) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალუ-რი დაცვის სამინისტროს დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომი-სიის 2021 წლის 2 აპრილის №19 საოქმონ გადაწყვეტილებითმ. ც-ეს უა-რი ეთქვა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფაზე იმ საფუძვლით, რომ მოცემულ ეტაპზე მისი განსახლება გადაუდებელ საჭიროებას არ წარმოადგენდა დედის ალტერნატიული საცხოვრებლის გამო; ე) სსიპ დევნილთა, ეკონომიკურანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დირექტორის 2021 წლის 22 აპრილის №03-1384/ო ბრძანე-ბით, დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის 2021 წლის 2 აპრი-ლის გადაწყვეტილების საფუძველზე (ოქმი №19), მ. ც-ეს (განცხადით გათვალისწინებულ პირებს) უარი ეთქვა გრძელვადიანი საცხოვრებე-ლი ფართით უზრუნველყოფაზე ქ. თბილისში, მოცემულ ეტაპზე გან-სახლების გადაუდებელი საჭიროების არარსებობის გამო.

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადა-ადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირ-ველ და მე-2 მუხლებზე, მე-6 მუხლის პირველ პუნქტზე, მე-13 მუხლის პირველ პუნქტზე, დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის მი-

ერ საკითხის განხილვის დროს მოქმედი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანებით დამტკიცებული „დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის“ მე-2 მუხლის „ბ“ პუნქტზე, მე-3 მუხლის პირველ და მე-2 პუნქტზე, მე-6 მუხლის პირველ, მე-2 და მე-3 პუნქტებზე, სადავო ბრძანების გამოცემის დროს მოქმედ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 8 აპრილის №01-30/6 ბრძანებით დამტკიცებული „დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის“ მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტსა და მე-6 მუხლზე მითითებით სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელე – მ. ც-ე არის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული პირი – დევნილი, რომელზეც გაცემულია იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის მოწმობა. მოპასუხე, რომელიც წარმოადგენს დევნილთა განსახლების საკითხზე პასუხისმგებელ უწყებას ვალდებულია, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გულისხმიერად და სრული პასუხიმგებლობით მიუდგეს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, ზედმინევნით ზუსტად განსაზღვროს დევნილი ოჯახის განსახლების პრიორიტეტულობის საკითხი, რაც უნდა განახორციელოს საქმის გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევის გზით. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელის ფაქტობრივ მისამართზე (ქ. თბილისი, ...ის დას. ... ქუჩა, სახლი №8) განხორციელებული მონიტორინგის შედეგად არ გამოვლენილა გარემოება, რაც გავლენას მოახდენდა მ. ც-ეისა და მისი ოჯახისათვის მინიჭებულ ქულებზე (4.50 ქულა). ამასთან, დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის 2021 წლის 2 აპრილის №19 გადაწყვეტილებით მ. ც-ეს უარი ეთქვა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფაზე იმ საფუძვლით, რომ მოცემულ ეტაპზე მისი განსახლება გადაუდებელ საჭიროებას არ წარმოადგენდა დედის ალტერნატიული საცხოვრებლის გამო, თუმცა გადაწყვეტილებიდან არ ირკვევა, თუ რა ფაქტობრივ გარემოებებს დაეყრდნო კომისია აღნიშნული დასკვნის მიღების დროს, მით უფრო იმ პირობებში, როცა მოსარჩელე მის შვილთან ერთად წარმოადგენს ცალკე ოჯახს. ამასთან, საყურადღებო მოსარჩელის მიერ საქმეზე წარმოადგენილი საბანკო გადახდის ქვითრები, რომლებითაც დასტურდება, რომ მოსარჩელის ოჯახის ამჟამინდელი საცხოვრებელი ფართის (ქ. თბილისი, ...ის დას. ... ქუჩა, სახლი №8) მესაკუთრეს – მ. ბ-ის, მ. ც-ეის ცხოვრებისთვის ქირის თანხას უხდის აფხაზეთის ა/რ იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა სამინისტრო. ასევე წარმოადგენილია სს „ლ...ის“ ანგარიშის ამონანერი, რომლითაც დასტურდება, რომ მ. ც-ეის ოჯახს, ...ში, მისი დედის მეზობლად, ქირით ცხოვრების დროს, აღნიშნულ თანხას სწორედ

მოპასუხე უხდიდა. სასამართლო მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში სააგენტომ ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევისა გარეშე დაადგინა მოსარჩელის განსახლების გადაუდებელი საჭიროების არარსებობის ფაქტი, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე და 53-ე მუხლების მოთხოვნებს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველ და მე-2 ნაწილებზე, 53-ე მუხლის მე-5 ნაწილსა და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილზე მითითებით სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოების სათანადოდ გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, რის გამოც სადაც საკითხის გადაუწყეტლად ბათილად ცნო სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დირექტორის 2021 წლის 22 აპრილის №03-1384/ობრძანება და მოპასუხე სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დაავალა, ზემოაღნიშნულ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, სადაც საკითხთან დაკავშირებით ახალი დასაბუთებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 30 მაისის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე სრულად უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 30 მაისის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მ. ც-ებ და ე. ნ-ემ, რომლებმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე სრულად უარის თქმა მოითხოვს.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 2 თებერვლის განჩინებით პელანტების – მ. ც-ებისა და ე. ნ-ების სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. ასევე, არ დაკმაყოფილდა სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს სააპელაციო საჩივარი. უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 30 მაისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სა-სამართლოს შეფასებები, დასკვნები საქმის სამართლებრივ საკითხებ-თან დაკავშირებით, მიუთითა მათზე და დამატებით აღნიშნა, რომ პირ-ველი ინსტანციის სასამართლომ სამართლებრივი თვალსაზრისით სწო-რად შეაფასა საქმესთან დაკავშირებული ყველა ფაქტობრივი გარემო-ება. თავის მხრივ, აპელანტებმა თავის სააპელაციო საჩივარში ვერ გა-აქარწყლეს პირველი ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივი დას-კვნები, ვერ მიუთითეს და ვერ წარმოადგინეს ისეთი არგუმენტები, რომლებზე დაყრდნობითაც შესაძლებელი იქნებოდა საქმეზე დადგე-ნილი ფაქტების სხვაგვარი სამართლებრივი შეფასება.

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადა-ადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის 6.1 მუხლზე, მე-13 მუხლის პირველ, მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებზე, მე-14 მუხლის პირველ, მე-3 და მე-6 პუნქტებზე, მე-19 მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებზე, 20.1 მუხლზე, საქართველოს ოკუპირებული ტერი-ტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანების (ძა-ლადაგარებულია ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 08/04/2021 №01-30/6 ბრძანებით) პირველ მუხლზე მითითებით სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა გან-სახლების ორგანიზების მიზნით, დამტკიცდა „დევნილთა საცხოვრებ-ლით უზრუნველყოფის წესი“ – დანართი №1; „საცხოვრებელი ფართით სარგებლობის შესაძლებლობის შეფასების კრიტერიუმი“ – დანართი №6; „სოციალური კრიტერიუმი“ – დანართი №7; „გრძელვადიანი საც-ხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით, საცხოვრებელი ფარ-თის საორიენტაციო სტანდარტები დევნილი ოჯახის წევრთა რიცხოვ-ნობის გათვალისწინებით“ – დანართი №8. ასევე, შეიქმნა დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისია და მისი დებულება დამტკიცდა და-ნართი №12-ის შესაბამისად.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადა-ადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანებით დამტკიცებული „დევნილთა საც-ხოვრებლით უზრუნველყოფის წესის“ (დანართი №1) (ძალადაგარებუ-ლია ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთე-ლობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 08/04/2021 №01-30/6 ბრძა-ნებით) პირველი მუხლის პირველ პუნქტზე, მე-2 მუხლზე, მე-3 მუხ-ლის პირველ და მე-2 პუნქტებზე, მე-6 მუხლზე, ასევე, „დევნილთა სა-კითხების შემსწავლელი კომისიის დებულების“ (დანართი №12) პირვე-ლი მუხლის პირველ პუნქტზე, 3.2, 4.5, 5.4 მუხლებზე, საქართველოს

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობი-სა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 8 აპრილის №01-30/6 ბრძანების „დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის დამ-ტკიცების შესახებ“ პირველი მუხლის პირველ პუნქტზე, მე-2 მუხლზე, მოცემული ბრძანების დანართი №10-ის („დევნილთა საკითხების შემ-სწავლელი კომისიის დებულება“) პირველი მუხლის პირველ პუნქტზე, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტზე, მე-4 მუხლის მე-5 პუნქტზე, მე-5 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებზე მითითებით სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოსარჩელე მ. ც-ე არის იძულებით გადაადგილებული პირი – დევ-ნილი, რომლის მუდმივი საცხოვრებელი ადგილია იძულებით გადაად-გილებამდე: აფხაზეთი, სოხუმი, ს. ...., დროებითი საცხოვრებელი ადგი-ლი (რეგისტრაციის ადგილი და ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი) – ქ. თბილისი, ...ის მე-... მ/რ, მე-... რიგი, კორპ. №..., ბინა №..., სარეგის-ტრაციო №...; მ. ც-ეს დევნილი ოჯახი შედგება: 1) თავად – მ. (ც-ე); 2) შვილი – ე. ნ-ე (დაბ....ნ.). დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფარ-თით უზრუნველყოფის კრიტერიუმების მიხედვით, ოჯახი შეფასებუ-ლია 4.50 ქულით. დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის 20.06.2020 წლის (ოქმი №30), 15.10.2020 წლის (ოქმი №59), 25.01.2021 წლის (ოქმი №3) და 20.04.2021 წლის (ოქმი №27) გადაწყვეტილებების საფუძველზე, მ. ც-ეს გამოყოფა (გაუგრძელდა) ფინანსური დახმარება დროებითი საცხოვრებლის დაქირავების მიზნით, სამი თვის ვადით.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ სადაცოდ არ არის გამხდარი, რომ მ. ც-ე (განაცხადით გათვალისწინებული პირი, შვილი – ე. ნ-ე), რო-გორც იძულებით გადაადგილებული პირი – დევნილი (დევნილი ოჯახი) ექვემდებარება გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველ-ყოფას, თუმცა დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის 2021 წლის 02 აპრილის გადაწყვეტილების საფუძველზე (ოქმი №19), მ. ც-ეს უარი ეთქვა იმ საფუძვლით, რომ მოსარჩელის ოჯახის ამ ეტაპზე გან-სახლება გადაუდებელ საჭიროებას არ წარმოადგენს, მოსარჩელის დე-დის ალტერნატიული საცხოვრებლის გამო, ხოლო სსიპ დევნილთა, ეკო-მიგრანტთა და საარსებონ ყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2021 წლის 22 აპრილის №03-1384/ო ბრძანებით, დევნილთა საკითხების შემ-სწავლელი კომისიის 2021 წლის 2 აპრილის №19 სხდომის ოქმის საფუძ-ველზე – ამ ეტაპზე განსახლების გადაუდებელი საჭიროების არარასე-ბობის გამო, უარი ეთქვა ქ. თბილისში გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფაზე.

სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგი-ლებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დევნილ-თა საკითხების შემსწავლელი კომისიის 2021 წლის 02 აპრილის №19

სხდომის ოქმით დასტურდება, რომ კომისიამ განახორციელა მონიტორინგს დაქვემდებარებული 1193 განაცხადის მოკვლევა, შესაბამისი ოქმების შედგენა და ფოტომასალის მომზადება, რომელთაც წინასწარი შეფასებით მინიჭებული ჰქონდათ 4.5 და მეტი ქულა, ამასთან, ქ. თბილისში გასანაწილებელი ბინების რაოდენობა, არსებული რესურსის შესაბამისად, შეადგენდა 248 ოროთახიან ბინას. ამავდროულად, დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის კრიტერიუმების მიხედვით 4.50 ქულით შეფასებული მ. ც-ეს დევნილი ოჯახი არ იქნა დაკმაყოფილებული გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით და ეთქვა უარი „დედის ალტერნატიული საცხოვრებლის არსებობის გამო“.

სააპელაციო პალატა ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელის გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე უარის საფუძველი გახდა არა ზემოაღნიშნული „წესის“ შესაბამისად მინიჭებულ ქულათა რაოდენობა (ნაკლებობა), არამედ ადმინისტრაციული ორგანოს მითითება, მ. ც-ეს დედის ალტერნატიული საცხოვრებლის არსებობის გამო განსახლების გადაუდებელი საჭიროების არარსებობის შესახებ. ამასთან, არ იქნა გათვალისწინებული დევნილი ოჯახის ქირით ცხოვრების ფაქტი, აგრეთვე აღნიშნული მიზნით დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის არაერთი გადაწყვეტილება, რომლითაც მოსარჩელეს პერიოდულად გამოიყოფა (უგრძელდება) ფინანსური დახმარება დროებითი საცხოვრებლის დაქრავების მიზნით.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ დევნილი ოჯახის სოციალურეკონომიკური მდგომარეობის შეფასების წესით გათვალისწინებს იმ შემთხვევებსაც, როდესაც ბინით დასაკმაყოფილებელი დევნილი ოჯახი ცხოვრობს ნათესავის ბინაში ან/და ნაგირავებს (ქირით ან ქირის გარეშე) სხვის საკუთრებაში და ეს გარემოება კონკრეტული ქულით ფასდება შეფასების საერთო სისტემაში (ორივე შემთხვევაში გათვალისწინებულია 1,5 ქულა). ამდენად, მოსარჩელის გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ერთადერთი საფუძველი არ შეიძლება გახდეს დედის ალტერნატიული საცხოვრებელის არსებობის ფაქტი. ამასთან, მშობლის საცხოვრებელი ფართის არსებობა, არ გამორიცხავს დევნილი ოჯახის განსახლების შესაძლებლობას, საკითხის განხილვის ეტაპზე, შესაბამისი კრიტერიუმების გათვალისწინებით. საქართველოს უზენაესი სასამართლოს არაერთი განჩინებით გაკეთებული განმარტების შესაბამისად, „...დროებით საცხოვრებელში ცხოვრება, თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც აღნიშნული ფართი ნათესავს ეკუთვნის, არ იძლევა შესაძლებლობას, ზუსტად იქნეს დადგენილი, რამდენად აქვთ მოსარჩელეებს ხსენებულ საცხოვრებელში ცხოვრების შეუზღუდავი შესაძლებლობა. ასეთი დასკვნის გაკეთება კი განსა-

კუთრებით რთულია აღნიშნული ფართით შეუზღუდავი სარგებლობის სამომავლო პერსპექტივების განსაზღრის კუთხით... საკასაციო სასა-მართლო ვერ გაიზიარებს მოსარჩელისთვის გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფაზე უარის თქმას იმ მოტივით, რომ არ არსებობდა გადაუდებელი განსახლების საჭიროება მოსარჩელის შვილების საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებით სარგებლობის შესაძლებლობის არსებობის გამო...“ (სუს 23.12.2021წ. №ბს-900(კ-21), 22.07.2021წ. №ბს-83(კ-21), 25.03.2021წ. №ბს-1129(კ-20) განჩინებები და სხვ.).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ გაიზიარა თბილისის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეფასებები, დასკვნები, როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით და მიაჩნია, რომ სადაცოდ გამხდარი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, შესაბამისად, სასამართლო უფლებამოსილია სადაცო საკითხის გადაწყვეტილდებათილად ცნოს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დავავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-თა პალატის 2023 წლის 2 თებერვლის განჩინება საკასაციო წესით გაა-საჩივრა სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და სასარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, სასამართლომ არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებებს, ასევე არასრულად განმარტა კანონი. ორივე ინსტანციის სასამართლომ მხედველობაში მიიღო და გაითვალისწინა მხოლოდ მოსარჩელე მხარის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ახსნა-განმარტება, ხოლო ადმინისტრაციული ორგანოს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები – მხოლოდ ფორმალურადაა ნახსენები გადაწყვეტილებაში. სასამართლოს მითითებით, ადმინისტრაციულმა ორგანომ სრულყოფილად არ შეისწავლა და არ გამოიკვლია საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებები, თუმცა დამატებით რა უნდა გამოეკვლია ადმინისტრაციულ ორგანოს არ მიუთითებია. სასამართლომ არ გაითვალისწინა მთელი რიგი გარემოებები, რაც ადმინისტრაციულმა ორგანომ გამოიკვლია და შეაფასა, კერძოდ, 2020 წლის 9 ნოემბერს განხორციელდა მონიტორინგი მოსარჩელის მიერ განაცხადში მითითებულ ფაქტობრივ მისამართზე და შეივსო შესა-

ბამისი მონიტორინგის ფორმა. მისამართზე იმყოფებოდა თავად მოსარჩელე, რომელმაც განმარტა, რომ შვილი – ე. ნ-ე ქალაქში იყო გასული მეგობართან. ცხოვრობენ ქირით უკვე 2 წლის და 2 თვეის მანძილზე და იხდიან ქირას 220 ლარს. მანამდე ცხოვრობდნენ ქირით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ...ის მე-4 მ/რ, მე-2 რიგი, კორპ №3, ბინა №...; უფრო ადრე 1993 წლიდან – ნათესავებთან ქირის გარეშე. ნაქირავები აქვს პირველ სართულზე ერთი ოთახი, თუმცა აქვს სამზარეულო. ბინის მესაკუთრე არის მ. ბ-ი და ცხოვრობს იმავე სახლის მეორე სართულზე. აცხადებს, რომ მასთან არ აქვს ნათესაური კაგშირი. მოსარჩელის მიერ ქირის გადახდის ფაქტი დაადასტურა სახლის მფლობელის დედამ – ხ. ბ-იმა. მოსარჩელის მამა – ლ. ც-ე გარდაცვლილია, ხოლო დედა – ნ. ა-ი და ძმა – ა. ც-ე ცხოვრობენ მისი რეგისტრაციის მისამართზე – თბილისი, ...ის მე-... მ/რ, მე-... რიგი, კორპ №..., ბინა №... (ს/კ ...), რომელიც არის დედის საკუთრება. მეუღლესთან – ლ. ნ-ესთან ერთად იცხოვრა ერთი წლის განმავლობაში, 1997 წელს. მეუღლესთან რეგისტრირებულ ქორწინებში არ ყოფილა. მეუღლე ცხოვრობდა სამტრედიაში, სოფელ ...ში, საკუთარ სახლში. გარდაიცვალა 2014 წელს და დაკრძალულია სამტრედიაში. განმარტავს, რომ 1998 წლიდან მეუღლესთან ურთიერთობა არ ჰქონია და არც მის დედმამიშვილებს იცნობს. არ იცის, ამჟამად ვინ ცხოვრობს მეუღლის სახლში. 2021 წლის 22 მარტს მონიტორინგი განხორციელდა მისამართზე – თბილისი, ...ის მე-4 მ/რ, მე-2 რიგი, კორპ. №..., ბინა №..., სადაც მოსარჩელე წლების განმავლობაში ცხოვრობდა. ბინა დაკეტილი იყო. გასაუბრება მოხდა მეზობელთან, რომელმაც კარი არ გააღო, თუმცა განმარტა, რომ მ. ც-ე ცხოვრობს შემდეგ მისამართზე – თბილისი, ...ის მე-4 მ/რ, მე-2 რიგი, კორპ №..., ბინა №.... მონიტორინგის სამართველოს თანამშრომლები ასევე გამოცხადნენ აღნიშნულ მისამართზე, სადაც არავინ იმყოფებოდა. გასაუბრება მოხდა მეზობელთან, რომელებმაც განმარტეს, რომ მოსარჩელე აღარ ცხოვრობს მითითებულ მისამართზე და გადასულია ქირით სხვა სახლში საცხოვრებლად, თუმცა მისამართი არ იცოდნენ. 2021 წლის 29 მარტს მონიტორინგი კვლავ განხორციელდა ზემოაღნიშნულ ორივე მისამართზე, სადაც კვლავ არავინ იმყოფებოდა. № 18 ბინაში მცხოვრებმა მეზობელმა განმარტა, რომ მოსარჩელე ცხოვრობს იმავე კორპუსში, ხოლო შეკითხვაზე, თუ ვინ ცხოვრობს №... ბინაში, არ უპასუხა. ზემოაღნიშნული დოკუმენტაციით დგინდება, რომ მოსარჩელის განსახლება გადაუდებელ აუცილებლობას არ წარმოადგენს. მხარემ თავად განმარტა, რომ ოჯახის წევრს, დედას აქვს ალტერნატიული საცხოვრებელი, თუმცა მონიტორინგის მასალებიდან დგინდება, რომ აღნიშნული ბინა დაკეტილია, რაც თავისთავად ნიშნავს, რომ მოსარჩელეს შეუძლია თავისუფლად ისარგებლოს აღნიშნული საცხოვრებელი ფართით. ამასთან, სახე-

ზე არ არის სხვა კრიტერიუმები, რომლებმაც შეიძლება არსებითად და-ამძიმოს დევნილის სოციალური მდგომარეობა, რის გამოც კომისიამ მი-იღო უარყოფითი გადაწყვეტილება. ამ ეტაზზე მოხდა იმ დევნილების დაკმაყოფილება, რომლებიც შეფასების კრიტერიუმებით და მონიტო-რინგის მიერ შედგენილი ოქმებით შედარებით რთულ პირობებში იმყო-ფებოდნენ.

კასატორის განმარტებით, დევნილი ოჯახის სათანადო საცხოვრებ-ლით უზრუნველყოფის ვალდებულება გულისხმობს დევნილი ოჯახის ინდივიდუალური საჭიროებების საფუძვლიანად გამოკვლევას, მათ შო-რის, დევნილი ოჯახის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ფაქტობ-რივად ცხოვრების ადგილის გათვალისწინებით საცხოვრებლით უზრუნ-ველყოფას. შესაბამისად, დაუსაბუთებელია სასამართლოს პოზიცია, რომ სააგნენტოს მიერ სრულყოფილი ადმინისტრაციული წარმოება არ ჩატარებულა და არ გამოკვლეულა სადავო საკითხი. გაუგებარია, თა-ვად სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას მხოლოდ მოსარჩე-ლის განმარტებით რატომ იხელმძღვანელა და არ გათვალისწინა ად-მინისტრაციული ორგანოს მიერ წარდგენილი მთელი რიგი მტკიცებუ-ლებები.

კასატორის განმარტებით, სააგნენტო საცხოვრებელი ფართის მიღე-ბასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს, მინისტრის 2021 წლის 8 აპრილის №01-30/ნ ბრძანების შესაბამისად, კანონმდებლობით და-კისრებული ყველა მოთხოვნათა ზედმინევნით შესრულებით, რაც გუ-ლისხმობს ადმინისტრაციული წარმოებისას საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შეფასებას, ფაქტების დეტალურ შესწავლას და მხოლოდ ამის შემდგომ საქმისათვის არსებითი მნიშვნე-ლობის მქონე ფაქტებსა და მტკიცებულებებზე დაყრდნობით შესაბა-მისი გადაწყვეტილების მიღებას. ფაქტობრივად ცხოვრების ფაქტის გადამოწმება უნდა განახორციელოს დეპარტამენტის მონიტორინგის სამმართველომ, შესაბამისად, არამართებულია სწორედ აღნიშნული კა-ნონის გათვალისწინებით სააგნენტოსათვის იმის მითითება, რომ გადაწ-ყვეტილება მონიტორინგის სამმართველოს მიერ გადამოწმებული და მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე არ მიიღოს. სახელმწიფოს ათასობით დევნილი ოჯახი ჰყავს საცხოვრებლით დასაქმაყოფილებე-ლი, რომელთა უმეტესობას არა აქვს საკუთრება. ყველა ოჯახს სურს, რაც შეიძლება სწრაფად მიიღოს ბინა, რაც ასევე სახელმწიფოს ინტე-რესიცაა, თუმცა სახელმწიფო თავისი რესურსის გათვალისწინებით, ეტაპობრივად აკმაყოფილებს დევნილთა ოჯახებს საცხოვრებლით და მათი საცხოვრებლით უზრუნველყოფისას ითვალისწინებს სასწრაფოდ განსახლების საჭიროებას. სწორედ ამ მიზნით გამოყოფს იმ ოჯახებს, ვისაც მითითებული აქვს განაცხადში სწორი ინფორმაცია, არა აქვს ალ-

ტერნატიული საცხოვრებელი ფართი და პრიორიტეტულად მიიჩნევს მას. ამავე მიზნით განისაზღვრა საკითხის მომწესრიგებელი აქტებით რიგითობისა და ოჯახების საჭიროების პრიორიტეტულობა. ის, გარე-მოება, რომ დევნილი ოჯახი სახელმწიფოს არ ჰყავს საცხოვრებლით უზრუნველყოფილი არ დგას ეჭვის ქვეშ, თუმცა ბენეფიციარებსაც აქვთ თმენის ვალდებულება, დაელოდონ თავიანთრიგბს. პირველ რიგში, საცხოვრებლით უნდა დაკმაყოფილდნენ ისეთი ოჯახები, რომელთაც არ გააჩნიათ არავითარი საცხოვრებელი, დაგროვილი აქვთ ფართის მისა-ლებად საკმარისი ქულები და მათი საცხოვრებლით უზრუნველყოფა სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. მოქმედი ნორმა, გრძელვადიანი საცხოვრებლის მიღების მსურველ დევნილთა შორის აწესებს გარკვეულ რიგითობას, პრიორიტეტულობას, რაც დადგენილია იმპერატიულად, კერძოდ, პირველ რიგში და საკითხის განხილვის ეტაპზე ხდება იმ დევ-ნილი ოჯახების დაკმაყოფილება, რომლებიც უპირატესად საჭიროებენ სახელმწიფოს მხრიდან დახმარებას. ცხადა, ეს ნორმა არაფრით არ უარყოფს და ეჭვის ქვეშ არ აყენებს სახელმწიფოს მიერ აღებულ ვალ-დებულებას – საცხოვრებლით უზრუნველყოს ყველა დევნილი ოჯახი, მათ შორის ის ოჯახები, რომლებსაც ხელი მიუწვდებათ ალტერნატიულ საცხოვრებელზე ან გააჩნიათ საკუთარი საცხოვრებელი, თუმცა, შესა-ბამისი რიგითობის დაცვით. ამდენად, სასამართლო თუ ამგვარად მი-უდგება საკითხს და მიმდინარე ეტაპზე იმ პირების მოთხოვნას დააკ-მაყოფილებს, რომელთა მოთხოვნის დაკმაყოფილების ჯერიც იმპერა-ტიული დანაწესის გათვალისწინებით ბოლო ეტაპია, სასამართლო არა-თანაბარ მდგომარეობაში ჩააყენებს დევნილ ოჯახებს და ხელოვნუ-რად გამოიწვევს მათვის მინიჭებული უფლებების უხეშ დარღვევას. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ საქმეში წარმოდგენილ უტყუ-არ მტკიცებულებებს ყურადღება არ მიაქცია და გადაწყვეტილება მხო-ლოდ მხარის მიერ გაკეთებული განმარტების სენსიტიურობიდან გა-მომდინარე მიიღო.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით კასატორს მიაჩნია, რომ საპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმის ფაქტობ-რივი გარემოებები და არ გაითვალისწინა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ წარდგენილი მტკიცებულებები. გადაწყვეტილების მიღებისას და-ეყრდნო მხოლოდ მოსარჩელის ახსნა-განმარტებას, რომელიც არ იყო გამყარებული შესაბამისი მტკიცებულებით.

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-თა პალატის 2023 წლის 2 თებერვლის განჩინება საკასაციო წესით გაა-საჩივრეს მ. ც-ემ და ე. ნ-ემ, რომლებმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მო-ითხოვეს.

საკასაციონისაჩივრის თანახმად, მოსარჩელეს უარი ეთქვა საცხოვ-რებელი ფართით უზრუნველყოფაზე „დედის ალტერნატიული საცხოვ-რებლის გამო“. საყურადღებოა, რომ სასამართლო მიუთითებს უზენაე-სი სასამართლოს პრაქტიკაზე, რომლის თანახმად, ზემოაღნიშნული ფაქტი ვერ იქნება საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფაზე უარის თქმის საფუძველი, რადგან მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი გა-მომდინარეობს არა „წესით“ განსაზღვრული ქულების ნაკლებობის გა-მო, არამედ – ახლო ნათესავის საკუთრების გამო. ამ მოცემულობის გადაწყვეტილებით სასამართლოს შეეძლო, მიეღო გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე. გასაჩივრებული გადაწყვეტი-ლება, რომლითაც გამოყენებულ იქნა საქართველოს ადმინისტრაციუ-ლი საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლი, ენინააღმდეგება მოსარჩელის ინტერესებს, ზიანსა აყენებს მის ოჯახს, მით უფრო, როდესაც საქმეში წარმოდგენილია მტკიცებულებები, რომლებითაც დასტურდება, რომ მოსარჩელეს საცხოვრებელი ბინის ქირას უხდის სახელმწიფო.

8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-მეთა პალატის 2023 წლის 22 მაისის განჩინებით საქართველოს ადმი-ნისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესა-ბამისად, დასაშვებობის შესამონმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველ-ყოფის სააგენტოს საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 27 ივნისის განჩინებით საქართველოს ადმინი-სტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესა-ბა-მისად, დასაშვებობის შესამონმებლად წარმოებაში იქნა მიღებული მ. ც-ეისა და ე. ნ-ეის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 9 ოქტომბრის განჩინებით სსიპ დევნილთა, ეკო-მიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს, მ. ც-ეისა და ე. ნ-ეის საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნეს დასაშვებად და მათი განხილვა განისაზღვრა მხარეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო სა-ჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კა-ნონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველ-ყოფის სააგენტოს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხო-ლო მ. ც-ეისა და ე. ნ-ეის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული (გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები), ხოლო ამავე კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის საპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაპრუნების საფუძვლები (საკასაციო სამართლოს გადაწყვეტილება).

განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს ნარმოადგენს „დევნილი ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე უარის თქმის თაობაზე“ სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დირექტორის 2021 წლის 22 აპრილის №03-1384/ო ბრძანების კანონიერების შეფასება და მოპასუხის-თვის მოსარჩელისა და მისი ოჯახის (განაცხადით გათვალისწინებული პირების) გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების თაობაზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება.

თავდაპირველად საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქალაქო სასამართლომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე, სადაც საკითხის გადაწყვეტლად ბათილად ცნო სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დირექტორის 2021 წლის 22 აპრილის №03-1384/ო ბრძანება და დავალა სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, სადაც საკითხთან დაკავშირებით ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლომ გასაჩინორებული განჩინებით უცვლელად დატოვა.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლების მიერ მოცემული დავის გადაწყვეტილას საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენებას და აღნიშნულთან მიმართებით მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 05.04.186. №ბს-990-986(2კ-17) განჩინებაზე, რომლის თანახმად, „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსები-

თი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია, სადაც საკითხის გადაუწყვეტლად, ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და და-ავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრა-ციულ-სამართლებრივი აქტი. მითითებული მუხლით რეგლამენტირე-ბული სასამართლოსათვის მინიჭებული საპროცესო უფლებამოსილება – უარი თქვას სადაც საკითხის მოწესრიგებაზე და აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალოს იმავე საკითხზე ახალი ინდივი-დუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, არ წარ-მოადგენს უპირობო და შეუზღუდვა უფლებამოსილებას. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას წარმოად-გენს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევა და სწორედ საქმის გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების სა-ფუძველზე უნდა იქნეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვე-ტილება მიღებული. ზემოაღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, თუ სა-სამართლო მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ არ გამოიკ-ვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და ისე გამოსცა ადმინისტრაციული აქტი, იგი უფლებამოსილია სადაც საკითხის გა-დაუწყვეტლად ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სა-მართლებრივი აქტი და დაავალოს შესაბამის ადმინისტრაციულ ორგა-ნოს გამოსცეს ახალი აქტი. ამდენად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენების კომპეტენცია სასა-მართლოს გააჩნია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ინდივიდუალური ად-მინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმის გარემოე-ბათა გამოკვლევის გარეშე. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით მინიჭებულ უფლებამოსილებას სასამარ-თლო იყენებს იმ შემთხვევაში, როცა სასამართლო წესით ვერ ხერხდე-ბა ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და შეფასება. მათი დადგენა მხოლოდ ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია მისთვის კანონით მინი-ჭებული უფლებამოსილებიდან გამომდინარე ან აღნიშნული მის დის-კრეციას განეკუთვნება. შესაბამისად, შეუძლებელი ხდება სასამარ-თლოს მიერ სადაც ადმინისტრაციული აქტის მატერიალური კანონიე-რების შეფასება“.

სააპელაციო სასამართლო პირველი ინსტანციის სასამართლოს გა-დაწყვეტილების კანონიერებასა და დასაბუთებულობას ამონმებს, რო-გორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით, ანუ საქმეს განიხილავს, როგორც ფაქტობრივი გარემოებების დადგენის, ისე მათი სამართლებრივი შეფასების კუთხით. სააპელაციო სასამართლოს უფ-

ლება აქვს დაადგინოს ახალი ფაქტები, ხოლო საქმის მონაწილე პირებს უფლება აქვთ პირველ ინსტანციაში უკვე განხილულთან ერთად სააპელაციო სასამართლოში წარადგინონ ახალი მტკიცებულებები. ანუ სააპელაციო სასამართლო, საკასაციო ინსტანციის სასამართლოსგან განსხვავებით, შებოჭილი არა პროცესუალური შესაძლებლობით, საქმეზე დაადგინოს ფაქტობრივი გარემოებები, გამოითხოვოს და შეაფასოს მტკიცებულებები.

საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, სააპელაციო სასამართლოს სრული პროცესუალური უფლებამოსილება პქონდა თავად გადაეწყვიტა დავა და შეემონმებინა გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მატერიალური კანონიერება. იმ შემთხვევაში, თუ დავის გადაწყვეტისას სასამართლო საჭიროდ მიიჩნევდა გარკვეული ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევას ან დადგენას, შესაძლებლობა პქონდა ესარგებლა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მინიჭებული საპროცესო კომპეტენციით და თავად მოეპოვებინა მტკიცებულებები. სააპელაციო სასამართლოს არ დაუსაბუთებია, რატომ იყო შეზღუდული საქმეზე თავად მიეღო გადაწყვეტილება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების საჭიროება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მითითებით, მოცემული საკითხის მარეგულირებელი „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს დევნილის სამართლებრივ სტატუსს, პირისათვის დევნილის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, ჩამორთმევისა და აღდგენის საფუძვლებსა და წესს, დევნილის სამართლებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ გარანტიებს, მის უფლებებსა და მოვალეობებს (მუხლი 2).

საქართველოს სახელმწიფო ორგანოები, იძულებითი გადაადგილებით გამოწვეული სპეციფიკური საჭიროებების გათვალისწინებით, იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის (შემდგომ – დევნილი) პრობლემების გადაჭრისას მოქმედებენ საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმა-

ტიული აქტების, ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული ნორმების შესაბამისად (მუხლი 1).

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადა-ადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის 6.1 მუხლის თანახმად, იძულებით გადაადგილებულ პირად – დევნილად ითვლება საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი იმ მიზეზით, რომ უცხო ქვეყნის მიერ ტერიტორიის ოკუპაციის, აგრესის, შეიარაღებული კონფლიქტის, საყოველთაო ძალადობის ან/და ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო საფრთხე შეექმნა მის ან მისი ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან... სან/და ზემოაღნიშნული მიზეზის გათვალისწინებით შეუძლებელია მისი მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს დასახელებული კანონის მე-4 მუხლის „ო“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, დევნილის გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფა (შემდგომ – გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფა) არის დევნილის სტატუსიდან გამომდინარე, დევნილი ოჯახის განსახლების მიზნით მისთვის სახელმწიფო ორგანოების, მუნიციპალიტეტების, საერთაშორისო, დონორიან ადგილობრივი ორგანიზაციების, ფიზიკური ან კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ საცხოვრებელი ფართობის საკუთრებაში გადაცემა ან სანაცვლოდ მისი სათანადო ფულადი ან სხვა სახის დახმარებით უზრუნველყოფა. ამავე კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად კი, დევნილს უფლება აქვს მიიღოს სოციალური და სხვა სახის დახმარებებისაქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და პირობებით.

კანონის მე-13 მუხლის თანახმად, ყველა დევნილს აქვს ოჯახის ერთიანობის პატივისცემის უფლება. დაუშვებელია ოჯახის ხელოვნურად დაყოფა ან ოჯახების გაერთიანება მისი (მათი) წევრების ნების საწინააღმდეგოდ (1); იძულებითი გადაადგილებისას უსახლვაროდ დარჩენილ დევნილს სამინისტრო სხვა შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან ერთად უზრუნველყოფს სათანადო საცხოვრებლით. სათანადო საცხოვრებლით უზრუნველყოფისას სამინისტრო არეგისტრირებს დევნილს განსახლების ადგილზე (2); სამინისტრო საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს დევნილისათვის ამ კანონით განსაზღვრული უფლებების განხორციელებას, იღებს ზომებს მისი უსაფრთხო და ღირსეული ცხოვრებისათვის აუცილებელი სოციალურ-ეკონომიკური პირობების შესაქმნელად (3).

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასა-  
მართლო აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს განსაკუთრებული ვალდებუ-  
ლებები აკისრია დევნილთა მიმართ, შესაბამისად, განსაკუთრებით  
მნიშვნელოვანია უზრუნველყოფილ იქნეს დევნილთა ღირსეული გან-  
სახლებისათვის აუცილებელი პირობები. ყოველ კონკრეტულ შემთხვე-  
ვაში მნიშვნელოვანია, შესაბამის ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნო-  
ბით, შეფასდეს ოჯახის ეკონომიკური, სოციალური თუ სხვა ყოფითი  
მდგომარეობა, რადგან ქულათა მინიჭებას არსებითი მნიშვნელობა აქვს  
და განსაზღვრავს სახელმწიფოს მიერ დევნილთა საცხოვრებელი ფარ-  
თით დაკმაყოფილების პრიორიტეტულობას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმეზე დადგენილ შემდეგ  
ფაქტობრივ გარემოებებზე: ა) მოსარჩევე – მ. ც-ე არის საქართველოს  
ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული პირი –  
დევნილი, რომელზეც გაცემულია – იძულებით გადაადგილებული პი-  
რის – დევნილის მონმობა; ბ) მ. ც-ემ შეავსო განაცხადი საცხოვრებელი  
ფართით უზრუნველყოფის თაობაზე. განაცხადი წარადგინა შვილთან  
– ე. ნ-ესთან ერთად. შეფასების შედეგად მ. ც-ეის ოჯახს მიენიჭა შემ-  
დეგი ქულები: საცხოვრებლის ფინანსური პირობები – ცხოვრობს ნა-  
თესავის/ახლობლის ოჯახთან ერთად – 1.50 ქულა; სოციალური კრიტე-  
რიუმი – 30001-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულით – 3.00 ქულა; საბოლო-  
ოდ – 4.50 ქულა; გ) 2020 წლის 9 ნოემბერს მოსარჩევის მიერ მითითე-  
ბულ მისამართზე – ე. თბილისი, ...ის დას. .... ქუჩა, სახლი №...-ში განხორ-  
ციელდა მონიტორინგი და შეივსო შესაბამისი ფორმა. მითითებულ მი-  
სამართზე მონიტორინგის თანამშრომლებს დახვდათ თავად მ. ც-ე, რო-  
მელმაც მიუთითა, რომ მისი შვილი – ე. ნ-ე ქალაქში იყო გასული მეგო-  
ბართან. მ. ც-ეის განმარტებით, ის და მისი შვილი ცხოვრობდენ ქირით  
უკვე 2 წლის და 2 თვის მანძილზე და იხდიდნენ ქირას 220 ლარს. მანამ-  
დე ცხოვრობდნენ ქ. თბილისში, ...ის მე-... მ/რ, მე-2 რიგი, კორპ №3,  
ბინა №...-ში ქირით. უფრო ადრე – 1993 წელს კი, ნათესავებთან ქირის  
გარეშე. მოსარჩევის განმარტებით, ამჟამად ნაქირავები ჰქონდათ პირ-  
ველ სართულზე ერთი ოთახი. ბინის მესაკუთრე იყო მ. ბ-ი, რომელიც  
ცხოვრობდა იმავე სახლში მეორე სართულზე. განმცხადებლის განმარ-  
ტებით, მასთან ჰქონდა ნათესაური კავშირი. ქირის ფაქტი დაადასტუ-  
რა სახლის მფლობელის დედამ – ხ. ბ-იმა. მოსარჩევის განმარტებით,  
მისი მამა – ლ. ც-ე გარდაცვლილი იყო, ხოლო დედა – ნ. ა-იდა ძმა – ა. ც-  
ე ცხოვრობდნენ მისამართზე – თბილისი, ...ის მე-... მ/რ, მე-2 რიგი, კორპ  
№3, ბინა №5-ში, რომელიც იყო დედის საკუთრება. მეუღლესთან – ლ.  
ნ-ესთან ერთად იცხოვრა ერთი წლის მანძილზე – 1997 წელს. რეგის-  
ტრირებულ ქორწინებაში არ ყოფილან. მეუღლე ცხოვრობდა სამტრე-  
დიაში, სოფელ ...ში, საკუთარ სახლში. გარდაიცვალა 2014 წელს და დაკ-

რძალული იყო სამტრედიაში. მოსარჩევები განმარტა, რომ 1998 წლი-დან მეუღლესთან ურთიერთობა არ ჰქონია და არც მის დედმამიშვი-ლებს იცნობდა. მეუღლის სახლში ამჟამად ვინ ცხოვრობდა არ იცოდა; დ) 2021 წლის 22 მარტს მონიტორინგი განხორციელდა მისამართზე – ქ. თბილისი, ...ის მე-4 მ/რ, მე-2 რიგი, კორპ №3, ბინა №.... ბინა იყო დაკე-ტილი. გასაუბრება მოხდა მეზობელთან, რომელმაც განმარტა, რომ მ. ც-ე ცხოვრობდა მისამართზე – ქ. თბილისი, ...ის მე-4 მ/რ, მე-2 რიგი, კორპ. №3, ბინა №5. მონიტორინგის სამმართველოს თანამშრომლები ასევე გამოცხადნენ მისამართზე – ქ. თბილისი, ...ის მე-4 მ/რ, მე-2 რი-გი, კორპ. №3, ბინა №5. აღნიშნულ მისამართზეც არავინ იმყოფებოდა. გასაუბრება მოხდა გვერდით ბინაში მცხოვრობ მეზობელთან, რომელ-მაც მონიტორინგის სამმართველოს თანამშრომლებს განუმარტა, რომ მ. ც-ე აღარ ცხოვრობდა მითითებულ მისამართზე და გადასული იყო ქირით სხვა სახლში საცხოვრებლად, თუმცა მისამართი არ იცოდა; ე) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დევნილთა სა-კითხების შემსწავლელი კომისიის 2021 წლის 2 აპრილის №19 საკემო გადაწყვეტილებით მ. ც-ეს უარი ეთქვა საცხოვრებელი ფართით უზ-რუნველყოფაზე იმ საფუძვლით, რომ მოცემულ ეტაპზე მისი განსახ-ლება გადაუდებელ საჭიროებას არ წარმოადგენდა დედის ალტერნა-ტიული საცხოვრებლის გამო; ვ) სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და სა-არსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დირექტორის 2021 წლის 22 აპრილის №03-1384/ო ბრძანებით, დევნილთა საკითხების შემ-სწავლელი კომისიის 2021 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილების საფუძ-ველზე (ოქმი №19), მ. ც-ეს (განაცხადით გათვალისწინებულ პირებს) უარი ეთქვა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა-ზე ქ. თბილისში, მოცემულ ეტაპზე განსახლების გადაუდებელი საჭი-როების არარსებობის გამო.

საკასაციო პალატა „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები-დან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქარ-თველოს კანონის მე-4 მუხლის „ო“ ქვეპუნქტსა და ამავე კანონის მე-13 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებზე მითითებით აღნიშნავს, რომ სახელ-მწიფოს განსაკუთრებული ვალდებულებები აკისრია დევნილთა მი-მართ, კერძოდ, ის, სხვა შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან ერთად, ვალდებულია დევნილი ოჯახი უზრუნველყოს გრძელვადიანი საცხოვ-რებლით, შექმნას მათი ღირსეული განსახლებისათვის აუცილებელი პი-რობები. ამ მიზნით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მი-ნისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანებით (ძალადაკარგულია „დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შე-

სახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 8 აპრილის №01-30/6 ბრძანებით) დამტკიცდა „დევნილთა საცხოვრებელით უზრუნველყოფის წესი“ (დანართი №1). პალატა მიუთითებს აღნიშნული წესის მეორე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა არის ამ წესის შესაბამისად, დევნილის სტატუსიდან გამომდინარე, დევნილი ოჯახის განსახლების მიზნით მისთვის სახელმწიფო ორგანოების ან მუნიციპალიტეტების, საერთაშორისო, დონორი ან ადგილობრივი ორგანიზაციების, ფიზიკური ან კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით; კერძო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართის (სახლი/ბინა) შესყიდვა; სახელმწიფოს მიერ ერთჯერადი ფულადი დახმარების გაცემა იმ დევნილ ოჯახებზე, რომლებმაც 2019 წლის 1 იანვრამდე იპოთეკური სესხით შეიძინეს საცხოვრებელი სახლები/ბინები და აღნიშნული საცხოვრებელი სახლები/ბინები არის მათი ერთადერთი საკუთრება; იმავე „წესის“ მე-6 მუხლის პირველი პუნქტით კი დადგენილია, რომ გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით, კრიტერიუმების საფუძველზე, განისაზღვრება დევნილი ოჯახების საჭიროებების პრიორიტეტულობა. კრიტერიუმების გათვალისწინების პროცესის გამარტივების მიზნით, თითოეული კრიტერიუმი ტოლია გარკვეული რაოდენობის ქულისა, რომლებიც დევნილი ოჯახის საჭიროების შეფასებისას დაჯამდება. ქულები მითითებულია კრიტერიუმების პრიორიტეტულობის საჩვენებლად. დევნილ ოჯახს, რომელიც მეტ ქულას დააგროვებს, ენიჭება პრიორიტეტი. ზემოაღნიშნული ბრძანებით ასევე დამტკიცებული იყო „საცხოვრებელი ფართით სარგებლობის შესაძლებლობის შეფასების კრიტერიუმი“ (დანართი №6), რომელშიც მოცემულია კალკეული კომპონენტები, რომელთა საფუძველზეც უნდა შეფასდეს კონკრეტული დევნილი ოჯახის მდგომარეობა, შესაბამისი ქულების მინიჭებით.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, ანალოგიური საკანონმდებლო დანაწესი მოქმედებს დღეისათვის მოქმედი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 8 აპრილის №01-30/6 ბრძანებით დამტკიცებული „დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესით“ (დანართი №1), რომლის მეორე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა არის ამ წესის შესაბამისად, დევნილის სტატუსიდან გამომდინარე, დევნილი ოჯახის განსახლების მიზნით მისთვის სახელმწიფო ორგანოების ან მუნიციპალიტეტების, საერთაშორისო, დონორი ან ადგი-

ლობრივი ორგანიზაციების, ფიზიკური ან კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ან კერძო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართის (სახლი/ბინა) შესყიდვა. ამავე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით კი, კრიტერიუმები განიმარტება, როგორც ამ ბრძანების პირველი მუხლის მე-6 პუნქტით დამტკიცებული „საცხოვრებელი ფართით სარგებლობის შესაძლებლობის შეფასების კრიტერიუმი“ – დანართი №6 და „სოციალური კრიტერიუმი“ – დანართი №7.

ამავე „წესის“ მე-3 მუხლი ადგენს საცხოვრებელი ფართის მიღების პროცედურას. საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე განაცხადების განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებაზე პასუხისმგებელია ამ ბრძანების პირველი მუხლის მე-8 პუნქტით შექმნილი დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისია (შემდგომში – კომისია) (1); კომისია, ამ წესის შესაბამისად, ანანილებს დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით სააგენტოსათვის გადმოცემულ ან სააგენტოს მიერ შესყიდულ/რეაბილიტირებულ საცხოვრებელ ფართებს და არსებული რესურსის გათვალისწინებით, განსაზღვრავს იმ დევნილი ოჯახების კონტინგენტს, რომელთაც გაუკეთდებათ გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფისათვის კონკრეტული შეთავაზებები (2).

ზემოდასახელებული ბრძანებით დამტკიცებული „დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის დებულების“ (დანართი №10) 1.1. მუხლის თანახმად, ამ ბრძანების პირველი მუხლის მე-8 პუნქტით შექმნილი დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის ძირითადი ფუნქცია დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროცესის ორგანიზება და წარმართვა ამ ბრძანების პირველი მუხლის პირველი პუნქტით დამტკიცებული „დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის“ (შემდგომში – წესი) შესაბამისად, ასევე დევნილთა სხვა საჭიროებების შესწავლა შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით. კომისიის შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

„დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის“ (დანართი №1) მე-6 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილია, რომ გრძელვადიანი საცხოვრებელ ფართით უზრუნველყოფის მიზნით, ამ წესის მე-3-მე-4 მუხლებით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღებისას, კრიტერიუმების საფუძველზე, განისაზღვრება დევნილი ოჯახების საჭიროებების პრიორიტეტულობა. კრიტერიუმების გათვალისწინების პროცე-

სის გამარტივების მიზნით, თითოეული კრიტერიუმი ტოლია გარკვეული რაოდენობის ქულისა, რომელიც დევნილი ოჯახის საჭიროების შეფასებისას დაჯამდება. ქულები მითითებულია კრიტერიუმების პრიორიტეტულობის საჩვენებლად. დევნილ ოჯახს, რომელიც მეტ ქულას დააგროვებს, ენიჭება პრიორიტეტი.

გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფისათვის დევნილი ოჯახის მიერ ივსება ზემოაღნიშნული ბრძანების პირველი მუხლის მე-2 პუნქტით დამტკიცებული დანართი №2-ით გათვალისწინებული „საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე განაცხადის ფორმა“ და ბრძანების პირველი მუხლის მე-5 პუნქტით დამტკიცებული დანართი №5-ით გათვალისწინებული „გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის თაობაზე კითხვარის ფორმა“. თუ განაცხადების შეფასებისას აღმოჩნდა, რომ დევნილის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია არის არსებითად მცდარი, რამაც შეიძლება გავლენა იქნიოს ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შეფასებაზე, განაცხადი რჩება განუხილველი, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ კანონმდებლობის შესაბამისად, მონიტორინგის სამმართველოს მიერ გადამოწმების საფუძველზე აღმოჩნდა, რომ შევსებულ კითხვარში წარდგენილი ინფორმაცია და დოკუმენტაცია არის არსებითად მცდარი ან/და დევნილი ოჯახის მიერ მონიტორინგის დროს წარდგენილი იქნა დოკუმენტაცია, რამაც შეიძლება გავლენა იქნიოს მინიჭებულ ქულებზე, საცხოვრებელი მისამართზე, ოჯახის შემადგენლობაზე და/ან გადასაცემ საცხოვრებელ ფართზე, აღნიშნულის თაობაზე ინფორმაცია წარედგინება კომისიას, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით („ნესის“ მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ და „ვ“ ქვეპუნქტები).

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანო წარმოადგენს დევნილთა განსახლების საკითხზე პასუხისმგებელ უწყებას, შესაბამისად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, იგი ვალდებულია, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, გულისხმიერად მიუდგეს მასზე დაკავისრებულ მოვალეობებს – ზუსტად განსაზღვროს დევნილი ოჯახის განსახლების პრიორიტეტულობის საკითხი, საქმის გარემოებათა სრულყოფილად გამოკვლევის გზით.

სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის 2021 წლის 02 აპრილის გადაწყვეტილებით (ოქმი №19), მ. ც-ეს (განაცხადით გათვალისწინებულ პირებს) უარი ეთქვა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფაზე იმ საფუძვლით, რომ „ამ ეტაპზე განსახლება გადაუდებელ საჭიროებას არ წარმოადგენს, დედის აღტერნატიული საცხოვრებლის გამო“, ხოლო სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნ-

ველყოფის სააგენტოს 2021 წლის 22 აპრილის №03-1384/ო სადავო ბრძანებით, დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის 2021 წლის 2 აპრილის №19 სხდომის ოქმის საფუძველზე, ამ ეტაპზე განსახლების გადაუდებელი საჭიროების არარასებობის გამო, მოსარჩევეს უარი ეთქვა ქ. თბილისში გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფაზე.

ამდენად, დგინდება, რომ მოსარჩელისთვის მოთხოვნის დაკამაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი გახდა ის გარემოება, რომ მოსარჩელის ოჯახის განსახლება გადაუდებელ საჭიროებას არ წარმოადგენდა, რაც დასაბუთებულია მხოლოდ მოსარჩელის დედის საკუთრებაში არსებული საცხოვრებლით, რომელსაც ადმინისტრაციული ორგანო განიხილავს, როგორც მოსარჩელის ალტერნატიულ საცხოვრებელს.

ამდენად, პირველ რიგში, შესაფასებელია დედის საცხოვრებელი ახდენს, თუ არა საცხოვრებლით დაკამაყოფილების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე გავლენას, რასთან მიმართებითაც საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სხვის საკუთრებაში არსებული ფართი, თუნდაც აღნიშნული ფართი დედას ეკუთვნოდეს, არ იძლევა შესაძლებლობას ზუსტად იქნეს დადგენილი, რამდენად აქვს მოსარჩევეს და მის ოჯახს ხსენებულ საცხოვრებელში ცხოვრების შესაძლებლობა, ასეთი დასკვნის გაკეთება კი, განსაკუთრებით რთულია აღნიშნული ფართით შეუზღუდავი სარგებლობის სამომავლო პერსპექტივების განსაზღვრის კუთხით. მით უფრო, მოცემულ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ფართში მდებარე მისამართზე – თბილისი, ...ის მე... მ/რ-ის, რიგი №...-ის, კორპ. №...-ის, ბინა №...-ში, ცხოვრობენ მოსარჩელის დედა, მოსარჩელის ძმა და მისი ოჯახი. ამასთან, მშობლის საკუთრებაში არსებული ფართის არსებობის ფაქტი არ გამორიცხავს დევნილი ოჯახის უფლებას, განსახლებულ იქნეს ნორმატიული აქტით გათვალისწინებული წესით, მოცემულ ეტაპზე კრიტერიუმების შესაბამისად და არა სხვა რომელიმე ეტაპზე. ამდენად, მხოლოდ ის გარემოება, რომ მოსარჩელის დედას საკუთრებაში გააჩნია საცხოვრებელი, არ გამორიცხავს მოსარჩელის დევნილი ოჯახის განსახლების შესაძლებლობას, საკითხის განხილვის ეტაპზე, შესაბამისი კრიტერიუმების გათვალისწინებით. ამასთან მნიშვნელოვანია, რომ მხარეთა შორის დავას არ იჩვევს ის ფაქტი, რომ დღეის მდგომარეობით მოსარჩელისა და მისი შვილის – ე. ნ-ეის სახელზე საკუთრების უფლებით არ ირიცხება რაიმე უძრავი ქონება.

ამდენად, იმის გათვალისწინებით, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის დედის საცხოვრებელი არ ახდენს გავლენას საცხოვრებლით დაკამაყოფილების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე, საქმეში წარმოდგენილი მასალებისა და დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების

გათვალისწინებით ასევე შესაფასებელია, რამდენად საჭიროებს მოსარჩევის რაოდის ოჯახი გადაუდებელი განსახლების საჭიროებას და გადაწყვეტილების მიღებისას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რამდენადადა დაცული პრიორიტეტულობის პრინციპი.

საყურადღებოა, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩევის გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე უარის საფუძველი გახდა არა მინიჭებულ ქულათა ნაკლებობა, არამედ – ადმინისტრაციული ორგანოს მოსაზრება მოცემული მომენტისათვის მოსარჩევის გადაუდებელი განსახლების აუცილებლობის არარსებობის შესახებ, თუმცა შესაბამისი საჭიროების არარსებობა დასაბუთებული არ არის.

„დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის“ (დანართი № 1) მე-6 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილია, რომ გრძელვადიანი საცხოვრებელ ფართით უზრუნველყოფის მიზნით, ამ წესის მე-3-მე-4 მუხლებით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღებისას, კრიტერიუმების საფუძველზე, განისაზღვრება დევნილი ოჯახების საჭიროებების პრიორიტეტულობა. კრიტერიუმების გათვალისწინების პროცესის გამარტივების მიზნით, თითოეული კრიტერიუმი ტოლია გარკვეული რაოდენობის ქულისა, რომლებიც დევნილი ოჯახის საჭიროების შეფასებისას დაჯამდება. ქულები მითითებულია კრიტერიუმების პრიორიტეტულობის საჩვენებლად. დევნილ ოჯახს, რომელიც მეტ ქულას დააგროვებს, ენიჭება პრიორიტეტი.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას, რომ 2020 წლის 9 ნოემბერს მონიტორინგი განხორციელდა მისამართზე ქ. თბილისი, ...ის დას. .... ქუჩა, სახლი №8 (მესაკუთრე – მ. ბ-ი), სადაც შესაბამის თანამშრომლებს ადგილზე დახვდათ თავად მ. (ც-ე, რომელმაც მიუთითა, რომ მისი შვილი – ე. ნ-ე ქალაქში იყო გასული მეგობართან. მ. ც-ეის განმარტებით, ის და მისი შვილი ცხოვრობდნენ ქირით უკვე 2 წლის და 2 თვეის მანძილზე და იხდიდნენ ქირას 220 ლარს. მანამდე ცხოვრობდნენ თბილისში, ...ის მე-... მ/რ, მე-... რიგი, კორპ №..., ბინა №...-ში ქირით. უფრო ადრე – 1993 წელს კი, ნათესავებთან ქირის გარეშე. მოსარჩევის განმარტებით, ამჟამად ნაქირავები ჰქონდათ პირველ სართულზე ერთი ოთახი. ბინის მესაკუთრე იყო მ. ბ-ი, რომელიც ცხოვრობდა იმავე სახლში მეორე სართულზე. განმცხადებლის განმარტებით, მასთან ჰქონდა ნათესაური კავშირი. ქირის ფაქტი დაადასტურა სახლის მფლობელის დედამ – ხ. ბ-იმა. საკასაციო სასამართლოს მითითებით, შესაბამისი თანამშრომლების მიერ გადამოწმების მიზნით დამატებით განხორციელებული მონიტორინგებით საწინააღმდეგო არ დადგენილა. ასევე საყურადღებოა, რომ მოცემულ მისამართზე მ. (ც-ეის ოჯახის ფაქტობრივად ცხოვრებას ასევე ადასტურებს საქმეში წარმოდგენილი არაერთი მტკიცებულება, რომლები-

თაც დასტურდება, რომ მოსარჩელის ოჯახს დროებითი განსახლების მიზნით საცხოვრებელი ფართის დაქირავებისთვის გამოეყო (გაუგრძელდა) ქირის თანხა, ჯერ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ (სადავო აქტის გამოცემამდე), სადავო აქტის გამოცემის შემდგომ კი – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადადგილებულ პირთა – დევნილთა სამინისტროს მიერ.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ დროებით, აუცილებელი საჭიროებიდან გამომდინარე, სხვის საკუთრებაში არსებული ფართით სარგებლობის ფაქტი (ქირით ან ქირის გარეშე – (ორივე შემთხვევაში, ანუ ცხოვრება ქირით ან ქირის გარეშე, გათვალისწინებულია 1,5 ქულა) არ გამორიცხავს დევნილის უფლებას, მოცემულ ეტაპზე იქნეს დაკამაყოფილებული საცხოვრებლით, ცალკეული კრიტერიუმების შეფასების საფუძველზე. დროებით, აუცილებლობიდან გამომდინარე, სხვის საკუთრებაში არსებული ფართით სარგებლობის შესაძლებლობა არ ნიშნავს, რომ მოსარჩელის ოჯახი აღტერნატიული საცხოვრებლით უზრუნველყოფილია და არ საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან გადაუდებელ დახმარებას.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ სადავო აქტის გამოცემისას არ გაითვალისწინა „დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის“ მოთხოვნა, რომელიც მას პრიორიტეტულობის პრიორიტეტის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებას ავალდებულებდა. იმ პირობებში, როდესაც დევნილთა საკითხების შემსწავლელმა კომისიამ იძულებით გადაადგილებულ ოჯახთა გრძელვადიანი განსახლების მიზნით, ბინის განაწილების საკითხის გადაწყვეტისას განსაზღვრა პრიორიტეტული კრიტერიუმები, მოსარჩელის ოჯახთან მიმართებით არ იქნა გათვალისწინებული ოჯახის მიერ დაგროვებული 4,5 ქულა მაშინ, როდესაც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლებილთა სამინისტროს დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის 2021 წლის 02 აპრილის № 19 სხდომის ოქმით დასტურდება, რომ კომისიამ განახორციელა მონიტორინგს დაქვემდებარებული 1193 განაცხადის მოკვლევა, შესაბამისი ოქმების შედგენა და ფოტომასალის მომზადება, რომელთაც წინასწარი შეფასებით მინიჭებული ჰქონდათ 4.5 და მეტი ქულა, ამასთან, ქ. თბილისში გასანაწილებელი ბინების რაოდენობა, არსებული რესურსის შესაბამისად, შეადგენდა 248 ოროთახიან ბინას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სახეზეა სადავო აქტის არსებითად ბათილად ცნობის ფაქტობრივი და სამართლებ-

რივი საფუძვლები, რის გამოც მოპასუხე სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს უნდა დაეგალოს, გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მოსარჩელისა და მისი ოჯახის (განაცხადით გათვალისწინებული პირების) გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების თაობაზე, ვინაიდან დგინდება დევნილი ოჯახის უფლება, განსახლებულ იქნეს ნორმატიული აქტით გათვალისწინებული წესით, მოცემულ ეტაპზე კრიტერიუმების შესაბამისად და არა სხვა რომელიმე ეტაპზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, არსებობს გასაზივრებული განჩინების გაუქმებისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების საჭიროება, ვინაიდან არ არსებობს ამავე კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილვად დაბრუნების საფუძვლები. შესაბამისად, სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო მ. ც-ეისა და ე. ნ-ეის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, მ. ც-ეისა და ე. ნ-ეის სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 389-ე, 411-ე მუხლებით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ 3 0 ტ ა:**

1. სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. მ. ც-ეისა და ე. ნ-ეის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
3. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 2 თებერვლის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

4. მ. ც-ეისა და ე. ნ-ეის სარჩელი დაკმაყოფილდეს სრულად;

5. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დირექტორის 2021 წლის 22 აპრილის №03-1384/ო ბრძანება „დევნილი ოჯახის გრძელვა-დიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე უარის თქმის თაობაზე“;

6. დაევალოს მოპასუხე სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მოსარჩელისა და მისი ოჯახის (განაცხადით გათვალისწინებული პირების) გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების თაობაზე;

7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **დევნილი ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის საფუძველი**

### **გადაწყვეტილება საქართველოს სახელით**

№ბს-875(კ-22)

6 თებერვალი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. სტურუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
გ. ვაჩაძე,  
გ. აბუსერიძე

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

#### **აღნერილობითი ნაწილი:**

2021 წლის 27 ივნისს ლ. დ-ამ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის – სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, იგი არის აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირი – დევნილი. ოჯახის წევრებთან ერთად (მეუღ-

ლე, შვილიდა შვილიშვილები) ცხოვრობს ქ. ქუთაისში, ნაქირავები ბინაში. საცხოვრებელი ბინის მიღების თაობაზე ლ. დ-ას ოჯახს შეტანილი აქვს განაცხადი და მიერიჭა 13.5 ქულა. მოსარჩელის განმარტებით, არის ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი, მკვეთრად გამოხატული შემ პირი, შემ პირები არიან ასევე მისი მეუღლე და შვილი. ოჯახის ერთი წევრი საბრძოლო მოქმედებების დროს დაკარგულია უგზო-უკვლოდ. აღნიშნულის მიუხედავად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის 2021 წლის 2 ივნისის №35 სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით მოსარჩელეს უარი ეთქვა ქ. ქუთაისში, დევნილი ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებაზე იმ მოტივით, რომ „ამ ეტაპზე განსახლება გადაუდებელ საჭიროებას არ ნარმოადგენს მეუღლის მიერგას-ხვისებულ ბინაში ცხოვრების გამო.“ აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე გამოიკა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2021 წლის 2 ივლისის №03-2732/ო ბრძანება. მოსარჩელის განმარტებით, გა-საჩივრებული ბრძანება არამართებული და დაუსაბუთებელია. შესაბა-მისად, მოსარჩელემ სსიპ დევნილთა, ეკონომიკური და საარსებო წყა-როებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2021 წლის 2 ივლისის №03-2732/ო ბრძანების ბათოლად ცნობა და მოპასუხისათვის ახალი ინდივიდუა-ლური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კო-ლეგიის 2021 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილებით ლ. დ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2019 წლის 27 სექტემბერს, ლ. დ-ამ განცხადებით მიმართა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სო-ციალური დაცვის სამინისტროს და ითხოვა მისთვის და მისი ოჯახის-თვის, როგორც ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაად-გილებული პირებისათვის, გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის მიზნით, საცხოვრებელი ფართის გადაცემა. ოჯახის შემადგენ-ლობაში განმცხადებელთან ერთად მითითებულია: მეუღლე – ა. დ-ა, შვილი – მ. დ-ა და შვილიშვილები – ნ. და გ. დ-ები. საცხოვრებელი ფარ-თის მიღების თაობაზე განაცხადის შეფასების ელექტრონული ფორმის თანახმად, განაცხადი კრიტერიუმების მიხედვით შეფასდა 13.5 ქულით (საცხოვრებლის ფინანსური პირობები: ნაქირავები – 1,5 ქულა; 18 წლამ-დე ასაკის წევრები: 2 არასრულწლოვანი – 1 ქულა; ლ. დ-ა – შეზღუდუ-ლი შესაძლებლობების მქონე პირი „შშმპ“, მკვეთრად გამოხატული – 3 ქულა; მ. დ-ა – შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი „შშმპ“, მნიშ-

ვნელოვნად გამოხატული – 2 ქულა; ა. დ-ა – შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი „შშმპ“, მკეთრად გამოხატული – 3 ქულა; ლ. დ-ას ომში მონაწილეობა, ომის ვეტერანი – 1.5 ქულა; ნ. დ-ა – ომში დაღუპული წევრი – გარდაიცვალა ან უგზო-უკვლოდ დაიკარგა საქართველოში არსებული კონფლიქტის შედეგად – 1.5 ქულა). განმცხადებელს საკუთრებაში ჰქონდა სასოფლო-სამეურნეო (საკარმიდამო) მინის ნაკვეთი შენობა-ნაგებობით (მის: ...ის რაიონი, სოფელი ..., 1101 კვ.მ), რომელიც 2019 წლის 12 სექტემბერს გაასხვისა მ. შ-ეზე. მეუღლეს – ა. დ-ას საკუთრებაში ჰქონდა ბინა (მის: ქ. ქუთაისი, ... №47, სართული 3, ბინა №54), რომელზეც ნასყიდობის ხელშეკრულება გაუქმდებულია. ასევე ჰქონდა მეორე ბინა (მის: ქ. ქუთაისი, ...ის ... №30, ბინა №11), რომელიც 2012 წლის 19 ივნისს გაასხვისათ. თ-ეზე. შვილს – 6. დ-ას საკუთრებაში ჰქონდა მშენებარე ბინა (მის: ქ. თბილისი, ...ის ქ. №2, კორპუსი 3, სართული 6, ბინა №17, 55.50 კვ.მ).

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დევნილთა საკითხების ძემსწავლელი კომისიის 2021 წლის 2 ივნისის გადაწყვეტილებით, ლ. დ-ას უარი ეთქვა საცხოვრებელი ფართით (სამოთახანი ბინით) და კმაყოფილებაზე, რადგან მიჩნეულ იქნა, რომ განსახლება გადაუდებელ საჭიროებას არ წარმოადგენდა, მეუღლის მიერ გასხვისებულ ბინაში ცხოვრების გამო.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანებით დამტკიცებული „დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის“ (დანართი №1) მე-6 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის მიხედვით, გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით, ამ წესის მე-3-მე-5 მუხლებით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღებისას, კრიტერიუმების საფუძველზე, განისაზღვრება დევნილი ოჯახების საჭიროებების პრიორიტეტულობა. კრიტერიუმების გათვალისწინების პროცესის გამარტივების მიზნით, თითოეული კრიტერიუმი ტოლია გარკვეული რაოდენობის ქულისა, რომლებიც დევნილი ოჯახის საჭიროების შეფასებისას დაჯამდება. ქულები მითითებულია კრიტერიუმების პრიორიტეტულობის საჩვენებლად. დევნილ ოჯახს, რომელიც მეტ ქულას დააგროვებს, ენიჭება პრიორიტეტი.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2021 წლის 18 მარტს განხორციელდა ლ. დ-ას ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მონიტორინგი, მისამართზე: ქ. ქუთაისი, ...ის ქ. №47, ბინა №54. მონიტორინგის განხორციელებისას ადგილზე იმყოფებოდნენ ლ. დ-ა და ა. დ-ა. მათი განმარტებით, მ. დ-ა იმყოფებოდა

სასჯელალსრულების დაწესებულებაში, ხოლო შვილიშვილები – ნ. და გ. დ-ები იმყოფებიან დედასთან ერთად თავშესაფარში. განმცხადებლის განმარტებით, მონიტორინგის მისამართზე ცხოვრობდნენ 2012 წლიდან. მანამდე ცხოვრობდნენ ...ის ქ. №30/11-ში, რომელიც 2007 წელს გაყიდეს და შეიძინეს მონიტორინგის მისამართზე არსებული ბინა, რომელიც მოგვიანებით გაასხვისა 35 000 დოლარად.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, საქეში ნარმოდგენილი 2012 წლის 19 ივნისს საჯარო რეესტრის ამონანერით, ქ. ქუთაისში, .... №47/54-ში მდებარე უძრავი ქონება, ფართით 104.90 კვ.მ, საკუთრების უფლებით ირიცხებოდა ა. დ-ას სახელზე. ხოლო, 2019 წლის 27 აგვისტოს მომზადებული ამონანერით დგინდება, რომ 2019 წლის 27 აგვისტოდან აღნიშნული უძრავი ქონება აღირიცხა ფ. ლ-ას საკუთრებად. მიუხედავად იმისა, რომ ქ. ქუთაისში, .... №47-ში მდებარე ბინა №54 აღირიცხა ფ. ლ-ას სახელზე, რომელიც არის მოსარჩელის ახლო ნათესავი, მის ოჯახს აღნიშნული ბინით სარგებლობა არ შეუწყვეტია არც ერთი დღით და შეუფერხებლად განაგრძობდნენ იქ ცხოვრებას. საქალაქო სასამართლომ იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ არსებობენ დევნილები, რომელთაც არ გააჩნიათ საკუთრება და არც საშუალება დროებით იცხოვრონ ნათესავის ან ახლობლის უძრავ ქონებაში მართებულად მიიჩნია ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ლ. დ-ამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 31 მარტის განჩინებით ლ. დ-ას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასებები, მიუთითა მათზე და დამატებით განმარტა, რომ დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის რიგითობის განსაზღვრისთვის, მათი განცხადების დაკმაყოფილებისთვის პირები უნდა აკმაყოფილებდნენ ნორმატიულად განსაზღვრულ გარკვეულ წინაპირობებს. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 8 აპრილის №01-30/6 ბრძანებით დამტკიცებული დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის (და-

ნართი №1) 6.3 მუხლის შესაბამისად, გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით, საცხოვრებელი ფართის შეთავაზების რიგითობა განისაზღვრება დევნილთა საჭიროებების პრიორიტეტულობის გათვალისწინებით. აღნიშნული საკითხი უნდა დადგინდეს დევნილი ოჯახების საჭიროებების შეფასების საფუძველზე და უფრო მეტად გაჭირვებული ოჯახის საცხოვრებლით უზრუნველყოფის შემდეგ დაკმაყოფილდეს საცხოვრებლით შედარებით ნაკლებად გაჭირვებული ოჯახი.

სააპელაციო პალატის განმარტებით, ის გარემოება, რომ უშუალოდ მოსარჩელეს და მისი ოჯახის წევრებს ამჟამინდელი მდგომარეობით არ გააჩნიათ რეგისტრირებული საკუთრების უფლება უძრავ ქონებაზე, იმთავითვე არ ქმნის მოსარჩელის ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით ამ ეტაპზე დაკმაყოფილების ვალდებულებას, ვინაიდან უდავოდ დადგენილია, რომ ღ. დ-ა ოჯახთან ერთად ცხოვრობს ფ. ლ-ას საკუთრებად რეგისტრირებულ ბინაში, ისე რომ ბინით სარგებლობისათვის ქირის საფასურის გადახდის ფაქტი, სარწმუნო მტკიცებულებებით არ არის დადასტურებული.

სააპელაციო სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ დევნილი ოჯახების საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფა ხორციელდება ეტაპითოვად სახელმწიფო სტრატეგიის ფარგლებში, შესაბამისად, იმ დევნილ ოჯახებს, რომელთა საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე განცხადებები არ დაკმაყოფილდა და აღნიშნულის თაობაზე ეცნობათ დადგენილი წესით, უფლებამოსილნი არიან კვლავ მიიღონ მონაწილეობა შემდეგ ეტაპზე და დაკმაყოფილონ მათი მოთხოვნა კანონით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 31 მარტის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ლ. დ-ამ.

კასატორის განმარტებით, გაუგებარია რის საფუძველზე გაიზიარა სასამართლომ მოპასუხებ მხარის პოზიცია იმის შესახებ, რომ ღ. დ-ას დევნილ ოჯახს ამ ეტაპზე არ გააჩნდა განსახლების გადაუდებელი საჭიროება, „მეუღლის მიერ გასხვისებულ ბინაში ცხოვრების გამზ“. სასამართლომ თავად მიუთითა, რომ ღ. დ-ას ოჯახი შედგება 6 წევრისაგან და ოჯახი სოციალურად დაუცველ პირთა მონაცემების ერთიან პაზიარერანი და ამ ომის მონაწილე; ოჯახში იზრდება ორი არასრულწლოვანი, ხოლო ოჯახის ერთი წევრი აფხაზეთში მიმდინარე საომარი კონფლიქტის შედეგადა დაკარგული. საბოლოო ჯამში, ღ. დ-ას ოჯახს

გრძელვადიანი საცხოვრებლის მისაღებად შევსებული განაცხადის საფუძველზე მიენიჭა 13.5 ქულა, რაც სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ სარჩელი სრულად დაკმაყოფილდეს.

კასატორის მითითებით, სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარე-მოება, რომ 2019 წლის სექტემბრიდან, ლ. დ-ა, პინით სარგებლობისათვის იხდის ქირას, თვეში 200 ლარის ოდენობით. აღნიშნულ გარემოებას არ უარყოფს მოპასუხე სააგენტოც. სწორედ ამ ფაქტის გათვალისწინებით მიენიჭა ლ. დ-ას 1.5 ქულა, თუმცა სასამართლო განხილვის შედეგად, სწორედ ეს გარემოება გახდა ძირითადი არგუმენტი, რის გამოც სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს არ შეუფასებია ის გარემოება, რომ ფ. ლ-აზე საცხოვრებელი პინის გასხვისება, ფინანსური სიდუხჭირით იყო გამოწვეული და არა ადმინისტრაციული ორგანოს შეცდომაში შეყვანის მიზნით, როგორც ამას მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანო მიუთითებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 27 ივნისის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ლ. დ-ას საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 25 პარილის განჩინებით ლ. დ-ას საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და საქმის განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ლ. დ-ას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულაზე, რომლის თანახმად, საქართველოს მოქალაქეთა ურყევი ნებაა სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს დამკვიდრება. საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლი განამტკიცებს სოციალური სახელმწიფოს პრინციპს. ზემოაღნიშნული მუხლის პირველი, მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, საქართველო არის სოციალური სახელმწიფო. საქართველო ზრუნავს საზოგადოებაში სოციალური სა-

მართლიანობის, სოციალურით თანასწორობისა და სოციალური სოლიდარობის პრინციპების განმტკიცებაზე. სახელმწიფო ზრუნავს ადამიანის ჯანმრთელობისა და სოციალურ დაცვაზე, საარსებო მინიმუმითა და ლირსეული საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე, ოჯახის კეთილდღეობის დაცვაზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს განსაკუთრებული ვალდებულებები აკისრია დევნილთა მიმართ. მნიშვნელოვანია შეიქმნას მათი ნებაყოფლობითი და ღირსეული განსახლებისათვის აუცილებელი პირობები. დევნილი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფის უფლების რეალიზაცია, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია დევნილის სტატუსის ქონასთან. რაც შეეხება უშუალოდ მის უზრუნველყოფას, სახელმწიფომ დევნილ ოჯახს შესაძლოა შესთავაზოს სხვადასხვა აღტერნატივა, მათ შორის, სოციალური საცხოვრებელი, დროებით ქირითუზრუნველყოფა, საცხოვრებელი ფართის სანაცვლოდ კერძო ინვესტორის ან სახელმწიფოს მიერ გაცემული ერთჯერადი ფულადი დახმარება. „ამავდროულად, საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების შესაბამისად, სახელმწიფომ დევნილი უნდა დააკამაყოფილოს ადგევატური საცხოვრებლით ნებისმიერ ვითარებაში და რაც მთავარია, ეს პროცესი ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე უნდა განხორციელდეს. აღნიშნული უფლება გარანტირებულია გაერთიანებული ერგბის ორგანიზაციის 1966 წლის ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა პაქტის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით, ამ პაქტის მინანჩილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას, ჰქონდეს სათანადო კვება, ტანსაცმელი და ბინა, აგრეთვე უფლებას განუწყვეტლივ იუმჯობესებდეს ცხოვრების პირობებს. ასევე „ევროპის სოციალური ქარტიის“ 31-ე მუხლის თანახმად, საცხოვრებელ ადგილზე უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულებას იღებენ, მიიღონ ზომები, რომლებიც მიზნად ისახავს შესაბამისი საცხოვრებელი ადგილით უზრუნველყოფას, უბინაობის თავიდან აცილებასა და შერბილებას მისი თანდათანობით აღმოფხერის მიზნით.

განსახილველ შემთხვევაში, დავის საგანს წარმოადგენს „დევნილი ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე უარის თქმის თაობაზე“ სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2021 წლის 2 ივლისის №03-2732/ო ბრძანების კანონიერება, რომლითაც ლ. დ-ას დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის 2021 წლის 2 ივნისის გადაწყვეტილების საფუძველზე (ოქმი №35), იმ ეტაპზე განსახლების გადაუდებელი საჭიროების არარსებობის გამო უარი ეთქვა ქ. ქუთაისში გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფაზე. მოსარჩევე ასევე ითხოვს სა-

აგენტოსთვის გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის თაობაზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალებას.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ლ. დ-ას ოჯახის წევრები (ლ. დ-ა, ა. დ-ა, მ. დ-ა, ჯ. ჭ-ე, გ. დ-ა, ნ. დ-ა) არიან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირები – დევნილები და რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში.

2019 წლის 27 სექტემბერს, ლ. დ-ამ განცხადებით მიმართა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და ითხოვა მისთვის და მისი ოჯახისთვის, როგორც ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირებისათვის, გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის მიზნით, საცხოვრებელი ფართის გადაცემა. ოჯახის შემადგენლობაში მასთან ერთად მიუთით: მეუღლე – ა. დ-ა, შვილი – მ. დ-ა და შვილიშვილები – ნ. და გ. დ-ები. საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე განაცხადის შეფასების ელექტრონული ფორმის მიხედვით, განაცხადი კრიტერიუმების მიხედვით შეფასდა – 13.5 ქულით (საცხოვრებლის ფინანსური პირობები: ნაქირავები – 1,5 ქულა; 18 წლამდე ასაკის წევრები: 2 არასრულწლოვანი – 1 ქულა; ლ. დ-ა – შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი „შშმპ“, მკვეთრად გამოხატული – 3 ქულა; მ. დ-ა – შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი „შშმპ“, მკვეთრად გამოხატული – 2 ქულა; ა. დ-ა – შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი „შშმპ“, მკვეთრად გამოხატული – 3 ქულა; ლ. დ-ას ომში მონაწილეობა, ომის ვეტერანი – 1.5 ქულა; ნ. დ-ა – ომში დაღუპული წევრი – გარდაიცვალა ან უგზო-უკვლოდ დაიკარგა საქართველოში არსებული კონფლიქტის შედეგად – 1.5 ქულა).

საქმეში დაცული მონიტორინგის სამსახურის 2021 წლის 18 მარტის ადგილზე გამოცხადების ოქმის თანახმად, მონიტორინგის განხორციელებისას ადგილზე იმყოფებოდნენ ლ. დ-ა და ა. დ-ა. მათი განმარტებით, მ. დ-ა იმყოფება სასჯელასრულების დაწესებულებაში, ხოლო შვილიშვილები – ნ. და გ. დ-ები იმყოფებიან დედასთან ერთად თავშესაფარში. განმცხადებლის განმარტებით, მონიტორინგის მისამართზე ცხოვრობენ 2012 წლიდან.

საქმეში წარმოდგენილი 2012 წლის 19 ივნისის საჯარო რეესტრის ამონაწერით დგინდება, რომ ქ. ქუთაისში, ... №47-ში, სართული №3, ბინა №54 საკუთრების უფლებით ირიცხებოდა მოსარჩელის მეუღლის – ა. დ-ას სახელზე, ხოლო საჯარო რეესტრის 2019 წლის 27 აგვისტოს მომზადებული ამონაწერით დგინდება, რომ 2019 წლის 27 აგვისტოდან ზემოაღნიშნული უძრავი ქონება ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძ-

ველზე, აღირიცხა ფ. ლ-ას საკუთრებად.

2021 წლის 26 ივნისს შედგენილი სანოტარო წესით დამოწმებული განცხადებით დგინდება, რომ ლ. დ-ა 2019 წლის სექტემბრიდან ფ. ლ-ას ბინით (ს/კ ...) სარგებლობისათვის უხდის ქირას თვეში 200 ლარის ოდენბით.

საკასაციო პალატა მიუთითებს, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ კანონზე, რომელიც ადგენს დევნილის სამართლებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ გარანტიებს, მის უფლებებსა და მოვალეობებს. აღნიშნული კანონის მე-4 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად, დევნილი ოჯახი განმარტებულია, როგორც განცალკევებულ საცხოვრებელ ფართობზე მუდმივად მცხოვრებ, ნათესაური ან არანათესაური კავშირის მქონე პირთა წრე, რომლებსაც აქვთ დევნილის სტატუსი (ოჯახის წევრი შეიძლება იყოს არადევნილი პირიც) და რომლებიც ერთობლივად ეწევიან შინასამეურნეო საქმიანობას (ოჯახი შეიძლება იყოს ერთსულიანი). ამავე მუხლის „მ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დევნილის გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფა გულისხმობდა დევნილის სტატუსიდან გამომდინარე, დევნილი ოჯახის განსახლების მიზნით მისთვის სახელმწიფო ორგანოების, მუნიციპალიტეტების, საერთაშორისო, დონორი ან ადგილობრივი ორგანიზაციების, ფიზიკური ან კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ საცხოვრებელი ფართობის საკუთრებაში გადაცემას ან სანაცვლოდ მისი სათანადო ფულადი ან სხვა სახის დახმარებით უზრუნველყოფას.

იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა განსახლების ორგანიზების მიზნით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2021 წლის 8 აპრილის №01-30/6 ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცდა „დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის წესი“ (დანართი №1). პალატა მიუთითებს აღნიშნული წესის მეორე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა არის ამ წესის შესაბამისად, დევნილის სტატუსიდან გამომდინარე, დევნილი ოჯახის განსახლების მიზნით მისთვის სახელმწიფო ორგანოების ან მუნიციპალიტეტების, საერთაშორისო, დონორი ან ადგილობრივი ორგანიზაციების, ფიზიკური ან კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ საცხოვრებელი ფართობის საკუთრებაში გადაცემას ან სანაცვლოდ მისი სათანადო ფულადი ან სხვა სახის დახმარებით უზრუნველყოფას.

ლებით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღებისას, კრიტერიუმების საფუძველზე, განისაზღვრება დევნილი ოჯახების საჭიროებების პროცესის გამარტივების მიზნით, თითოეული კრიტერიუმი ტოლია გარკვეული რაოდენობის ქულისა, რომლებიც დევნილი ოჯახის საჭიროების შეფასებისას დაჯამდება. ქულები მითითებულია კრიტერიუმების პრიორიტეტულობის საჩვენებლად. დევნილ ოჯახს, რომელიც მეტ ქულას დააგროვებს, ენიჭება პრიორიტეტი. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, დევნილთა საჭიროებების პრიორიტეტულობის გათვალისწინებით განისაზღვრება, გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით, რა რიგითობით მოხდება საცხოვრებელი ფართის შეთავაზება და კერძო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართის (სახლი/ბინა) შესყიდვა, ხოლო მე-5 პუნქტის მიხედვით, დევნილი ოჯახების გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის კრიტერიუმები განისაზღვრულია ამ ბრძანების პირველი მუხლის მე-6 პუნქტით დამტკიცებული „საცხოვრებელი ფართით სარგებლობის შესაძლებლობის შეფასების კრიტერიუმის“ №7 დანართისა და „სოციალური კრიტერიუმის“ №8 დანართის შესაბამისად. ზემოხსენებული ნორმა ადმინისტრაციულ ორგანოს პრიორიტეტულობის პრინციპის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებას ავალდებულებს.

ამდენად, დევნილ ოჯახებს გააჩნიათ გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის უფლება, რომლის რეალიზაცია დაკავშირებულია, ერთი მხრივ, დევნილის სტატუსის ქონასთან, ხოლო მეორე მხრივ, დევნილი ოჯახის შეფასების შედეგებთან. კერძოდ, უფლებამოსილი პირის მიერ ხდება დევნილი ოჯახის გადამონმება, შეფასება, კანონით გათვალისწინებული კრიტერიუმების შესაბამისად ქულათა მინიჭება. აღნიშნული მიზნად ისახავს როგორც სახელმწიფოს მიერ დევნილთა მიმართ ნაკისრი ვალდებულებების ეტაპობრივ შესრულებას, სახელმწიფოს ფინანსური შესაძლებლობიდან და მატერიალური რესურსიდან გამომდინარე, ასევე თავდაპირველად ისეთი დევნილების უფლებების დაცვასა და განსახლებას, რომლებიც განსაკუთრებით, სხვებზე მეტად საჭიროებენ სახელმწიფოს დახმარებას. სწორედ დევნილი ოჯახისთვის მინიჭებული ქულების ოდენობაზეა დამოკიდებული დევნილი ოჯახების გრძელვადიანი საცხოვრებლით დაკმაყოფილების რიგითობის, პრიორიტეტულობის განსაზღვრა.

საყურადღებოა, რომ განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელის გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე უარის საფუძველი გახდა არა ზემოაღნიშნული „წესის“ შესაბამისად მინიჭებულ ქულათა ნაკლებობა, არამედ ადმინისტრაციული ორგანოს მოსაზრება, ამ ეტაპზე მოსარჩელის გადაუდებელი განსახლების საჭიროების არარსებო-

ბის შესახებ, რასაც არ ეთანხმება საკასაციო სასამართლო და მიუთითებს, რომ დროებით, აუცილებელი საჭიროებიდან გამომდინარე, ქირით ცხოვრების შესაძლებლობა არ გამორიცხავს მოსარჩელის უფლებას, როგორც დევნილი ოჯახი განსახლებულ იქნეს ნორმატიული აქტით გათვალისწინებული წესით, მოცემულ ეტაპზე არსებული კრიტერიუმების შესაბამისად და არა სხვა რომელიმე ეტაპზე.

საქმეზე დადგენილი ფაქტოპრივი გარემოებებისა და წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე საკასაციო პალატა არ იზიარებს საპელაციო სასამართლოს განმარტებას, რომ, მართალია, უშუალოდ მოსარჩელეს და მისი ოჯახის წევრებს ამჟამინდელი მდგომარეობით არ გააჩნიათ რეგისტრირებული საკუთრების უფლება უძრავ ქონებაზე, მაგრამ ისინი უწყვეტად ცხოვრობენ ქირით მათ ყოფილ საკუთრებაში არსებულ, ხოლო ამჟამად ფ. ლ-ას საკუთრებად რეგისტრირებულ ბინაში. ამასთან, სასამართლოების შეფასებით, საქმეში არ არის წარმოდგენილი ქირის გადახდის დამადასტურებელი ქვითრები, ასევე არც საქმის მასალებიდან იკვეთება ის გარემოება თუ რისთვის დასჭირდა და რაში გამოიყენა მოსარჩელის ოჯახმა მის საკუთრებაში არსებული ბინის გასხვისების საფუძველზე მიღებული თანხა.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ სადაც სამართალურთიერთობის ამგვარი შეფასებით უგულებელყოფილია „დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესით“ განერილი პროცედურის გავლისა და შესაბამისი პროცედურის საფუძველზე დევნილი ოჯახისთვის მინიჭებული ქულების მნიშვნელობა. საკასაციო სასამართლო იზიარებს მოპასუხისა და სასამართლოების განმარტებას, რომ ქვეყანას, მატერიალური და ფინანსური რესურსების მოცულობიდან და ფინანსური შესაძლებლობიდან გამომდინარე, არ გააჩნია შესაძლებლობა ყველა დევნილი ოჯახი ერთბაშად უზრუნველყოს გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით და მიუთითებს, რომ სწორედ აღნიშნული მიზეზით, კანონი გრძელვადიანი საცხოვრებლის მიღების მსურველ დევნილთა შორის აწესებს გარკვეულ რიგითობას, პრიორიტეტულობას, რასაც ემსახურება კრიტერიუმების საფუძველზე დევნილი ოჯახისთვის შესაბამისი ქულის მინიჭება.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ადმინისტრაციული ორგანოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მოსარჩელეს ხელი მიუწვდებოდა ალტერნატიულ საცხოვრებელზე, მისი მეუღლის ყოფილ ბინაზე, რის გამოც განსახლების გადაუდებელი საჭიროება არ არსებობდა. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ დროებით საცხოვრებელში ცხოვრება ქირით, თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც აღნიშნული საცხოვრებელი ნათესავს ეკუთვნის, არ იძლევა შესაძლებლობას ზუსტად იქნეს დადგენილი, რამდენად აქვს მოსარჩელეს ხსენებულ საცხოვრე-

ბელში ცხოვრების შეუზღუდავი შესაძლებლობა, ასეთი დასკვნის გაკეთება კი განსაკუთრებით რთულია აღნიშნული ფართით შეუზღუდავი სარგებლობის სამომავლო პერსპექტივების განსაზღვრის კუთხით, რის გამოც, მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო ვერგაიზიარებს მოსარჩელისთვის გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფაზე უარის თქმას იმ მოტივით, რომ არ არსებობდა გადაუდებელი განსახლების საჭიროება დენილი ოჯახის სხვა პირის კუთვნილ ბინაში ცხოვრების გამო (სუსგ №ბს-1129(კ-20), 25.03.2021წ.; №ბს-900(კ-21), 23.12.2021წ.; №ბს-946(კ-21), 13.01.2022წ.; №ბს-1013(კ-21), 10.03.2022წ.; №ბს-244(კ-22), 19.05.2022წ.; №ბს-147(კ-22), 21.07.2022წ.).

განსახილველ შემთხვევაში საქმის მასალებით დადგენილია, რომ ლ. დ-ას ოჯახს აქვს მაღალი ქულა 13.5, რაც საკმარისი იყო მისი გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფისათვის. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ვერ იქნა სათანადოდ დასაბუთებული ლ. დ-ას ოჯახისათვის მინიჭებულ ქულათა შესაბამისად, სხვის საკუთრებაში არსებული ფართით დროებით სარგებლობის შესაძლებლობამ რატომ გამორიცხა იმ ეტაპზე მისი ოჯახის ფართით დაკმაყოფილება. სხვის საკუთრებაში არსებული ფართით სარგებლობა არ გულისხმობს ამ საცხოვრებელში ცხოვრების შეუზღუდავ შესაძლებლობას, არ ათავისუფლებს სახელმწიფოს მოცემულ ეტაპზე დევნილი ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის ვალდებულებისაგან.

საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ დევნილი ოჯახის წევრთა შემადგენლობაში შედიან უვადო სტატუსით შშმ პირები: ლ. დ-ა, მ. დ-ა და ა. დ-ა. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ქმნის განსაკუთრებულ პირობებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და ინტერესების რეალიზებისათვის. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის“ (რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2013 წლის 26 დეკემბრის დადგენილებით) 28-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებას ცხოვრების ადეკვატურ სტანდარტზე საცხოვრებელ პირობებზე მათთვის და მათი ოჯახებისათვის, რაც მოიცავს ადეკვატურ კვებას, ტანსაცმელს, საცხოვრებელ პირობებს; ასევე უფლებას საცხოვრებელი პირობების უწყვეტ გაუმჯობესებაზე; ამავე კონვენციის 28.2 მუხლის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებას სოციალურ დაცვაზე, ამ უფლებით შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე აღმოცენებული ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე გამოყენების უფლებას და იღებენ შესაბამის ზო-

მექს მისი დაცვისა და რეალიზებისათვის, მათ შორის: უზრუნველყოფენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სახელმწიფო საცხოვრებლის პროგრამების მისაწვდომობას და უზრუნველყოფენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის საპენსიო დახმარებისა და პროგრამების თანაბარ მისაწვდომობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს განმარტებით, დევნილი ოჯახის წევრთა სტატუსის (შშმ პირი) გათვალისწინებით დევნილთა უზრუნველყოფის საკითხთან დაკავშირებით, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო გაეთვალისწინებინა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის განსაკუთრებული საჭიროებები, რაც მოცემულ შემთხვევაში არ იქნა მხედველობაში მიღებული.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს იმ დადგენილ გარემოებაზე, რომ მოსარჩელის – ლ. დ-ას ოჯახის შემადგენლობაში ასევე შედიან არასრულწლოვანი პირები ნ. დ-ა და გ. დ-ა. „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ 3.1 მუხლის თანახმად, კი ბავშვის მიმართ ნებისმიერ ქმედებათა განხორციელებისას, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის მათი განმახორციელებელი, სახელმწიფო ოუკერძო დაწესებულებები, რომლებიც მუშაობენ სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის ინტერესების დაცვის უკეთ უზრუნველყოფას. ბავშვის უფლებათა კოდექსის 5.3 მუხლის მიხედვით, ბავშვის საუკეთესო ინტერესებისთვის უპირატესობის მინიჭება (მათი უპირატესი გათვალისწინება) სავალდებულოა საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებების ორგანოების, საჯარო დაწესებულების, ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ ბავშვთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას ან/და ქმედების განხორციელებისას. იმავე კოდექსის 5.6 მუხლის შესაბამისად, ბავშვის უფლებებზე გავლენის მომხდენი გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნეს, ხოლო ქმედება უნდა განხორციელდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასების საფუძველზე.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, სადაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით კი, ლ. დ-ასთან ერთად საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვა ასევე მის არასრულწლოვან შვილიშვილებს – ნ. და გ. დ-ებს, რომელთა უპირატესი ინტერესების დაცვაც ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას წარმოადგენდა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, ყველა თანასწორია კანონისა და ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე. დაუშვებელია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე რომელიმე მხარის კანონიერი უფლებისა და თავი-

სუფლების, კანონიერი ინტერესის შეზღუდვა ან მათი განხორციელებისთვის ხელის შეშლა, აგრეთვე მათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული რაიმე უპირატესობის მინიჭება ან რომელიმე მხარის მიმართ რაიმე დისკრიმინაციული ზომების მიღება. საქმის გარემოებათა იდენტურობის შემთხვევაში სხვადასხვა პირის მიმართ განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება, გარდა კანონით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისა. ამავე კოდექსის მე-7 მუხლის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას არ შეიძლება გამოიცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუ პირის კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისთვის მიყენებული ზიანი არსებითად აღემატება იმ სიკეთეს, რომლის მისაღებადაც ის გამოიცა. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციული აქტით მიყენებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა. აღნიშნული მეტყველებს იმაზე, რომ დისკრეციული უფლებამოსილება არ არის შეუზღუდვავი და ადმინისტრაციულმა ორგანომ მხედველობაში უნდა მიიღოს ფაქტობრივი გარემოებები, საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობა და ამის საფუძველზე მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ არსებითია, მმართველობითი საქმიანობა იყოს ეფექტური და ეფუძნებოდეს თითოეული პირის რეალურ, ინდივიდუალურ ინტერესს. დაუშვებელია მმართველობითი ორგანოები ხელოვნური, უსაფუძვლო ბარიერების შექმნის გზით აფერხებდნენ ან ხელს უშლიდნენ კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების წარმოშობასა და რეალიზაციას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადაც ბრძანებით ლ. დ-ას ოჯახისათვის გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფაზე უარი ამ ეტაპზე განსახლების გადაუდებელი საჭიროების არარსებობის გამო დაუსაბუთებელია, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც ოჯახის შემადგენლობაში შედიან უვადო სტატუსით შემ პირები და არასრულნლოვანი პირები. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მოცემულ შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღებისას უნდა გაეთვალისწინებინა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის განსაკუთრებული საჭიროებები, არასრულნლოვანი პირების უპირატესი ინტერესები, დაყრდნობოდა პრიორიტეტულობის პრინციპს და გადაწყვეტილება მიეღო მოსარჩელის ოჯახისთვის მინიჭებული ქულების საფუძველზე. ადმინისტრაციულმა ორგანომ, სადაც აქტის გამოცემისას არ გაითვალისწინა „დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის“ მე-6 მუხლის პირველი პუნქტის იმპერატიული მოთხოვნა, რომელიც

მას პრიორიტეტულობის პრინციპის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებას ავალდებულებდა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს, ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში, მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ამ კოდექსის 22-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის შესახებ თუ ადმინისტრაციული აქტი ეწინააღმდეგება კანონს და ის პირდაპირ დაუშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას, ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მას. ამავე კოდექსის 23-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარი კანონს ეწინააღმდეგება ან დარღვეულია მისი გამოცემის ვადა და ეს პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, სასამართლო ამ კოდექსის 23-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს, გამოსცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

ზემოაღნიშნული მსჯელობისა და მითითებული სამართლებრივი ნორმების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არსებობს სისპ დევნილთა, ეკონომიკური და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2021 წლის 2 ივლისის №03-2732/ო ბრძანების ბათილად ცნობისა და მოპასუხისათვის ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების საფუძველი ღ. დ-ას დევნილი ოჯახის საცხოვრებლით უზრუნველყოფის თაობაზე. ამდენად, ღ. დ-ას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 31 მარტის განჩინება და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე, საქმეზე

მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი დაკმაყოფილდება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. ლ. დ-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 31 მარტის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ლ. დ-ას სარჩელი დაკმაყოფილდეს;
4. ბათილად იქნეს ცნობილი „დევნილი ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე“ უარის თქმის თაობაზე“ სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2021 წლის 2 ივლისის №03-2732/ო ბრძანება და სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დაევალოს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ლ. დ-ას დევნილი ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის თაობაზე
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# დეპილი მუნიციპალიტეტის გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის საფუძველი

## გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ ბს-534(კ-22)

6 თებერვალი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. სტურუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
გ. ვაჩაძე,  
გ. აბუსერიძე

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრი-  
ვი აქტის ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-  
სამართლებრივი აქტის გამოცემის დაგაღება

### აღნერილობითი ნაწილი:

2021 წლის 18 ივნისს ხ. რ-ამ სარჩელით მიმართა თბილისის საქალა-  
ქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის –  
სსიპ დევნილთა, ეკონომიკური და საარსებო წყაროებით უზრუნველ-  
ყოფის სააგენტოს მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, განცხადებით მიმართა სსიპ დევნილ-  
თა, ეკონომიკური და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენ-  
ტოს და ითხოვა მისი ოჯახისათვის, როგორც ოკუპირებული ტერიტო-  
რიებიდან იძულებით გადაადგილებული პირებისათვის გრძელვადიანი  
საცხოვრებლით უზრუნველყოფის მიზნით, საცხოვრებელი ფართის გა-  
დაცემა. სსიპ დევნილთა, ეკონომიკური და საარსებო წყაროებით უზ-  
რუნველყოფის სააგენტოს 2021 წლის 2 აპრილის № 19 ოქმის საფუძ-  
ველზე, სსიპ დევნილთა, ეკონომიკური და საარსებო წყაროებით უზ-  
რუნველყოფის სააგენტოს დირექტორის 2021 წლის 20 აპრილს № 03-  
1049/ო ბრძანებით ხ. რ-ას უარი ეთქვა გრძელვადიანი საცხოვრებელი  
ფართით უზრუნველყოფაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ „დევნილი ოჯახის  
გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე უარის თქმის შე-  
სახებ“ სსიპ დევნილთა, ეკონომიკური და საარსებო წყაროებით უზ-  
რუნველყოფის სააგენტოს 2021 წლის 20 აპრილის № 03-1049/ო ბრძა-  
ნების ბათილად ცნობა და სსიპ დევნილთა, ეკონომიკური და საარსე-  
ბო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოსათვის ხ. რ-ას ოჯახის  
გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის შესახებ,

ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილებით ხ. რ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი „დევნილი ოჯახის გრძელვა-დიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე უარის თქმის თაობაზე“ სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2021 წლის 20 აპრილის №03-1049/ო ბრძანება; სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დაევალა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა მოსარჩელის ოჯახის საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის თაობაზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა გრძელვა-დიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის ვალდებულება აქვს სახელმწიფოს, თუმცა მატერიალური და ფინანსურირესურსების მოცულობიდან და სახელმწიფოს ფინანსური შესაძლებლობიდან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობა რიგითობას განსაზღვრავს გრძელვა-დიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, აღნიშნული ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, შესაბამისი პრიორიტეტულობით. სასამართლომ მიუთითა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 8 აპრილის №01-30/ნ ბრძანებით დამტკიცებული დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის (დანართი №1) პირველი მუხლის მე-3 პუნქტზე, რომლის მიხედვით, ამ წესის შესაბამისად არ განიხილება იმ დევნილი ოჯახების განაცხადები, რომლებსაც, დევნილის სტატუსიდან გამომდინარე, ერთხელ უკვე აქვთ მიღებული საცხოვრებელი ფართი ან/და სათანადო ფულადი დახმარება გრძელვა-დიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ბოლო ეტაპზე განიხილება იმ დევნილი ოჯახების დახმარების შესაძლებლობები, რომლებიც არ საჭიროებენ გრძელვა-დიან განსახლებას, მათ შორის, იმ დევნილი ოჯახების, რომელთა ოჯახის წევრ(ებ)მა საკუთარი სახსრებით შეიძინეს საცხოვრებელი ფართი. ამდენად, საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ ნორმა სამოქმედო გეგმის ბოლო ეტაპზე ითვალისწინებს იმ დევნილი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფას, რომელთაც (უშუალოდ თვითონ დევნილმა ან მისმა ოჯახის წევრმა) საკუთარი სახსრებით შეიძინეს საცხოვრებელი ბინა, რაც ბუნებრივი და ლოგიკურია, რადგან ასეთი ოჯახების სო-

ციალურ-ეკონომიკური საჭიროებები და მდგომარეობა განსხვავებულია იმ დევნილი ოჯახებისაგან, რომელთაც არა აქვთ და არ ჰქონიათ საკუთრებაში საცხოვრებელი ბინა.

მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოსარჩელე ხ. რ-ა არის იძულებით გადაადგილებული პირი – დევნილი. მას სარეგისტრაციი ნომერზე ჰყავს მეუღლე – ა. ვ-ო და არასრულწლოვანი ძმის შევილები – მ. რ-ა და დ. რ-ა, რომლებზეც ახორციელებს მეურვეობას. ამასთან, მოსარჩელე ხ. რ-ას განცხადების საფუძველზე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ, დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, შეფასდა მათი ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და მიენიჭათ 6 ქულა, საცხოვრებლის ფინანსური პირობების (ცხოვრობს ნაქირავებში) კატეგორიაში – 1.50 ქულა, სოციალური კრიტერიუმი (30001-57000 შორის სარეიტინგო ქულით) – 2.50 ქულა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, ზომიერად გამოხატული – 1 ქულა, ხანდაზმული მეურვე, რომელიც ახორციელებს მეურვეობას ან მზრუნველობას არასრულწლოვანი შვილების ან შვილშვილების მიმართ კანონმდებლობის შესაბამისად – 1 ქულა.

საქალაქო სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელის მეურვეობის ქვეშ მყოფი ძმის შევილების – მ. და დ. რ-აების საკუთრებაში ირიცხება ქ. თბილისში, ...ის ქუჩა №...–ში მდებარე, ბინა №30 ფართობი – 48 კვ.მ.

მოსარჩელე ხ. რ-ამ განცხადებით მიმართა სსიპ დევნილთა, ეკო-მიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს და ითხოვა მისი ოჯახისათვის, როგორც ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირებისათვის გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის მიზნით, საცხოვრებელი ფართის გადაცემა.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის 2021 წლის 2 აპრილის სხდომის ოქმის მიხედვით, მოსარჩელეს უარი ეთქვა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფაზე, განაცხადში შეყვანილი პირის საკუთრების გამო, ხოლო აღნიშნული ოქმის საფუძველზე, სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დირექტორმა 2021 წლის 20 აპრილს გამოსცა №03-1049/ობრძანება მოსარჩელის ოჯახისათვის გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფაზე უარის თქმის შესახებ.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1275-ე, 1288-ე და 1289-ე მუხლებზე და განმარტა, რომ მეურვეობა და მზრუნველობა არის პირის თვის დაკისრებული ვალდებულე-

ბა, იზრუნოს სამეურვეო/სამზრუნველო პირის კეთილდღეობაზე და არა, მიიღოს რაიმე სარგებელი მზრუნველობიდან. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის სამეურვეო პირების საკუთრებაში უძრავი ქონების რეგისტრაციის ფაქტი, მოსარჩელისთვის წარმოშობს, არა აღნიშნული ქონებით თავისუფლად სარგებლობის უფლებას, არამედ, ვალდებულებას, დაიცვას სამეურვეო/სამზრუნველო პირის სახელზე რეგისტრირებული ქონება. შესაბამისად, სასამართლომ არ გაიზიარა განაცხადში შეყვანილი პირების (სამეურვეო პირები) საკუთრების გამო, მოსარჩელისთვის როგორც დევნილი ოჯახისთვის, განსახლების დაკამაყოფილებაზე უარი გადაუდებელი საჭიროების არარსებობის საფუძვლით, რადგან, აღნიშნული ენინააღმდეგება სადაცო ურთიერთობის მომწესრიგებელ ნორმებს. მოცემულ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის 2021 წლის 2 აპრილის სხდომის ოქმის მიხედვით, ორთახიანი საცხოვრებელი ფართებით დაკამაყოფილდენების დევნილი ოჯახები, რომელთაც მინიჭებული ჰქონდათ 4.5 და მეტი ქულა. ამრიგად, მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ, სადაცო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას არ გაითვალისწინა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 8 აპრილის №01-30/6 ბრძანებით დამტკიცებული დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის ნესის (დანართი №1) მე-6 მუხლის პირველი პუნქტის იმპერატიული მოთხოვნა, რომელიც მას პრიორიტეტულობის პრინციპის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებას ავალდებულებდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს მიერთებული და მიღებული მოთხოვნა, რომელიც მას პრიორიტეტულობის პრინციპის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებას ავალდებულებდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილებით სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს სააპელაციო საჩივრარი დაკამაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ხასახას სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, არ გაიზიარა ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასებები და გან-

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, არ გაიზიარა ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასებები და გან-

მარტა, რომ დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის მითითებული 6.3 მუხლი განსაზღვრავს დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის დევნილთა საჭიროებებზე მორგებულ ხასიათს და გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის რიგითობის შეფასებისას ადგენს დევნილთა საჭიროებების პრიორიტეტულობის გათვალისწინების აუცილებლობას, სწორედ გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის მიზნებიდან გამომდინარე, ოჯახის პრიორიტეტულად განსახლების კანონისმიერი საფუძვლის არსებობისას, კომისია უფლებამოსილია, შეაფასოს დევნილი ოჯახის საჭიროებები და უფრო მეტად გაჭირვებული ოჯახის საცხოვრებლით პრიორიტეტულად უზრუნველყოფის შემდეგ დააკმაყოფილოს საცხოვრებლით შედარებით ნაკლებად გაჭირვებული ოჯახი. ის გარემოება, რომ უშუალოდ 6. რ-ას არ აქვს საკუთრებამი უძრავი ქონება, იმთავითვე არ ქმნის მოსარჩელის ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით ამ ეტაპზე დაკმაყოფილების ვალდებულებას, რამეთუ დადგენილია, რომ საკითხის განხილვის ეტაპზე ქ. თბილისში გასანაზილებელი ბინების რაოდენობა, არსებული რესურსის შესაბამისად შეადგენდა 248 ოროთახიან ბინას, ხოლო განსახილველად წარდგენილი იყო საკმარისი ქულების რაოდენობის მქონე 1191 ოჯახის განაცხადი. შესაბამისად, სააგენტოს მისთვის კანონით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, უნდა მიეღო გადაწყვეტილება, თუ ვისი დაკმაყოფილების საკითხი იყო პრიორიტეტული. ამასთანავე, უნდა გაეთვალისწინებინა სამოქმედო გეგმის ბოლო ეტაპზე დევნილი ოჯახების განსახლების ნორმატიულად განსაზღვრული კონკრეტული პირობა.

სააპელაციო პალატიმ მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლოს მიერ არ იქნა გათვალისწინებული ის გარემოება, რომ ამ ეტაპზე დევნილ ოჯახს არ აქვს განსახლების გადაუდებელი საჭიროება და ამასთან, მოსარჩელის ოჯახის წევრების საკუთრებაში ქონების არსებობა იწვევს ამ ოჯახის საცხოვრებლით უზრუნველყოფას სამოქმედო გეგმის ბოლო ეტაპზე, უფრო მეტად გაჭირვებული ოჯახების საცხოვრებლით დაკმაყოფილების შემდეგ. საქმის მასალების მიხედვით, მოსარჩელის ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის აუცილებლობას არ უარყოფს აპელანტიც, თუმცა სააგენტო ამასთანავე აღნიშნავს, რომ მოსარჩელეს, უფრო გაჭირვებულ ოჯახებთან მიმართებით, დალოდების ვალდებულება აქვს, ვინაიდან „დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის“ დევნილთა საჭიროებებზე მორგებული ხასიათით განაპირობებს განსაკუთრებულად შეჭირვებული, საცხოვრებლის არმქონე დევნილი ოჯახების პრიორიტეტულად მიჩნევის აუცილებლობას. ამასთან, ის გარემოება, რომ სადაც აქტის გამოცემის დროისთვის უშუალოდ მოსარჩელის სახელზე არ იყო აღრიცხული უძრავი ქონება,

არ ადასტურებს სადავო აქტის უმართებულობას, ვინაიდან გრძელვა-დღიანი საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების მიზნებისთვის დევ-ნილი ოჯახი არის განცალკევებულ საცხოვრებელ ფართზე მუდმივად მცხოვრები ნათესაური ან არანათესაური კავშირის მქონე პირთა წრე, რომლებსაც აქვთ დევნილის სტატუსი (ოჯახის წევრი შეიძლება იყოს არადევნილი პირიც) და რომლებიც ერთობლივად ეწევიან შინასამეურ-ნეოსაქმიანობას (ოჯახი შეიძლება იყოს ერთსულიანი).

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია და არც მხარეები ხდიან სადავოდ იმ გარემოებას, რომ ხ. რ-ას ძმისშვილები – დ. და მ. რ-აები, რომლებსაც საკუთრებაში აქვთ უძრავი ქონება, არიან მოსარჩე-ლესთან ერთად მუდმივად მცხოვრები პირები და მითითებული იყვნენ საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების განაცხადში. თავის მხრივ, ამ პირების განაცხადში მითითება გავლენას ახდენს მოსარჩელის დევ-ნილი ოჯახის საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებაზე, როგორც მათვის გადასაცემი ფართის ოდენობის თვალსაზრისით, ასევე კრი-ტერიუმებით გათვალისწინებულ ქულათა მინიჭების დროს. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცუმულ შემთხვევაში საქა-ლაქო სასამართლოს პოზიცია წინააღმდეგობრივია, ერთი მხრივ, ხ. რ-ას ძმისშვილების ოჯახის შემადგენლობაში გათვალისწინების თვალ-საზრისით, როდესაც დევნილი ოჯახისთვის მინიჭებული ქულისა და სუ-ლადობის გათვალისწინებით ოროთახიანი ბინის გადაცემა მართებუ-ლად მიიჩნია, ხოლო, მეორე მხრივ, განმარტა, რომ განმცხადებლის მე-ურვეობაში მყოფი პირები არ წარმოადგენდნენ იმგვარ იჯახის წევ-რებს, რომელთა ქონებით სარგებლობა დევნილ ოჯახს დაუბრკოლებ-ლად შეეძლო.

სააპელაციო პალატის განმარტებით, ვერ გაიზიარებს მოსარჩელის მითითებას გადაუდებელი განსახლების აუცილებლობის შესახებ, ვი-ნაიდან საქმის მასალებით არ დასტურდება, რატომ არის მოკლებული მოსარჩელის ოჯახი შესაძლებლობას, ისარგებლოს მისივე ოჯახის წევ-რების საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებით, მიუხედავად მათ შო-რის არსებული ნათესაური კავშირისა თუ სამურველ ურთიერთობები-სა, როდესაც კანონმდებელი გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნებისათვის უდავოდ მოიაზრებს ოჯახის ცნება-ში ყველა პირს, რომლებიც განცალკევებულ საცხოვრებელ ფართზე ერთად ცხოვრობენ. აღნიშნული მსჯელობით პალატა არ უარყოფს და ეჭვქვემარ აყენებს სახელმწიფოს მიერ აღებულ ვალდებულებას, საც-ხოვრებლით უზრუნველყოს ყველა დევნილი ოჯახი, მათ შორის, ის ოჯა-ხები, რომლებსაც ხელი მიუწვდებათ ალტერნატიულ საცხოვრებელზე ან გააჩნიათ საკუთარი საცხოვრებელი, თუმცა აღნიშნავს, რომ ქვეყა-ნას, შეზღუდული შესაძლებლობის გათვალისწინებით არ გააჩნია შე-

საძლებლობა ყველა დევნილი ოჯახი ერთბაშად უზრუნველყოს გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით. სწორედ აღნიშნულით არის განპირობებული გრძელვადიანი საცხოვრებლის მიღების მსურველ დევნილთა შორის გარკვეული რიგითობის დაწესება, რათა პირველ რიგში, მოხდეს საცხოვრებლით უზრუნველყოფა იმ დევნილი ოჯახებისა, რომლებსაც არ გააჩნიათ თავშესაფარი.

ამასთან, დევნილი ოჯახების საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფა ხორციელდება ეტაპობრივად სახელმწიფო სტრატეგიის ფარგლებში, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს განმარტებით იმ დევნილ ოჯახებს, რომელთა საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე განცხადებები იმ ეტაპზე არ დაკმაყოფილდა და აღნიშნულის თაობაზე ეცნობათ დადგენილი წესით, უფლებამოსილნი არიან კვლავ მიიღონ მონაწილეობა შემდეგ ეტაპზე და დაიკმაყოფილონ მათი მოთხოვნა კანონით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს საკითხის განხილვისას, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნის შესაბამისად, სრულყოფილად აქვს გამოკვლეული საქმის გარემოებები. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2021 წლის 20 აპრილის №03-1049/ო ბრძანება გამოცემულის საკითხის მომწესრიგებელი აქტების მოთხოვნათა დაცვით. ამასთან, იმ პირობებში, როდესაც არ არსებობს სადაცო აქტის ბათილად ცნობის სათანადო ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები, ასევე უსაფუძვლომ მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისთვის ახალი აქტის გამოცემის დავალების თაობაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა ხ. რ-ამ.

კასატორის განმარტებით, განსახლების გადაუდებელი საჭიროების არარსებობის გამო უარი ეთქვა ქ. თბილისში, გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფაზე, იმ საფუძვლით, რომ განაცხადში შეყვანილ პირებს, კერძოდ, არასაულწლოვანა ძმისშვილებს, რომელთა მეურვედ იყო დაინშნული, საკუთრებაში ჰქონდათ უძრავი ქონება.

„დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №01-30/6 ბრძანების (2021 წლის 8 აპრილი) პირველი პუნქტის თანახმად, იძულებით გადაადგილებულ პირთა დევნილთა (შემდგომში დევნილთა) განსახლების ორგანიზების მიზნით, დამტკიცებულია „დევნილთა საცხოვ-

რებლით უზრუნველყოფის წესი“ – დანართი №1, რომლის თანახმად, დევნილი ოჯახი არის განცალკევებულ საცხოვრებელ ფართზე მუდმივად მცხოვრები ნათესაური ან არანათესაური კავშირის მქონე პირთა წრე, რომლებსაც აქვთ დევნილის სტატუსი (ოჯახის წევრი შეიძლება იყოს არადევნილი პირიც) და რომლებიც ერთობლივად ეწევიან შინასამეურნეო საქმიანობას (ოჯახი შეიძლება იყოს ერთსულიანი), რომელიც, სამოქმედო გეგმის შესაბამისად, არ არის დაკმაყოფილებული საცხოვრებელი ფართით ან სათანადო – ფულადი დახმარებით – დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის ღონისძიებების ფარგლებში.

კასატორის მითითებით, მისი ოჯახი წარმოადგენს დევნილ ოჯახს, რომელიც არაა დაკმაყოფილებული არც საცხოვრებელი ფართით და არც ფულად დახმარებას იღებს. იგი მეუღლესა და არასრულწლოვან ძმისშვილებთან ერთად, დროებით ცხოვრობს მისი დის – ლ. რ-ას ოჯახის საკუთრებაში არსებულ ბინაში. მისი დის ოჯახს ბინა სჭირდება საკუთარი მიზნებისთვის, რის გამოც სთხოვს უახლოეს მომავალში საცხოვრებლად სხვაგან გადასვლას. საცხოვრებელი ბინა მდებარე: ქ. თბილისში, ...ს №...-ში არის მისი მეურვეობის ქვეშ მყოფი არასრულწლოვანი ძმისშვილების ფორმალური საკუთრება, რეალურად კი ბინა არის მეორე ძმის მეუღლის – ნ. ჩ-ას საკუთრება და არის მათ მფლობელობაში. შესაბამისად, სახეზეა რეგისტრირებული ქონება, რომელიც ბავშვებს რეალურად არ აქვთ და არც არასოდეს უსარგებლიათ ამ ქონებით. სხვაგვარად სრულიად არალოგიკური იქნიბოდა, რომ ბავშვებს გააჩნდეთ საკუთარი ბინა და ცხოვრობდნენ სხვის ბინაში. სასამართლომ კი, ისე რომ არ გამოუკვლევია, თუ რატომ ცხოვრობდნენ ბავშვები სხვის ბინაში მიიჩნია, რომ ოჯახს ამ ეტაპზე არ ესაჭიროება გრძელვადიანი საცხოვრებლით დაკმაყოფილება.

კასატორის განმარტებით, საბელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება დააფუძნა ისეთ გარემოებაზე, რაც არც თავად გამოუკვლევია და არც კასატორის პოზიცია მოუსმენია, რის გამოც კასატორმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 16 მაისის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ხ. რ-ას საკასაციო საჩივრარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 20 თებერვლის განჩინებით ხ. რ-ას საკასაციო საჩივრარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და საქმის განხილვა დაინიშნა მხა-

რეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემონმების შედეგად მიიჩნევს, რომ ხ. რ-ას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულაზე, რომლის თანახმად, საქართველოს მოქალაქეთა ურყევი ნებაა სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს დამკვიდრება. საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლი განამტკიცებს სოციალური სახელმწიფოს პრინციპს. ზემოაღნიშნული მუხლის პირველი, მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, საქართველო არის სოციალური სახელმწიფო. საქართველო ზრუნავს საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობის, სოციალური თანასწორობისა და სოციალური სიოლიდარობის პრინციპების განმტკიცებაზე. სახელმწიფო ზრუნავს ადამიანის ჯანმრთელობისა და სოციალურ დაცვაზე, საარსებო მინიმუმითა და ღირსეული საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე, ოჯახის კეთილდღეობის დაცვაზე.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, სახელმწიფოს მიერ დეკლარირებული მთავარი მიზანი დევნილებთან მიმართებით მათი სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება. სახელმწიფოს აქვს კანონით ნაკისრი ვალდებულება, დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოს დევნილი მოსახლეობა. ამავდროულად, საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების შესაბამისად, სახელმწიფომ დევნილი უნდა დააკმაყოფილოს ადეკვატური საცხოვრებლით ნებისმიერ ვითარებაში და რაც მთავარია, ეს პროცესი ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე უნდა განხორციელდეს. აღნიშნული უფლება გარანტირებულია „ევროპის სოციალური ქარტიის“ 31-ე მუხლით, რომლითაც საცხოვრებელ ადგილზე უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულებას იღებენ მიიღონ ზომები, რომლებიც მიზნად ისახავს შესაბამისი საცხოვრებელი ადგილით უზრუნველყოფას, უბინაობის თავიდან აცილებასა და შერბილებას მისი თანდათანობით აღმოფხვრის მიზნით. „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების“ შესახებ პაქტის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით, ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას, ჰქონდეს სათანადო კვება, ტანსაცმელი და ბინა, აგრეთვე უფლებას განუწყვეტლივ იუმჯობესებდეს ცხოვრების პირობებს.

სახელმწიფოს განსაკუთრებული ვალდებულებები აკისრია დევნილთა მიმართ. მნიშვნელოვანია შეიქმნას მათი ნებაყოფლობითი და ღირსეული განსახლებისათვის აუცილებელი პირობები. დევნილი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფის უფლების რეალიზაცია, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია დევნილის სტატუსის ქონასთან. რაც შეეხება უმუალოდ მის უზრუნველყოფას, სახელმწიფომ დევნილ ოჯახს შესაძლოა შესთავაზოს სხვადასხვა ალტერნატივა, მათ შორის, სოციალური საცხოვრებელი, დროებით ქირით უზრუნველყოფა, საცხოვრებელი ფართის სანაცვლოდ კერძო ინვესტორის ან სახელმწიფოს მიერ გაცემული ერთჯერადი ფულადი დახმარება.

განსახილველ შემთხვევაში, დავის საგანს ნარმოადგენს „დევნილი ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე უარის თქმის თაობაზე“ სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დირექტორის 2021 წლის 20 აპრილის №03-1049/ო ბრძანების კანონიერება, რომლითაც ს. რ-ს დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის 2021 წლის 2 აპრილის №19 აქ-მის საფუძველზე, იმ ეტაპზე განსახლების გადაუდებელი საჭიროების არარსებობის გამო უარი ეთქვა ქ. თბილისში გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფაზე. მოსარჩევე ითხოვს სააგენტოსთვის მისი გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის თაობაზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალებას.

საკასაციო პალატა მიუთითებს „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ კანონზე, რომელიც ადგენს დევნილის სამართლებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ გარანტიებს, მის უფლებებსა და მოვალეობებს. აღნიშნული კანონის მე-4 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად, დევნილი ოჯახი განმარტებულა, როგორც განცალკევებულ საცხოვრებელ ფართობზე მუდმივად მცხოვრებ, ნათესაური ან არანათესაური კავშირის მქონე პირთა წრე, რომლებსაც აქვთ დევნილის სტატუსი (ოჯახის წევრი შეიძლება იყოს არადევნილი პირიც) და რომლებიც ერთობლივად ეწევიან შინასამეურნეო საქმიანობას (ოჯახი შეიძლება იყოს ერთსულიანი). ამავე მუხლის „მ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დევნილის გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფა გულისხმობდა დევნილის სტატუსიდან გამომდინარე, დევნილი ოჯახის განსახლების მიზნით მისთვის სახელმწიფო ორგანოების, მუნიციპალიტეტების, საერთაშორისო, დონორი ან ადგილობრივი ორგანიზაციების, ფიზიკური ან კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ საცხოვრებელი ფართობის საკუთრებაში გადაცემას ან სანაცვლოდ მისი სათანადო ფულადი ან სხვა სახის დახმარებით უზრუნველყოფას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა განსახლების ორგანიზების მიზნით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2021 წლის 8 აპრილის №01-30/6 ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცდა „დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის წესი“ (დანართი №1). (დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის 2021 წლის 2 აპრილის №19 ოქმის მიღების დროს მოქმედებდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანებით დამტკიცებული „დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის შესახებ წესი“, ხოლო სადაც ბრძანების გამოცემის მომენტში აღნიშნული წესი ძალადაკარგულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 08.04.2021წ. №01-30/6 ბრძანებით). აღნიშნული წესის მეორე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა არის ამ წესის შესაბამისად, დევნილის სტატუსიდან გამომდინარე, დევნილი ოჯახის განსახლების მიზნით მისთვის სახელმწიფო ორგანოების ან მუნიციპალიტეტების, საერთაშორისო, დონორი ან ადგილობრივი ორგანიზაციების, ფიზიკური ან კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ან კერძო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართის (სახლი/ბინა) შესყიდვა; იმავე „წესის“ მე-6 მუხლის პირველი პუნქტით კი დადგენილია, რომ გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით, ამ წესის მე-3-მე-4 მუხლებით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღებისას, კრიტიკულების საფუძველზე, განისაზღვრება დევნილი ოჯახების საჭიროებების პრიორიტეტულობა. კრიტიკულების გათვალისწინების პროცესის გამარტივების მიზნით, თითოეული კრიტიკუმი ტოლია გარკვეული რაოდენობის ქულისა, რომლებიც დევნილი ოჯახის საჭიროების შეფასებისას დაჯამდება. ქულები მითითებულია კრიტიკულების პრიორიტეტულობის საჩვენებლად. დევნილ ოჯახს, რომელიც მეტ ქულას დააგროვებს, ენიჭება პრიორიტეტი. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, დევნილთა საჭიროებების პრიორიტეტულობის გათვალისწინებით განისაზღვრება, გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით, რარიგითობით მოხდება საცხოვრებელი ფართის შეთავაზება და კერძო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართის (სახლი/ბინა) შესყიდვა, ხოლო მე-5 პუნქტის მიხედვით, დევნილი ოჯახების გრძელვადიანი საცხოვრებელი

ფართით უზრუნველყოფის კრიტიკულები განსაზღვრულია ამ ბრძანების პირველი მუხლის მე-6 პუნქტით დამტკიცებული „საცხოვრებელი ფართით სარგებლობის შესაძლებლობის შეფასების კრიტერიუმის“ №7 დანართისა და „სოციალური კრიტიკულის“ №8 დანართის შესაბამისად. ზემოხსენებული ნორმა ადმინისტრაციულ ორგანოს პრიორიტეტულობის პრინციპის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებას ავალდებულებს. ზემოაღნიშნული წესის მე-6 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, ამ წესის მე-3-მე-6 მუხლებით გათვალისწინებული პროცედურების განხორციელებისას, კომისია უფლებამოსილია პრიორიტეტი მიანიჭოს და ამ მუხლის მე-5 პუნქტში მოცემული კრიტიკულების გარეშე განახორციელოს: а) იმ დევნილი ოჯახების გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა, რომლებიც ცხოვრობენ სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის შემცველ ნგრევად და/ან საცხოვრებლად უვარების მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემულ საცხოვრებელ ფართობში (ყოფილ დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტში). ამგვარი ობიექტების მდგომარეობა უნდა დასტურდებოდეს სააგენტოს ან კონკრეტული კომპაქტურად განსახლების ობიექტში მაცხოვრებელი დევნილი ოჯახების დაკვეთით მომზადებული შესაბამისი საექსპერტო დასკვნით; б) კონკრეტული დევნილი ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე; გ) იმ მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემულ საცხოვრებელ ფართობში (ყოფილ დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტში) მაცხოვრებელი დევნილი ოჯახების გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა, რომელი შენობებიც გადაუდებელი სახელმწიფო ინტერესის შემცველი ობიექტებია, რაც ერთმნიშვნელოვნად და საჯაროდ უნდა იყოს გამოხატული წერილობით შესაბამისი სახელმწიფო უწყების მიერ; დ) იმ დევნილი ოჯახების გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა, რომელი შენობებიც გადაუდებელი სახელმწიფო ინტერესის შემცველი ობიექტებია, რაც ერთმნიშვნელოვნად და საჯაროდ უნდა იყოს გამოხატული წერილობით შესაბამისი სახელმწიფო უწყების მიერ; ე) იმ დევნილი ოჯახების გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა, რომელთა მიმართაც, ამ წესის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“ და „ვ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, სააგენტო ახორციელებს დროებითი განსახლების ღონისძიებებს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ კანონიდან გამომდინარე, პირი კონკრეტული ოჯახის წევრად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ იგი ოჯახის სხვა წევრებთან მუდმი-

ვად ცხოვრობს განცალკევებულ ფართში და მათთან ერთად ენევა შინასამეურნეო საქმიანობას. ამასთანავე, სადავო პერიოდში მოქმედი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანებით დამტკიცებული „დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის“ (ძალადაკარგულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 08.04.2021 წ. №01-30/6 ბრძანებით) მიზნებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს დევნილი ოჯახის წევრთა რაოდენობას, რამდენადაც აღნიშნულმა გარემოებამ შეიძლება გავლენა იქონის ამავე „წესით“ განსაზღვრულ ქულათა რაოდენობასა და გადაცემული ფართის ოდენობაზე. კერძოდ, „საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის“ მიხედვით, კომისიის მიერ დევნილი ოჯახის საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე განაცხადის დაკმაყოფილებისათვის, გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით, დევნილ ოჯახს შეეთავაზება საცხოვრებელი ფართი „გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით, საცხოვრებელი ფართის საორიენტაციო სტანდარტები დევნილი ოჯახის წევრთა რიცხოვნობის გათვალისწინებით“ – №9 დანართის შესაბამისად. აღნიშნული №9 დანართის მიხედვით, მინიმალური საორიენტაციო ფართის ოდენობა 1-2 მოსახლის შემთხვევაში, შეადგენს 30-40 მ<sup>2</sup>-ს (ერთ ოთახიანს), ხოლო ოროთახიანი ბინები ფართით 50-60 მ<sup>2</sup> გათვალისწინებულია 3-4 წევრიანი დევნილი ოჯახისათვის.

ამდენად, დევნილ ოჯახებს გააჩნიათ გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის უფლება, რომლის რეალიზაცია დაკავშირებულია, ერთი მხრივ, დევნილის სტატუსის ქონასთან, მეორე მხრივ, დევნილი ოჯახის შეფასების შედეგებთან. კერძოდ, უფლებამოსილი პირის მიერ ხდება დევნილი ოჯახის გადამოწმება, შეფასება, კანონით გათვალისწინებული კრიტიკულების შესაბამისად ქულათა მინიჭება. აღნიშნული მიზნად ისახავს როგორც სახელმწიფოს მიერ დევნილთა მიმართ ნაკისრი ვალდებულებების ეტაპობრივ შესრულებას, სახელმწიფოს ფინანსური შესაძლებლობიდან და მატერიალური რესურსიდან გამომდინარე, ასევე თავდაპირველად ისეთი დევნილების უფლებების დაცვასა და განსახლებას, რომლებიც განსაკუთრებით, სხვებზე მეტად საჭიროებენ სახელმწიფოს დახმარებას. სწორედ დევნილი ოჯახისთვის მინიჭებული ქულების ოდენობაზეა დამოკიდებული დევნილი ოჯახების გრძელვადიანი საცხოვრებლით დაკმაყოფილების რიგითობის, პრიორიტეტულობის განსაზღვრა.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ხ. რ-ა არის იძულებით გადაადგილებული პირი. მას სარეგისტრაციო ნომერზე ჰყავს მეუღლე – ა.

ვ-ო და არასრულწლოვანი ძმისშვილები – მ. რ-ა და დ. რ-ა, რომლებზეც ახორციელებს მეურვეობას. ხ. რ-ამ ფართის მიღების თაობაზე შეაგსო განაცხადი და კითხვარი. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ ხ. რ-ას ოჯახს, განაცხადისა და კითხვარის დამუშავების საფუძველზე, დადგენილი კრიტერიუმებისა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით მიანიჭა 6 ქულა, საცხოვრებლის ფინანსური პირობების (ცხოვრობს ნაქირავებში) კატეგორიაში – 1.50 ქულა, სოციალური კრიტერიუმი (30001-57000 შორის სარეიტინგო ქულით) – 2.50 ქულა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, ზომიერად გამოხატული – 1 ქულა, ხანდაზმული მეურვე, რომელიც ახორციელებს მეურვეობას ან მზრუნველობას არასრულწლოვანი შვილების ან შვილიშვილების მიმართ კანონმდებლობის შესაბამისად – 1 ქულა.

საქმეში წარმოდგენილი მონიტორინგის ოქმის მიხედვით, ხ. რ-ა თავისი განცხადებით მეუღლესა და ძმისშვილებთან ერთად ქირით ცხოვრობს დის – ლ. რ-ას ოჯახის საკუთრებაში არსებულ ბინაში. მონიტორინგის განხორციელებისას სააგენტოს თანამშრომლებს მისამართზე დახვდათ განაცხადებელი და განაცხადში შეყვანილი ყველა პირი. საქმის მასალებით ასევე დადგენილია, რომ მოსარჩელის მეურვეობის ქვეშ მყოფი ძმისშვილების – მ. და დ. რ-აების საკუთრებაში ირიცხება ქ. თბილისში, ...ის ქუჩა №9-ში მდებარე, ბინა №30.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, დევნილთა საკითხების შემსწავლელმა კომისიამ, 2021 წლის 2 აპრილის სხდომაზე იმსჯელა ქ. თბილისში საცხოვრებელი ბინის, იძულებით გადაადგილებული პირებისათვის – დევნილებისათვის, მათ შორის, მოსარჩელის ოჯახისთვის საცხოვრებელი ფართის განაწილების თაობაზე. კომისიამ ხ. რ-ას უარი უთხრა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფაზე, ვინაიდან მიიჩნია, რომ მისი ოჯახი იმ ეტაპზე განსახლებას გადაუდებლად არ საჭიროებდა, განაცხადში შეყვანილი პირის საკუთრების გამო. ამავე სხდომის ოქმით დასტურდება, რომ ოროთანი საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილდნენ ის დევნილი ოჯახები, რომელთაც მინიჭებული ჰქონდათ 4.5 და მეტი ქულა.

საყურადღებოა, რომ მოსარჩელის გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე უარის საფუძველი გახდა არა ზემოაღნიშნული „წესის“ შესაბამისად მინიჭებულ ქულათა ნაკლებობა, არამედ ხ. რ-ას განაცხადში შეყვანილი პირების (მეურვეობაში მყოფი ბავშვების) საკუთრება.

საკასაციო პალატის განმარტებით, სხვის საკუთრებაში არსებული

ფართით სარგებლობის შესაძლებლობა არ გამორიცხავს მოსარჩელის უფლებას, როგორც დევნილი ოჯახი, არსებული კრიტერიუმების შესაბამისად მოცემულ ეტაპზე და არა სხვა რომელიმე ეტაპზე, განსახლებულ იქნეს ნორმატიული აქტით დადგენილი წესით, იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელისთვის მინიჭებული ქულა (6) საკმარისი იყო მისი გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფისათვის. სხვის საკუთრებაში არსებული ფართით დროებით სარგებლობის შესაძლებლობა არ გულისხმობს ამ საცხოვრებელში ცხოვრების შეუზღუდავ შესაძლებლობას, არ ათავისუფლებს სახელმწიფოს მოცემულ ეტაპზე დევნილი ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის ვალდებულებისაგან. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ მოსარჩელეს ხელი მიუწვდებოდა აღტერნატიულ საცხოვრებელზე, ხ. რ-ას დის ბინაზე (სადაც მოსარჩელის ოჯახი ცხოვრობდა ქირით).

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოსარჩელის ნათესავთა საკუთრებაში ბინების არსებობა არ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ფართის მესაკუთრე ნათესავი ვალდებულია აღნიშნულ პირს დაუთმოს საკუთარი საცხოვრებელი ან მისცეს მასში ცხოვრების უფლება. მით უფრო იმ პირობებში, როდესაც ის უძრავი ქონება, რომლის საკუთრებაზეც აპელირებს, როგორც ადმინისტრაციული ორგანო ასევე სააპელაციო სასამართლო, ეკუთვნით მოსარჩელის – ხ. რ-ას მეურვეობაში მყოფ არასრულწლოვან პირებს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-20 მუხლით კი, არასრულწლოვანის საცხოვრებელ ადგილად ითვლება მშობლის უფლების მქონე მშობლების საცხოვრებელი ადგილი, ხოლო სამეურვეო პირისა – მეურვის საცხოვრებელი ადგილი. ამასთან, საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 25 ნოემბრის განჩინებაში მოყვანილ სამართლებრივ მსჯელობაზე: „აუცილებელი საჭიროებიდან გამომდინარე, სხვის საკუთრებაში არსებული ფართით დროებით სარგებლობის ფაქტი, თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც აღნიშნული ფართი ნათესავს ეკუთვნის, არ იძლევა შესაძლებლობას ზუსტად იქნეს დადგენილი, რამდენად აქვს მოსარჩელეს ხსენებულ საცხოვრებელში ცხოვრების შეუზღუდულავი შესაძლებლობა, ასეთი დასკვნის გაკეთება კი განსაკუთრებით რთულია აღნიშნული ფართით შეუზღუდულავი სარგებლობის სამომავლო პერსპექტივების განსაზღვრის კუთხით“ (სუსგ №ბს-607(კ-21), 25.11.2021წ.).

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ადმინისტრაციული წარმოების ჩატარება მოიცავს ადმინისტრაციული ორგანოს ძირითად პროცედურულ ვალდებულებას – გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოე-

ბათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ეს უმნიშვნელოვანესი იმპერატიული ხასიათის დანაწესი ემსახურება საჯარო მმართველობის კანონიერების პრინციპს, რამდენადაც ყოველი მმართველობითი გადაწყვეტილების მიღება უნდა ეფუძნებოდეს განსახილველი საკითხის გარემოებისა და ფაქტების ობიექტურ შესწავლა-გამოკვლევას, რომლის შეფასებიდან უნდა გამომდინარეობდეს საკითხის გადასაწყვეტიად ჩამოყალიბული დასკვნა. ამ ვალდებულების შესრულება ემსახურება ადმინისტრაციული ორგანოს ასევე უმნიშვნელოვანეს, მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების, ვალდებულებას. ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა ახსნას, განმარტოს, დაასაბუთოს, თუ რატომ, რა ფაქტებზე დაყრდნობით მიიღო ამგვარი გადაწყვეტილება, გარდა აღნიშნულისა, გადაწყვეტილების დასაბუთება აუცილებელია ადრესატისათვის, რათა შეაფასოს მისი მართლზომიერება, დარწმუნდეს მის კანონშესაბამისობაში, ხოლო უფლების დარღვევის განცდის შემთხვევაში ისარგებლოს გასაჩივრების შესაძლებლობით, მას უნდა შეეძლოს იცოდეს, რა არგუმენტებით უნდა დაუპირისპირდეს მიღებულ გადაწყვეტილებას, რასაც დასაბუთების გარეშე გადაწყვეტილების მიღების პირობებში მოკლებულია. აგრეთვე, დასაბუთებული აქტის გამოცემა აადვილებს საჩივრის ან სარჩელის განმხილველი ორგანოების მიერ მისი კანონიერებისა და მიზანშეწონილობის გადამოწმების პროცესს. კანონმდებელი იმდენად არსებით და აქტის კანონიერების განმსაზღვრელ ფუნქციას ანიჭებს საქმის გარემოებათა გამოკვლევას, რომ იმპერატიულად კრძალავს, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაუდოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ (სუსგ №ბს-463-451(კ-13), 18.02.2014წ.; №ბს-974(2კ-19), 17.09.2020წ.).

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96.1 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასების და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, დაუშვებელია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აუცილებელი საჭიროებიდან გამომდინარე, სხვის საკუთრებაში არსებული ფართით დროებით

სარგებლობის თეორიული თუ პრაქტიკული შესაძლებლობა არ გამორიცხავს მოსარჩელის უფლებას, როგორც დევნილი ოჯახი, განსახლებულ იქნეს კანონით დადგენილი წესით მიმდინარე და არა რომელიმე სხვა ეტაპზე. ამასთან აღსანიშნავია, რომ იმ პირობებში, როდესაც სახელმწიფოს აკისრია განსაკუთრებული ვალდებულებები დევნილთა მიმართ, მნიშვნელოვანია უზრუნველყოფილ იქნეს დევნილთა ღირსეული განსახლებისათვის აუცილებელი პირობები. დევნილი პირების ღირსეული განსახლება კი გულისხმობს, სათანადო პირობების არსებობის შემთხვევაში (მაგ: ქულათა სათანადო რაოდენობა და სხვა) მათი საცხოვრებლით უზრუნველყოფას მიმდინარე ეტაპზე. სააგენტომ კანონით დადგენილი მოთხოვნების სრული დაცვით და საფუძვლიანად უნდა შეისწავლოს და გამოიკვლიოს თითოეული ფაქტი დევნილის საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით და მხოლოდ ამის შემდეგ, სათანადო მტკიცებულებებზე დაყრდნობით, მიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება საკითხის დადებითად ან უარყოფითად გადაწყვეტის შესახებ.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, უფლებამოსილია, სადაც საკითხის გადაუწყვეტლად, ბათილად ცნოს იგი და ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. აღნიშნული დანაწესის გამოყენების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს სასამართლოს მხრიდან საქმის გარემოებების გამოკვლევისა და სადაც საკითხის არსებითად გადაწყვეტის შეუძლებლობა. საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით მინიჭებულ უფლებამოსილებას სასამართლო იყენებს იმ შემთხვევაში, როცა სასამართლო წესით ვერ ხერხდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და შეფასება. მათი დადგენა მხოლოდ ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია მისთვის კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებიდან გამომდინარე ან აღნიშნული საკითხი მის დისკრეციას განეცუთვნება. შესაბამისად, შეუძლებელი ხდება სასამართლოს მიერ სადაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მატერიალური კანონიერების შეფასება (სუსგ №ბს-681(კ-18), 13.12.2018წ.).

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენების წინაპირობები. შესაბამისად, სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად უნდა იქნეს ცნობილი „დევნი-

ლი ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე უარის თქმის თაობაზე” სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დირექტორის 2021 წლის 20 აპრილის №03-1049/ი ბრძანება და ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა დაევალოს საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ხ. რ-ას საკითხის განხილვისას სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტომ უნდა შეაფასოს დევნილის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა, ასევე გაითვალისწინოს ის ფაქტი, რომ მას მეურვეობაში ჰყავს არასრულწლოვანი ძმის შვილები, მეურვე კი, ვალდებულია იზრუნოს სამეურვეო პირის რჩენაზე, შეუქმნას მას აუცილებელი ყოფითი პირობები, უზრუნველყოს ის მოვლითა და მკურნალობით, დაიცვას მისი უფლებები და ინტერესები, ასევე ის გარემოება, რომ ოჯახში ირიცხება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული (გადაწყვეტილების გაუქმების აპსოლუტური საფუძველი). სსკ-ის 411-ე მუხლის შესაბამისად საკასაციო სასამართლო თავად მიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს სსკ-ის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის საპელაციო სასამართლოში ხელახლი განხილვისათვის დაპრუნების საფუძველი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ხ. რ-ას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ხ. რ-ას სარჩელი დაკმაყოფილდება ნაწილობრივ.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **ვ ა ღ ა ც ყ ვ ი ტ ა:**

1. ხ. რ-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის საპელაციო სასამართლოს ადმინისტრაცი-

ულ საქმეთა პალატის 2022 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება და  
მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. ხ. რ-ას სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

4. სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნეს ცნობილი „დევნილი ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე უარის თქმის თაობაზე“ სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დირექტორის 2021 წლის 20 აპრილის №03-1049/ო ბრძანება და სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დაევალოს საქმი-სათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფა-სების შემდეგ, სადავო საკითხთან მიმართებით, კანონით დადგენილ ვადაში გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-თლებრივი აქტი;

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საპო-ლოონა და არ საჩივრდება.

## დევნილი ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის საფუძვლი

### გადაწყვეტილება საკართველოს სახელით

№ბა-1491(კ-22)

1 თებერვალი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. ოქროპირიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ქ. ცინცაძე,

გ. მაკარიძე

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრი-  
ვი აქტის ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-  
სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

#### ალწერილობითი ნაწილი:

2021 წლის 26 იანვარს ჯ. ჯ-ამ, ლ. ჯ-ამ, დო. ჯ-ამ და დ. ჯ-ამ სარჩე-  
ლით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და სა-  
არსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს მიმართ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 7 აპრილის განჩინებით, დაკმაყოფილდა ჯ. ჯ-ას, ლ. ჯ-ას და დო. ჯ-ას შუამდგომლობა სარჩელის გამოხმობის თაობაზე; სარჩელი ჯ. ჯ-ას, ლ. ჯ-ას და დო. ჯ-ას ნაწილში დარჩა განუხილველი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 12 აპრილის განჩინებით, წარმოებაში იქნა მიღებული დ. ჯ-ას და ზუსტებული სარჩელი, მოპასუხე სსიპ დევნილთა, ეკო-მიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს მიმართ (დაზუსტებული სასარჩელო მოთხოვნები: ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2020 წლის 24 დეკემბრის №03-3286/ო ბრძანება, დევნილი ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის შესახებ დ. ჯ-ას ნაწილში; დაევალოს მოპასუხე სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, რომლითაც დ. ჯ-ა დაკმაყოფილდება ერთოთახიანი ბინით).

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ არის ოკუპირებული აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირი. მისი საცხოვრებელი კორპუსი მდებარეობდა ქ. ქუთაისში, ...ის ქ. №...-ში, რომელიც მიჩნეული იქნა ნგრევად ობიექტად და მოხდა იქ მაცხოვრებელი დევნილების განსახლება. აღნიშნული განსახლების დროს დ. ჯ-ას ოჯახს გადაეცა მცირე მოცულობის ფართი და ოთახების იმგვარი განანილებით, რაც არ შეესაბამება დადგენილ სტანდარტს. კერძოდ, მოსარჩელე მიუთითებს, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანებით დამტკიცებული „დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის“ (დანართი №1) მე-6 მუხლის მე-13 პუნქტის თანახმად, საპირისპირო სქესის დაუქორნინებელი სრულ-ნლოვანი დევნილები (მაგ.: სრულწლოვანი და-ძმა, მარტოხელა მშობელი და სრულწლოვანი შვილი) არ უნდა განსახლდნენ საერთო ოთახში. ამ შემთხვევაში კი, დ. ჯ-ას ოჯახის თვის გადაცემულ სახლში იმგვარი განთავსება, რომ მითითებული წესი იყოს დაცული, შეუძლებელია. ამიტომ მოსარჩელეს უწევს ფაქტობრივად საერთო ოთახში განთავსება, მის სრულწლოვან დასთან ან ოჯახის სხვა წევრთან ერთად, რაც მხარის განმარტებით, წინააღმდეგობაში მოდის ზემოაღნიშნულ ნორმატიულ აქტთან. მოსარჩელე აქვე დამატებით აღნიშნავს, რომ სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, ანალოგიურ შემთხვევაში დევნილებს გადაეცემათ ისეთი სახლები, სადაც მი-

ნიმუშ 2 საძინებელია გათვალისწინებული. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე მხარეს მიაჩნია, რომ მის მიმართ სამინისტროს მიერ განხორციელებული შეთავაზებით, იგი სხვა დეკნილებისგან განსხვავებით, დისკრიმინაციულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ასევე, მოპასუხის მიერ დარღვეულია ის ნორმაც, რომელიც არეგულირებს დევნილთა ღირსეულ განსახლებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 5 აგვისტოს გადაწყვეტილებით, დ. ჯ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი სისპ დეკნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2020 წლის 24 დეკემბრის №03-3286/ო ბრძანება, დანართი დევნილი ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის შესახებ დ. ჯ-ას ნაწილში; დაევალა მოპასუხე სისპ დეკნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, რომლითაც მოხდება დ. ჯ-ას ერთოთახიანი ბინით დაკმაყოფილება.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ დ. ჯ-ა არის იძულებით გადაადგილებული პირი – დეკნილი, აფხაზეთი, ოჩამჩირე, სოფელი ...; მისი დროებითი საცხოვრებელი მისამართია – ქუთაისი, ...ს ქ. №..., სასტუმრო თ.... დო. ჯ-ა არის იძულებით გადაადგილებული პირი – დეკნილი, აფხაზეთი, ოჩამჩირე, სოფელი ...; მისი დროებითი საცხოვრებელი მისამართია – ქუთაისი, ...ს ქ. №..., სასტუმრო თ.... ჯ. ჯ-ა არის იძულებით გადაადგილებული პირი – დეკნილი, აფხაზეთი, ოჩამჩირე, სოფელი ...; მისი დროებითი საცხოვრებელი მისამართია – ქუთაისი, ...ს ქ. №..., სასტუმრო თ.... ლ. ჯ-ა არის იძულებით გადაადგილებული პირი – დეკნილი, აფხაზეთი, ოჩამჩირე, სოფელი ...; მისი დროებითი საცხოვრებელი მისამართია – ქუთაისი, ...ს ქ. №..., სასტუმრო თ....

სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ 2020 წლის 13 სექტემბრის აღწერის ფორმის მიხედვით, მონიტორინგი განხორციელდა მისამართზე: ქუთაისი, ...ს ქ., სასტუმრო თ..., მე-2 სართული, „1 ოთახი + ერთი ოთახი პირველ სართულზე“. ოჯახი შედგება ოთხი წევრისაგან: ლ. ჯ-ა – ოჯახის უფროსი; ჯ. ჯ-ა – მეუღლე; დ. ჯ-ა – შვილი, იმყოფებოდა ყანაში, მეზობლის დასახმარებლად; დო. ჯ-ა – შვილი, იმყოფება იტალიაში. დამატებითი ინფორმაციის სახით მითითებულია, რომ 1993 წლიდან არიან დევნილები, ლ.-ს მშობლები იყვნენ აფხაზეთიდან და დაკრძალულები არიან ოჩამჩირის რაიონში. ლ.-ს ჰყავს და დაძმა (ნ., შ. და ე.), რომლებიც ცხოვრობენ ოჩამჩირეში. ჯ.-ს მშობლები დაკრძალული არიან ქუთაისში. ჰყავთ მესამე შვილი დ. ჯ-ა, რომელიც მეუღლესთან მ. ხ-ითან (დევნილი) და ორ შვილთან ერთად ცხოვრობს იმავე კორპუსში, მე-5 სართულზე. დ. დასაოჯახებელია. დო. განქორწინებუ-

## ლია ი.ჩ-ასთან.

სასამართლომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის 2020 წლის 20 ოქტომბრის №62 ოქმის საფუძველზე დადგენილად მიიჩნია, რომ კომისიამ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლებილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანებით დამტკიცებული „დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის“ შესაბამისად, განიხილა დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის საკითხი. ამავე ოქმის თანახმად, კომისიის გადანყვეტილებით, დაკმაყოფილდა ლ. ჯ-ას, ჯ. ჯ-ას, დ. ჯ-ასა და დო. ჯ-ას (სარეგისტრაციო ნომერი ...) განცხადება და საკუთრებაში გადაეცათ ქალაქ ქუთაისში მდებარეოროთახიანი ბინა.

ამასთან, 2020 წლის 23 ოქტომბერს გაცემული №165 მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით, იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა ოჯახმა სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოსგან ჩაიბარა ოროთახიანი საცხოვრებელი ფართი, მდებარე: ქალაქ ქუთაისში, ...ის ქუჩა №..., „...“ ბლოკი, სართული ..., ბინა .... ამავე ოქმის საფუძველზე, სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს მიერ 2020 წლის 24 დეკემბერს გამოცემული იქნა №03-3286/ო ბრძანება „გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების თაობაზე“ და ბრძანების დანართის შესაბამისად, ქალაქ ქუთაისში, ...ის ქ. №2, სასტუმრო თ...ში მცხოვრებ ლ. ჯ-ას, ჯ. ჯ-ას, დ. ჯ-ასა და დო. ჯ-ას საკუთრებაში გადაეცათ უძრავი ნივთი, მდებარე: ქალაქ ქუთაისში, ...ის ქუჩა №..., „...“ ბლოკი, სართული ..., ბინა ....

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე დ. ჯ-ამ და მისმა ოჯახის წევრებმა განცხადებით მიმართეს მოპასუხე სააგენტოს, მიუთითეს გადაცემული ფართის სიმცირეზე, მინისტრის ბრძანებით დადგენილ სტანდარტებზე და სთხოვეს მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა და დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, ოჯახის ბინით უზრუნველყოფა. სასამართლოს მიერ ასევე დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ შენობის შიდა აზომვითი ნახაზით, ლ. ჯ-ას საკუთრებაში გადაცემული საერთო ფართი შედგება 59.20 კვადრატული მეტრისაგან.

პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლზე, მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტზე, მე-13 მუხლის მე-2 და მე-3

პუნქტებზე, ასევე, სადავო პერიოდში მოქმედი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანებით დამტკიცებული „დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის“ (დანართი №1) პირველი მუხლის პირველ პუნქტზე, მე-3 მუხლის პირველ, მე-2, მე-5 პუნქტებზე და განმარტა, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის ვალდებულება აქვს სახელმწიფოს, თუმცა მატერიალური და ფინანსური რეასურსების მოცულობიდან და სახელმწიფოს ფინანსური შესაძლებლობიდან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობა რიგითობას განსაზღვრავს გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, აღნიშნული ოჯახების სოციალურ – ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, შესაბამისი პრიორიტეტულობის საფუძველზე.

სასამართლომ ასევე მიუთითა სადავო პერიოდში მოქმედი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანებით დამტკიცებული „დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის“ (დანართი №1) მე-6 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის მიხედვით, გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით, ამ წესის მე-3-მე-5 მუხლებით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღებისას, კრიტერიუმების საფუძველზე, განისაზღვრება დევნილი ოჯახების საჭიროებების პრიორიტეტულობა. კრიტერიუმების გათვალისწინების პროცესის გამარტივების მიზნით, თითოეული კრიტერიუმი ტოლია გარკვეული რაოდენობის ქულისა, რომლებიც დევნილი ოჯახის საჭიროების შეფასებისას დაჯამდება. ქულები მითითებულია კრიტერიუმების პრიორიტეტულობის საჩვენებლად. დევნილ ოჯახს, რომელიც მეტ ქულას დააგროვებს, ენიჭება პრიორიტეტი. ამავე მუხლის მე-13 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად კი, ამ მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, დევნილი ოჯახ(ები)ისათვის საცხოვრებელი ფართ(ები)ის შეთავაზებისას, შეძლებისდაგვარად, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შემდეგი გარემოებები: საპირისპირ სქესის დაუქორნინებელი სრულწლოვანი დევნილები (მაგ.: სრულწლოვანი და-ძმა, მარტოხელა მშობელი და სრულწლოვანი შვილი) არ უნდა განსახლდნენ საერთო ოთახში.

პირველი ინსტანციის სასამართლომ ყურადღება გაამახვილა საქმეში ნარმოდგენილ აღწერის ფორმაზე, რომლის მიხედვითაც დგინდება, რომ ოჯახი შედგება ოთხი წევრისაგან: დედა, მამა და სრულწლოვანი და-ძმა. სასამართლომ აღნიშნა, რომ მათ ნგრევად ობიექტში ცხოვ-

რების დროსაც ორი დამოუკიდებელი ოთახი ჰქონდათ დაკავებული სხვადასხვა სართულზე, თუმცა ასეთი გარემოების არსებობის შემთხვევაშიც, აღნიშნული არ გამორიცხავს მოსარჩევის უფლებას, როგორც დევნილი, მოცემულ ეტაპზე განსახლებული იქნეს დამოუკიდებლად, ნორმატიული აქტით გათვალისწინებული წესით და არა საპირისპირ სქესის მქონე ოჯახის წევრთან ერთად, ერთ ოთახში, მაშინ, როდესაც მოსარჩევე დ. ჯ-ა დაბადებულია ... წელს, ხოლო მისი და დო. ჯ-ა დაბადებულია ... წელს.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმის ზეპირი განხილვისას მოსარჩევე მხარემ წარმოადგინა ოჯახის საკუთრებაში გადაცემული უძრავი ქონების შიდა აზომვითი ნახაზი და განმარტა, რომ იყო სააგენტოსთან მოლაპარაკება, ჰყავდათ სპეციალისტები, რათა მომხდარიყო გადაკეთება შიდა ტიხერების იმდაგვარად, რომ მოწყობილიყო დამოუკიდებელი ოთახი დ. ჯ-ასთვის, რაც ტექნიკურად არ მოხერხდა. აღნიშნული ინფორმაცია დაადასტურა მოპასუხე მხარის წარმომადგენელმაც. ოჯახისთვის გადაცემული ფართის სიმცირის, მისი განთავსების ადგილის არარსებობის გამო, დ. ჯ-ა იძულებული გახდა დარჩენილიყო წგრევად ობიექტში და დღესაც ცხოვრებას განაგრძობს ნგრევად, სიცოცხლი-სათვის საშიშ ობიექტში.

პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი ანალიზის, მხარეთა ახსნა-განმარტებების და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე მიიჩნია, რომ დ. ჯ-ას სარჩელი საფუძვლიანია, გასაჩივრებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ასახული კონკრეტული ურთიერთობის მოწესრიგება არ შეესაბამება მისი გამოცემის სამართლებრივ საფუძვლებს და წინააღმდეგობაში მოიდის მოცემული ურთიერთობის მარეგულირებელ სამართლებრივ წორმებთან, რის გამოცბათილად იქნა ცნობილი სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2020 წლის 24 დეკემბრის №03-3286/ოპრანება, დანართი დევნილი ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის შესახებ დ. ჯ-ას ნაწილში და მოპასუხე სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დაევალა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ – სამართლებრივი აქტის გამოცემა, რომლითაც მოხდება დ. ჯ-ას ერთოთახიანი ბინით დაკმაყოფილება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგის 2021 წლის 5 აგვისტოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა

პალატის 2022 წლის 3 ივნისის განჩინებით, სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 5 აგვისტოს გადაწყვეტილება.

პალატამ გაიზიარა მოცემულ საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტოპრივი გარემოებები, მიუთითა ამ გარემოებებზე და აღნიშნა, რომ განსახილველ საქმეში სადავო საკითხს წარმოადგენს „დევნილი ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის შესახებ“ სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2020 წლის 24 დეკემბრის №03-3286/ო ბრძანების კანონიერება დ. ჯ-ას ნაწილში. შესაბამისად, დავის გადაწყვეტისათვის არსებითია დადგინდეს, არსებობს თუ არა დ. ჯ-ას ერთოთახანი ბინით დაკმაყოფილების საფუძველი.

სააპელაციო პალატამ საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლზე მითითებით განმარტა, რომ კონსტიტუციის პრინციპებიდან გამომდინარებს სახელმწიფოს მხრიდან ისეთი სოციალური დაცვის გარანტიების უზრუნველყოფა, როგორიცაა უბინაოდ დარჩენილი ოჯახის სათანადო საცხოვრებლით უზრუნველყოფა კანონით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

ამასთან, პალატამ მიუთითა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 25-ე მუხლის პირველ პუნქტზე, ევროპის სოციალური ქარტიის 31-ე მუხლზე, „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“ პაქტის მე-11 მუხლის პირველ პუნქტზე, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლზე, მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტზე, მე-13 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებზე, სადავო პერიოდში მოქმედი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანებით დამტკიცებული „დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის“ (დანართი №1) პირველი მუხლის პირველ პუნქტზე, მე-6 მუხლის პირველ პუნქტზე და ამავე მუხლის მე-13 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტზე, ასევე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე, 105-ე მუხლებზე და განმარტა, რომ მტკიცებულებათა თავისუფალი შეფასების პრინციპიდან გამომდინარე, სასამართლო, მტკიცებულებების გამოკვლევის შემდეგ, თავად წყვეტს რომელი მათგანი უნდა მიიჩნიოს სარწმუნოდ და გაიზიაროს. სასამართლოს მიერ მტკიცებულების შეფასება გულისხმობს მტკიცებულებათა როგორც ინდივიდუალურ, ასევე მათ ერთობლიობაში შეფასებას. ამასთან, სასამართლო ვალ-

დებულია, მხარეთა ახსნა-განმარტება, წარმოდგენილი მტკიცებულება და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებიც შეაფასოს მათი შინაარსის და იურიდიული დამაჯერებლობის კუთხით. აღნიშნული გულისხმობს ყველა იმ ობიექტური თუ სუბიექტური კრიტერიუმების განხილვას, დადგენას და გამორიცხვას, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაზე.

სააპელაციო სასამართლომ ასევე მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 30 ივნისის №ბს-1635-1589(კ-08) გადაწყვეტილებაზე, რომლითაც საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ „ყოველი კონკრეტული საქმის გადაწყვეტა სასამართლოში დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოქმნილ დავებს, რომლებიც სამართლით რეგულირებული ურთიერთობებიდან გამომდინარე წარმოიშობიან. სამართლებრივი ურთიერთობა კი შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტების საფუძველზე. ე.ი ისეთი ფაქტების საფუძველზე, რომლებსაც სამართლის ნორმა უკავშირებს გარკვეულ იურიდიულ შედეგს. საქმის გარემოებების გამორკვევა და ფაქტების დადგენა მართლმსაჯულების უპირველეს ამოცანას წარმადგენს, სწორედ დადგენილი ფაქტების საფუძველზე ხდება ნორმათა შეფარდება.“

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა იმის თაობაზე, რომ იმ გარემოების არსებობის შემთხვევაშიც კი, რომ ოჯახს (ოჯახი შედგება ოთხი წევრისაგან: დედა, მამა და სრულწლოვანი და – ძმა) ნგრევად ობიექტში ორი დამოუკიდებელი ოთახი ჰქონდა სხვადასხვა სართულზე, აღნიშნული არ გამორიცხავს მოსარჩელის უფლებას, როგორც დევნილი, განსახლებული იქნეს ნორმატიული აქტით გათვალისწინებული წესით მოცემულ ეტაპზე და არა საპირისპირ სქესის მქონე ოჯახის წევრთან ერთად, ერთ ოთახში, მაშინ, როდესაც მოსარჩელე დ. ჯ-ა დაბადებულია ... წელს, ხოლო მისი და დო. ჯ-ა დაბადებულია ... წელს. შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ ოჯახი შედგება ოთხი წევრისაგან და მათ გადაეცათ საკუთრებაში მხოლოდ ორითახიანი ბინა, უსაფუძვლოა ადმინისტრაციული ორგანოს პოზიცია მოსარჩელისათვის საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის, დასთან ერთად საერთო ფართის გადაცემის თაობაზე.

სააპელაციო პალატის მითითებით, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ როგორც საქმის მასალებით დგინდება, პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის ზეპირი განხილვისას მოსარჩელე მხარემ წარადგინა ოჯახის საკუთრებაში გადაცემული უძრავი ქონების შიდა აზომ-

ვითონახაზი და განმარტა, რომ იყო სააგენტოსთან მოლაპარაკება, ჰყავდათ სპეციალისტები, თუმცა, შიდა ტიხერების იმდაგვარად მოწყობა, რომ დ. ჯ-ასთვის მომხდარიყო დამოუკიდებელი ოთახის მოწყობა, ტექნიკურად არ მოხერხდა. აღნიშნული ინფორმაცია დაადასტურა მოპასუხე მხარის წარმომადგენელმაც. ოჯახისთვის გადაცემული ფართის სიმცირის, მისი განთავსების ადგილის არარსებობის გამო, დ. ჯ-ა იძულებული გახდა დარჩენილიყო ნგრევად ობიექტში და დღესაც ცხოვრებას განაგრძობს ნგრევად, სიცოცხლისათვის საშიშ ობიექტში.

ამასთან, რაც შეეხება აპელანტის აპელირებას დო. ჯ-ას (დ. ჯ-ას და) საზღვარგარეთ ცხოვრებასთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, ის გარემოება, რომ დო. ჯ-ა ამ ეტაპზე იმყოფება საზღვარგარეთ, ვერ შეცვლის გადაწყვეტილების მოსარჩელის სასარგებლოდ მიღების წინაპირობებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ არსებითად სწორად გადაწყვიტა დავა, აპელანტის მიერ არ ყოფილა მითითებული გარემოებებზე და წარმოდგენილი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102.3-ე მუხლის შესაბამისად მტკიცებულებები, რომლებიც გააპათილება პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით გაკეთებულ სამართლებრივ დასკვნებს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 3 ივნისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტომ. კასატორმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სადაც ბრძანების გამოცემის დროს მოქმედი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანებით დამტკიცებული „დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის“ (დანართი №1) მე-6 მუხლის მე-13 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, დევნილი ოჯახ(ები)სათვის საცხოვრებელი ფართ(ები)ის შეთავაზებისას, შეძლებისდაგვარად, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შემდეგი გარემოებები: საპირისპირო სქესის დაუქორწინებელი სრულწლოვანი დევნილები (მაგ: სრულწლოვანი და-ძმა, მარტოხელა მშობელი და სრულწლოვანი შვილი) არ უნდა განსახლდნენ საერთო ოთახში (დღეს მოქმედი მინისტრის 2021 წლის 8 აპრილის №01-30/6 ბრძანება). ნორმა პირდაპირ მიუთითებს, რომ აღნიშნული გარემოება შეძლებისდაგვარად უნდა იქნეს გათვალისწინებული და არა აუ-

ცილებლად. კასატორი აღნიშნავს, რომ 2020 წელს სააგენტოს მიერ განხორციელდა ქ. ქუთაისში მდებარე 28 ნგრევადი და სიცოცხლისათვის მომეტებული საფრთხის შემცველი ობიექტის აღნერა და მოხდა მათში ფაქტობრივად მაცხოვრებელი დევნილი ოჯახების და არა თითოეული ოჯახის წევრის ცალ-ცალკე განსახლება. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დისკრიმინაციულ მდგომარეობაში აყენებს სხვა დევნილ ოჯახებს, პირველ შემთხვევაში მათ, ვინც ნორმატიული აქტით დადგენილი წესის შესაბამისად ჯერ არ განსახლებულა და მეორე შემთხვევაში, ისეთ ოჯახებს, რომლებსაც სულადობის და საორიენტაციო სტანდარტების შესაბამისად გადაეცათ საცხოვრებელი ფართი (ერთი ბინა) და არა ორი ბინა, რასაც მოცუმულ შემთხვევაში ითხოვს მოსარჩევლე. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ისეთი უმნიშვნელოვანესი ფაქტობრივი გარემოებაც, როგორიც არის დ. ჯ-ას დის დო. ჯ-ას საზღვარგარეთ ცხოვრება. კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინებით, სასამართლო ხელოვეურად ყოფს ოჯახს და სახელმწიფოს ავალდებულებს ისედაც მნირი საბინაო რესურსის არსებობის მიუხედავად, ოჯახის თითოეულ წევრს ცალ-ცალკე გადასცეს საცხოვრებელი, რაც ყოვლად დაუშვებელია და უსამართლოა იმ დევნილ ოჯახებთან მიმართებით, ვინც ჯერ კიდევ თავის რიგს ელოდება, არ არის დაქმაყოფილებული საცხოვრებლით და ცხოვრობს გაუსაძლის პირობებში. კასატორი აღნიშნავს, რომ სასამართლომ გაითვალისწინა მხოლოდ მოსარჩევე მხარის ახსნა-განმარტება იმასთან დაკავშირებით, რომ ფართი არის მცირე და მას ცალკე ესაჭიროება საცხოვრებელი. ასეთი მიდგომა სტიმულს აძლევს მოსარჩელის იდენტურ მდგომარეობაში მყოფ სხვა დევნილს იგივე გზით მოითხოვოს საცხოვრებელი. გარდა ამისა, ამ მიდგომით სახელმწიფო ვერასდროს ვერ ამონურავს იმ ოჯახთა რიცხვს, რომლებიც საცხოვრებლით უზრუნველყოფილი არიან და მათი განსახლების საკითხი გაგრძელდება უსასრულოდ.

კასატორმა ყურადღება გაამახვილა „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, დევნილი ოჯახი არის განცალკევებულ საცხოვრებელ ფართობზე მუდმივად მცხოვრებ, ნათესაური ან არანათესაური კავშირის მქონე პირთა წრე, რომლებსაც აქვთ დევნილის სტატუსი (ოჯახის წევრი შეიძლება იყოს არადევნილი პირიც) და რომლებიც ერთობლივად ეწევიან შინასამეურნეო საქმიანობას (ოჯახი შეიძლება იყოს ერთსულიანი). კასატორის მითითებით, საქმეში წარმოდგენილია მონიტორინგის სამართველოს მიერ შედგენილი მონიტორინგის აღნერის ფორმა, საიდანაც დასტურდება, რომ მოსარჩევე დ. ჯ-ა

ცხოვრობს ერთ ოჯახად, მშობლებთან ერთად, ერთ მისამართზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი კანონის მიზნებიდან გამომდინარე ერთ ოჯახს წარმოადგენენ. შესაბამისად, ადმინისტრაციულმა ორგანომ მოცემულ ეტაპზე სადაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოსცა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების არსებითი დარღვევის გარეშე და ოჯახი ერთად დააქმაყოფილა საცხოვრებელი ფართით.

კასატორი დამატებით აღნიშნავს, რომ 2020 წლის 23 ოქტომბერს დ. ჯ-ას ოჯახთან გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი და თანხმობა, რაზეც ოჯახის ყველა წევრმა მოაწერა ხელი (დო. ჯ-ას სახელით, მინდობილობის საფუძველზე, ხელი მოაწერა ლ. ჯ-ამ). კასატორის განმარტებით, დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის ღონისძიებები ეფუძნება დევნილების გადაწყვეტილების ნება-ყოფლობისა და თავისუფალი არჩევანის პრინციპს, რომლის გათვალისწინებით, დევნილები საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში ნებაყოფლობით და ზეგავლენის გარეშე იღებენ ძირითად გადაწყვეტილებებს საცხოვრებელი ფართების დაკანონებასთან დაკავშირებით. ის გარემოება, რომ დევნილ ოჯახს გადაეცა ოროთახიანი ბინა, მათ სადაც არ გაუხდიათ თანხმობაზე და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერისას. შესაბამისად, მათთვის ცნობილი იყო, რომ მათ სააგენტომ გადასცა ოროთახიანი ბინა, რაც შესაბამებოდა ნორმა-ტიული აქტით დადგენილ სტანდარტებს. კერძოდ, სადაც ბრძანების გამოცემის დროს მოქმედი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანების დანართი №8-ის თანახმად, დადგენილია საცხოვრებელი ფართის საორიენტაციო სტანდარტები დევნილი ოჯახის წევრთა რიცხოვნობის გათვალისწინებით – 4 სულიან ოჯახს გადაეცემა ოროთახიანი ბინა, 45-60 კვ-მ ფართით. ამდენად, კასატორს მიაჩნია, რომ სადაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მოსარჩელესთან მიმართებით არის კანონიერი და დასაბუთებული, რის გამოც არ არსებობდა მისი ბათილად ცნობის საფუძველი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 9 იანვრის განჩინებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ დევნილთა, ეკო-მიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 22 თებერვლის განჩინებით, სსიპ დევნილთა, ეკო-მიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს სა-

კასაციონისაჩივარი, თბილისის საპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 3 ივნისის განჩინებაზე, მიჩნეული იქნა დასასვებად და დადგინდა მხარეთა დასწრების გარეშე საქმის განხილვა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

ზეპირი მოსმენის გარეშე, საქმის მასალების შესწავლის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლი-ანობის შემოწმების შედეგად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო პალატა საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნევს შემდევ ფაქტობრივ გარემოებებს:

დ. ჯ-ა, ლ. ჯ-ა, ჯ. ჯ-ა და დო. ჯ-ა არიან იძულებით გადაადგილებული პირები – დევნილები. იძულებით გადაადგილებამდე მათ მუდმივ საცხოვრებელ ადგილს წარმოადგენდა აფხაზეთი, ოჩამჩირე, სოფელი .... დ. ჯ-ას, ლ. ჯ-ას, ჯ. ჯ-ას და დო. ჯ-ას დროებითი საცხოვრებელი ადგილი (რეგისტრაციის ადგილი) არის ქ. ქუთაისი, ...ს ქ. №2, სასტუმრო „თ...“.

2020 წლის 13 სექტემბრის აღნერის ფორმის მიხედვით, განხორციელდა ქ. ქუთაისში, ...ს ქ. №2-ში მდებარე სასტუმრო „თ...ს“ მე-2 სართულზე (1 ოთახი + 1 ოთახი პირველ სართულზე) მცხოვრები ოჯახის მონიტორინგი. აღნერის ფორმაში მითითებულია, რომ ოჯახი შედგება ოთხი წევრისაგან: ლ. ჯ-ა – ოჯახის უფროსი (იმყოფებოდა ადგილზე), ჯ. ჯ-ა – მეულე (იმყოფებოდა ადგილზე), დ. ჯ-ა – შვილი (იმყოფებოდა ყანაში, მეზობლის დასახმარებლად) და დო. ჯ-ა – შვილი (იმყოფება იტალიაში 3 წელია). ამავე აღნერის ფორმაში დამატებითი ინფორმაციის სახით მითითებულია, რომ ლ. ჯ-ას მშობლები დაკრძალულები არიან ოჩამჩირის რაიონში, მისი და და ძმა კი ცხოვრობენ ოჩამჩირეში. ჯ. ჯ-ას მშობლები დაკრძალულები არიან ქუთაისში. დ. ჯ-ა დასაოჯახებელია, ხოლო დო. ჯ-ა განქორწინებულია მეუღლესთან. ლ. ჯ-ას და ჯ. ჯ-ას ასევე ჰყავთ მესამე შვილი – დ. ჯ-ა, რომელიც მეუღლესთან და ორ შვილთან ერთად ცხოვრობს იმავე კორპუსში, მე-5 სართულზე.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის 2020 წლის 20 ოქტომბრის №62 სხდომის ოქმის თანახმად, კომისიას განსახილველად და შემდგომი გადაწყვეტილებების მიღების მიზნით წარედგინა 28 ნგრევად და სიცოცლისთვის საფრთხის შემცველ ობიექტებში მონიტორინგის სამმართვე-

ლოს მიერ განხორციელებული აღწერების შედეგად წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე შედგენილი რეესტრები, აღნიშნულ ობიექტებში ფაქტობრივად მცხოვრებ და რეგისტრირებულ დევნილ ოჯახთა შესახებ. კომისიამ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანებით დამტკიცებული „დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის“ შესაბამისად განიხილა დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის საკითხი და კომისიის გადაწყვეტილებით, ქალაქ ქუთაისში საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებაზე თანხმობა ეთქვა მათ შორის ლ. ჯ-ას, ჯ. ჯ-ას, დ. ჯ-ასა და დო. ჯ-ას ოთხსულიან ოჯახს, ოჯახის სარეგისტრაციო ნომერი ..., ოჯახს გადაეცა ოროთახიანი ბინა.

საცხოვრებელი ფართის მიღებაზე დევნილი ოჯახის 2020 წლის 23 ოქტომბრის №165 წერილობითი თანხმობის მიხედვით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანებით დამტკიცებული „დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის“ მე-3 მუხლის მე-11 და მე-12 პუნქტების შესაბამისად, იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა ოჯახის (სარეგისტრაციო ნომერი ...) წევრებმა: ლ. ჯ-ამ, ჯ. ჯ-ამ, დ. ჯ-ამ და დო. ჯ-ამ (მინდობილი პირი – ლ. ჯ-ა) განაცხადეს თანხმობა (დასტურდება წერილობით თანხმობაზე ხელმოწერებით) მიეღოთ გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში, დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის 2020 წლის 20 ოქტომბრის №62 სხდომის ოქმის საფუძველზე განაწილებული 2 (ორი) ოთახიანი საცხოვრებელი ფართი, მდებარე: ქალაქ ქუთაისი, ...ის ქუჩა, კორპუსი №..., „....“ ბლოკი, სართული 11, ბინა №....

ამასთან, 2020 წლის 23 ოქტომბერს შედგა მიღება-ჩაბარების აქტი №165, რომლის თანახმად, სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის ტერიტორიული სამმართველოს უფროსმა „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ 2019 – 2020 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის“ ფარგლებში გადასცა, ხოლო იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა ოჯახმა ჩაიბარა ქალაქ ქუთაისში, ...ის ქუჩა №..., „....“ ბლოკი, სართული ..., ბინა №...-ში მდებარე 2 (ორი) ოთახიანი საცხოვრებელი ფართი. მიღება-ჩაბარების აქტი დადასტურებულია სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის ტერიტორიული სამმართველოს უფროსისა და იძულებით გადაადგილებულ პირ-

თა – დევნილთა ოჯახის (სარეგისტრაციო ნომერი ...) წევრების: ლ. ჯ-ას, ჯ. ჯ-ას, დ. ჯ-ას და დო. ჯ-ას (მინდობილი პირი – ლ. ჯ-ა) ხელმოწერებით.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის 2020 წლის 20 ოქტომბრის №62 სხდომის ოქმის საფუძველზე, სსიპ დევნილთა, ეკონიკურანგობა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს მიერ 2020 წლის 24 დეკემბერს მიღებული იქნა ბრძანება №03-3286/ო „დევნილი ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის შესახებ“. აღნიშნული ბრძანების თანახმად, ქ. ქუთაისში, გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილდნენ იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა ოჯახები, ბრძანების დანართის შესაბამისად. დანართში მათ შორის მითითებულია ოჯახი, სარეგისტრაციო ნომრით ..., ოჯახის წევრები: ლ. ჯ-ა, ჯ. ჯ-ა, დ. ჯ-ა და დო. ჯ-ა; ნგრევადი ობიექტი – ქუთაისი, ...ის ქ. №2, სასტუმრო „თ...“; განსახლების მისამართი – ქ. ქუთაისი, ...ის ქ. კორპ. №..., .... „ბლოკი, სართული ..., ბინა №..., ოთახების რაოდენობა – 2.

საქმის მასალებში წარმოდგენილია ქ. ქუთაისი, ...ის ქ. №...-ში მდებარე ბინა №...-ის შიდა აზომევითი ნახაზი, რომლის თანახმად, აღნიშნული უძრავი წილის საერთო ფართი შეადგენს 59.20 კვ.მ.-ს.

საკასაციო პალატა მიუთითებს „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომლის მე-4 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად, დევნილი ოჯახი არის განცალკევებულ საცხოვრებელ ფართობზე მუდმივად მცხოვრებ, ნათესაური ან არანათესაური კავშირის მქონე პირთა წრე, რომლებსაც აქვთ დევნილის სტატუსი (ოჯახის წევრი შეიძლება იყოს არადევნილი პირიც) და რომლებიც ერთობლივად ეწევიან შინასამეურნეო საქმიანობას (ოჯახი შეიძლება იყოს ერთსულიანი), ხოლო „ო“ ქვეპუნქტის მიხედვით, დევნილის გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფა არის დევნილის სტატუსიდან გამოდინარე, დევნილი ოჯახის განსახლების მიზნით მისთვის სახელმწიფო ორგანოების, მუნიციპალიტეტების, საერთაშორისო, დონორი ან ადგილობრივი ორგანიზაციების, ფიზიკური ან კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ საცხოვრებელი ფართობის საკუთრებაში გადაცემა ან სანაცვლოდ მისი სათანადო ფულადი ან სხვა სახის დახმარებით უზრუნველყოფა.

მითითებული ნორმების საფუძველზე, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს დევნილი ოჯახის და არა ცალკეულად, დევნილი პირების გრძელვადიანი საცხოვრებ-

ლით უზრუნველყოფის შესაძლებლობას. ამდენად, დევნილი ოჯახის საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების შემთხვევაში, ამავე ოჯახის წევრებისთვის დამატებით ინდივიდუალური ფართების გადაცემა და შესაბამისად, ერთი დევნილი ოჯახის ხელოვნურად გაყოფა, წინააღმდეგობაში მოდის მოცემული ურთიერთობის მარეგულირებელ საკანონმდებლო ნორმებთან.

საქმის მასალებით დადგენილია და მხარეთა შორის სადავოს არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ დ. ჯ-ას, ლ. ჯ-ას, კ. ჯ-ას და დო. ჯ-ას ოჯახი, სარეგისტრაციო ნომრით ..., სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2020 წლის 24 დეკემბრის №03-3286/ო ბრძანებით, დაკმაყოფილდა საცხოვრებელი ფართით, მდებარე: ქ. ქუთაისში, ...ის ქ. კორპ. №..., „...“ ბლოკი, სართული ..., ბინა №..., ოთახების რაოდენობა – 2. აღნიშნული საცხოვრებელი ფართის მიღებაზე ოჯახის ყველა წევრმა განაცხადა თანხმობა, რაც დასტურდება 2020 წლის 23 ოქტომბრის მიღება-ჩაბარების აქტსა და წერილობით თანხმობაზე არსებული ხელმოწერებით, თუმცა წარმოდგენილი სარჩელით ოჯახის ერთ-ერთი წევრი, დ. ჯ-ა ითხოვს მის ნაწილში სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2020 წლის 24 დეკემბრის №03-3286/ო ბრძანების დანართის ბათილად ცნობას, ოჯახისთვის გადაცემული ფართის სიმცირის მოტივით.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სადავო სამართალურთიერთობის დროს მოქმედი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანებით დამტკიცებული იყო „გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით, საცხოვრებელი ფართის საორიენტაციო სტანდარტები დევნილი ოჯახის წევრთა რიცხოვნობის გათვალისწინებით“ – დანართი №8. აღნიშნული დანართის შესაბამისად კი, იმ შემთხვევაში, თუ დევნილი ოჯახის წევრთა რიცხოვნობა შეადგენდა 3-4 მოსახლეს, დადგენილი სტანდარტით ასეთ ოჯახზე გათვალისწინებული იყო ორთახიანი ბინა, ფართით 45-60<sup>2</sup>. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ დ. ჯ-ას, ლ. ჯ-ას, კ. ჯ-ას და დო. ჯ-ას ოჯახი იყო 4 სულიანი, მათ გამოიყოთ ოროთახიანი ბინა, რომლის ფართიც შიდა აზომვითი ნახაზის თანახმად, შეადგენს 59.20 კვ.მ.-ს, რაც შესაბამისობაშია ზემოაღნიშნულ სტანდარტთან შესაბამისად, დევნილ პირთა ოჯახი, რომლის შემადგენლობაშიც შედის მოსარჩელე, სადავო სამართალურთიერთობის დროს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, უზრუნველყოფილია საცხოვრებელი ფართით, დ. ჯ-ას ცალკე იჯახად რეგისტრაციის შესახებ ფაქტი კი საქმის მასალებით არ დასტურდება. აღსანიშ-

ნავია, რომ ამგვარი ფაქტის არსებობაზე არც მოსარჩელე მხარე მიუთითებდა.

ამასთან, რაც შეეხება დ. ჯ-ას აპელირებას სადაც სამართალურ-თიერთობის დროს მოქმედი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორი-ებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლ-ვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანებით დამტკიცე-ბული „დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის“ მე-6 მუხ-ლის მე-13 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტზე, საკასაციო სასამართლო აღნიშ-ნავს, რომ მითითებული ნორმის თანახმად, ამ მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, დევნილი ოჯახ(ებ)ისათვის საცხოვრებელი ფართი(ებ)ის შეთავაზებისას, შეძლებისდაგვარად, მხედველობაში უნდა იქნეს მი-ლებული შემდეგი გარემოებები: საპირისპირო სქესის დაუქორწინებე-ლი სრულწლოვანი დევნილები (მაგ.: სრულწლოვანი და-ძმა, მარტოხე-ლა მშობელი და სრულწლოვანი შვილი) არ უნდა განსახლდნენ საერთო ოთახში. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ „დასახელებული ნორმის შინაარსი, სხვადასხვა სქესის ოჯახის სრულწლოვანი წევრების არსე-ბობის პირობებში, მათი ორ ბიოლოგიურ ოჯახად განხილვას და ცალ-ცალკე ფართით დაკმაყოფილებას არ ითვალისწინებს. ამასთანავე, სა-გულისხმოა, რომ დევნილთა საცხოვრებელი ფართის საკითხის განხილ-ვისას სააგნენტოს შეძლებისდაგვარად შეუძლია საპირისპირო სქესის დაუქორწინებელი სრულწლოვანი დევნილების გათვალისწინება, თუმ-ცა აღნიშნული არ წარმოადგენს მის ვალდებულებას.“ (იხ. სუსგ. №ბს-1363(კ-22), 06.04.2023 წელი).

საკასაციო სასამართლო აქვე აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს მიერ დეკლარირებული მთავარი მიზანი დევნილებთან მიმართებით მათი სო-ციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაა. სახელმწიფოს აქვს კანონით ნაკისრი ვალ-დებულება, დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოს დევნილი მო-სახლეობა. ამავდროულად, საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარ-ტების შესაბამისად, სახელმწიფომ დევნილი უნდა დააკმაყოფილოს ადეკვატური საცხოვრებლით ნებისმიერ ვითარებაში და რაც მთავარია ეს პროცესი ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე უნდა განხორციელ-დეს. აღნიშნული უფლება გარანტირებულია მთელი რიგი საერთაშორი-სო აქტებით, მათ შორის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1966 წლის „ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა პაქტის“ მე-11 მუხლით, რომელიც სახელმწიფოებს აკისრებს ვალდებულებას „მისთვის ხელმისაწვდომი რესურსების მაქსიმალური გამოყენებით“ მო-ახდინონ ამ მუხლით გათვალისწინებული უფლებების რეალიზება. სახელ-მწიფოს განსაკუთრებული ვალდებულებები აკისრია დევნილთა მი-მართ. მნიშვნელოვანია, შექმნილი იყოს მათი ნებაყოფლობითი და ლირ-

სეული განსახლებისათვის აუცილებელი პირობები (იხ. სუსგ. №ბს-199(კ-20), 22.04.2020 წელი).

საკასაციო პალატის მოსაზრებით, სახელმწიფოს მიერ დევნილი ოჯახების მიმართ ნაკისრი ვალდებულება, არ არის შეუზღუდავი. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ დ. ჯ-ა, როგორც დევნილი პირი, სახელმწიფოს მხრიდან დაკმაყოფილებული იქნა დადგენილი წესისა და სტანდარტების შესაბამისი საცხოვრებელი ფართით, მისივე ნების საფუძველზე, ნებაყოფლობით, რაც დასტურდება 2020 წლის 23 ოქტომბრის მიღება-ჩაბარების აქტსა და წერილობით თანხმობაზე მისი ხელმოწერით. ამდენად, იმ პირობებში, როდესაც სრულწლოვანმა პირმა გამოხატა თანხმობა, სახელმწიფოსგან მიეღო და ჩაებარებინა კონკრეტული საცხოვრებელი ფართი, რომელიც ამავდროულად შეესაბამება დადგენილ წესსა და სტანდარტებს, აღნიშნული ფართის მიღების შემდგომ, დევნილი პირის სურვილი, რომ მიიღოს სხვა ფართი, სახელმწიფოს ახალ, განუსაზღვრელი ვადით მოქმედ ვალდებულებად არ შეიძლება იქცეს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადაც სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2020 წლის 24 დეკემბრის №03-3286/ი ბრძანება დ. ჯ-ას ნაწილში გამოცემულია კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. გასაჩივრებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ – სამართლებრივ აქტში ასახული კონკრეტული ურთიერთობის მოწესრიგება შეესაბამება მისი გამოცემის სამართლებრივ საფუძვლებს და წინააღმდეგობაში არ მოდის მოცემული ურთიერთობის მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმებთან, რის გამოც არ არსებობს მისი ბათილად ცნობის საფუძველი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე, არსებობს სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა ღ ა ნ ჟ ვ ი ს ტ ა:**

1. სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნ-

ველყოფის სააგენტოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 3 ივნისის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. დ. ვე-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;

4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო  
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)